ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ
ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐᲡ
ᲒᲘᲒᲚᲘᲗᲝᲜᲘᲐᲜᲘ

# ᲗᲔᲡᲢᲘ ᲙᲐᲖᲘᲡᲯᲐᲒᲘᲡᲐ

## ᲛᲮᲐᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

*ᲛᲔᲠᲘ ᲩᲮᲔᲘᲫᲖᲔ*

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1972

ჟანრული
საყვანელი
ლიტერატურის
ვიგლეტოთვის

# თეძო ალგებრა

ეთნოგრაფები

ტომი
II

«ალბანეთი»

Г ১
899.962.1-93
რ 173

7-6-4

გამოსაცემად მოამზადა
სოლომონ ყუბანეიშვილმა

სარედაქციო კოლეგია:

რევაზ ინანიშვილი, ნიკო კეცხოველი, დავით ლორთქიფანიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე (მთავარი რედაქტორი), მაყვალა მრევლიშვილი, არჩილ ჩაჩიბაია, ვალენტინა ძიძიგური

# ავტობიოგრაფიიდან

ჩარგლის წმინდა გიორგის ეკლესიის 1869 წლის წიგნებში სწერია: მთავარდიაკონს პაელე რაზიკაშვილს და მის მეუღლე ბარბალეს (გულქანს) ეყოლათ ვაჟი თევდორე, დაიბადა 1-ლ ნოემბერს და მოინათლა 8-საო, მაგრამ დედაჩემი იტყოდა: იმოდენა მოვნათლეთ, რომ საწყალმა შენმა ნაილია დეკანოზმა ემბაზში ვერ დავაყენა, ფესები ვერ მოვაკაკვინა, რო წყალში ჩაეყენეო, მკათათვეში მეყოლე, მაგრამ მონათლაში სხვანაირად დაუწერიხარო.

კარგა მახსოვს, როცა ძუძუს ვწოვდი ისევ, უკვე მეხუთე წელში ვიყავი, ხბორებში მეზავინდნენ, მაგრამ სანამ დედა ძუძუს არ მომაწოვებდა, არ წავიდოდი ხოლმე. ძმის შემატება (ჩემზე უმცროსი ძმა ალექსანდრე 5 წლითაა ჩემზედ პატარა) მაშინ გავიგე, რომ ჩემს ძუძუს ხვედარავით ბიჭი მისჯდომოდა და მე ცარიელი გამისტუმრეს, აბა შენ რო მოსწოვეო, შენს ძმას რაღა ეშველებაო — და შეც ეს საბუთი საკმაოდ ჩავთვალე, რომ ძუძუ აღარ მომეკითხა.

უკვე ექვსი წლისა ჩარგლის სკოლაში დავიარებოდი, მაგრამ ვაკვთებდი რასმეს თუ არა, ეს იქიდან სჩანს, რომ ერთხელ, როცა სტრელეცკი სკოლების დირექტორად იყო, მოვიდა სკოლების დასათვალიერებლად, შეგირდებს პატარ-პატარა წიგნები და სურათები დაურიგა სწავლის გათავების შემდეგ, ე რ ო ცა ვამოვეღებიდა, თურმე პარტაზედ დამძინებოდა, წინ ტახტის მემკვიდრის სურათი მედვა, მეორენი ალექსანდრე III-სა თუ უფროსი ძმისა. სტრელეცკის სახე აქნობამდე თვალწინ მიდგა. ერძელ რიგა ვაცივით აცანცარებდა თავს, თითქო ბუზები დაესვეიანო, ისე აქნევდა.

ქართული წერა-კითხვა ჩემმა ძმამ ნიკომ[1] მასწავლა. პირველად ძალიან ძიჭირდა. მერე-კი ძალიან კარგა ესწავლობდი, რადგან ორი კვირის გაკვეთილებს წინდაწინვე ზეპირად ესწავლობდით მე და ჩემი ამხანაგი კარატიელი. მესამე განყოფილებაში გადამიყვანეს და დაიკეტა კიდეც ჩარგლის სკოლა. ჩემი მასწავლებელი ამ სკოლაში დათიკო როსტომაშვილი იყო, ეხლა თელავის სამხედრო საკრებულოს საქმისმწარმოებლად არის. ამის გადაყვანის შემდეგ ილიკო მათიკაშვილი დანიშნეს. ესეც მალე წავიდა, სულ რაღაც ერთი წლის განმავლობაში, და რუსი ანისიმოვი დანიშნეს. მაგრამ ამას შეგირდები თვალითაც არ უნახია. ქართულის უცოდნელ მასწავლებელს ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა და, შეილები აღარ გაგზავნეს სკოლაში. მოთავე, რასაკვირველია, მამაჩემი იყო. მთავრობადგა და დაკეტა სკოლა. არც იმდენი შეეძლო მამაჩემს, რო სადმე გავეგზავნე. ჯერ ნიკოც (ბაჩანა) მეონი შიო დავიდოვთან იყო მაშინ. რაკი შეძლება არა გექონდა, ნიკო ბიჭივით ემსახურებოდა შიოს და სამაგიეროდ ნახევრად კუჭს უძღობდნენ და სკოლაში ატარებდნენ. მამაჩემი კი, რასაც შოულობდა და პოულობდა, სულ გიორგის უგზავნიდა, ჩემს უფროს ძმას, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში შევიდა თავისუფალ მსმენელად და იქიდან ისეთს იმედებს იწერებოდა, რომ ჩამოსვლისას ტომრებით ჩამოუტანდა ბედნიერებას ყველას, ოღონდ ფული არ მოეკლო და დრო მიეცა სწავლისა.

მაშინ მამაჩემი ხევსურეთში იყო მღვდლად, სულ რაღაც 200—300 მანეთი პქონდა ჯამაგირი და სხვა შემოსავალი სამრეველოდან არც კაპეიკი, ოუ ქერის ჯინჯილებს არ ჩავთვლით. ამ რვვალ აჭრელებულ ჯინჯილებს კი მოიტანდა ხოლმე ხანდახან.

მახსოვს, ერთხელ შუა ზამთარში წელზედ იდგა თოვლი, წყლები გაყინული იყო და ბუჭულა წისქვილები დამდგარი... მე და დედა-ჩემმა ზურგით ბოწახს წავიღეთ დასაფქვავად ქერი. იქ ფშიანზე იყო წისქვილი აშენებული, არა პყინავდა. კაი ხნის მშიერები ეიყავით. მამაჩემი ხევსურეთში იყო. იქ იმ ბუჭულა წისქვილში ჩამოვფქვით ორიოდე ჯამის ტოლა ფქვილი და წამოვედით. მშიერი ვარ. მეორე დღეა არა მიჭამია რა. სამი-ოთხი ვერსი გვაქვს გასავლელი. მიედივართ და დედა იმ იმედით მაეიწყებს სიმშილს, აბა თოვლს და ყინვას ვიღა ჩიოდა, მამაშენი მოვიდოდა და მოიტანდა კვერებსაო, ი ხევსურულ ჯინჯილებს. ძლივს მოველოდი, როდის ვამოჩნდებოდა ჩვენი სახლი, რო გავიგო მოვიდა მამაჩემი

---

[1] ნიკო — მწერლობაში ბაჩანას ფსევდონიმით არის ცნობილი.

თუ არა-მეთქი. ამას იმით გაეიგებდი, რომ სახლის სარკმელი გაღებული გამოჩნდებოდა მამაჩემის ოთახში. ეჰ, რაღა გავაგრძელო, ამ ხანებში საშინლად ღარიბად ვცხოვრობდით, ტანზედ ბეერი არა მეცვა რა, შარვალი სულ არა (ზაფხულში 8-9 წლამდე სულ ტიტველი კაჩებით დავდიოდი). ზამთარში კი შეშიკერავდნენ მსხვილი ჩითისაკ, აი სპარსული ჩითი ეხლაც იყიდება თათრის ბაზარში. იგეთვე დამატყლული ახალოხი, ფეხებზედ ღახლის წინდები, წინდებს ძირზედ ცხვრის ან ხბოს ტყავი ჰქონდა გამოკერებული იგრეეე ბეწვით; აბა ქალამნებს კი ვინ მაღირსებდა. ზაფხულში კი შიშველი ფეხით დავდიოდი ცხვარსა და ძროხებში, ცოტა ისა გეყვანდა და ცოტა ისა.

მახსოვს, ისე დამეყელებოდა ხოლმე ფეხის თითები, რომ ხანჯლით დაჭრილსა ჰგვანდა. მერე რა ძნელი იყო ამისთანა ფეხებით რიყეებზედ, მაყელიან ნაკაფებში და ახალ ნამკლებში სიარული. რო მომაგონდება, ეხლაც ქრუანტელი მიელის ხოლმე ტანში. ზამთარში ისე დამისქდებოდა ხოლმე ხელები, თითქო დანით დაუჭრიათო.

სანამ მკასა და თიბვას შევიძლებდი, საქონელში დავდიოდი, მერე კი ყველა გლეხურ საქმეს [ეაკეთებდი], თიეის დროს კი სულ ტაესა და წყალში ვიჯექი.

ისე გაეიზარდე, რომ წითელი კიტაიას ახალუხი მენატრებოდა და ვერ ველირსე. ჩუსტი ხო თაეის დღეში არ გეინახია. ერთხელ კი მამაჩემმა წითელ ყელიანი ხარაზული წულები მოგვიტანა. ფეხი არ ჩამდიოდა, ძაან პატარები იყო და ისე გულით მენატრებოდა იმათი ჩაცმა. როგორც იყო ჩიეიცეი, მაგრამ ისე მიჭერდნენ, რომ ქუსლები სულ ჩამაგლიჯეს და მთელ ერთ ზაფხულს სულა მტკიოდა.

ორი წელიწადი დავრჩი უსწაველელი, თითქმის გადამაეიწყდა, რაც ვისწაველე. ქართულს კი აბა რას დავიეიწყებდი. ერთ ზამთარ საქართველოს ისტორია გადაეწერე. ეს წიგნი თეედორე მღედელს ეკუთვნოდა, მამაჩემს ეთხოვნა და რადგან ძველი გამოცემა იყო, ტყავის ყდა ჰქონდა, და გასაყიდად არსად იპოეებოდა, მამაჩემმა შემიკეთა ვადამიწერეო, სხვა საქმეებიდან გამანთავისუფლა და ჩაუჯექ ამ წიგნს. ზამთრის სიცივეში ჩავდიოდი სკოლის ოთახში და იქა ვწერდი. მაშინ უკვე დაკეტილი იყო. მამაჩემმა დიდად ისიამოვნა, როცა მოერჩი და ეხლაც მახსოვს, უჩვენებდა ხოლმე ვინც მოუვიდოდა იმისთანა ვინმე, ვისაც წერისა გაეგებოდა რამე, ეს ჩემმა თეედორემ გადასწერაო. პირველად მაშინ წაეიკითხე საქართველოს ისტორია. სკოლაში კი აბა რას გვასწაველიდნენ, მარტო წერა-კითხვა გვასწაველეს, ის იყო და ის, მორჩა და გათავდა. მერე სულ რუსულად გვასწაველიდნენ. სამღთო წერილს და ლოცვებ-

საც კი არ გვასწავლიდნენ ქართულად და ბოლოს ხანობამდე სულაც არ ეიცოდი ქართული ლოცვები და მგონი ორ სამ ლოცვას გარდა არც ახლა ვიცი. ახლა რუსულადაც როგორ გვასწავლიდნენ, გაგვიკვეთავდნენ აქედან აქამდე უნდა ისწავლოვო და მეც ვიცოდი ზეპირად. თუ როგორ გვიხსნიდნენ რუსულს, ერთს მაგალითს მოვიყვან. „როდნოე სლოვოშია" ერთი მოთხრობა „უმეი აბაედათ", მასწავლებელმა ავეიხსნა: „მოთმინება კაი საქონელია". ახლა მე ვფიქრობდი ხოლმე, „უმეი" — მოთმინება იქნება და „აბაედათ" კაიო. ე საქონელი როგორღაა რუსულადაო. ვიმტერეედი თავსა. მასწავლებელს როგორა ვკითხავდი, ეს კრიტიკა გამოვიდოდა და კარგად მივიტყიპებოდი.

ორი წლის მოცდენის შემდეგ ჩემმა ძმამ ლუკამ (ანუ ვაჟამ) წამიყვანა ტოლათ სოფელში, სადაც ის ახლად დანიშნეს მასწავლებლად. ეს მგონი 1882 წ. იყო.

აქ მოგვივიდა „ბუნების კარები". ლუკა აქ ძალიანად გვასწავლიდა ქართულს. თვითონ მაშინ ლექსებს წერდა და მე მიკითხავდა ხოლმე. მე, რასაკვირველია, ძალიან მომწონდა ეს ლექსები, სულ ზეპირად ვიცოდი, გადაწერილიცა მქონდა. ეს ლექსები, როგორც მახსოვს, დიდი ღირსებისა არ იყო, მაგრამ ჩემი ძმის დაწერილები იყვნენ და როგორ არ მოვიწონებდი. მაშინ ჯერ ხალხურ კილოზედ არა სწერდა. ნიმუში მაშინდელი ლექსებისა „იმედშია" დაბეჭდილი. ლ. რ-ზ-კ-შ-ლი, აწერია. მერე ხომ ნიკოშაც დაიწყო წერა ხალხურ კილოზედ 1884-5 წლებში, როცა ისევე სემინარიაში სწავლობდა. ამის შემდეგ კილო ვაჟამაც შეიცვალა.

ლუკასთან სულ ერთი წელიწადი დავყავ, რადგან მაისში დარსკი[1] სკოლის სარეეზიოდ და ლუკას გამოსაძიებლად [მოვიდა]. იქაურს მღვდელს აღნიეს დაებეზღა, „ნიღილისტი" და „სოციალისტიაო".

მახსოვს, ლუკამ კლასში არ შეუშვა დირექტორი, სანამ იმ ქაღალდს არ მიჩვენებთ, რა ბრალსაც მდებთო. ამას ის მოპყვა, რომ ლუკა ადგილიდან დაითხოვეს.

ეს წელიწადი ჩემთვინ დიდი ნაყოფიერი იყო. უკვე მეცამეტე წელში ვიყავი. თბილად მეცვა, კარგადა ვჭამდი, საქმე არა მქონდა რა. მთელი ღამეები წიგნების კითხვას ვუნდებოდი. წინათაც ბევრი მქონდა წაკითხული ქართული წიგნები, რადგან მამაჩემი ვამოსულ წიგნს უეჭველად იყიდდა, და დიდი დღესასწაულიც იყო იმისთვის ქართული წიგნის გამოსელა. ახირებული მოყვარული იყო სამშობლო

---

1 დარსკი — სკოლების ინსპექტორი.

ქვეყნისა და მისი მწიგნობრობისა. ვინც იმის მსჯელობას გაიგონებდა, იფიქრებდა, ყოველ მხრივ განათლებულ და ღრმად განსწავლულ მეცნიერთანა მაქვს საქმე და არა უბრალო სოფლის მღვდელთანა. აკი არც არავინ ვისურვეთ სასულიერო წოდებაში დარჩენა

ჩემს ძმას[1] გაზეთებიც მოსდიოდა და ამან ხომ სულ გადამრია: როგორც მწყურვალე წყალს, ისე ვეწაფებოდი წიგნებს და გაზეთებს, არ გაჩერებია მას აქეთ გადაუწერავი, სადაც რომ ლექსი დაბეჭდილა, ან პოემა ჩვენი პოეტებისა. ეს რეულები ესლაც ისევა მაქვს შენახული და თითქმის 1890 წლამდე უღწევს. ამქამად ნ ი კ ო ც სახემწიფოდ მიიღეს, ლ უ კ ა ზ ე დ ა ც აღარა ეხარჯებოდა რა მამაჩემს და ჩვენი შინაური საქმეები ცოტა გამოკეთდა. მუცელი ვაკვეიძლა.

ჩემთვინაც მოიცალა მამაჩემმა. ამ წლის მარიამობის თვეში ბორში გამატანა ნიკოს. იქ ეგზამენი დავიჭირე სემინარიასთან არსებულ რუსების სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში. სახლის პატრონს თუმანს ვაძლევდი თვეში და ტანისამოსისათვის ფული აღარა მქონდა. მთელი ზამთარი დაცლეჯილი ჩუსტებით და საზაფხულო ჩითის ბლუზით დავიარებოდი. ახლა სახლის პატრონიც კვახე კომშით ვეიმასპინძლობდა, ეეღარ ავიტანე, დამაწყებინა ცივება და მთელი რვა თვე მაცია. წამლის ფულიც არა მქონდა, ჩემი ძმა ბავის სახელზედ არომეედა სემინარიის აფთიაქიდან წამლებს და იმას მასმეედა. ბოლოს როგორც იყო მოვიშორე, მაგრამ ძალიან დამაძაბუნა და მომაცდინა. მაინც სემინარიის უფროს მოსამზადებელ კლასში დავიჭირე ეგზამენი. ესლა იმედი იყო, რომ წინ წავიდოდი და სახელმწიფოდაც მიმიღებდნენ შემდეგ კლასებიდან, თუ კარგად ვისწავლიდი. იმ ზამთარსაც ბევრი სიცივე ვიგემე, სამაგიეროდ სახლის პატრონს თვეში 7 მანეთის შეტს აღარ ვაძლევდი. თან ჩემი ძმის ამხანაგმა კაჩარლინსკიმ (თათარმა) (ესლა იმავე სემინარიაში სამღთო წერილს და თათრულ ენას ასწავლის) ერთი სიძველით გაშწვანებული პალტო მაჩუქა. სწორედ გაზაფხულზედ რომ მწვანე ქიქო ამოვა, ისეთი იყო და თან ფეხებამდე მეთრეოდა. უეჭველია თავიდან ფესებამდე მწვანე პალტოს ძველში გასვეული, სასაცილო რამ ვიქნებოდი, მაგრამ ამას ვინა ჩიოდა, თუ ზურგი თბილად შექნებოდა.

ჩემი ძმა ამ წელს ათავებდა, ბედად იანვრის შემდეგ ნიკოს ახალი პალტო შეუკერა სემინარიის მთავრობამ. მე. ძმაო, საზამთრო ბლუზითაც კარგად გამოვალ ციოლასაო, და თავისი ეკერ ჩაუცმელი

---

[1] ჩემი ძმა — იგულისხმება ვაჟა-ფშაველა.

პალტო მე გადმომიფეშქაშა. ამ კლასიდან უფროს მოსამზადებელში გადავედ და მიმიღეს კიდეც სახელმწიფო ხარჯზედ[1]. ნიკოს მოცემული პალტო ახლა მე ჩემს ძმობილს შიოს (მ ღ ვ ი მ ე ლ ს) გადავეულოცე. არც ის იყო ჩემზე კაი დღეში. სემინარია გავათავე 1889 წელში. არსად კლასში არ დავმრჩალვარ, უეგზამენოდ ვადავდიოდი პირველ კლასის შემდეგ და გათავებითაც პირველმა საუკეთესო მოწაფედ გავათავე.

ერთ წელიწადს უადგილოდ დავრჩი, რადგან დ ა რ ს კ ი მ, რო ვა-თავებდით, მაშინვე გამომიცხადა, შეს ადგილს ვერ მოვცემთ, თქვენ ისეთი ვვარისა ხართო.

1890 წელს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებამ დამნიშნა ხელთუბნის სკოლის მასწავლებლად, სადაც დავყავ 1905 წლის 11 თიბათვემდე. ამ რიცხვიდან მთავრობამ დაკეტა სკოლა და მეც დამითხოვეს.

ადმინისტრაციის განკარგულებით 12 ენკენისთვეს დამიჭირეს და ოლონეცკის გუბერნიაში სამუდამოდ ვადასახლება ვადამიწყვიტეს და ვამამგზავრეს კიდეც. საიდანაც მანიფესტის შემდეგ დავბრუნდი. იანვრის ოცდასამში ისევ მომიკითხეს, მაგრამ რაკი ადრევე თავი ვავარიდე, სახლ-კარი დამინგრიეს ზარბაზნებით და მერე დაწვეს, ვითომ ამით ამოფხვრეს ჩვენში მთავრობისადმი მრავალი წლობით ვულში ჩამარხული მძულვარება და ზიზღი.

დედაჩემი მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო. უბრალო რამე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ ისიბლებოდა მსმენელი. ის რო დევებზედ ან ეშმაკებზედ, მოჯალაფეებზე დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულს არა არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვით მწასველ ვამგონედ მეჩვენებოდა. იცოდა აუარებელი ლექსი და ზღაპარი. ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბები ჩვენს მეფეებზედ, უფრო თამარზედ და ერეკლეზედ. წაკითხულ-გაგონილსაც თავის ვემოვნებაზე გადააკეთებდა და თავისი დაბალი სასიამოვნო ხმით ვვიზუზუნებდა. როცა ვვიამბობდა რამე სამწუხარო ამბავს, თანა ტიროდა ხოლმე. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა. იყო ბუნებით პოეტი, საშინელი შშვიდობის მოყვარე და უკიდურესობამდე ვულკეთილი და უხვი; მოუღალავი შშრომელი და მოყვარული. იმისი ბიძა პარასკევა, იყო განთქმული მოლექსე. ჯერ იმაზე მოლექსეს ფშაეში არ იტყ-

---

1 თედო გორის საოსტატო სემინარიაში მიიღეს 1885 წლის 28 აგვისტოდან.

ვიან. დედაჩემი არ მახსოვს, რომ ჩემს სიცოცხლეში გაგეჯავრებოდეს ეისმეს, თუმცა მამაჩემი კი ვულფიცხი და მრჯავედომი იყო.

დიდი გავლენა ჰქონდა დედაჩემს ჩემზედ. მერე სულ იმასთან ვიყავ 16-17 წლამდე. მიღებული გექონდა: ქალები და ბალღები ცალკე ოთახში იყვნენ ხოლმე და კაცები ცალკე. მე სულ დედაჩემთან ვიყავ.

გაელენა ჰქონდა თვით ოჯახსაც. მამაჩემი დიდი თაყვანისმცემელი იყო ჩვენი პოეტ-მწერლებისა, აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზედ უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა. ეკიამბობდა მთების პიროფლიანებზე, აგვიწერდა პოეტურად · იმათ ღვაწლს და გვანატრებდა სამშობლოსათვის თავდადებას. „ვეფხვის ტყაოსანი", ვურამიშვილის ლექსები, ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული" ზეპირად იცოდა. ზეპირად იცოდნენ ჩვენმა ბიძაშვილებმაც, რომლებიც მუდამ კვირა იყრიდნენ ჩვენსა თავს, კითხულობდნენ და ზოგიც ფანდურზედ დაპმღეროდა.

ეს ფანდურის ხმა ახიბლავს კაცს, აჯადოვებს და ატყვევებს, აღვიძებს გულში გრძნობათა ცეცხლს, თუკი სულ გაპირუტყვებული არ არის კაცი. და როცა ისმენ დიდებული კაცის სიტყვებს, ისეთი აღტაცებით და მოწიწებით ფანდურზედ დანამღერს, შენც წაგძღვეს ოცნება და იმ დიდებულთან სახელის ვანაწილებას განატრებს.

მე სულაც არა ვუიქრობდი მწერლობას. მე ვამბობდი, პოეტებად ჩემი ძმებიც კმარან, თუკი კარგს რასმე შესძღვნიან სამშობლოს-მეთქი. მე ისეთს [კარგს] ვერაფერს დაეწერ, რო მართლა ღირდეს და დაწერილები კიდევ იმდენია სხვა ერების ენაზედ, რო ისინი გადმოვთარგმნოთ, იმაზე კარგს რას გავაკეთებთ-მეთქი. აგრეთვე მივყავ ხელი ჩალხური ნაწარმოების შეკრებას, შეეკრიბე 3 000-ზე მეტი ლექსი, 200-ზე მეტი ზღაპარი და ლეგენდა, მრავალი ცრუმორწმუნოებანი და შელოცვანი, ანდაზები და გამოცანები. ეს ამოდენა შრომა ჯერაც ქ. წიგ. გამომ. ამხანაგობასთან ყრია გამოუცემელი თითქმის 17 წ.

თუმცა არა ვფიქრობდი მწერლობას, მაგრამ ისე მწამდა მწერლობის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რომ ოჯახის გავლენას დაემატა მეტად სიმპატიური გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლ ო მ ო უ რ ი ს ა. ამაზედ მეტი საკეთილო გავლენა არა მგონია კაცმა კაცზედ იქონიოს. ჩემი ველური ბუნება ამისმა ღვთიურმა მოქცევამ დაალბო და გააპატიოსნა. სურვილი სამშობლო ლიტერატურისათვის სამსახურისა იმან ვამიორკეცა. დღეს უკვე ვაჟკაცი და ჭაღარაშერთული იმავე მოწიწებას ვგრძნობ ამ ჩემთვის წმინდა კაცის მიმართ.

მოთხრობების წერა სწორედ ნ. ლომოურმა დამაწყებინა და ძალიანაც მახალისებდა და მაქებდა. პირველად დავწერე ლექსი „მწყემსის სიმღერა“ 1886 წელსა. ამ წელშიეე დავწერე „ნიბლიაც“, დაიბეჭდა კაი ხნის შემდეგ. პირველად ჩემი ლექსი „გუთნის დედის სიმღერა“ „ჯეჯილში“ დაიბეჭდა 1890 წელსა. ჩემი ზღაპარი „რისტომი“, ნაწყვეტი, „სიტყვიერების თეორიაში“ ნიმუშად შეტანილი, 1887 წელს დაიბეჭდა „იესერიაში“.

საზოგადოდ „იესერია“ ლექსებს არ გვიბეჭდავდა მოწაფეებს. სწერდა მეთაურში: „ჯერ ისევ სწავლობთ და თქვენ სხვას რა უნდა ასწავლოთო“...

**თედო რაზიკაშვილი**

# მონადირე

ხევსური შიშია განთქმულ მონადირედ ითვლებოდა. იმისი გაუვალი მთა აღარსად იყო. გუდამაყრის ჩონჩხები, ხევსურეთის მთების კუდები და თვით გერგეტიც მოვლილი ჰქონდა. იმისგან შეწირული ჯიხვისა და კლდის ვაცის ადლიანი რქები ხახმატისა[1] და გუდანის-ჯვრის[1] იფნებზე ეკიდა და სალუდეს ყორის კედლებზე იყო ჩამწკრივებული. ეს ხატისათვის მირთმეული ძღვენი იყო მადლობის ნიშნად და ქრთამადაც შიშიასაგან, რომ საკვლავოდაც მოემართა ხელი. ერთი „არწივისმაღალი"[2] ჰქონდა გულში ჯავრად ჩაყოლილი. იმის წვერზე ჯერ კაცს ფეხი არ დაედგა. მხოლოდ შორიდან შესცქეროდნენ ხევსურები შურითა. იმის წვერზე აუარებელი იარაღი და ზინათი ეგულებოდათ, არწივებისგან მიზიდული. იქა ბუდობდნენ ეს მთის ამაყი შვილებიც და ბღარტებსაც იქა ზრდიდნენ გულმოსვენებულები, რომ კაცი იქ ვერ მიუდგებოდა. აქ იყო იმათი სასხდომი და სალხინო ადგილი. იქიდან დასცქეროდნენ მთელს ხევსურეთს და ხევგუდამაყარს ამაყი თვალით და ათვალიერებდნენ თავის საკბილო ლუკმასა.

თვითონ „არწივისმაღალმა" თოვლი არ იცოდა, რადგან ზედ იმდენი სწორე ადგილი არ მოიპოვებოდა, რომ თოვლი დაედო და დამ-

1. სოფლებია ხევსურეთში.

2 მიუდგომელი კლდის ჩონჩხია ხევსურეთში და მთის სახელიცაა.

დგარიყო. მთის ძლიერი ქარი ხელად გადაფხეკდა თოვლს და რაც დარჩებოდა, იმასაც მზის სხივები ჩამოადნობდნენ ხოლმე, ჯერ ლოლუებად დაეკიდებოდა და მერე კლდის ნაპრალებში იკარგებოდა. ქვებში ამომძვრალი ქუჩი აღარა კვდებოდა, ზღარბივით ეყუნტა კლდის ნახეთქებში. შავი ქვები არწივებისა და სვავების სკინტლით იყო თეთრად ჩამოთხაპნული. ეს იყო ადამიანის ფეხისგან შეულახველი ადგილი და ბევრ ხევსურის ვაჟსაც ენატრებოდა იქ ასვლა. იცოდნენ, რომ იმისთანა ვაჟზე ხევსურის ქალებიც კი ლექსს გამოთქვამდნენ. იმისი ქების ხმა მთელ მთას შემოივლიდა და მერე შვილიშვილს გადაეცემოდა.

შიშიას ბევრჯერ ეჩვენებოდა სიზმარში „არწივისმაღალი", ოცნებობდა, როცა ის იქ ავიდოდა, როგორ აიშლებოდნენ არწივები და შეშინებულები თავზე დაუწყებდნენ ტრიალს და ყეფას. როგორ იპოვიდა იქ უპატრონოდ დახოცილ ვაჟკაცების იარაღსა და მარჯნებს ფრინველებისაგან ატანილსა. ქვემოთ კი „არწივისმაღლის" კალთები და ხევები საესე იყო თოვლით და მისდღემში გაუდნობელი ყინულით. კლდის ვაცი და ჯიხვიც აქაური იყო განთქმული.

• • •

მზე ამოსული იყო, როცა შიშია „არწივისმაღლის" კალთას შეუდგა. თოვლის ცქერით თვალები სტკიოდა და ცისარტყელასავით წითელ-ყვითელა ელანდებოდა.

ზვავი მდნარიყო და რამდენიც ძირს დაეწია, იმდენი ჩამოეფხოჭნა კლდეებიდან ისეც მცირე მიწა და სილა და ატალახებული თოვლზე ჭუჭყად იდო.

სადაც ხის ნაკოდალი (ნარიყი), ან ქვა, ან ზვავისაგან მოგლეჯილი ქუჩი დაცემულიყო ზვავზე, — თოვლში ჩაფლულიყო, თოვლი შემოეჭამა ირგვლივ, თითქო ცეცხლს მჩვარი ამოუწვავსო. ზოგან ჩახვრეტილიყო კიდეც და შიგ მღვრიე ქვიშიან-ტალახიანი აქაფებული მდინარე ჩაქუხდა ბნელ ჯურღმულში, მზეთუნახავი.

სადაც მოესწრო დედამიწას თოვლისგან განთავისუფლება, თავ-ყვითელა ყვავილს და დათვის ტერფას ამოეყოთ თავი. ბუერასაც გაეღვიძა და თავის მწვანე ქათიბს მზეს უცხუნებდა. ზაფხულის მზე

სიცოცხლეს უხვად აძლევდა, საღამოთი ცარიელი მოტვლეპილი ადგილი მეორე დღეს საამურად ჰყვაოდა.

შიშია ზვავს მოერიდა, გაღმა გავიდა. საშიში იყო ზვავი ზაფხულში. გარედან მზისგან შექმული და შიგნიდან წყლისგან ადვილად ჩაიმზღვლეოდა და კაცსაც თან ჩაიტანდა სამუდამოდ. ზვავზე ჯიხვების ნავალი მრავლად იყო. ეტყობოდა, წყლის დასალევად აქ ევლოთ ზევიდან. ზაფხულისგან შეშინებულებს ზევით აეწიათ, რაკი ზვავები შრებოდა, ნაზვავრებში ნოყლა ბალახი ჩნდებოდა და არც ცხელოდა.

კაი დიდი ფარა ჩახდა. ნავალზე ეტყობოდა, რომ ციკნებიც ბლომად ერია ფარაში და ხარჯიჰვებიც. შიშია გულიანად ათვალიერებდა ამ ნაფეხურებს. ერთი ნაფეხური იყო ყველაზე დიდი. სწორედ მოზვრისტოლა ფეხი იქნებოდა. ყველას ნავალს ქყლეტდა, ეტყობოდა, უკან მისდევდა ფარას, რადგან ან ფარას ჰპატრონობდა, ან სიმძიმით სიარული უჭირდა.

შიშიას გულმა ფრთხიალი დაუწყო. შურით ჩასცქეროდა ჯიხვების ნავალს. გული უსკდებოდა, რომ ამდენი ნადირი აქ თავისუფლად დაიარებოდა, შიშია კი იმათი მძებნელი, ზვავზე ქერის ჯინჯილასა და არაჟანმოხდილ ძროხის რძისაგან ამოწურულ კურსა (ყველს) ხრავდა. ათასიც რო ყოფილიყო, თუკი როგორმე შესძლებდა, სულ ერთიან გასწყვეტდა, გინდ ერთი ჯიხვის ტყავიც ძლიეს წაეღო სახლში. საშინლად შურდა იმათი ასე უშიშრად სიარული. შურდა იმათი ლაღი ცხოვრება, იმათი თავისუფალი სიცოცხლე. თავის დაბეჩავებულ და დამონებულ ცხოვრებასთან იმათი ლაღი სიცოცხლე გულში სანატრელად მიაჩნდა. რადგან თვითონ ვერსად წაუვიდოდა ამ ცხოვრების სიდუხჭირეს, არც იმათი უნდოდა, რომ ცოცხლები ყოფილიყვნენ და თავისუფლები.

ვინ არ მისტანებიხართ დასაჭერად ოთახში შემოფრენილ ჩიტს, რომელიც თავგადაკლული ეძებს გასასვლელ გზას და ხან ერთი სარკმლის მინას დაეტაკება თავით, ხან მეორისას, მანამ უგონოდ ძირს, სარკმლის ფიცარზე არ ჩამოვარდება თავგატეხილი. საწყალი კვნესის, სულს ჰლევს და თან კიდევ შიშით თრთის. შენ ხელში იყვან საჩქაროდ და ერთ წამს მაინც სიამოვნებასა გრძნობ, რომ ამ თავისუფალმა ფრინველმაც იგემა მონობის სიმწარე.

თავისუფლების შემფრფინავნი იმავე თავისუფლების დაუძინებელი მტრები ვართ...

შიშიამ შეკამა ხელისტოლა პური, თოფს ფალია უნახა, დანარჩენი საგძალი ისევ შოლტაში[1] ჩააწყო და მგელივით ჯიხვების ქვალს გაჰყვა.

ზვავი გამოილია და ქვიშიან ფერდას შეუდგა. წვრილი და შავი სიფრიფანა ბრეყვიალა სიპების ნამტვრევებისაგან შემდგარი ქვიშა ფეხქვეშ არა დგებოდა, ელდასავით აქეთ-იქით ძვრებოდა. ფეხი შიგ ღრმად ეფლებოდა და ძალიან გამოცდილი მოსიარულე უნდა ყოფილიყო, რომ ისე მოესწრო ფეხის გადადგმა, სანამ ქვიშა გაშლას მოასწრობდა. შიშიაც სწორედ ასეთი იყო! ისე ოდნავ ადგამდა ფეხს, რომ ქვიშა მხოლოდ მაშინ დაიძვრებოდა, როცა იმას ფეხი კიდეც ჰქონდა გადადგმული და თოფის წამალივით იწყობდა ქვემოთკენ ზვავით დენას წკრიალით.

ძირში წმინდა სილა იყო მოქცეული, ზემოდან უფრო მომსხო კენჭები და სიფრიფანა სიპები მისლიკინებდნენ. ყველანი ერთად ზზეზე გინერიეთ საამურად ბრეყვინავდნენ. ხანდასან ჯიხვისაგან დაგორებული ქვაც გაახმიანებდა არემარეს. ამ დროს შიშიას დიდი სიფრთხილე ემართა, რომ ქვას არ გაეტანა. უნდა წამოხურულ ლოდებს ამოჰკროდა ქვემოდან, ან სხვა მხარეს გაქცეულიყო.

მიდიოდა შიშია. ის საამურად მბრეყვინავი სილა, ის კლდეები, ის მკვდარი ბუმბერაზები, ის საბლოტი კინკუხები, ბალახბულახით მორთული, იმას სულ თავის მტრებად მიაჩნდა. ქვიშა იმიტომ მისცურავდა უფსკრულისაკენ, რომ შიშიაც თან ჩაეტანა. ლოდები იმიტომ იყო გადმოკიდებულები, შიშია რომ ხელს მოჰხვევდა, მოგლეჯილიყვნენ და შიშიაც დაეტანათ. მიდიოდა შიშია, როგორც ფრთხილი ვეფხი, როგორც კატა ფრინველს ეპარება ხოლმე; დიდი სიფრთხილით მიცოცავდა სულ მაღლა და მაღლა. კლდის თავზე ერთგან პატარა ბუსნო იყო, იქ დაჯდა. სული მოითქვა. ერთი ვიწრო ხევი ჰქონდა კიდევ გასასვლელი და მერე „არწივისმაღალის“ ჩონჩხი იყო აყაყული უზარმაზარ მატურივით.

აგერ ჯიხვების ფარაც, კლდეებში მოდებული! ციკნებიც კი გარ-

---

[1] ბალანგაცლილი გუდა.

კვევით ჩანდა, რომ ეკრობოდნენ დედებს და მუცელქვეშ უძვრებოდნენ. სხვები ზოგი ჰიდაობდნენ, ზოგი კლდიდან-კლდეზე ხტოდნენ. კინჭუხის თაეზე შემხტარი პატარა ვაცუნა, ცერისტოლა რქიანი, დაცინვით ჩასცქეროდა თავის ძირსდამრჩალ ამხანაგებს, რომელთაც სწრაფად ვერ მოესწროთ ამხანაგთან ერთად მაღლა შეხტომა და თვითონაც ისევ ძირს აპირობდა გადაშვებას. სხვას კიდევ ძუძუ უნდოდა, დედას დასდევდა, დედაც ხან გაექცეოდა, ხან მოუბრუნდებოდა, სჩხვერავდა და იქით აგდებდა. შვილი მაინც თავისას არ იშლიდა, უკანა ლაჯებიდან უყოფდა ცხვირსა. სხვა ჯიხვები ზოგი იწვა, ზოგი იქექებოდა, ზოგიც ქვებში ამომძვრალს გერმასავით რბილ ბალახს სწიწკნიდა.

იყო არხეინად ამ მთის შვილების ფარა, მაძღარი, მხიარული, თავისუფალი. არც უბინაობისა ეშინოდათ და არც ზამთარში გამოკვების გულისათვის ვისმე ბოსელში სურდათ თავის დაბმა. ზაფხულში შურთხისგან[1] ბუდებ შეტანილი ბალახი ზამთარში ჯიხვს კაი სამსახურს უწევდა.

შიშია თვალით ზომავდა მანძილს, მიაწევდა ჯიხვებამდე ამისი ხირიმის ტყვია, თუ ვერა. კანკალმა აიტანა. თოფს, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ორი ხელით ბღუჯავდა, თითქოს ეშინიან, ხელიდან არ გამივარდესო.

„თოფელი სთოვს, ჯიხვი ფეხს უცემს, —
გულს გიგლის მონადირეო!
— ვერ დაგკარ თოფი, ტიალო.
სისხლი ვერ გაგადინეო:
ვერ გადმოგაგდე კლდეზედა.
რქებზედ ვერ დაგაბჯინეო!-

მოაგონდა ეს ფშაველების ლექსი შიშიას. ცხადად წარმოიდგინა მონადირის სულისკვეთება, როცა ერთმანეთისაგან მანძილით დაშორებული მონადირე და ჯიხვი ერთმანეთს გასცქერიან. ჯიხვი თითქოს უსაყვედურებს: — რას მერჩი, რას გიჟამ, რას გტაცებ? რისთვის მდევნი? შენც გეყოფა მზის შუქი და მეც, შენს გამოსადეგს მინდვრებს და ველებს ხომ არ გეცილები? ვენახებს არ გიკვნეტ, ყანას არ

[1] მთის ინდაურია.

გიძოვ, ნათესს არ გითელავ და ნახნავს ფეხით არ გიზერქნი! ჩემმა წინაპრებმაც კარგად იცოდნენ, რომ შენ, კაცო, რაც კი შენი გამოსადეგი და ხელსაყრელი იყო, სხვას არ დაანებებდი და არც არავის ჩაიზიარებდი. იმიტომაც აკი გაგშორდნენ და ისეთს მთას და კლდეს შეეხიზნენ, სადაც შენ შიშით ფეხსაც ვერ მისდგამ, თორემ გუთანსა და ბარს კი ვერ მიიტან. რას მერჩი? დამანებე თავი! ვიცოცხლო მეც ამ მწირს და ვაგლახ მთაში!

მონადირეს კი ჯიხვის სიშორე და მიუდგომელ ადგილას ყოფნა გულს უგლიდა, გაბოროტებულს შური ახრჩობდა. შიშიასაც შური, თუ იმაზე უარესი სისხლით გაუძღომელი გრძნობა, სჭამდა. რამდენჯერმე წაუდო ქვაზე თავისი ვერცხლის სალტებით შაზიკული, მზეზე თეთრად მბრჭყვინავი ხირიმი და ისევ უკან გადმოიღო. სევდით და მწუხარებით დასცქეროდა ამ თავის გალაპლაპებულს ყელქრელ ხირიმს; არ ეგონა, თუ იქამდე მიიტანდა ტყვიას. თუნდა მიეღწია კიდეც, ჯიხვს ვერ დაიმორჩილებდა. ტირილი მოსდიოდა, რომ შამფურივით გაშავებული რუსების „პერდენკა“ არა ჰქონდა. ის რო ჰქონოდა, ერთსაც აღარ გაუტევდა ცოცხალსა. რუსებზედაც და „ბერდენკაზედაც“ ჯავრი მოსდიოდა, რომ ამისი თორმეტ ძროხიანი[1] ხირიმი იმ შავმა დუდუხამ ასე დაამცრო და დააჩალავა...

ამ დრომდე დაწოლილი ჯიხვებიც აიშალნენ და აღმართს შეუდგნენ. ის დიდი ჯიხვიც უკან იყო და დინჯად მიაბიჯებდა. შიშია ახთებული თვალებით გასცქეროდა ხარ-ჯიხვის გზას. ელოდა, როდის გასწორდებოდა თოფის სასროლად. აი, შეხტნენ ერთს ბექურზე ჯიხვები და მეორე მხრისკენ იწყეს დენა და მოფარება. ბოლოს შეებღოტა ხარ-ჯიხვიც და გაბრტყელებული ეეყუდა შიშიას პირდაპირ მოზვრის ტოლა. სულგაწყვეტილი შიშია თოფს დაჰკვროდა, თითქო ამისი სიკვდილ-სიცოცხლე ამ წუთზე არის დამოკიდებულიო. ერთ წამია ხანს გაჰხვევლა ხირიმმაც. გაღმიდან, თითქო შეყვარებულთ ერთმანეთს დამალულებმა აკოცესო, ტკაცანი მოისმა. გაღმა-გამოღმა მთებმა თოფის ხმას კვნესით ბანი მისცეს. თოფის ქუხილი მთაკლდეთ საკუთარი შეიქნა და ცოტა ხნის შემდეგ შორს, შორს ჩაბნელებულმა არაგვის ხეობამ როდის, სადღაც მოსცა პასუხი და ხვეი-

---

1 ძროხად ითელება ფული. ერთი ძროხა — ერთი თუმანია.

ლით ხელმეორედ შემოიარა ისევ მთებისა და ხევების კუდები და სადღაც მთებს იქით გადაიკარგა.

„თოფის ხმა ჭიუხებშია
ვაქკაცსა იამებაო!“

ტყუილად არ უთქვამთ ფშაველებს.

ჯიხვებსაც იამათ?! საწყლებს ცის დაქცევა და „არწივისმაღლის“ ჩამონგრევა ერჩიენათ ამ ხმის გაგონებას! გაქცევა ვეღარ მოახერხეს და ერთ წამს ღონემიხდილნი, დაჩაგრულნი, თავზარდაცემულნი გაშეშებულები იდგნენ. აღარ იცოდნენ, რა ექნათ. საით გაქცეულიყვნენ. მაგრამ მალე ისევ გონს მოვიდნენ, ამოდენა ფარა დაიძრა და მოედო კლდეებს აღმა და დაღმა. ისმოდა ქვიშის ხრიალი და ქვების ჩახაჩუხი. რომელმაც საითაც მოასწრო, იქით გაიქცა. დედა-შვილები კი ერთმანეთს არა შორდებოდნენ: ან შვილი მისდევდა დედას, ან გულგახეთქილი დედა — შვილსა.

შიშიას ხარ-ჯიხვის დარდი ჰქონდა, სხვები სადაც უნდა წარსულიყვნენ. ჯიხვს წინა ფეხები ჰქონდა მაღლა შედგმული, როცა თოფი გავარდა. დატორტმანდა, უნდა უკანვე გადმოვარდნილიყო, მაგრამ თავი შეიმაგრა და ისე გაშეშდა. შიშიამ შეატყო, რომ ჯიხვი დაიჭრა. სანამ ეს თოფს ხელმეორედ გასტენდა, ჯიხვი კლდეზე ავიდა და მარდად გაუსვა მაღლა ფრიალოებისკენ. სხვა ჯიხვები აღარსად სჩანდნენ, იმან კი „არწივისმაღლის“ საფრებს მიჰმართა. ტყვია ვეღარ მიუწვდებოდა და სახამ შიშია ხევს გახდებოდა, ის თავს უშველიდა. აბა, თავსღა დაანებებდა შიშია ჯიხესა?

ჯიხვს სისხლი თქრიალით გასდიოდა. ეტყობოდა, მუცელში ჰქონდა ტყვია მორტყმული და ფაშესა და ტყავს შუა იყო გავლილი. მრავლად განადენი სისხლი იმედს აძლევდა შიშიას, რომ ჯიხვს მალე მოჰკრიდა მუხლს და ხელიდან ვეღარ წაუვიდოდა. „ტყავსა და რქებსაც ძლივ წავიღებო“, ფიქრობდა შიშია. — თუ ცოტა რამე სამწვადეც გავატანე, კარგი იქნებაო“. მთელი ჯიხვის წაღება კი აზრადაც არ იყო მოსასვლელი, გინდა მარტო რბილი ხორცი გამოეჭრა და ძვლები იქ დაეყარა. წარმოიდგინა შიშიამ, რა გაკვირვებით დაუწყებდნენ ხევსურთ ვაჟები და ქალები ჯიხვის რქებს სინჯვას. „ა ბეჩავ, შიშიავ, შენს ბეტიც იმას ვერავინ მოჰკლავდა, გუდანისჯერის

მადლმაო!“ ტყავისა ხომ საკუთრად ერთი ტყავი გამოუვიდოდა, ხოლო სახელოებს მოუნდებოდა თხის ტყავის მოკერება.

გაჰყვა შიშია მგელივით სისხლის კვალს. თუმცა სისხლი ისე აღარ გასდიოდა, მაგრამ კიდევ ალაგ-ალაგ ცვრები სცვიოდა და ზოგანაც, სადაც კლდეზე ახოხებულიყო, სისხლიანი ბეწვისაგან ქვები იყო მოსვრილი. ჯიხვზე კარგად ვის ეცოდინებოდა „არწივისმაღლაზე“ ასასვლელი გზა. ალბათ წინადაც ბევრჯერ შეხიზნულა რქიანი ვაცი იქა და ახლაც დაჭრილი იქით მიიბრძოდა. იქ დაწვებოდა მოსვენებით, ვერც კაცი შეაწუხებდა, ვერც ნადირი და ვერც ბუზი, სანამ ნატყვიარი მოურჩებოდა. სჯეროდა, რომ იქ ადვილად ვერავინ ავიდოდა და არც არავინ გაიწირავდა თავს იქ ასვლისათვის. მაგრამ შიშია ამისთანა ბიჭი არ იყო, რომ უკან დაეწია.

სად ქუჩს ეჭიდებოდა, სად ქვებს და კენჭებს ებღაუჭებოდა, ოღონდ ხელის მოსაკიდებელი ყოფილიყო. ბევრჯერ ცალი ხელით დაეკიდებოდა ხოლმე, სანამ ფეხს რამეზე მოიკიდებდა. მიცოცავდა მაღლა და ქვეშ რა უფსკრული ეზრდებოდა, იმაზე სულაც არ ფიქრობდა, ძირს არ იხედებოდა და არც დარდი ჰქონდა. წინ დაჭრილი ხარ-ჯიხვი ეგულებოდა და განა ახლა უკან დაბრუნებაზე იფიქრებდა?! ხელის ფრჩხილები სულ გადააცვითეს ქვებმა და მუხლისთავები გადაეყელიფა. ბევრჯერ თვალითაც დაინახა ჯიხვი, მაგრამ თოფის სროლა არ შეიძლებოდა, ხელებს ვერ გაუშვებდა, კლდიდან რო ჩავარდნილიყო, სულით და ხორცით დაიკარგებოდა სამუდამოდ.

ძირს ხეობა და შორს სოფლები თანდათან მერცხლის ბუდეებივითღა მოსჩანდა. დაიღალა კიდეც, ღონეც ელეოდა. „არწივისმაღლის“ წვერიც კი შორს აღარ იყო. ცოტა კიდევ და ჯიხვი და შიშია თითქმის ერთ დროს აებღოტნენ „არწივისმაღლის“ კონცხოზე. იმას იქით ვეღარსად ჯიხვი წავიდოდა და ვეღარსად შიშია, თუ უფსკრულში არ უნდოდათ დაღუპვა.

რამდენადაც შიშია გახარებული იყო, რომ ჯიხვი ვეღარსად წავაო, იმდენად ჯიხვი შეშინებული და თავზარდაცემული ჩამოსცქეროდა შიშიას. არ ეგონა, თუ აქაც, ამ არწივების საბუდარში კაცი ფეხს დასდგამდა. ელდაცემული, გაშტერებული იდგა და შემოსცქეროდა მონადირეს. ასე ახლო ამის მეტად არ ენახა კაცი — ეს ამათი სიკვდილი. ახლა ჰხედავდა პირველად და ელდაცემული მთელი ტა-

ნით თრთოდა. გასაქცევი აღარსად ჰქონდა და დასამალი. თავის სიცოცხლეში მგელიც ბევრი ენახა, კლდის ვეფხიც, ზვავიც ბევრჯერ მოჰხეთქია და წაუღია, მაგრამ კაცზე საზარელი არა ეგულებოდა რა. ადგილი სულ ერთი ფარდაგის გაშლა იქნებოდა. ერთმანეთის სულისქცევა ესმოდათ. ჯიხვი მუდამ წამს მოელოდა, რომ კაცი ეცემოდა და ჩაჰყლაპავდა. შიშიაც ერთბაშად შეკრთა. მოაგონდა, რომ განთქმულმა აფშინამ ასე შერეკა საფარში ჯიხვები და თვითონ გზაში ჩაუდგა. უნდოდა ხანჯლით დაეჭრა ყელები, მაგრამ გაცოფებულმა ჯიხვებმა, რაკი გასავალი აღარსადა ჰქონდათ, ერთბაშად დაჰკრეს და გადაუძახეს უფსკრულში თავმომწონე მონადირე. ამაზე იყო ლექსი:

„ჯიხვებს ნუ ჩასდევ, აფშინავ,
ჯიხვთა ბანდუხის კლდისათა,
თორ კლდეზედ გადაგაგდებენ,
ჯარს შაგიყრიან რქისასა."

მოაგონდა არა ნაკლებ გათქმული მონადირე ჯარჯი და ჯიხვი რო ერთად გადაცვივდნენ კლდეზე.

მაგრამ ჯიხვი სრულიადაც არა ფიქრობდა ბრძოლას. რო ფარაში ყოფილიყო, გამგელებული შეიძლება სცემოდა მონადირეს. მაგრამ აქ არც უმწეო ციყნები იყვნენ სადმე, არც დედალი შუნები, რო იმათთვის პატრონობა გაეწია. რაკი ჯიხვი შეშინებული ნახა, — ტყვია-წამალი რაღად დავხარჯოვო, — იფიქრა მონადირემ და ხანჯალამოღებული გადაუხტა ჯიხვსა. ჯიხვი ადგილიდან არ იძროდა. დაშტერებით შემოსცქეროდა იმისკენ მიმავალ კაცს. ვინ იცის. ფიქრობდა: „რას შვრები, შე უბედურო, შენ ჩემზე უარეს დღეში ხარ ჩავარდნილი, რო გესმოდესო". მაგრამ შიშიას ჯიხვის მეტი არა ადარდებდა რა. ჯიხვიც მიბრუნდა და ერთ თვალის დაფახვაში უფსკრულში გადაეშვა.

— ვაიმე, დავკარგე ჯიხვიო! — დაიყვირა შიშიამ და გაიქცა დასანახად, თუ სად დაეცემოდა ჯიხვი. მაგრამ ჯიხვი უფსკრულმა ჩანთქა. სად დაეცემოდა, როცა ძირს თვალჩაუწვდენელი ფრიალოს მეტი არა ჩანდა რა. ახლალა იგრძნო შიშიამ, რა საფრთხეც მოელოდა და თმა ყალყზე დაუდგა.

დიდხანს, დიდხანს უხმობდა ხეობები და მთები, როცა ძირს და-

ცემული ჯიხვის სიმძიმის მოგლეჯილი ლოდი ხეობაში საშინელი ჭექა-ქუხილით ჩაიჭრა და იმისგან შეშინებული ფრინველები წივილით გამოიშალნენ ჰაერში.

მიიხედ-მოიხედა შიშიამ, ეძებდა თავის დამხმარე ვისმეს, მაგრამ ირგვლივ მარტო ფრინველებისაგან დახრული ძელები ეყარა, აქეთ-იქით ფრიალო და თვალჩაუწდომელი უფსკრული იყო, ასვლა შეიძლებოდა, მაგრამ ჩამოსვლა შეუძლებელი იყო.

იტყვიან, შვიდი დღე კიდევ ისმოდა „არწივისმაღლიდან" შიშიას თოფის ხმა. მერე კი მისწყდა, ვერავინ ვეღარ უშველა, რო ჩამოეყვანათ. ტყუილად არ უთქვამს ხალხს:

„ჯიხვების განავალი კლდე
რო ნახო, გაგიკვირდება,
იმათ განავალ გზაზედა
თოვლი არ მეკიდება,
იმათ მიმყოლსა ვაეკაცსა.
რა კარგი წაეკიდება!-

[1908 წ.]

# წყალი მოვიპარეთ

ენკენისთვე მიწურული იყო, ფარცხვა გახურებული, მაგრამ ჯერ ერთი კვალიც არ მოგვერწყო არავისა.

ჩვენებიანთ გიგუცა აღარ მომეშვა, უნდა წავიდეთ, ხელთუბნელებს ლიახვიდან წყალი გამოჰყავთ და მოვპაროთო.

— არა-მეთქი, — ვუთხარ, — ერთი კვირაა, შიგ იხოცებიან, ჯერ სოფლამდე ვერ მიუყვანიათ და ისიც ჩვენ დაუხეოთ, ღმერთი აღარა გვაქვს? ერთიც ვნახოთ, მოგვასწრეს, გაბრაზებულები ხო იცი, მოსაკლავად აღარ დაგვინდობენ, სული აქვთ გამწარებული.

იმან თავისი არ დაიშალა, აღარ მომეშვა. „თითო დღისაც რო მოვრწყათ, ჩვენთვის კარგია, ახლანდელი მორწყული ვითომ ორმოში გიყრია, მოვა და მოვა, წინ არა უდგია რაო.“ კაცის გული ხარბია, მერე ჩვენ, გლეხი კაცი, მიწის მონები ვართ, მორწყავ თავის დროზე და მოუვლი — ბოგივა, მაძღარი იქნები, არადა მოკვდი ზიმშილით. მართალია, რო მოვიპარავთ წყალს, ხო სხვას უნდა დარჩეს მოსარწყავი იმისი სამაგიერო ორი დღისა, რასაც ჩვენ მოვრწყავთ, მაგრამ ის სხვა ხო უეჭველად ჩვენსავით იოხსული არ იქნება. ჩვენ იქნება იმ ორ-სამი დღის ხნულის ამარას დავრჩეთ, მაგრამ მდიდარი კი ორმოცი დღისასაც მორწყავს. იმან სულ დოლზე უნდა დარწყოს და ჩვენ კი ორი-სამი დღის ხნული გვაქვს და ისიც, როცა მდიდარს აღარ უნდა წყალი და ვადაც გადასულია, მაშინ უნდა მოვრწყოთ, კაი საქმეა,

მოვიდეს და არ მოსცდეს. მაშ, რა ჯანდაბადა ვართ საწყალი ხალხი ღარიბები. ჩვენი ყანები რო მომცდარია და მდიდრებისა კი აღელვებული, განა მართლა ღმერთს უყვარს ისინი და იმიტომ აძლევს, ჩვენ ვძულვართ და გვიცდენს?! არა. ისა, ჩემო ძმაო. რჩეულ მიწასა ხნავს, ვადაზე ფარცხავს, რწყავს. მკის და ჩვენ ნაწვერლები უნდა მოვხნათ, ისიც ნაოშად და ღმერთს კი ვაბრალებთ, არ გვაძლევსო.

აბა, რაღა გავაგრძელო, გამაბრიყვა იმ ოჯახქორმა. ვეღარაფერი ვუთხარ, გავყევ, გულში კი ფახანი მაქვს, ქურდი ხომ მოგეხსენებათ, მშიშარაა.

— უცებ დავახეოთო,—მითხრა, — და სანამ ისინი მოგვასწრებენ, ჩვენ თავს ვუშველითო.

ბნელი ღამეა. ახალი ფარაჯები გვაცვია. ამ ერთ კვირაში ვიყიდეთ, ოთხ-ოთხი მანეთი მიკეცით. რუ ისეთია, გაჭედილი მოდის. ჯერ დავათვალიერეთ იქაურობა, დავზვერეთ. ხელთუბნელები ძალიან გაეშმაკებული ხალხია, ეჭვი გვაქვს, ვაი თუ. სახევებელასთან ვინმე იყოს დამალული. აგრე იციან: ზოგი რო რუს დაჰყვება, სხვები დასახევებელ ადგილებს დარაჯობენ, რო წყალი არავინ დაუხეოს. თუ ღმერთი გაგიწყრა და მოგასწრეს, რიგიანად დაგამჟავებენ, მუცელს გამოგითქეეფენ და მერე თითივით ტიტველს გაგზავნიან შინ. იქ არავინ იყო.

შემოდგომის ღამეა. სუსხი აქვს. მოწმენდილი ცაა და რთვილის გაგდებასაც აპირობს. მე ვუთხარ: „ეს ფარაჯები გავიხადოთ, წინდა-ქალამანსაც ნუ დავისველებთ-მეთქი, თორემ ამ ღამეს ხო უყურებ, სიცივე დაგვაფიჩხებს-მეთქი“.

ეს წინდა-ქალამნები ფარაჯებში შევახვიე და სახევებელას მოშორებით, რუს პირზე, კორძი ყამირი იყო და ზედ ნარცეცხლა იყო აყრილი, იმ ნარცეცხლაში ჩავდე. შიში მქონდა. რო მოესწროთ ე ფარაჯები მაინც გადაგვირჩებოდა, ნარცეცხლაში ვინ დაუწყებდა ძებნასა. დავაყარეთ რუს ბარები. ვადადის ბელტი-ბელტზედ. ცოტა ხანს შემდეგ წყალმა ხმა ამოიღო და მაღლიდან ძირს დაიწყო ჩქაფა-ჩქუფი.

გამოგვალულ-გამოფიტულმა დედამიწამ, თითქო სული ჩაიდგაო, ხმა ამოიღო, ‘ხიოდა და შიშინი გაჰქონდა. დახეთქილი რუ ხარბად ჰყლაპავდა პირველად იერიშის მიმტანს ტალღებს. წყალიც თითქო

ერთხანად შედრკა, მაგრამ უკან ხო ვეღარ გაბრუნდებოდა, ერთი ნაკადულის ადგილს მეორე იპერდა, მეორეს მესამე აწვებოდა, მესამეს მეოთხე, მეხუთე და ისე განუწყვეტლად. ყველანი კი წინ მიისწრაფოდნენ და თუმცა დახეთქილ და დაფატრულ მიწაში მრავალი ზვირთი იკარგებოდა და იღუპებოდა, მაინც ბრძოლის ველი მოვარდნილ ნაკადულს რჩებოდა. ხოლო ძირდასველებული ბალახები და პატარა წნორ-მურყნები, რომელნიც ამ რუს პირზე მრავლად იყვნენ ამოსულნი და ჯერ საქონელს იმათი მოკვნეტა ვერ მოესწრო, სიამოვნებით იზმორებოდნენ და იპროლებოდნენ ტანში.

თქვენ რა იცით, რა არის გლეხკაცისათვის წყალი? ზაფხულში, როცა ჩვენი ვაზი და სიმინდი გვალვისაგან შეწუხებული თავს დაჰკიდებს და ფოთოლი ჭკნობას დაუწყებს, ჩვენი გულიც იმათთან ჭკნება, და როცა იმათ ფოთოლს ცის ნამი დაასველებს და ფესვს წყალი დაალბობს, ვითომ ჩემთვის, მომაკვდავისთვის, უკვდავების წყარო მოგიწოდებია.

ისე ვიყავით ამ საქმეში გართულები, რომ სრულებით ვერ შევნიშნეთ, ერთი ხელთუბნელი, რომელსაც სახელად ჯილავარდს ეძახდნენ, თავზე როგორ წამოგვადგა.

— არიქათ, ბიჭებო, მი'შველეთო, — დაიღრიალა გულგახეთქილმა. ერთი ისეთი შევხტი, ბარი იქვე ხელიდან გამვარდა. ჩემი ამხანაგი მაშინვე ნაწვერლებისკენ ეცა და მე კი რუ-რუ დავეშვი. რაკი ამხანაგების ხმა მოესმა, ჯილავარდსაც გული მიეცა და გამოგვეკიდა. ჩემს ამხანაგს თავი დაანება და მე მომდევს, თანა ყვირის: მიშველეთო. მე ისეთი ვარ, სული კოჭებში გამეპარა. ან ახლა დამცხებს ბარსა-მეთჭი ან ახლა. კარგა ბნელა. ახლა თვალგატეხილი ვიყავ კიდევ, თორემ რას დავინახავდი, როგორ გზაზე მივრბოდი. ეს იყო რო რუ-რუ გავრბოდი. ვერ შევნიშნე. დამისხლტა ერთ გადასახტომში ფეხი და ერთი ჩახრიალიდან მორევში კი ჩავგორდი. ჯილავარდის ფეხის ხმა შესწყდა. მე მარტო წყლის ჩქრიალი და ჩახ ჩახიღა მესმოდა. გუბე კარგა ღრმა იყო, მაგრამ დახრჩობის კი შიში არა მქონდა. წამოვიწიე წყლიდან და ცის ტატანზე ჩემს ზემოთ ბექის თავზე ჯილავარდი დგას და ილანძღება.

— რა ჰქენ, კაცო, ვერ დაიჭირე ეგ ოჯახდაქცეულები? — უყვირის ამხანაგი. ჯილავარდი კი გაშეშებული დგას. პირჯვარს იწერს

და შიშით ხმას ვეღარ იღებს. — ნამდვილად წყეული იყოვო! — წაიტუტუნა.—აი, დასწყევლოს სამასსამოცდა სამმა წმინდა გიორგიმ, რაზე ჩამიტყუილებდა მორეკში და სულს საეშმაკოდ გამიხდიდა!

მერე გაბრუნდა და თან პირჯვარს იწერდა. მართლაც და ბევრით არც მე ვიყავ ეშმაკზე ნაკლები. იხვივით წყალში ვიბანავე; გაწუწული, გაზუნზლული, რის ვაი-ვაგლახით ამოვფოფხდი წყლიდან და ბექის ძირში ამოვჯექ. თუმცა ნახევარზე ისევ წყალში ვიჯექ. მაგრამ ზედ მაინც აღარ დამდიოდა წყალი.

ეტყობოდა ჯილავარდიც მივიდა ამხანაგებთან, რადგან ჩოჩქოლი შეუდგათ. ჯილავარდი არწმუნებდა: „კისერში ხელი ვტაცე, უნდა დამეპირა, გარეჯვრელ სოსანს სახით მეჩვენაო; მაგრამ იმ წყეულმა გამიქნია და ნაფოტივით გადამისროლაო. კიდევ კარგი მორეკში არ ჩამითრია, თორემ ხამდვილად დამახრჩობდაო“. ზოგსა სჯეროდა და მალ-მალე ღმერთსა და ხატს ახსენებდნენ, რო მავნე ვეღარ მისდგომოდა. ზოგმა კი გაუტრიზავა და დაცინვა დაუწყეს: „შეშინებულხარ, აქ არ მიმბუსკნონო, შვილო, და იმიტომ ვერ მიჰბედე, თორემ სად უნდა წაგსვლოდნენ, ან ახლა აქ წყეულს რა უნდაო!“

ისინი იქა ლაზღანდარობენ და მე კი აღარ მკითხავენ! ასეთი ვარ, კბილს-კბილზე მაცემინებს, საცოდავად ვთახთახებ, ლამის გული ამომვარდეს. ვამბობ, ან ახლა წავლენ, ან ახლა-მეთქი. გაგრძელდა ე ოხერი შემოდგომის ღამე! შემცივდა. აბა, რაღა ვთქვა: ლამის გამაშეშოს. აბა, ხელთუბნელები ამაზე მეტს რას მიზამდნენ, მაგრამ კაცის ხელით სიკვდილი სხვაა. არც დამზოგავდნენ, ისე იყვნენ გაბრაზებულები. რაღა გავაკიანურო, ბოლოს ღმერთმა მომხედა და წასვლა დააპირეს. ზოგმა თქვა სუყველანი დავყვეთო, ახლა წყალს აღარავინ დაახევებსო.

— არა, ზოგი აქ დავწვეთ, ზოგი წყალს დავყვეთ, — თქვეს სხვებმა.

— აი, პაპაჩემთან წადით და მოუსაელეთის ქვეყანაში-მეთქი! — ვამბობ მე ჩემს გულში. მართლაც ორი ბიჭი სახევებელაზე გაუშვეს და სხვები რუს დაჰყვნენ. ჩემს თავზე გადაივლიდნენ ეს მეტი ღონე არ იყო, ისევ წყალში უნდა ჩავცურებულიყავ, რომ არ დავენახე. თავი კი ვიჩინე, რო არ დამხვრჩალიყავ, კარგა ხანს ისმოდა იმათი ფრატაფრუტი და ყაყანი. ძლივ ღმერთმა მიშველა. ასეთი ვარ, ესე

მგონია მშრალად ლოგინში ვწევარ-მეთქი, ისე გამიხარდა იმათი წასვლა. სიცივე და სისველე სულ დამავიწყდა.

წყლიდან როგორც იყო ამოვფოფხდი, ასეთი ვარ, წურწურით წყალი ჩამომდის, სველი ძაღლის კუდსღა ვგევარ. ამოველ მშრალზე, მაგრამ კიდევ სიფრთხილე მინდოდა. მე ფარაჯების გაპარება მინდოდა, თორემ ფეხდაფეხ კი ისინი მე ვერ დამეწეოდნენ. უფარაჯოდ დარჩომა და ჩემი სიცივით გაფიჩხება ერთი იქნებოდა. მესმოდა სახევებელაზე სადარაჯოდ დარჩენილი ბიჭები რო დაწვნენ, როგორ მოიკუნტნენ ფარაჯებში და კვნესოდნენ, ალბათ დაღალულები იყვნენ და ციოდათ.

ჩვენი ფარაჯები სწორედ იმათ ჩამოსწვრიე, ასე ერთი გუთნის გაშლაზე, იყო დამალული ნარცეცხლაში. მეტი ღონე არ იყო, დავწექ მუცელზე და დავიწყე ცოცვა ამ ნარცეცხლაში. ნაგვალი ბალახი და დედამიწაა და ისეთია ეს ნარის ეკალი, როგორც ცეცხლი. ზოგი სახეში მეტაკება, ზოგი მუხლებსა, მუცელსა და ხელებში მერჭობა. ლამის დავიყვირო, ისე მეწვის, მაგრამ ვძელ-ვძელ როგორც იყო, სანამ ფარაჯებთან მივიდოდი. ჩავიცვი წინდა-ქალამანი, ჩავიცვი ფარაჯაც. ერთიც მხარზე გადავიკიდე, ასეთი მოუსვი, რომ ბედაურებზედაც რო შემსხდარიყვნენ, ვეღარ მომეწეოდნენ. იმ ღამეს ისეთი რთვილი გააგდო, როგორც თოვლი, მეორე დილით ისევ იდო. შევხედო, ფეხშიშველა გიგუცა თხასავით მოკაკულა და მოაბიჯებს ამ რთვილიან ნაწვერალებზე, თან ისეთი იღრიჭებოდა, რო შემეცოდა.

— ოხრამთაც კი დარჩენილა სახნავიც და სარწყავიცო! — იფურთხებოდა და იგინებოდა, — მე ჩემი დამემართა და ვიღასთვის რაღად მინდა, თუკი მეც აღარ ვიქნებიო.

აღარც წამოსულა სარწყავში. გორს წავიდა, დუქანში დადგა და დღეს ერთ ლუკმა პურსა ჭამს...

[1908 წ.]

# ხავსი

მძულს დახავსებული ცხოვრება, ხავსისგან შეპმული და გაბეჩავებული. მართალია, მიყვარს ის უზარმაზარი დახავსებული ლოდი, ზვავისგან მაღლა მთაში მოგლეჯილი და ძირს ხეობაში ჩამოტანილი, იქ უძრავად საუკუნოებით მდებარე, დაღრეჯილი და გაშავებული, მაგრამ, განა იმიტომ მიყვარს, რომ თვით ხავსი მეფასება? ან უძრავად რომ წევს და განისვენებს?

არა! მე მიყვარს ბუნება და იმისი ნამოქმედარი. თვით ხავსი და იმ ლოდის უმოძრაობა გულს მიღრღნის, სულს მიწუხებს. ახლა ის ერთმანეთზე მიყრილი და აყორილი ღორღი, ნიაღვარს რო დაუძრავს და წამოუღია, როგორ გაუწმენდია, გაუსუფთავებია, თითქოს ქურიდან ამ საათში გადმოუყრიათო.

ან განა, ის ნიაღვარი ნაკლებად მიყვარს! ხეები რომ ერთმანეთში არეული ტალახითა, ხე და ქვით გაიპენდება, ისმის გრგვინვა და ქუხილი. წინ ქარიშხალი მოუძღვის და არე-მარეს აკვნესებს. ზამთარში ქარი რომ ტიტველა ხეების წვერებში სტვენს, მშიერ მგელივით ყმუის და ზარს ამბობს, მუდამ იმ ნიაღვრის ხმას მოგაგონებს, ჩვენს პირდაპირ ახუნის ხევზე რო მოვარდა ერთხელ.

მთელი დღე კოკისპირულად წვიმდა. გზები და რუები ხეებად იქცა. ჯერ შუაღამე არ იქნებოდა, რომ ერთი ლაწა-მტერევა და გრიალი მოისმა. ჰაერი თიხა-ტალახის მძიმე სუნით გაიჟღინთა. არა-

ფერი არა სჩანდა, მხოლოდ საშინელი გუგუნი, ქვების ბრახა-ბრუ-ხი და ხეების ლაწალუწი ისმოდა. წყლის შხივილი და ქოთობა თან-დათან ახლოვდებოდა. ეტყობოდა, მთიდან მოხეთქილი ნიაღვარი ქვეით ჭალისკენ მოისწრაფოდა, რომ იქაც თავისი კვალი დაეჩნია. ტყეს ეღვიძა, როგორც დღე ღვიძავს ხოლმე. ათასნაირი ხმა და ძა-ხილი მოისმოდა შეშინებული ფრინველებისა. ეტყობოდა, თაქუდ-აგლეჯილები სხვა მხარისკენ მიეშურებოდნენ, რადგან იმათი ჭყი-ვილი თანდათან ჰქრებოდა და ზოგისა სულაც მიწყდა. ესენი მიფრი-ნავდნენ უღრან ტყიან ხევებში, სადაც ცულს ჯერ ხმა არ ამოეღო და მუშა მეშეშის სიმღერა ჯერ არ გაგონილიყო.

მხოლოდ უღმერთო მონადირემ იცოდა ამ ტყის კუნჭულსაფრე-ბი. გამფრთხალი და შეშინებული ნადირი გარბოდა, რომ დაჰმალვო-და ამ სისხლისმსმელს და თავი როგორმე გადაერჩინა ტყვეისაგან, მაგრამ ის მაინც მისდევდა, სანამ თვალით ჰხედავდა ან კვალს პოუ-ლობდა.

მთელ ღამეს ჩვენცა ვკანკალებდით. ნიაღვრის ღრიალს ღამის სიბნელის საშინელებაც ზედ ერთოდა და აორკეცებდა ჩვენს შიშს.

მართლა და როგორ მეშინიან ეხლაც სიბნელისა! ვერაფერსა ჰხე-დავ, არ იცი, რომელი მხრიდან რა მოგელის. ირგვლივ სულ რაღაც უხილავი არსებანი ფუთფუთებენ და მზირს გიდგანან. შენც არ იცი, რა ფერისანი არიან, ან რა სახისა. უმწეოდ გრძნობ შენს თავს. რასაც დღე მზეში და სინათლეში ყურადღების ღირსად არ ჩასთვლიდი, ეხ-ლა კანკალსა გგვრის და თმა ტკივილს გიწყობს. მერე თუ ჩაუგონე-ბიათ კიდეც შენთვის ყმაწვილობიდანვე, რომ სიბნელე ავი სულები-სათვის არის გაჩენილიო.

ახუნის ხეზე ერთი კლდე იყო დახავსებულ-დაძაბუნებული, ძი-რიდან წვერამდე სულ ფილაქანი ქვისა იყო აყოლებული, თითქო განგებ დაუთლიათ და ისე დაულაგებიათო: კუთხიანები, გრძელები, სწორე გვერდებით. ჩადუნასათვის რო წამოვიდოდი ამ ხევზე გვიან გაზაფხულზე, ჯერ ამ კლდესთან ვეძებდი და ვკრეფდი. ძალიან უხ-ვედრი და გაუვალი იყო. საქონლის ფეხი მისდღეში არ მოხვდებოდა და მშვენიერი ჩადუნაც იცოდა.

მიყვარს ის ტიალი! თავშეხვეული რო ამოძერება ხოლმე დახავ-სებულ და გახევებულ ასწლოვანი ძირიდან! თვითონ ძირს ზამთარში

ცულიც რო სცემო, ვერ შეატყობ, თუ იმას რაიმე სინედლე ან სიჩ-ხინტე ეტყობა, ისე უსიცოცხლო და გამოფიტული გგონია.

მაგრამ აშრება თოვლი, ყინვის მაგივრად სითბოს სუნი ჩამოვარ-დება; ნადნობი თოვლის წყალი მიწაში ჩაძვრება, და ბალახის ფეს-ვები, როგორც ფუტკარი თაფლს, შესუტვენ და თან შიგ ჩამდნარ სიცოცხლეს ჩაატანენ, ჩადუნასაც სული ედგმის, იღვიძებს. ამ მკვდარ ბელტიდან ამოჰყოფს ქორფა ჩადუნები დაგორგლებულ, დახვეულ თავებს. ეს ჩამპალი და ხმაჩაკმენდილი ფერდობი სიცოცხ-ლით ივსება. ჯერ პატარა, თითის სიგრძე ჩადუნა თანდათან იწლება, როგორც დახვეული თასმის გორგალი, სწორდება წელში და ცისა-კენ, სითბო-სინათლისკენ, მიესწრაფება.

ოჰ! სინათლე და სულ სინათლე! შენა ხარ, შე დალოცვილო, სი-ცოცხლის სათავე, დასაწყისი და განმაგრძელებელი!

ის მაღალი წიფლები და იმაში საცოდავი არყი საიდანღაც ჩარე-ულა. როგორ გაწოწლოკინავებულა და გაგრძელებულა! რა აქეს ამ წიფლებთან საჯიბრო და საჯილდაო? ეს ხომ იმათთან სიმაღლით ვერ მოვა, მაგრამ ეხლა კი იმათ არ ჩამოურჩება. ვინ იტყვის, თუ ის არ-ყია, ისე მაღლა წასულა და წიფლების თანაბრად გამხდარა. ეს სულ შენი ბრალია, შე კურთხეულო სინათლევ! შენკენ ისწრაფოდა ისიც; უკან დარჩომა და სიკვდილი იმისთვის ერთი იქნებოდა...

ავფოფხდებოდი ხოლმე ამ კლდეზე და ვეწეოდი გამოშვერილ ფილაქნებს, ვნატრობდი იმათ შინ მიტანას. ვაძრობდი ხავსს, ეს ხავ-სი ქერქივით აეყრებოდა ხოლმე, ჟამთა სიგრძელის გამო. ერთი პი-რობა მინდებოდა ამ ხავსის ჩამოცლა, თორემ როგორ გაიმეტებო-და, როცა ახლადამოსული მწვანე მაღალ ხაოიან ორხაოს მოგაგო-ნებდა, წვრილი თეთრი და ცისფერი თვალებით მოწინწკლული. ეს თეთრი და ცისფერი წინწკლები ხავსის ყვავილები იყო. ხოლო იყო მეორენაირი ხავსიც, ჭორფლივით ქვებზე დაკრობილი. უმეცარს მართლა ქვის ჭორფლი ეგონებოდა და არა ქვაზე ამოსული მცენარე. ესენი ხმებოდნენ და ძირს ფერფლად ცვიოდნენ. იქა რჩებოდა იმათი თესლი სხვა ჯურის ხავსის ყვავილისგან დანაყოფებული და გადაჯიშებული.

რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად ხავსი ფეხს იკიდებდა და ეხ-ლა მე რბილად ვიჯექ ამ ფაფუკ ხალზე... ქვა უძრავად ეგდო. თუ მე

არ დაეძრავდი, სჭამდა ხავსი და ვერც არასა გრძნობდა. მაგრამ მოვარდებოდა ნიაღვარი, აწვებოდა კლდეს, ჰგლიდა, სცვეთდა, ლოკავდა; თან უზარმაზარ ლოდებს და ფესვიანად მოგლეჯილ ხეებს ახეთქებდა, შენძრეული კლდიდან წყალში ცვიოდნენ ეს ხავსიანი ფილაქნები, თუმცა ნელ-ნელა, მაგრამ შეუფერხებლად, მოგორავდნენ ქვევით ჭალისაკენ აგორებულ თიხა-ტალახში შეხვეულნი.

სადღა იყო ხავსი! განა იტყოდა ვინმე, რომ ამ განახლებულ ხეობაში, სადაც ერთი კენჭიც არ მოიპოვებოდა გაულესავ-გაუქლეშავი, კიდევ იქნებოდა ხავსის თესლი, და ან ეს განახლება თან ხავსის თესლსაც ატარებდა? მაგრამ გაეიდოდა რამდენიმე კვირა და თვით იმ კენჭებსაც კი, რომელსაც ჩვენი ბდინარე თავის ძირზე სცვეთდა და სჭამდა, ხავსი ეკიდებოდა და ინისფერი ედებოდა.

ასე მიდიოდა ქვეყნად ცხოვრება, და როცა ჰხედავდი ახალგაზრდობას ქვეყნის სამსახურისთვის ცეცხლმოკიდებულთ, ფიქრობდი: ნუთუ ამ კაცობრიობის ვარამზე ცეცხლმოდებულთაც ოდესმე ხავსი შესჭამს და დააძაბუნებსო!

[1904 წ.]

# ნაკადული

— ჰე, რო იცოდეთ, საიდან მოვდივარ, რამდენი რამ გადამხედია თავს, რამდენი რამ გამომიცდია და მინახავს წუთისოფელში, მაშინ ეგრე აბუჩად აღარ ამიგდებდით და უფრო მეტის პატივისცემით მომეკიდებოდით!

— მე ვიცი, ცხრა მთა გადმოგივლია! — შეუჯავრდა კურდღელი და თან წყაროს წყლით გრძელ ულვაშს ისველებდა. — რამდენჯერ ვყოფილვარ შენს სათავესთან, აქა-იქ ქვიშიდან რომ ძლივს გიჩანს პირი და კლდეში ძლივა სწვეთავ. აქვე არ არის, ამ მთაში?! წყალს ვერც კი დაველევ სოლმე, თუ პატარა ქვემოთ არ ჩამოვცდი! ბაყაყსაც კი ვერ უსველებ ზურგს, ზამთარში რომ შემოგეხიზნება ხოლმე და, თბილად ქვის ქვეშ მჯდომი წარამარა ყიყინით ყურებს გვიშედავს!

— დიაღაც, კურდღელი მართალს ბრძანებს! — წრუწუნებდა თაგვი.

— ერიჰაა! — ჩხრიალებდა ნაკადული, — მოსულხართ მართლა და გადამთიელნი, მსვამთ, მამღვრევთ, შიგ იბანებით და ისევ მე კი დამცინით! ერთი თან გამომყე, ნახავ, თუ ფეხს ვერ დაგისველებ, შე ყურგრძელო, ყურბტყელო კურდღელო, ან კიდევ შე წრუწუნა კუდგძელო!

იქნება დიდი შფოთი მოხდენოდათ, რომ ამ დროს საიდანღაც კვერნა არ გამომძვრალიყო. გულგახეთქილმა თაგვმა იქვე სოროში ჩაიტანა ბღლაძა, კურდღელი კი აღმართს ეცა.

— აჰ! რა ლუკმები წამივიდნენ ხელიდან! — ნანობდა კვერნა, — წყალსაც დაველევდი, საუზმესაც გიახლებოდი. — დაეწაფა ნაკადულს, დაუწყო კატასავით ცქლაფვა.

მოშუადღევდა. მზემ აიწია, თავს დაადგა ნაკადულს და ზიგ მკერდში ჩააცქერდა, თავისი ნამობი შვილი იყო; ძალიან ეჯავრებოდა, როცა ნაკადულში წყალი აიმღვრეოდა; მუდამ იმის ცდაში იყო, დაეწმინდა, გაეანკარავებინა, როგორც თვითონ მზის შუქი იყო წმინდა და ანკარა.

ნაკადულსაც უყვარდა მზე. თუმცა ქვეყანა იძახდა, მზე ახმობს ნაკადულსაო, მაგრამ სულაც არა: ის უფროც იღვწოდა ნაკადულისათვის, ზღვიდან წყალი მიჰქონდა, თოვლსა და ყინულს ადნობდა და ნაკადულს სათავეს უსველებდა.

— თუმცა პატარა ვარ, — ამბობდა ნაკადული, — მაგრამ ხნით კი მეც ქვეყნის ტოლა ვარ. ვინ იცის, რა დროს გავჩნდი ქვეყანაზე, რამდენი ვაი-ვაგლახი და ცვლილება გამოვიარე. მიწის გულში ვიყავ ჩამძვრალი და დაკარგული, გამოვყავ სინათლეზედ თავი, მერე მზისგან მოტაცებული რამდენ ხანს დავქროდი თვალგადუწდომელ ცის სივრცეში, სანამ ისევ დედამიწაზე დავეცემოდი. რამდენი რამ გადამხდა, სანამ ამ ნაკადულად ვიქცეოდი და დიდ ოკეანესკენ გავწევდი. რამდენ ხანს ვიყავ ოკეანეს მლაშე წყალში შთანთქმული, სანამ ისევ მზე ამიტაცებდა ჰაერში და მაღალ მთაზე თოვლად დამდებდა. ზამთარ-ზაფხულ დათოვლილი მთა სათავედ დამიდო და ამ კლდეებს ჩამომჭონა კვლავ განწმენდილ-განსპეტაკებული. სიცოცხლე მომანიჭა, რომ ეს სიცოცხლე უკვდავი გამეხადა ცხოველთა და მცენარეთა წყურვილის მოკვლით. მე არ მოვკვდები, არც მოკვდება სიცოცხლე. ან სად არის ქვეყნად სიკვდილი? ავდარში წყლით გავსილი გუბე რომ მერე დარმა ამოახმოს, განა ეს სიკვდილია?! იმ წყალს, ორთქლად ქცეულს, შესრუტავს ფოთლით ბალახი, გაღაღანდება, გაცოცხლდება. ბალახს ცხვარი მოსძოვს ან სხვა ცხოველი და რძედ აქცევს. რძეს ბატკანი მოსწოვს, ნუკრი ან ჩვილი ბავშვი და ასე დაუსრულებლად ხდება ჩვენი სიცოცხლე და ერთმანეთზე დამოკიდებულება. ეს მახარებს და მაცხოლდგმულებს, რომ ქვეყნის სიცოცხლეს მეც ვეხმარები და იმის განგრძობის თანაზიარი ვხდები.

ამასავე მღეროდა ყვავილების უთვლელი ლაშქარი, ნაკადულის ორსავე ნაპირას ჩამწკრივებული, კლდეებში, ქვებშუა, ბექებში ამომ-

ძვრალი. ზოგს თავი ძირს ჩაეღუნა, მორცხვად მზისთვის პირი მოერიდებინა, ზოგს თავი მაღლა აეღო, ყელი მოეღერებინა და აქეთ-იქით თავს უკრავდა ნაცნობ-ნათესავებს. ზოგი მიწის პირს არც კი ასცდენოდა და ზედ ღილებივით მოსჩანდა. ყველანი კი სიცოცხლით სავსენი და გახარებულნი იყვნენ. ჩაშხუოდა დაკუმშილი ნაკადი კლდიდან-კლდეზე, ქვიდან-ქვაზე, გუბიდან-გუბეში, მორევიდან-მორევში და თან ტკბილი ხმით ამცნებდა ყველა სულდგმულთ და მცენარეთ თავის მოსვლას, თან ჩქაფა-ჩქუფით ცვარს ესროდა ნაპირზე მოლხინე ქალებივით მორთულ-შოკაზმულ ყვავილებს და ისინიც იმის დუდუნს სიმღერით მოსძახდნენ თავის აღტაცებას:

ჩვენ ყვავილები ყველანი,
სიცოცხლით გაუძღომელნი,
ვართ უკვდავების ნატრულნი,
მისივე მახარობელნი!
ჩვენ არა გვჯერა სიკვდილი,
თვალი გვიპირავს მზისკენა
და სასოებით აღვსილთა
მის წმინდა სინათლისკენა!
ღაღადით, აღტაცებითა
მზეს ვუგალობებთ პიმნებსა,
დედამიწასა გულჩვილსა,
ჩვენს აღმზრდელს, მაცხოვრებელსა
და უკვდავების წყაროსა,
ნაკადულს მადლით სავსესა.
როგორც იაზმას ვისხურებთ,
მივუშვერთ მკერდსა და გულსა,
და ჩვენი გულის ნადებსა
გადავცემთ მას კურთხეულსა.
წავა და დაღმა დაჰყვება
შეერთვის სხვა მთის წყაროსა;
ჩასჩურჩულებენ ამბავსა
გუნების გასახარელსა.
სად თესლს გარიყვენ, სად ძირსა,
სად გადასაგვალ ღეროსა...
წაიღებს დაღონებული,
დარგავს, დაიდგამს თაროსა.
ეგების ყვავილთ ჰვრეტამ
ნაღველი გაუქარვოსა!

ყვავილების თანაგრძნობით გამხნევებული ნაკადული უფრო ხმამაღლა ჩუხჩუხებდა და მიძინებულ ტყისკენ სიცოცხლე მიჰქონდა. უზარმაზარ წიფელას, ამაყ მუხას, ახალ ნორჩ შიმელას და პატარა ბუჩქებს, ყველას ნაკადულისაკენ გაეწია ფესვები, მაგრამ ალაგ-ალაგ მიწა ჩაზავებულიყო, მცენარეთა ფესვები გაეშიშვლებინა და მზისგან გამხმარ-გამოფიტულნი უღონოდ დაეკიდნა ბექზე. ტყის მცხოვრები ფრთოსნები გუნდ-გუნდად მიეშურებოდნენ ნაკადულისაკენ, ცივის წყლით წყურვილს იკლავდნენ და სიცხისგან შეწუხებულნი შიგ იბანებოდნენ. ის კი, გზაკურთხეული, შორს, ძალიან შორს, გაიცქირებოდა, სოფლებით და ვენახ-ყანებით დაფენილ ველისკენ.

[1903 წ.]

# რა მოუვიდა სიმსუნაგით ბაციკა ბაჭკანს

ასე ეძახდა ქალი თამარი ჩვენს ბატკანს. ზაფხულში რომ სხვამ ძღვნად მოგვართვა, ჩვენ, ბავშვებს, ისე გაგვეხარდა, რომ სულ ერთმანეთს ვტაცებდით ხელიდან, ზოგი ცხვირზე ვკოცნიდით, ზოგი შუბლზე და ზურგზე.

მეტად პატარა რამ იყო. ეტყობოდა, ობლად, უდედოდ იყო გაზრდილი, რადგან სიგამხდრით დუმის მაგივრად პატარა ჩლუტე ხუჭუჭი მატყლით დაფარული კაკლისტოლა კუდუსუნი ჩამოჰკიდოდა. ხელიდან საკმელს გულადად გვართმევდა და ბაკაბუკით დარბოდა ფიცრის აივანზე. ეტყობოდა, ფიცრებზე რაკა-რუკი ართობდა, რადგან თვითონვე ყურს უგდებდა ხოლმე თავის ფეხის ხმას და როცა გაჩერდებოდა, ბაკიბუკი მოსწყინდებოდა, ის გაკვირვებული იდგა და აქეთ-იქით იცქირებოდა, თითქო კითხულობს, სად წავიდა ის ვიღაც რომ აბაკუნებდაო. დღე სულ ჩვენთანა გვყვანდა და ვააზიზებდით. პატარა გუგული ლენტებს ახვევდა ყელზე, რქებს უსინჯავდა და კბილებში თითს უყოფდა. ხან ცხენივით დაუპირებდა ხოლმე შეჯდომას, ბატკანი გაურბოდა და გუგული იატაკზე ეცემოდა ცხვირით.

— დასავალცქნია, დედილო, დავალცქნი, — ეხვეწებოდა ხოლმე ჩემი პატარა დაია გუგული დედას. თან სავარცხელს მოარბენინებდა და ზურგზე უსვამდა. ბატკანსაც ეტყობოდა იამებოდა, ტკრინდებოდა და სიამოვნებით იზმორებოდა.

ძალიან შეგვეჩვია ბალღებს. სულ თან დაგვდევდა და რასაც ჩვენ ვიახლებოდით, ისიც მადიანად მიირთმევდა.

მეტად გაწუწკდა, სახლში და აივანზე ცურცლავდა. მამა ჯაერობდა, რომ ბატკანი იატაკებს ასველებდა და ყვავილებს კორტნიდა. ბოლოს რის ვაი-ვაგლახით მოგვაშორეს და ინდაურებთან დაუწყეს დამწყვდევა. პირველ ღამეს სწორედ შეგეცოდებოდათ, ისე ბღაოდა და კედლებსა და კარებს ებღოტებოდა გამოსასვლელად. სახლში გუგული იქაჭებოდა.

— ლათ შეაგდეთ ჩემი ცაწკალი კაპუმელი ცაქათმეცი, ლო მელია მოვიდეს და წაიკვანოს, ლაგა ვქნა მაცინა? — ამ მელიისა გუგულს ძალიან ფახადი ჰქონდა, რაკი დაემუქრებოდნენ ხოლმე, მელიას მიგცემთ, თუ კიდევ იგიჟებო.

— ყვითელთმიანი ქალები უყვარს მელიასო, — ეტყოდა ხოლმე ძია მიხა. — რამდენჯერმე შემხვედრია გორის გზაზე მელია, უკითხნია: გუგულს ხო ისევ ყვითელი თმა აქვს, ხომ არ უშავდებაო.

— მამა, — ეკითხებოდა შეფიქრიანებული გუგული მამას,—თმა გამიცავდა, ალა? ახლა ალალ წამიყვანს, ალა, მამა? — მამაც არწმუნებდა, რომ ჩემი შიშით აქ მელია ვერ მოვაო. გუგული ხტოდა და მღეროდა:

სელზე მოგოგავს მელია,
იძაქის თალუნანოცა!
ლომელი ბიწი იქნება,
ცემ გუგულც ხელი აკლოცა.

მაგრამ ბაციკა ბატკნის საქათმეში დამწყვდევა ვერ ესიამოვნებოდა.

— დაიცა, მამილო, ცემი ბატკანი ლო ცაქათმეცი გააგდე, განა ლა დაგიცავა იცეთი! — თან ღრიალებდა და ხუშურ-ხუშურ ცრემლებს აბნევდა.

* * *

ბოლოს ბაციკა ბატკანიც შეეჩვია თავის ახალ ბინას, ახალ ძმობილ ინდაურებს და იმათ „კამპანიაში“ ატარებდა დროს. იმათ საკენკს ჭამდა და ბალახსაც იმათთან ძოვდა. ინდაურებს ცოტა ეშინოდათ

იმისი და როცა ის იმათკენ მირბოდა, გულგახეთქილი ინდაურები აქეთ-იქით იფანტებოდნენ. ბატკანიც უკან მისდევდა დაფეთებული. ალბათ ფიქრობდა, მტერი ნახეს და გარბიანო. თვითონაც ცდილობდა თავი გადაერჩინა. ინდაურებსაც ეგონა შესაჭმელად დაგვდევსო. კივკივ-ხმაურობით ზოგი ღობეზე ხტებოდა, ზოგი ბანზე, ზოგი საბძელზე და ძირს დამრჩალი ბატკანი გაკვირვებით შესცქეროდა დამფრთხალ ინდაურებს, რად გამექცნენ, რა ნახეს საშიშიო, იდგა გაბენტერებული და ბღაოდა.

ძალიან გაონავარდა: ბაღჩა სულ გაძოვა, პატარა ხეხილებს და ვარდებს ფოთლები სულ გაუკორტნა. ინდაურებს და ქათმებს ხომ აღარ აცლიდა საკენკის აღებას, უტევდა, სჩხვერავდა, რქენდა, იშორებდა და სიმინდისა და ქერის მარცვლებს გაჩქარებული აკნატუნებდა. საკუჭნაოს დაინახავდა თუ არა ღიას, მაშინვე შიგ ეცემოდა, კომბოსტოს სწიწკნიდა, ჭარხალს ხრავდა და კარტოფილსა და ხახვს კი მაზასავით ახრამუსებდა.

ჩვენს თამარს ძალიან უყვარდა, სულ ეალერსებოდა და ეჭუკჭუკებოდა: „ჩემი ბაციკა, ჩემი დუმიანი, სადა ყოფილა? რა მოიპარე? აბა მშიერი ხომ არ დამრჩიო?!“ და ამისთანები.

ბაციკაც მივიდოდა, დასუნავდა, ხელებს და კალთას უნახავდა, საჩემო აქვს რამე თუ არაო. თუ ჰქონდა რამე საჭმელი და უთავაზებდა, მერე ჯოხითაც რომ ეცემნა, ველარ მოიშორებდა, სულ ხელებში შესცქეროდა და კაბაში თავს უყოფდა. თამარსაც ძალიან პირის პატივში ჰყვანდა თავისი მეგობარი, ოღონდ უფროსები ნუ დაინახავდნენ და ბაციკა ბატკანს რაც უნდა ეპარნა და ეჭამნა. სტაფილოები და ჭარხლები სულ დაღრღნა თაგვივით.

მახსოვს, ერთხელ დედაჩემი როგორ გულგახეთქილი ამოვარდა საკუჭნაოდან: დიდი თაგვი გაჩენილა საკუჭნაოში და ჭარხალი და სტაფილოები სულ დაუხრავსო. დიდი ფაციფუცი შეუდგათ, დიდ დარდებში იყვნენ, ახლა სულ ყველაფერს გაგვიფუჭებს და რა უწამლოთო. ხილი იქა ჰქონდათ შენახული და სხვა სალეველი. მახეც დაუგეს, კატაც დაამწყვდიეს, მაგრამ მაინც არა ეშველა რა, თაგვი ისევა ხრავდა, რაც ძირს ეყარა. გოგრებს გვერდები გამოუღრუტნა, კარტოფილსა და მსხვილ ხახვს გვერდები გამოჭამა. ყველაზე მეტად ხახვის ჭამა გვიკვირდა. ვინ თაგვი და ვინ ხახვის ჭამა, რომ არ გაგონილიყო!

ბოლოს როგორც იყო მართალი გამოირკვა: დედაჩემი ჩასულიყო და თურმე დგას ჩვენი ბაციკა ბატკანი და ხრავს წითელ ჭარხლებს, ისეთი ცხვირი აქვს, როგორც სისხლი. რასაკვირველია, ბაციკას გვერდები რიგიანად დაუზილეს და ჭარხლისა და სტაფილოგოგრების ჭამა ამოაშხამეს. ამის შემდეგ ძალიან ფრთხილობდა ბაციკა საკუჭნაოში ჩასელის დროს. თუ ვისმეს ხედავდა ახლომახლო, შიგაც არ შეიხედავდა, სანამ თვალს არ აიცდენდა.

ამით არ გათავებულა იმისი მსუნაგობა!

აივანზე ყვავილები და სხვა ოთახის მცენარეები გვედგა. ამოგვეპარებოდა ხოლმე და გვიკორტნიდა ყვავილებს. მაგრამ ერთხელ კი ჩამწარდა მოლხენა.

იქვე გვედგა ერთი ბუერა მცენარე, მგონი არომას ეძახიან, მშვენიერი განიერი ფოთლები იცის. ნამდვილი მთის ხეობის ბუერა გეგონება. მეტად ლამაზი რამ არის! მაგრამ ისეთი საზარელი მწარე გემო აქვს, კაცსა ჰგონია ცეცხლი მიკიდია პირშიო; თუ ერთი ბეწო გაღეჭა, მთელი დღე პირიდან არ გამოელევა იმისი სიმწარე.

ერთხელ აპარულიყო ბაციკა აივანზე, ალბათ, თუ მოეწონა განივრად გაშლილი მწვანედ მოხასხასე ფოთლები არომისა. ერთი ფოთლისათვის ხარბად ამოეგლიჯა ნახევარზედ მეტი გვერდი, მაგრამ გაღეჭვაც აღარ დასცალდა. უცებ ბღავილი და ბრახა ბრუხი შეშოგვესმა. გაეცვივდით, ვნახოთ ჩვენი ბაციკა ბნედიანივით იატაკზე გორაობს, ფეხებს ფშეკს, პირიდან დორბლი გადმოსდის, ცხვირს იატაკს უსვამს და თავს აქეთ-იქით ახლის.

ბალღებს საშინლად შეგვეშინდა. თამარი ტიროდა, ბაციკა კვდებაო. გუგულიც ბაციკაზე ნაკლებ არა ბღაოდა. ვერავინ ვერ გაიგო, თუ რა იყო ბატკნის გაგიჟების მიზეზი, ზოგი რას იძახდა და ზოგი რასა: გაცოფდა, მოეკლათო. არა, — სხვები ამბობდნენ, — რეტიანი ყოფილა და რეტმა მოუარაო (საქონლის ბნედას რეტს ეძახიან).

შეატყობინეს მამას. მამაც შეშინებული გამოქცეულიყო. იმ ზაფხულს მეზობლებს ბევრს გაუცოფდა ძაღლები და იმათგან დაკბენილი ღორები, ცხვრები და ძროხები. „ალბათ გაცოფდაო“, — ეფიქრა მამას და ძალიან აღელვებული იყო, მაგრამ ჩვენდა საბედნიეროდ მალე თვალი შეასწრო არომას ჩამოფხრეწილ ფოთოლს და მიზეზი ბაციკას გაგიჟებისა თავისთავად გამოირკვა.

ამას შემდეგ ბაციკა რამდენსამე დღე ნაავდრ ძერასავითლა დადიოდა და თამაშობისა და ქურდობის გუნებაზე სრულიად არ იყო. აივანს ხომ სრულიად აღარ მიჰკარებია და არომს რომ თვალს მოჰკრავდა, ისე გარბოდა გულგახეთქილი, თითქო მგელი დაინახაო.

• • •

ახლა სათონე გაიხადა სანადიროდ. იქ ტომრებით სიმინდი და ქერი იდგა ცხენებისა და წვრილფეხისთვის. რამდენჯერ მინახავს სათონიდან გამოვარდნილი ფქვილიანი ტუჩებით და ცხვირით, ან სიმინდი და ქერი უკნატუნებია. სიმინდს ხო პირდაპირ ინდაურებივით მთელმთელსა ჰყლაპავდა. ჩვენები ზაფხულში სათონეს სამზარეულოდ ხმარობდნენ ხოლმე და მუდამდღე იქა ტრიალებდნენ, გამოსელაზე კარებს ბევრჯერ გამოუხურავს უშვებდნენ. რაკი ბაციკას გარყვნა იცოდნენ, უფროსები გვიშლიდნენ, ბაციკა სათონეში არ შეგვეშო, რომ იქაურობა არ აეოხრებინა.

რადგან ინდაურები კარებზე ტრიალებდნენ, ბატკანიც იქვე იყო ხოლმე და თუ სათონის კარებს ღიას დაინახავდა, ხელად შიგ ეცემოდა. დაადგებოდა, რასაც მოაწყრებდა და ჰყლაპავდა.

ერთხელ თამარს თავისი ბაციკა ბატკანი სიმინდიან თაბახზე დაეყენებინა. იმდენი ეყლაპა, სანამ ყელში ამოედინებოდა. ვინა ჰყვანდა დამშლელი, დიდები შინ არ იყვნენ და თამარი იმისი დიდი ერთგული და მეგობარი იყო. იმ დღეს ძალიან დახტოდა, მუცელი გამაძღარი ჰქონდა და მაძღარმა მუცელმა ხომ მხიარულობა იცის.

— გაძღა ჩემი დუმიანი ბიჭიო? — ეალერსებოდა,—კარგია ქურდობა, არა? ვერც არავინ გაიგებს და შეგრჩება ეგ ერთი ქეიფი, ჩემო კარგო.

საღამოთი წყურვილი აუტყდა ბაციკას და ხევზე წამდაუწუმ გარბოდა. მეორე დღეს მუცელი ცოტა თითქო შემოებერა და როგორლაც ყურებჩამოყრით იყო, აღარც ისე დახტოდა და სიმინდს ხომ სულ აღარ ეტანებოდა. ახლა ხან თივაზე არბოდა, ხან კომბოსტოს თავებს სწიწკნიდა, მაგრამ ეტყობოდა, რომ გუნებაზე ვერ ბრძანდებოდა.

საღამოთი მამასთან ბიჭი შემოვიდა, „ბატკანი ავად არის და რას

ბრძანებთ, დავკლა თუ რა ვუყო, უსულადოდ არ მოკვდეს, აფსუსია, მაგრე ძალიან გახლავთ გასუქებულიო". მამა გაჯავრდა, „დაკვლა როგორ შეიძლება, ავადმყოფის ხორცი რა საჭმელიაო".

გადავედით ბოსელში ავადმყოფის სანახავად. ცხენთან იწვა, თავი ზღვეებზე დაედო და კვნესოდა.

ჩვენ მივედით, დავუწყეთ ალერსი და ლაპარაკი, მაგრამ იმან სრულებითაც არ მოგვაქცია ყურადღება. „ეჰ, რა თქვენი დარდი მაქვს, მე საქმე მიჭირსო". ჩვენ ხან თავი ავუღეთ, ხან ავაყენეთ, მაგრამ კინწიც მოსწყვეტოდა და ველარც ფეხზე დგებოდა. ბიჭმა თქვა: „თივა დავუყარე, მაგრამ გემოთ აღარ ნახაო". მამაჩემმა ბრძანა: „იყოს და როცა მოკვდეს, მოკვდესო".

ჩვენ არ ვიცოდით, რა სტკიოდა და, აბა, რა წამალს დავალევინებდით.

გუგული ღრიალებდა: „არ დაკლათ ცემი ბაციკა ბატკალი, ცემი ცაცოდავი კაწუმელიო". ყველა რამე მიზეზს ასახელებდა ბაციკას ავადმყოფობისას. ზოგი ამბობდა ყვავილი იქნებაო, სხვები ამტკიცებდნენ, ამ ზაფხულს დასიცხავდა და ახლა სიცივეზე გამოაჩნდაო. მხოლოდ ქალი თამარი იჯდა ჩიჩვირდაკიდებული. იმან იცოდა, რომ ბაციკა ბატკანი ძალზე სიმინდით გააძღო და ახლა სიმსუნაგემ გადაიტანა თანა. მაგრამ რას გაამხელდა!

რას ვუშველიდით. მეორე დღემდე კიდევ იცოცხლა. ყველას უნდოდა გაეგო, თუ რამ მოჰკლა, გასჭრეს და ფაშვი დამპალი სიმინდით ჰქონდა სავსე. ველარ ამოეცოხნა. საწყალს ღორმუცელობამ და ქურდობამ მოუღო ბოლო.

[1905 წ.]

# გაზაფხულის სუნი

დიდხანსა ჰქროდა ცივი ზენა ქარი, ხელები და სახე სულ აგვიტრუსა. მართალია, სახეში თოვლს არ გვაყრიდა, მაგრამ ჩვენ თოვლი გვერჩივნა ამ ხმელ ქარსა.

— რით ვერ მოიღალა ეს ოხერი! — ვიძახდით ყველანი.

— კი აღარ ამოგვიქაქანა და! ჰქრის და ჰქრის!

მინდვრად თოვლი აღარ იდო. კვერნაკის ჩრდილოეთი კალთები კი ისევ ვეფხვივით იყო აპრელებული, მთებიც ისევ თოვლქვეშ ხვნეშოდნენ.

თებერვალი მიიპარებოდა.

ვენახში და მინდორში საქმე ბევრი გვქონდა, მაგრამ სიცივით არა კეთდებოდა რა. ბიძაჩემი დაღვრემილი ჩიბუხს აბოლებდა.

დრო მიდიოდა, საქმე უკან რჩებოდა.

მაგრამ რაკი ბიძაჩემი ყველაფერს ღვთის განგებას აწერდა, არა დრტვინავდა გამჩენის წინააღმდეგ, — უღვთოდ ხეს ფურცელი არ გაჰვარდებაო, — იძახდა.

ფრინველებსა და ცხოველებს მოუსვენრობა ეტყობოდათ. ინდაურები იფხორებოდნენ. ბოლოებს ჯარასავით შლიდნენ, მხრების წვერებს მიწაზე აფხაკუნებდნენ დაშნასავით და ხმამაღლა ყვიტყვიტებდნენ. ბატები ერთად იკრიბებოდნენ, საღამოობით მინდვრიდან ყიყინით ბრუნდებოდა იმათი თეთრი ფარა. იხვებიც ხევებს აღარა შორდებოდნენ.

— გაზაფხულის ნიშანია! — ამბობდა თვალის ჩაკიეკით ბიძაჩემი. — მართალია, ზამთარივით ცივა, მაგრამ ყველაფერს თავისი ვადა და ჟამი აქვს. აბა, ამ ჭილყვავებს უყურე, როგორ სინჯავენ ხეებს წვერიდან ძირამდე, ბუხრებში ცალი თვალით იჭყიტებიან. კოშკებსა და ნანგრევებში ხვრელებს ეძებენ, ბუდისთვის თავდარიგს იჭერენ. ეტყობა, გაზაფხული შორს აღარ არის.

• • •

საღამოთი ბიძაჩემი გარედან შემოვიდა, ხვნეშით სკამზე დაჯდა.

— მადლობა ღმერთს! ძლივს არ ეღირსა ამ სატიალე ქარს ჩადგომა! ახლა კი გაგვიზაფხულდება!

მართლაც, ჰაერი და ცა დამშვიდებულად მეჩვენა. სითბოს სუნი ტრიალებდა. ფრინველებს ერთი ჟრიამული და განგაში ედგათ.

ძაღლები თავის ხრუწუნებიდან გამომძვრალიყვნენ, ეზოში და ეზოს გარეთ წელგაშლით დასეირნობდნენ.

ცითგან ღრუბლები ქურდებივით მიიპარებოდნენ და მთას იქით აფარებდნენ თავსა. მეორე დღისათვის კაი დარს ელოდა ხალხი.

— ბიუებო, ხვალისათვის ბარები და წალდები ნახეთ! — გაჰძახოდა მამა შვილებსა.

გუთნისდედა გუთანს ჩაჰლირღიტებდა, გაცვივნულ სოლებს ამაგრებდა, ან ახლებს უთლიდა.

— გაზაფხულდა, დროა, გუთნები შეეაბათ!

• • •

ჩვენს ახლოს ხევი იყო, ხევის პირას ნანგრევი ქვითკირი. ამ ქვითკირის ქვეშ წყარო გამოდიოდა, ზაფხულობით ცივი, ხოლო ზამთრობით თბილი. ვიცოდი, რომ იმ წყაროში ზამთრობით კედლისქვეშ ბაყაყები ბუდობდნენ. სულ პირველ გაზაფხულს შემატყობინებდნენ ხოლმე. ჯერ ყრუდ მოისმოდა მათი ხმა, მერე რამდენიც გაზაფხული ახლოვდებოდა, იმდენად ისინიც ხმას უმატებდნენ და ღამღამე ჰაერში გაისმოდა იმათი კრიალი.

ძალიან დიდი თოვლიც რო ყოფილიყო, რაკი იმათი კრიალა ხმა შემომესმოდა, გული მოუსვენრად მიწყებდა ტოკვას, გაზაფხულის მოსვლით ეტკბებოდი და თავს ვინუგეშებდი. ეხლაც ყურს ვუგდებდი. როცა საქონლისა და ფრინველების ხმა მისწყდა, გარკვევით მომესმა იმათი კრიალი. „ახლა კი ახლოა გაზაფხული!“ წამოვიყვირე გახარებულმა.

გაზაფხულის ნიშნები ერთი მეორეს მოსდევდნენ. მეორე დღეს ჩვენ სახლის წინ მდგომ კაკალზე წყვილი შოშია შარშანდელ ბუდეს დასტრიალებდა და ჩემთვის გაუგებარს ენაზე ერთმანეთს რაღასაც ჩაჰლუკლუკებდნენ. აბა, რა ძალა შეაყენებდა ამათ და ამათ ამხანაგებს, რომ გაზაფხულს თან არ მოჰყოლოდნენ!

* * *

ბალღებს მინდვრიდან ერთი მუჭა წითელ-ყვითელი ენძელა მოეტანათ და მაგიდაზე გაეშალათ. დედა ჯავრობდა: ენძელის სახლში მოტანა არ ვარგა, ვინც პირველად ჰნახავს, უნდა ფეხზემდგომი ნახოს და არა მოგლეჯილიო... ენძელა სიცოცხლისა და სიხარულის ნიშანია და ამ პირველ გაზაფხულზე სიკვდილი რა მოსაგონიაო? მე დავცქეროდი ამ ნორჩ სიცოცხლეს, უსულო მიწიდან ამოსულს.

— ეჰ, ენძელავ, ენძელავ! შენი დანახვა, რაც უნდა ჯავრიანი ვიყო და სიკვდილი მენატრებოდეს სასოწარკვეთილს, გულს მივსებს უსაზღვრო სიხარულით! როგორ გამოვთქვამ იმ სიამოვნებას, რასაც შენი დანახვა მაგრძნობინებს ხოლმე უსულო და უსიცოცხლო მინდორზე, სადაც თოვლი ჯერ რიგიანად არც კი ამშრალა და ნიადაგი თოვლის ნადნობ წყლის გუბეებით არის დაფარული! გზის პირზე მახარობლებივით ამომძვრალხართ, ალბათ ძალიან და ძალიან სასიხარულო ამბავი მოგაქვთ რამე, რომ საუკეთესო და ძვირფასი სამოსლით შემოსილხართ და ფერადი სამკაულებით მორთულხართ?!. ნეტა, რას მეტყვით, რის მახარობლები ხართ?! იქნება გაზაფხულისა?! და თუ მართლა გაზაფხულის წინამორბედნი ხართ, მოგესალმებით, მშვენიერებო!

მშვიდობა თქვენ მოსვლასა! საწყლებო, თქვენ ხომ ვერც სრულს გაზაფხულს მოესწრობით და ვერც ზაფხულს!

• • •

აქამდე მხოლოდ შავი ღრუბლებით გადაჭედილი და საზარლად მოზუზუნე ცა სრულებით სხვა კილოზე ახმაურდა. გაივსო მომთაბარე ფრინველთა ჟივილ-ჭყივილით. მხარგრძელნი ფრთოსანნი, დედამიწითგან დაშორებულნი, ნელ-ნელა მიცურავენ თვალუწვდომელ ცის სივრცეში ჩრდილოეთისაკენ. ყურს ოდნავ ხვდება მათი ყვირილი. ხოლო წვრილნი ფრთოსანნი შრიალით გადაურბენენ ხოლმე სოფლებს საყდრებისა და კოშკების წვერებზედ.

გიხაროდეთ, ჩრდილოეთის მცხოვრებნო! მოგესალმებათ ცხელი სამხრეთი! გიგზავნით გაზაფხულს. ვისაც ზამთრის სისასტიკემ გული გაგიტეხათ და სასოება დაგიკარგათ, გამხნევდით ისევ. იმედს ნუ ჰკარგავთ, — არ შეგეშინდეთ, თუ გაზაფხულის ჟამს უცებ ტაროსი შეიცვალოს, ზამთარმა იგდოს ხელთ ბატონობა და თავზე ჯადოქარივით დაგაცხრესთ! არ შედრკეთ და გაზაფხულს შეურაცხება არ მიაყენოთ თქვენი ორპოფობით. გულში ეპვი არ გაიტაროთ გაზაფხულის მძლეთამძლეობაზე! მეორე-მესამე დღეს კვლავ გამობრწყინდება დიდებულად მზე და ზამთრის სახსენებელი ამოიფხერება.

თითქო ყურის ძირში ზარბაზანი დაუცალესო, უცებ საშინელი გრიალი მოესმა მთიულ ფოცხვერას, რომელიც უნაგირის ტახტასა სთლიდა.

— ზვავი გამოსკდა, ლაშარის ჯვრის მადლმა! — წამოიყვირა გახარებულმა და თითქო დიდი ხანია, რაც აქა ზის და ამ მოვლენას მოელოდინებაო, შეითანივით კარზე გაიჭრა, ბანზე ავარდა და იქიდან ხარბი თვალით დაუწყო მთიდან დაქანებულს ზვავს ცქერა.

— ა ბეჩავ, ბიჭო! აბა შეგაყენონ, თუ კაი ბიჭებია, თავის თოფზარბაზნებითა! ხატის მადლმა, შენ უკან ვეღარავინ დაგაბრუნოს! შენ შენსას არ დაიშლი, სანამ მინდვრად არ ჩაიჭედები! იქაც არ შესწყვეტ მოძრაობას, სანამ სწორე დაცემული ჭალა არ შეგაფერხებს, სადაც მშვიდობიანი ხალხი შრომის უღელს ეწევა. შენ ხო ცოფიანივით შიში არ იცი. რაკი ყელთავქვე დაეკიდები და მთას მოსწყდები, დაექანები ქარიშხალივით და ზღაპრულ გველეშაპივით კლაკვნას იწყობ, როცა დაჭრილი მტრისკენ მიჰქრის სასიკვდილოდ თავგადადებული! ახლა კი ახლოა გაზაფხული! — სთქვა ცოტა გულმოს-

ვენებულმა ფოცხვერამ, რაკი ზვავმა თოვლის კორიანტელსა და ბუქ-ში გახვეულმა ტიტველი მთა ჩამოირბინა უთვალავ ცხენოსან ლაშ-ქარივით, როცა თავდადებულს, თავის სიმრავლით გათამამებულს თავგამეტებით მტერზე საზარელი იერიში მიაქვს!

შეკუმშული თოვლი შავ მუხის ტყეში თეთრი ღრუბლებივითლა ჩანს. ნაკუწ-ნაკუწად აქცევს მას საზარელი გრიგალი და ბუმბული-ვით აიტაცებს თვალშეუწვდენელ ცის სივრცეში, რომ მერე ისევ ერთად მოაგროვოს და მთებზე ნისლით ჩამოუშვას.

თვალს ვერ აშორებდა ფოცხვერა ამ დიდებულ მოვლენას. განა არ იცოდა, რომ ზვავი, რაკი ერთი დაიძეროდა, სანამ ჭალაში არ გა-იველვებდა, აღარ შედგებოდა და ვერც არა ტყე შეაყენებდა, ვერც კლდე. ათასწლოვან მუხას ძირიანად ჰგლეჯდა და ხეობაში კენწერა-საკით ისროდა. მაგრამ გულში ცოტა რამე ეშვის ქარი ეპარებოდა. ისე იყო ზამთრისგან გულმოკლული, რომ ზამთრის წასვლა სწამდა კიდეც და არცა სჯეროდა.

როგორც მოსულები ამბობდნენ, არაგვზე უკვე ჩირთი შემოსუ-ლა, მურყანი და თხილი იშლებაო, ბარად კი რამდენი ხანია გაზაფ-ხულიაო. მთაშიაც თხილის მჭადას[1] მჭადის ფქვილივით ყვითელი მტვერი გასდიოდა. დგნალს კატის კნუტებივით ფაფუკი ციცუნა[2] ეკიდა.

მაშ გაუმარჯოს გაზაფხულს! გაუმარჯოს ზაფხულის მოსვლას!

[1905 წ.]

---

[1] ყვავილი თხილისა.

[2] მჭადა.

# როგორ გაჩნდნენ ხოხბები

ჩხიკვი სულაც არ მოელოდა, თუ იმისი სტუმრობა ასეთ თავზარს დასცემდა ბედიანიძის ეზოში გაშლილ ქათმებს.

დილა იყო. ახლადამოსულ მზეზე მცირე რამ საგანიც საშინლად დიდ ჩრდილს ისროდა. ალბათ ჩხიკვის ჩრდილიც დიდ რამე მტაცებლად ეჩვენა ქათმების უფროსს, დიდ წითელ მამალს, რომელმაც საზარელი ხმით დაიკივლა:

— ეეე! ეიი! აბა თავს უშველეთ, ვისაც როგორ შეგიძლიანთო.— სწრაფად ღობის ძირს ეცა და გულგახეთქილი თავის მოფარებას ცდილობდა. სადაც სამართალი იყო, თვითონ არ უნდა გაქცეულიყო, წვრილი ცოლშვილისთვის უნდა ეპატრონა და თავი დაედო იმათთვის. მაგრამ, მოგეხსენებათ ქართული ანდაზა, სული ტკბილიაო. შეშინებულ მამალს წვრილი ცოლ-შვილიც დაავიწყდა და სამამაცო ზნენიც.

დედლებიც ზოგი საქათმეს ეცა, ზოგი ღობის ქვეშ შეძვრა, ზოგი მამალს მიეკრა გვერდში, ზოგი ბუჩქებსა, ქვებსა და ხეებს ამოეფარა. ვინც როგორ მოასწრო, ისეთი საფარი გაიკეთა და იქ მოელოდა მტრისაგან იერიშის მოტანას. თუმცა სულქვეშ რომ ვსთქვა, ერთიც არ ფიქრობდა მტრის მოგერიებას. წიწილები ზოგი ერთად შეგროვილიყვნენ და ისე განაბულიყვნენ, ზოგიც, სადაც საზარელ ამბავს მოესწრო, იქვე პირქვე გატყლაპულიყო მიწაზე. ყველა გულის კანკალით მოელოდა ქვეყნის აღსასრულს.

მხოლოდ კრუხს დაეიწყებოდა თავიც, სიკვდილის შიშიც. ჭყრიალით აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს, საბრძოლად გამზადებული და თვით ფრინველთ მეფეც რო ყოფილიყო, არ დახედავდა და გააფთრებული ეცემოდა.

ჩხიკვმაც სამჯობინოდ დაინახა, ღობის მაღალ მარგილზე დამჯდარიყო, სანამ ეს პირველი შიშის ქარი გადაუვლიდა საქათმეთსა და გონს მოვიდოდა.

კრუხი კი ხან ჯარასავით ტრიალებდა და წიწილებს ეძებდა, ხან ჩხიკვს შესცქეროდა და თვითონაც ემზადებოდა, შეატყობდა თუ არა სამტროდ რაიმე მზადებას და მოძრაობას, მაშინვე ცდილობდა, თვითონ პირველს მიეტანა იერიში და შვილებისათვის თავი დაედო. ჩხიკვი არ მოელოდა, თუ ქათმები ასე მალე და ასე საშინლად შეშინდებოდნენ, თავგზას დაჰკარგავდნენ, არ ეგონა, თუ ისე დამონებულ-დაჩაგრულ-დაბეჩავებული, ყოველივე ღირსებადაკარგული, ცხოვრობდა ქათამთა ნათესავი. შეეცოდა და შერცხვა თავის თავისაც, რომ ასე ჟამკარი აურია საწყალ საქათმესა.

უნდოდა ეთქვა რამე, დაემშვიდებინა გაბოროტებული კრუხი, რამდენჯერმე დაიჩხავლა კიდეც დამამშვიდებელ კილოზე, მაგრამ არა: კრუხი თავისას არ იშლიდა, წიოკობდა, საომარი ხმით ჭყიოდა. თან რამდენჯერმე სცადა ჩხიკვისკენ შეხტომა და იერიშის მიტანა, მაგრამ ფრთებმა უღალატეს და მიწაზე თავდაყირა ჩამოვარდა.

მამალი, ეს ბატონ-პატრონი საქათმისა, ღობის ძირიდგან ცალი თვალით გამოიცქირებოდა, ვნახოთ, როგორ გათავდება საქმეო. თან თახთახი და კანკალი გაჰქონდა.

ჩხიკვი კი, თითქო დაბოლოვდაო, ხან აქეთ აქნევდა თავს, თან ბოლო ცისკენ აჰქონდა, ხან იქით, თითქო თავს ვისმეს უკრავსო, თან ნელი ხმით ჩხაოდა. უნდოდა დაეშვიდებინა შიშისგან თავზარდაცემული საქათმეთი.

— აბა, რო სჯავრობ და ომს მიცხადებ, ჩემო დედი, რას გიშავებ? მე ჩემთვის ვზივარ მარგილზე. მე სამოკეთოდ მოველ და არა სამტროდ, მინდა ერთი ქართული მოგახსენო — თავაზიანად გამოელაპარაკა კრუხს ჩხიკვი. — მოითმინე, მე სრულიადაც არა ვარ მტაცებელი, არც კლანჭი შემწევს და არც ნისკარტი. ღვთისა წინაშე არც მოდგმა გვაქვს. ჩვენ ტყეში ვცხოვრობთ, ჩირგვებისა და ხეების

ნაყოფით ვსაზრდოობთ, ან ფუღურო ხისქვეშ ნამპალ მიწასა ვქექავთ და მატლს ვეძებთ. შენა შამალო! თავი რო ღობეში შეგიყვია და დეზები და ბოლო კარში დაგრჩენია, გამოძვერ, მინდა გითხრა რამე. თქვენცა დედლებო, კვერცხის მდებლებო! მობრძანდით ახლო! — უქყვიროდა მხიარულად ჩხიკვი.

კრუხი ცოტა არ იყოს მოლბა, შიშმა გადაუარა, მიწას ნისკარტით თხრა დაუწყო და წიწილებს დაუძახა: — კე-კე-კე-კე! მოდით, მოდით! კრუხ! კრუხ! კრუხ! უჰ!—უჰ! რამდენი სარჩო და საზრდო ვიპოვეო.

წიწილები ენდნენ დედლის ხმას და ზოგი არხეინად, ზოგიც ისევ შეშინებული და გულგახეთქილი წივილით მორბოდნენ დედასთან.

— ყოჩაღ კრუხო! ძაან შვილები დაგხვევია! განა წელიწადში რამდენ ბუდესა სჩეკავ? ჩვენ მხოლოდ ერთხელ გამოვჩეკავთ ხოლმე და მაშინაც ან სამს ან ოთხს, ეგ არის და ეგ. მაინც, რას უშვრები მაგდენ შვილებსა? შენც ჩვენსავით ზრდი და მერე თავისუფლად ტყეში აფრენ, თუ აქა რჩებიან?

— ნეტა, ჩხიკვო, მოგცლია და ლაპარაკობ! რო დავაფრინო შვილები, სად უნდა წავიდნენ? მელიისა და ქორის შესაქმელად?! მე ვჩეკავ, პატრონი გვასმევს და გვაქმევს, მტერს არ მოგვაკარებს, მაშინვე თოფს ესვრის და მოჰკლავს. ღამე საქათმეში ვყევართ უშიშრად, დღე და ღამე ყურს გვიგდებს და გვდარაჯობს ჩვენი კარგი პატრონი, ასე, რომ გარედან არაფერი საფრთხე არ მოგველის.

ეს კია, როცა ძალიან გავმრავლდებით, საქათმეში აღარ ვეტევით, ერთმანეთს ვავიწროებთ და ახლადმოჩრიხული მამლაყინწები პატრონს ძილს უფრთხობენ ადრე ყივილით, მაშინ შეგვათხელებს ხოლმე: ზოგს დაჰკლავს, ზოგს გაჰყიდის, მაგრამ ეგ არაფერია, მაშ რით გადავუხადოთ ამოდენი ამაგი და სიკეთე. ქორისა და მტაცებლებისგან გვიფარავს, შვილებს აღარავინ გვიწიოკებს.

— განა, ეგრე გჩაგრავთ ი რაღაც ქორია? ან რამდენ ქათამს იტაცებს დღეში? ნუთუ ეგრე საშიშია? — ჰკითხავდა ჩხიკვი, თან დაცინვით იღიმებოდა.

— იქნება წელიწადში ერთიც ვერ წაიღოს. ჩვენი პატრონისა ეშინიან, ვერც მაგრე ადვილად მოჰბედავს.

ამ ლაპარაკის დროს მამლისთვის შიშს გადაევლო, გამომძვრალიყო, აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და რაკი საშიშო ვეღარ ნახა რა, მხარი მხარს შემოჰკრა და ამაყად დაიყივლა: მე ვარ და სხვა აღარავინაო! აბა, რომელი ხართ ჩემისთანა ბიჭი ახლომახლო ეზოებშიო?!

და რადგან კრუხს შიშისა ვერა შეეტყო რა და ირგვლივაც საშიში არა ჩანდა რა, თამამად გასწია ჩხიკვისკენ...

— ქორი წელიწადში ერთ შვილსაც ვერა გტაცებს, პატრონი კი წელიწადში ორმოც შვილს გიკლავს და გიჭამს... მაშ, შენი ფიქრით ქორი მტერია და პატრონი კი მოკეთე, ჰა? ვაი, შენი ჭკუის ბრალი! პირველი შენი მტერი შენი პატრონია. თუ ქორს არ გატაცებინებსთ, ეგ იმიტომ, რომ თავისთვის გიფრთხილდებათ, რომ თვითონ შეგჭამოსთ. რად ეჭმევით? — ელაპარაკებოდა გაცხარებული ჩხიკვი.

მამალმა ყური მოჰკრა ამ ლაპარაკს, ჭკუაში არ მოუვიდა ჩხიკვისაგან პატრონზე ნალაპარაკევი და გაბრაზებით შეხედა ორატორს.

— არა შვილო! დაიკარგე აქედან, ვიღაც მოთრეულხარ! მე გატყობ, შენ კაი სული არ უნდა იყო. რა გინდა აქა, რისთვის მოსულხარ? გინდა ჩემი ცოლ-შვილი არიო, ჰა? პატრონი გვივლის, გვასმევს, გვაჭმევს, მტერს გვაშორებს, შენ კი მოსულხარ და ყბედობ: „შენი პატრონი გჭამთ, გაეცალენითო“. შენ რო კაი კაცი იყო, სხვისა სახლში მაგეებს არ დაიწყებდი. მისამარას აქედან დაიკარგე, თორემ მგონი გაჩენის დღე გაწყევლინოთ, — ემუქრებოდა მამალი.

— რათა ჯავრობ, ჩემო მამალო, მე თქვენთვის გეუბნებით, თორემ მე ისეც თავისუფალი ვარ, არც პატრონი მინდა, არც ბატონი და არც მაგისთანა გულშემატკივარი; დავფრინავ ტყეებში ჩემს ნებაზე. მნებავს, რცხილზე შევჯდები, მნებავს მუხაზე, ჩემი დამშლელი არავინ არის. არც მგელს ვეჭმევი და არც მტერს დავუვარდები. ჩემი თავის მოვლა მე თვითონ ვიცი.

შე ცარიელო კვახო! პატარა ჩიტიც კი უნდა თავისუფალი იყოს და შენ მაგოდენა ლეშის პატრონი მონობაში იძრობდე სულსა! შვილებს შენს თვალწინ გიკლავენ, გიჭამენ, გიყიდიან, შენ კი იმდენი ბრმა და ყრუ ხარ, რომ თვალი ვერ გაგიხელია, ავი კარგისაგან ვერ გაგირჩევია. მაშ ეგ არის, ვინც კაცთან არ ცხოვრობს, სულ შიმშილით იხოცებიან, უმისოდ სიცოცხლე აღარ არის განა?

გაბედეთ, წამოდით, ისეთ ჯაგიან ფერდობს გასწავლით საცხოვრებლად, რომ თქვენს თავს თქვენვე დანატროდეთ. საქმელი — რამდენიც გნებავთ, თავშესაფარიც უკეთესი აღარ იქნება. პირველხნობით, მართალია, გეხამუშებათ, სიფრთხილეც მეტი დაგჭირდებათ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ ანდაზა: „ვარდი უეკლოდ არავის მოუკრეფიაო“. ბოლოს ისე შეეჩვევით, რომ თქვენს თავს თქვენვე შენატროდეთ. ქორი და მელია იქ ვერას გიზამთ, ისეთი გაბმული ჯაგიანბარდანია, რომ მელია ქურქდაუფხრეწელად იქ ვერ შემოძვრება. ქორი ხო სრულიად ვერ მოგეკარებათ. აი, ჩვენც დაგეხმარებით, რითაც იქნება, მტერს არ გავახარებთ თქვენზედა. დეე მიხედეს ის თქვენი ბატონ-პატრონი, რომ ქათამსაც შეუძლიან თავის თავის მოვლა და პატრონობა, თუკი ეცდება.

მამალი გაჩქარებით ყიოდა, ეგება ამ თავხედის სიტყვები ქათმებმა არ გაიგონონო. მამალს თავისი ოჯახობისა და უფროსობის მოშლის დარდი ჰქონდა. კრუხი კი გულდასმით უგდებდა ყურს ჩხიკვის ლაპარაკს, თან სიამოვნებით თავის წიწილებს სთვლიდა: ეჰ, მართლა რა ბედნიერი დედა ეიქნები, რომ ეს შვილები ყველანი შემრჩნენო.

— თქვენ გენაცვალოსთ დედა, შვილებო. თქვენს დედას თქვენ დაიტირებთ, თქვენი დედა აღარ გიტირებსთ თქვენა! განა ვიფიქრებდი, ან სიზმრად ვნახავდი, რომ ამ ბედნიერ დღეს მოვესწრებოდი! ოჰ, ჩხიკვო, თუ ყველა მართალია და მართლა ამიცხადდება, რასაც შენი ბედნიერი ენა მეუბნება და მიქადის!

ჩხიკვი გაფრინდა, კიდევ გნახავთო, მოაძახა. მხიარული ჩხივილით ტყეს მიჰმართა, იქ ერთ რცხილაზედ შეჯდა, დიდ ტოტს ამოეფარა და მორთო კრუხივით ჩანჩხარი და კრუშ-კრუში. თან ვითომ წიწილებს ეძახდა. მერე კატასავით მორთო კნავილი. ხან ძერას აჯავრებდა, ხან შაშვივით გალობას და სტვენას ცდილობდა და გამგონი ეჰვში შეჰყავდა: მართლა შაშვია, თუ სხვა ვინმე კუდიანიო. ხან ვითომ „გოგოო!“ იძახდა და სოფლელ დიასახლისს აჯავრებდა.

— აი, გაგიწყდა ხმა! — სთქვა თეთრუა ქალმა ჩხიკვზე გაჯავრებულმა და გაბრაზებით მიაბრახუნა კარები, თითქო ამით ჩხიკვის ჯავრს ამოიყრიდა. ჩხიკვმა ხითხითი ასტეხა, აფრინდა და ფერდას მიჰმართა.

• • •

დიდხანს ფიქრობდა კრუხი ჩხიკვის ნაამბობზე. მგონი ყველას სათითაოდ ათჯერ მაინც უამბო და გაუმეორა იმის ნალაპარაკევი, როგორც თვითონ მოსწონდა, ისე უამბობდა და აზავებდა, აფერადებდა. თან ყველას უცხადებდა, რომ გადავწყვიტე, უეჭველად ბედი ვცადოო. მართლა და ამაზე უარეს ყოფაში ხომ აღარ ჩავვარდებიო, უმატებდა იმედიანად კრუხი.

„ურჩი მიუშვი ნებასა, იქ შეეყრება ვნებასაო“, იძახდნენ მხდალი მეზობლები, ქათმები და კიჟკივა ინდაურები.

— განა უპატრონოდ ცხოვრება შეიძლება?! ერთ წუთსაც ვერ გავძლებდით, შიშით სული ამოგვძვრებოდა, — ჩიფჩიფებდნენ ძალზე ჩასუქებული ბიბილოგაყვითლებული ყვერულები.

— უპატრონოდ ვინ გაგვასუქებდა ასე, იქნება ეხლა ზურგზე ჯაგარგაგლეჯილებს გვერბინა ჭყვირილით ქუჩებზე, — ტრუხუნებდნენ ნასუქი ღორები.

— აი, თუმცა მე დღე და ღამ პატრონის სარჩო-საბადებელს ვდარაჯობ თვალმოუხუჭავად, ვყეფ, დავრბივარ, სიმშილს ვითმენ, თუმცა პატრონიც და იმისი ცოლ-შვილიც ბევრჯერ ჯოხითა მცემენ, ხან წკეპლით, ხან მაფურთხებენ, მაგრამ მე მაინც ისევ ხელსა და ფეხს ვულოკავ, ვეფერები, რადგან ვიცი, თვითონ რომ ხორცი მიირთვას, მე ძვლებს გადმომიყრის. მე მეტი არც ბედნიერება მინდა და არც თავისუფლება, — წკმუტუნებდა ძაღლი.

— რაც მე თივასა და ქერსა ვჭამ, რაც მე თავლაში ვაბივარ, ბევრად ბევრ გლეხს თავის საჭმელადა და სადგომადაც ენატრება. აბა, ჩემზე რომ ჩემი პატრონი არა ზრუნავდეს, მე ასე რა გამისქელებდა. გაბასა, — ჭიხვინებდა ბედაური ცხენი.

თუ ყველა მსუქანი და მუქთახორა ცხოველი და ფრინველი წინააღმდეგი იყო თავისუფლებისა, სამაგიეროდ ყველა გამხდარი, მშიერი მშრომელი და ოფლის მღვრელი მას შესტრფოდა და შეჰხაროდა.

—წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგაზე უარეს ადგილს ხომ აღარ მიხვალ, შენი თავის პატრონი ხომ შენ იქნები! ჩემი ნათესავობა თურმე ამერიკის მინდვრებზე თამამად და თავისუფლად დაიარე-

ბა. მე კი აქ უღელში მაქვს ჩაკრული თავი და მაღლა ვერ ამიხედნია. — ზმუოდა დაღალული ხარი.

— იმიტომ გვეძახიან ვირებს, რომ კაცი თავის ქეიფზედ გვათრევს და წელსა გვწყვეტს. ჩვენც ჩამოგვიყრია ყურები და ასე გვგონია, პატრონს იქით ცხოვრება აღარ შეიძლებოდეს. ვიცით, რომ თავისუფლება კარგია, კრუხსაც ვუწუნებთ გაბედულებას, ჩვენ კი იმდენი თაოსნობა ვერ გამოგვიჩენია, იმდენი ვერ გაგვიბედნია, რომ პატრონს ვუთხრათ: გვეყო, რაც ზურგი გადაგვატყავე! ახლა უნდა წავიდეთ, შენგან წამხდარი ზურგი მოვირჩინოთ. მადლობის მეტი რა გეთქმის, რომ მოთმინებიდან გამოყვანილებმა წიხლით კბილები არ ჩაგიმტვრიეთ! — ასე ყროყინებდა ვირი.

ხოლო კრუხი გაძღოლოდა წინ თავის წიწილებს, ჩამორჩენილები ზურგზე შეესხა და აღფრთოვანებული მიესწრაფებოდა აღთქმულ ქვეყნისკენ.

გაეგოთ მთის მცხოვრებ ფრთოსანთ: კაკბებს, შურთხებს, როჭოებს, შაშვებს, ჩხართვებს, კოდალებს და ჩხიკვის წინამძღოლობით ერთი ამბით და სიხარულით ეგებებოდნენ ახლადშემოერთებულს კრუხს. ირგვლივ ერთობისა და თავისუფლების ყვირილი ისმოდა, ლხენისა და სიხარულის კივინა.

* * *

რამდენიმე წლის შემდეგ იმათმა მნახველმა მელიამ გაკვირვებით თვალები დააჭყიტა, რადგან ადამიანთან ყოფნის დროს ფეხითმოსიარულე ფრთაბოლოდაგლეჯილი ქათმები ეხლა ყელმოღერებული ისხდნენ მაღლა ხეებზე. კაცის მიახლოებაზე ქარივით მიჰქროდნენ ლიჭიანებისკენ თავისი ღონიერი მხრებით და მოსისხლე კაცის გულს შურით და ბრაზით ავსებდნენ.

მამლებს მშვენივრად ასჭრელებოდათ ბოლოები და თავზე ბიბილოს მაგივრად კოხტა ქოჩრები ჰქონდათ. ამათ ქათმებს როგორღა დავუძახებთ, ესენი ხომ ხოხბებად გადაქცეულანო, — სთქვა მელიამ და მშიერი მუცლით ხევის პირას ჩაჰყვა.

[1906 წ.]

# ბუს ფეხი

ბელურაებისათვის სრულიადაც არ იყო საჭირო მეფე. უმისოდაც კარგად მიჰყვანდათ თავისი საქმე. რო ეკითხათ, არც ინდომებდნენ, მაგრამ იმათ ნდომაზე არ იყო საქმე.

ერთმა თავდიდმა ბუმ იმათი მეფობა დაიჩემა და თავისი თავი ბელურაების ხელმწიფედ გამოაცხადა. სატახტო ქალაქად ციხის ერთი დიდი დარანი აირჩია, იქ დაბინავდა და ბელურეთის მართვას შეუდგა. თავისუფლებას დაჩვეული ბელურაები ძალიან ტოკავდნენ, შეთქმულებას შეთქმულებაზე ახდენდნენ ბუს ბატონობის მოსაშორებლად, მაგრამ ყოველი შეთქმულების შემდეგ ბუს საბძანებელი უფრო და უფრო ფართოვდებოდა. დარანში ბელურაების ბუმბულისა სქელი დორები იკერებოდა, რადგან მეამბოხე ბელურაების მეთაურებს ბუ აჭერინებდა და ციხისა და ციმბირის უქონლობის გამო თავის მუცელში ჰგზავნიდა დასასჯელად.

— მე ხომ თქვენ არაფერს გერჩით, — ეუბნებოდა ბელურაებისგან გამოგზავნილ კაცებს ბუ. — აი, მე მხოლოდ ავაზაკ „ბუნტოჩიკებს" ვაჭერინებ: ხელს გიშლიან, საქმეს გაცდენენ, გაღელვებენ, მეც საქმეს მიხლართავენ, მშვიდობიან მართვა-გამგეობას ხელს უშლიან.

თქვენ მე არაფერს დაგიშავებთ, არც დამიშავებია. ხარჯს არა გთხოვთ და გადასახადს. აი, თუ თქვენ ნებით ცოტა რამე კვერცხებს

მომართმევთ ძღვნად, ეგ თქვენი ნებაა. მე ძალას არ გატანთ, თორემ მე უთქვენოდაც ბევრი საზრდო მაქვს: კურდღლის ბაჭიები, თაგვები, ღამურაები — ჩემთვის ღმერთს უხვად მოუცია ყველაფერი.

მოხვალთ, მომიტანთ რასმეს, მეც ჩემს მოწყალებას არ მოგაკლებთ. თქვენს მტერს მეჩიტია — ალალს სისხლს გამოვუშრობ. აბა სცადოს, დაგიჭიროსთ ვინმე, მაშინ ნახოს, სიცოცხლე როგორ გავუმწარო! მაშ რიღას მეფე ვარ, თუ თქვენ სხვას დაგაჩაგვრინებთ.

თქვენში ბევრი მოუსვენარი ბეღურა ურევია. ცდილობენ, ჩემზე ცუდი ჩაგაგონონ, გაბრიყვებენ: ბუ ჩვენი ხორცითა და სისხლით ძღებაო. ჩვენ ბარტყებსა და კვერცხებსა სჭამსო და ამისთანები. ვეცადოთ, მოვიშოროთ თავიდან მისი ბატონობაო.

აბა, დაფიქრდით, მე რომ თქვენი ხელმწიფე არ ვიყო, ერთი წლის განმავლობაში ბეღურეთი სულ ამოვარდება. დარჩება დრო მტაცებელ მიმინოებს, ალალს, ბორას და მრავალს სხვა თქვენს მტერსა. დაგინგრევენ ბუდეებს, კვერცხებსა და ბარტყებს შეგიჭამენ; თქვენც ეგრე თავისუფლად ვეღარ იფრენთ დახორბლილ ყანებში და მწიფე ბლებზე. თქვენი მოვალეობაა, ვინც ჩემზე ცუდი თქვას რამე, დაიჭიროთ და ჩემთან მოიყვანოთ.

მართლაც, ბუს შიშით ალალი სადღაც გაქცეულიყარგა, მელიას კრიჭა შეეკრა, ბალღები ბუდეებს ვეღარ უშლიდნენ.

— ჭეშმარიტად მშვიდობიანობა ჩამოვარდა ჩვენს ქვეყანაში,— ამბობდნენ მოხუცებული ჭივჭავები. ვისაც ადრინდელი მეჩიტიას თავნებობა ახსოვდა და იმისი კლანჭი თავის თავზე ეცადნა.

— გაუმარჯოს ჩვენს დიდებულს ხელმწიფეს — ბუს! გაუძლიეროს ტახტი! მოკეთე გაუძლიეროს, მტერი დაუმარცხოს. — იძახდნენ სასოებით მოხუცებულები და „ურას“ ყვირილით ცაში ქუდებს ისროდნენ.

ბუ იჯდა დარანში, მუშტისტოლ ყვითელ თვალებს სიამოვნებით ახამხამებდა და თან იქექებოდა.

— ჩვენი ხელმწიფე ბუ ბეცი ყოფილა, — ჩურჩულობდნენ გამოუცდელი ჭივჭავები. ისეთი ოქროს სათვალები გაუკეთებია, რომ სულ ცეცხლივით ელავსო. თან იმის ახოვნებას აქებდნენ და ჰკვირობდნენ.

— ვინ მოერევა ბუს? ვინ გაუბედავს იმას შებმას, ვისაც თავი მოსძულებია, ის გაარისხებს ბატონ ბუსა.

მართლაც, ძალიან უკრიდა კლანჭი ბუსა. იმ ახლომახლო არე-მარეში მტა

დან ამოვაფრენ და მე კი კვერცხებსა და ბარტყებს მიეუკვლევ. გავ-ძღები, ვინავარდებ და მერე მაძღარი გავწევ მხიარულად შინისკენ. ღმერთმა ადღეგრძელოს ჩვენი მეფე-ბატონი, — მგონი ტყუილს არ ვამბობ, — ჭყაოდა ჭოტი.

— სიბნელე კარგია, ჭოტო, თქვენთვის, — გამოეპასუხა მოურავი ჯიხოლა. მაგრამ სულ რო ღამე იყოს, საწყალი ჭივჭავები ბნელაში ჰურისა და ბალახის თესლს ვეღარ იპოვიან, სიმშილით დაიხოცებიან და ჩვენ ბატონ-პატრონს მეფე ბუს ქვეშევრდომები აღარ ეყოლება. ან მე სადღა ვიმოურავებ, ბეღურაები რო არ იყვნენ—ეს ბატონი ჯიხოლა მეფის სახელით აგროვებდა ძღვნებს და თავისთვის უფრო მეტს ინახავდა.

— ემანდ ჩხუბი არ მოგვიდეთ, — ბრძანა ბოხი ხმით მეფემ, — დეე, იცოცხლონ ბეღურაებმაც, მაშ როგორ იქნება!

* * *

რამდენი დრო გადიოდა, მეფე ბუ უფრო და უფრო მძიმდებოდა. დღე ხომ ეძინა და ეძინა, ახლა აღარც ღამე ეხალისებოდა კარში გამოსვლა, — საშინლად დაზანტდა და დაზარმაცდა. გართობას კი კითხულობდა.

— აბა, ჩემო სასახლის მოურავო, — უბრძანებდა ჯაფარას, — გასწი! მეფემ მოგიწყინათ: მომიყვანე ძერა, ქორი, სვავი, ორბი, არწივი და ბორა. მოახსენე, რომ დიდი და დიდებული ჭივჭავთ ხელმწიფე — მისი უდიდებულესობა ბატონი ბუ გიწევსთ თავისთან სანადიმოდ. მობრძანდით, ჩემო კარგო მეზობლებო, ჩემო თვალის ჩინებო! თქვენც ისიამოვნებთ, მეც გამართეთ. აბა, არავინ დადგეთ, თორემ ძალიან მეწყინება-თქო.

აბა, შენც, ჩამო ჯიხოლი, წამოუარე შენს სამოურავოს და რაც შეიძლება მეტი კვერცხი და ბარტყები მააგროვე, თორემ ხო იცი, ჩემს სტუმრებს ცოტა არაფერს გაუხდება.

ამრიგად, როცა კი ბუ ნადირობასა და სადილობას გამართავდა, ბეღურეთში ტირილი და თავში ცემა იდგა. რამდენი კვერცხითა და ბარტყებით სავსე ბუდე ცარიელდებოდა და ოხრდებოდა! ვინ შვილს

ეძებდა, ვინ ძმას, ვინ დას, ვინ დედასა და მამას ჩიოდა. რამდენიც დრო გადიოდა, იმდენად უფრო და უფრო უმწარდებოდათ სული ჭივჭავებს. ან როგორ არ გამწარდებოდნენ, როცა მთელ ჭივჭავთ ქვეყანას მარტო ასოცი კასრი კვერცხი უნდა ეხადა ყოველ წლივ ხარკად ბუსთვის. ახლა რასაც მეფის მოურავები სამოურაოში ძალით მეტად აიღებდნენ!

გაჭირდა ცხოვრება! მეტად სასოწარკვეთილი იყო ხალხი. აღარ ეგონათ, თუ იმათ გაჭირვებას ბოლო მოეღებოდა როდისმე. ვის უნდა ერჩინა ამდენი მოურავები და გზირები? უთვალავი მუქთახორა მხლებლები და მოხელეები? — სულ საწყალ პატარა ბეჩავ ბეღურას!

* * *

მეფე ბუს ბატონ-არწივისგან კაცი ეახლა; სწერდა: „დიდებულო ძმაო, ბატონო ჭივჭავთ ხელმწიფევ! ვინაიდგან შენი პურ-მარილი ჩემზე მრავალია და კვლავცა მრავალს მოეელი და შენთან შენს სუფრაზე გატარებული დრო დაუვიწყარადა მაქვს გულში ჩარჩენილი და უკეთესიც არ მინახავს რა, გთხოვ, უმდაბლესად, გამაბედნიერო და მეც გამახარო შენი მობრძანებით, რო მეც შემთხვევა მომეცეს, მცირედ მაინც გასიამოვნო რითიმე და შენი პატივისცემა ცოტა მაინც გადავიხადო. მობრძანდები საძერია მთაზედ, დიდი მუხა რო სდგას შიგ კლდეში. იქითგან სულ სჩანს მთელი ქვეყანა, შენი და ჩემი საბძანებელი. ერთი კარგად ვინადიროთ, მერე კაი ლხინი და დარბაზობა გადავიხადოთ. ვნახოთ ჩემი საბძანებელიც. იქნება მეც კაცი ვარ და ხალხში ვურევივარ. უეჭველად გელი მოუთმენლად. — გწერს შენი უდიდებულესობის დღეგრძელობის მონატრე ფრინველთა მეფე არწივი“.

ეს წერილი მოართვა ლეგა მიმინომ, ლაღმა და თავისუფალმა. ეტყობოდა, ბუსი დიდი მოკეთე არა სჩანდა, მაგრამ არწივს უარს როგორ ეტყოდა, მითუმეტეს, რომ ელჩი მის დღეში ხელუხლებელი არის და ყოფილა. ეტყობოდა კი, რომ მოუსვენრად იჯდა, ჩიტების დანახვაზე ტოკავდა, თვალებს აბრიალებდა, აქეთ-იქით აცეცებდა. ვერც არას ჩიტები ენდობოდნენ იმის ელჩობა-სტუმრობას და აქა-

იქ კედლებსა და ნახვრეტებში შეაფარეს თავი, იქიდან ცალი თვალით გამოსცქეროდნენ ამ თავის სულთამხუთავსა. უბრძანა ბუმ თავის მხლებლებს: მზად იყავით, უნდა ვეწვიოთ ჩემს ძმა არწივსაო. ვნახოთ იმისი ხელქვეითნი და საბრძანებელი. ვცადოთ იმისი ბიჭობა და გულოვნობა, იარაღის ხმარება, სისწრაფე სიკისკისეო.

რადგან მზე თვალებში სწყენდა, ამიტომ წასვლა ღამისთვის გადადეს, მანამდე კი ელჩს მიმინოს ბელურაების ხორცით გაუმასპინძლდა.

საღამოსთვის მზად იყო ბრწყინვალე ამალა: ტახტის მემკვიდრე, ცხრა ბუკნაჭოტი, ერთი ბრუციანი ძერა, რომელიც ვეზირად ახლდა მუდამ ბატონ ბუს. ერთი ბორა, რომელიც ფრინველთ გამოეძევათ გაუტანლობისათვის და ორპირობისათვის და იქ აღარ ედგომებოდა. მაგრამ რაკი ბუს ამალაში მოექცა, ხელმწიფის კაცს ვინღა გასცემდა ხმასა.

თვითონ ბატონმა ბუმ იმ ღამეს აგურზე ილესა ნისკარტი, ბრჭყალები გაიალმასა. იახლა ასოცი ჭივჭავი, რომლებიც უფრო ჭყვირილა მგალობლები იყვნენ და გამოცდილებით გათქმულნი.

როცა კარგად დაბნელდა, შესხდნენ და გასწიეს ზარითა და ზეიმითა.

დიდად გაიხარა არწივმა ჭივჭავთ ხელმწიფის მოსვლით. შორსავე გამოეგება წინ და დიდი ამბით მიიწვია დარბაზში. იმ ღამეს ძალიან დრო გაატარეს. რა გინდა სულო და გულო, რომ იმათ სუფრაზე არ მოეტანოთ, დიდი სიტყვებისა და შესხმა-ქების ხმა გაისმოდა. ხოლო რაც უფრო საინტერესო იყო, ის ხვალისათვის იყო გადადებული.

მეორე დღეს აყვირეს საყვირი, რაიც იმის ნიშანი იყო, რომ ფრინველთ მეფე სანადიროდ ემზადებოდა. ხმა გავრცელდა, რომ არწივს ჭივჭავთ მეფე სწვევიაო.

— აბა, ეხლა უშველეთ თავს, ვინც მალი ფრენა იცით და მოხერხებით იცით დამალვა! თორემ, ვაი იმის ბრალი, ვინც ამ ორ სისხლის მსმელს კლანჭებში ჩაუვარდებაო.

მიფრინავდნენ და მირბოდნენ შეშინებული ფრინველები: ზოგი ტყეში, ზოგი კლდეში, ბალახებსა და ბარდო ეკლებში ძერებოდნენ, იმალებოდნენ. მაგრამ ტყუილად ეშინოდათ წერილ ფრთოსნებს.

როგორც დიდებული იყო მეფე არწივი და დიდებული სტუმარიც ჰყვანდა, ისე დიდებულ ნადირობას უმზადებდა: ჯერ წეროებზე ინადირებდნენ და მერე, თუ შეხვდებოდნენ, ნველზედაც.

დიდებული სანახავი იყო ფრინველთა მეფე, როცა შესცურდა ლაჟვარდ ცაში და განიერი წრეები შემოიარა ჰაერში. თანდათან ძირსა რჩებოდა მშვენიერი ქვეყანა და იმისი მცხოვრებნი. ხოლო არწივი, რაც უფრო მაღლა ადიოდა, მით უფრო მეტად გრძნობდა თავისუფლების სიტკბოებას და გული სიამით ევსებოდა.

ეჰ, რა კარგია თავისუფალი ცხოვრება!

ცოცხალი იყო და შენი სიცოცხლე შენად არ გეგულებოდეს, ისევ არა სჯობია არ იყო, თუ შენი სიცოცხლე სხვის ნებაზეა დამოკიდებული.

ვინ იცის, რას ფიქრობდა ამ დროს არწივი, ქვეყანაზე ღრუბლებზევით ასული? რამდენს ალერსს გაუგზავნიდა მაღლიდან ძირს დამრჩალს, მონობაში სულნეხუთულს, მაგრამ მაინც საყვარელს სამშობლო მთებს და კლდეებს.

ბუ კი იჯდა ერთს მაღალ მთის მწვერვალზე და თავის მხლებლებით გარს შემორტყმული თვალს ადევნებდა არწივის ნავარდს.

ცოტა მზე უკვრეტდა თვალებში და რიგიანად ვერა გრძნობდა თავსა. მაინც ულურს არ იტეხდა, არ უნდოდა გაეგო ვისმე იმისი სიბეცე.

ხოლო არწივს არ მოუხდა დიდხანს ლოდინი, შორიდან მოისმა წეროების ყრუნტყრუნტი და ცაში გამოიძაბა იმათი ორტოტი გუთანი. ყველაზე წინ მოფრინავდა ერთი დიდი წერო, ბელადად წოდებული. თავის ღონიერი მხრებით ის მარდად და ღონივრად სჭრიდა ჰაერს და დანარჩენი წეროებიც გაკვალულ გზაზე უკან მისდევდნენ. გაორტოტებული გუთანი თამამად და უშიშრად მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ იმ იმედით, რომ ჩვენზე მაღლა სხვა ფრინველი ვერ აფრინდება და უვნებელნი ვართო.

არწივმა შენიშნა წეროების ლაშქარი, მაგრამ მაინც თავისი გზა განაგრძო, რადგან იმათი გუთანი პირდაპირ არწივისაკენ მიცურავდა.

არწივი სულ მაღლა-მაღლა მიიწევდა. წეროები კარგა ძირს დარჩნენ. აგერ შენიშნეს წეროებმა არწივი და მაშინვე გზა შეცვალეს,

დასავლეთისკენ მიბრუნდნენ. არწივიც მობრუნდა და კვალდაკვალ დაედევნა. შეშინებულმა წეროებმა ყვირილი ასტეხეს. უფრო მშიშარმა წეროებმა წრიდან გამოსელა იწყეს და ორტოტს შუა მოექცნენ.

არწივმა უყელა და თავგზა არეული წეროები წინ გაირეკა. მანამდე ატრიალა, ვიდრე იმ მთას დაუსწორდა სწორა, სადაც ბუ ბრძანდებოდა.

აგერ შეკუმშა მხრები არწივმა, გაიწურა, გაგრძელდა ისარივით და ქარიშხალზე უფრო სწრაფად წეროებისაკენ დაეშვა.

ჰაერში ლითონისებური ზრიალი გაისმა, თითქო სპილენძის თხელი ფურცლები იხევაო. ჰაერი შეინძრა, შხივილი და ზუზუნი იწყო. მოისმა საშინელი ქუხილი, თითქო კლდე გასკდაო და ელვასავით სწრაფად მხრებგაშლილი, გაფარჩხული კლანჭებით დაეცა წეროებს არწივი. ასტყდა საშინელი ყვირილი და ვაი-ვაგლახი. წეროები ერთმანეთში აირივნენ, გულგახეთქილები ცაში აქეთ-იქით მიიფანტ-მოიფანტნენ. ერთი წერო კი თოფნაკრავივით დატორტმანდა, ხმა ყელში გაუწყდა და ხის ფოთოლივით წამოვიდა ძირს ტრიალით.

არწივს არც კი შეუფერხნია, იმავე წამში ჰაერში ავარდა, წეროებს ზემოდან მოექცა და არხეინად, ვითომ და აქ არაფერიაო, დაიწყო ღრუბლებ ზემოდან ამაყად ცურვა.

წეროები კი ნოტო და ნოტო ზოგი აღმოსავლეთისკენ მიბრუნდა, ზოგი უკან და ზოგი ძირს დაეშვა.

არწივი იმათ ყურს აღარ უგდებდა. საზოგადოდ შენიშნულია, რომ არწივი არ არის ისეთი მოსისხლე, როგორც, მაგალითად, მგელი: ერთს მოჰკლავს ლომივით და დანარჩენებს ხელსაც არ ახლებს. თვალს ადევნებდა ფრინველთა მეფე, დაეცემა წერო ბუსთან თუ არაო. მართლაც ცოტა ხნის უკან ბუს ბანაკიდან კიჟინი და ჟრიამული გაისმა, წერო პირდაპირ ბუს წინ დედამიწაზე დაეცა უსულო, სისხლში მოსვრილი.

— გაუმარჯოს ჩვენ მეფე ბუს! — დაიღრიალა რაც ძალი და ღონე ჰქონდა გაკვირვებულმა ბორამ.

ეს კაი ნიშანია, თქვენო უდიდებულესობავ! როგორც ეს სისხლში გაბანილი უსულო წეროა თქვენს ფერხთა წინაშე გაფართხული,

ისე თქვენი მტერი და ორგული, თქვენგან დამარცხებული, შერცხვენილი და გაწბილებული თქვენს წინ გაერთხმის!

— გაუმარჯოს ჩვენს უძლეველ მეფეს! ურაა! ურაა! ურაა! — ღრიალებდა გაშმაგებით აღტაცებაში მოსული ბორა და სხვებმაც ბანი მისცეს.

ბუს ცოტა არ იყოს, შეეშურდა არწივის სიმარჯვე, თავის დღეში თვითონ წერო არსად არ დაეჭირა. აბა კი რას შეიმჩნევდა და ვითომ აქ არაფერიაო, ბრძანა:

— ეჰ, რას ღრიალებ, ბორავ, სადა მყავს მტერი, მე ვინ გამიბედავს წინააღმდეგობას. ჩემი სიტყვა ყველა ჩემი მეზობლებისათვის გადაულახავი კანონია. დიდება და ქება ეკუთვნის ჩემს მასპინძელს, ჩემს ძმა არწივს და გამარჯვებაც იმას უნდა მივულოცოთ.

— აბა გაუმარჯოს ჩემს მეგობარს და მოკავშირე არწივს, მთათა ბატონს! — ურაა! ურაა! — და გრიალით გაისმა ათასი ხმის შემოძახილი მთებსა და ხევებში. მით უფრო გაშმაგებით ღრიალებდნენ მხლებლები, რომ ბატონმა ასეთი დიდსულოვნობა გამოიჩინა და წეროზე გამარჯვება თვითონ არ მიითვისა.

ბუ, თითქო დიდი კაცის სისქო საყვირს აყვირებენ, ან ჯურღმულიდან ამოიძახიანო, ისე ყღრინავდა. დიდი სიხარული და კიჟინა სუფევდა. გულგახეთქილი ბეღურაები კი ამ დროს კანკალით და ცახცახით ფეხზე ძლივსღა იდგნენ.

ოჰ, რა საზარელი ჩანდა ამ დროს ბატონი ბუ! — თითო მტკაველი კლანჭები, რკინის კავივით ნისკარტი, გოგრასავით თავი, მუშტისტოლა ყვითელი ბრიალა თვალებით და შაქსდამდგარი ყურებით, სწორედ საშინელი რამ იყო.

განა გაუბედავდა ვინმე ბრძოლას ამისთანა გოლიათს? განა ქვეყანაზე იქნებოდა ვინმე ისეთი თავხედი, რომ ბუს ნებაზე არ გაეცლო? საბრალო ჭივჭავებო! თქვენი და თქვენი ცოლ-შვილის სიცოცხლე მაგის ხელშია, ვერავითარი სასწაული ვერ დაგიხსნით მაგის კლანჭებისაგან!

თითქო ბუს გაემარჯვოს და არა არწივსაო, ბუკნაჭოტები, პატარა ბუები და ბუკიოტები ისე აქებდნენ და ადიდებდნენ ამ თავის მოდგმის დამამშვენებელს ზარნაშოს — ჭივჭავთა ხელმწიფე ბუსა.

• • •

არწივისაგან შემინებული წეროები სულ დაბლა და დაბლა ეშვებოდნენ, ეტყობოდათ, ჩალიან-ლელიანებში აპირობდნენ თავის შეფარებას, ძირს რომ მოსჩანდა ტრიალს, ქვაბის ძირივით გულჩავარდნილ, მინდორზე. ბოლოს დასცდნენ მთას და იგრძნეს რა დედამიწის სუნი, ყვირილი შესწყვიტეს.

არწივი დაეშვა ბუსთან და გამარჯვება მიულოცა. შეუდგათ კიდევ ერიამული და განგაში.

— აბა, ძმაო, ეხლა შენი რიგია, შენ ინადირე, წეროები ბევრია, ძირს ჩამოვრეკე, ნუ გაუშვებთ. ზევიდან ჩემი ბიჭები დარაჯობენ და სანამ ჩალებში ჩაეშვებოდნენ, კიდევ მოვასწრებთ ნადირობას. — წახალისებულმა ბუმ ხელად დაიწყო სანადიროდ მზადება, გაგზავნეს შავარდნები და მიმინოები, რომ წეროებისათვის თვალი ედევნებინათ.

არწივი კი დაჯდა კლდეზე დასასვენებლად. ხოლო ბუმ შემოჰკრა მხარი-მხარს და შაერთო ღრუბლებში. თან წეროებისკენ ეპირა თვალი.

მიფრინავდა თამამად ბუ. მზე კი თვალებში უპყეტდა და უპყეტდა, მერე ადრე იყო და წეროებიც აღმოსავლეთისაკენ მიფრინავდნენ.

— დასწყევლა ღმერთმა, — ბურტყუნებდა ბუ, — რას მიშვრება ეს მზე. ლამის თვალები ამომწვას. დღეს ჩემს ჯიბრზე აშუქებს ასე, თორემ როდის ყოფილა კვლავ ასე გაბრწყინებული! — მზე კი თითქოს დასცინის ამ ბნელეთის შვილსაო, შიგ დიდრონ თვალებში ჩასცქეროდა და ალს ატრიალებდა.

მაგრამ აი, წეროებიც სულ ახლო მოსულან. ახლა ველარსად წაუვლენ.

— ვნახოთ, როგორ გავანადგურებთ ამ წეროებს. მგონი, არწივი სულ დაავიწყდეთ.

აგერ გამოერჩია ერთი წერო და ჩალიანებისაკენ დაეშვა.

— ვერ წამიხვალ, ჩემი ხარ,—ამბობს თავის გულში ამაყი ბუ.— ემ საათში შენს ლურჯ ბუმბულს ქარს წავაღებინებ, შე კანჭგძელო!

წერომ თითქო საფრთხე იგრძნოვო, ფრენას უმატა. მისდევს. ბუც გამალებული. აი, საცაა დაეწევა და აბოჭავს. ბუ უკვე წინდაწინვე დღესასწაულობს გამარჯვებას. არწივივით ძირს კი არ ჩაადგებს, გაკაკებულს არწივთან მიიყვანს. მაგრამ, აი, ხათაბალა. ეს დასაბნელებელი მზე შიგ თვალებში ჩაჰქუეტია.

ბუს თვალები უპრელდება. წეროს ორადღა ჰხედავს. თვალებზე ლიბრი ეკვრის. ეეღარ ჰხედავს რიგიანად. მაინც უღურს არ იტეხს. აი, ეცა წეროს, მაგრამ წერო შემოტრიალდა, ბუ აისხლიტა, ხოლო გაქანებული ჰიეჰავთ ხელმწიფე გაფარჩხული მხრებით და გაშლილი კლანჭებით წეროს დაჰერის მაგივრად ერთ ღრმა ჭაობში ჩაიჭრა და ყელამდე ტალახში ჩაიფლა.

ნადირობისგან გამოწვეული გატაცება და თავბრუდამხვევი მედიდურობის ცეცხლი ჭაობის წყალმა გაუნელა. მიიხედ-მოიხედა, ირგვლივ გაუვალი აზელილი ჭაობი ყარდა. შორითგან წეროების ჭყვირილი და ბაყაყების ყიყინი მოისმოდა. იფიქრა, ისე უნდა ამოვიდე, რომ არავინ დამინახოს, თორემ საბოლოოდ შევრცხვებიო. იწყო წევა და ფორთხვა, მაგრამ რამდენიც გაინძრეოდა, იმდენი ტალახი და წუმპო ზედ ეშხაპუნებოდა, მხრები მთლად მოესვარა, ამოიგანგლა, ჩურჩხელასავით გახდა, მხოლოდ თავიღა ჰქონდა მშრალი. იწევდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ატყაპუნებდა მხრებს, მაგრამ უფრო და უფრო ეფლობოდა და ბოლოს ისე ჩაიჭედა ტალახში, რომ ეეღარც კი იძვროდა.

გაეგოთ დედამთვრალებს (წივილა), რომ იმათ საბუდრის ახლოს ჭაობში რაღაც საზარელი ფრინველია ჩაფლულიო. საშინელი ყვირილით იკრიფებოდნენ, ბუს თავზე დასტრიალებდნენ და გულის გამაწვრილებლად წიოდნენ. შეეტყოთ გნოლებს, შოშიებს, ღალღებს, წუებს, ტოროლაებს, იხვებს, მწყრებს, წყანწყარებს და ათას სხვა ჯურის ფრინველს. მოფრინავდა იმათი ბოინი, და ბოინი, დასცინოდნენ და რომელსაც უფრო ჯავრი სჭირდა, ნიშნს უგებდნენ.

კურდღელიც მოსულიყო, ჭაობის პირზე უკანაზე წამოსკუპებულიყო და წინა თათს უქნევდა, გახსოვს, რამდენ ბაჭიას გამომასალმეო? მელიაც გაბრაზებით ჭაობს უტრიალებდა, რაღაც სისხლს ეძებდა, ერთი გამიშვით ი ცოდვით სავსე კისერი მოვაღრღნაო.

ხოლო იმისი ყმა ჭივჭავები ძალზე კანკალებდნენ. ასე ეგონათ, ჩვენი ბრალია, ჩვენ ვეღარ გავაძღეთ, ასე შორს იმიტომ წამოვიდა და აქ ასეთი უბედურება შეემთხვა, როცა ამოვა, სულ მუსრს გაგვავლებსო. შეუდგათ ჩოჩქოლი და თავში ცემა. როგორ? რა ექნათ? რა ვუშველოთ? ბოლოს როგორც იყო მოიტანეს ერთი გრძელი ბაწარი. მოიშველეს ყველა ბეღურა, სადაც კი ხმა მიუწვდებოდათ, ჩაიბეს მხრებში და დაუწყეს წევა. ბევრი მოკედა, ბევრმა წელი მოიწყვიტა, ბევრი გაისრისა ხალხის ფეხით, ბევრი ტალახში ჩარჩა. გაჭირვებულებმა სთხოვეს შველა სხვა ფრინველებს, მაგრამ იმათ ზიზღით შეხედეს საბრალო ბეღურაების გაჭირვებას, ზედ მიაფურთხეს მეფისთვის თავდადებულებს და თავის გზას გაუდგნენ. ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იყო ამოათრიეს ჭაობიდან თავისი ბატონი ბუ, თუმცა ძალიან და ძალიან ძვირად კი დაუჯდათ ეს ბეღურეთსა.

საცინელი იყო ამ დროს ბუ: ამოგანგლულს, გაწუწულს, გაბეჩავებულს თავიდან ფეხებამდე ტალახის წუნწკლი გასდიოდა. მაღლიდან მზე უჭყეტდა და დაცინვით ენას უყოფდა, წეროები კი ორი ხელით ქოქოლას აყრიდნენ თავზედა!

• • •

დაუწყეს ბანა და გაუფთავება ჩიტებმა თავის ბატონსა. ჯერ ზურგი და მხრები მოჰბანეს, მერე მკერდი და მუცელი. ხოლო ახლა ფეხები ჰქონოდა ჩამოსაბანი. რადგან ტალახი იყო, უნდა აეწიათ და სათითაოდ ისე დაებანათ ფეხები. დაეჭიდნენ ბეღურაები ფეხის ასაწევად, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ. აუწიეს კიდეც, მაგრამ ამ დროს ისეთი რამ მოხდა, რამაც მთელი საჩიტეთი შესძრა და შეარყია.

ცალი ფეხი რომ აუწიეს, ბატონ ბუმ ცალ ფეხზე ეეღარ შეიმაგრა თავი და ყირამალა გადავარდა ტალახში, შეშინებული ჭივჭავები აქეთ-იქით მიიმალ-მოიმალნენ, რაღას მიეკარებოდნენ შიშით, ხელმწიფე ტალახში წავაქციეთ და ძალიან ამოიყრის ჩვენს ჯავრსაო, ვაი დაღუპულო ოჯახოვო!

ბუ კი ფორთხავდა ტალახში და თან სიბრაზით იხრჩობოდა!

• • •

თოფის ხმასავით მოედო სანუგეშო ხმა ბეღურეთს: აბა დრო ეხლა გვაქვს, ბუს მონობა თავიდან მოვიშოროთო, ისეთი უღონო ყოფილა, ჩვენ რო უძლეველი გვეგონა, რომ ერთი ფეხის აწევით დაუციათ ძირს ბეღურაებსაო. დიდი ჩოჩქოლი და მიხლა-მოხლა იყო.

გადაწყვეტილი იყო, უნდა თავს დასცემოდნენ ბუს და წინანდელი ჯავრი სულ ეხლა ამოეყარათ. ყველა ემზადებოდა, ყველა გულში შუშტს იცემდა, იმუქრებოდა...

• • •

შეორე დღეს წინ შემხვდა ბეღურაების ლაშქარი, ბრძოლიდან დაბრუნებული, აქ იყო მოხუცი, ახალგაზრდა, დიდი, პატარა, ქალი და დედაკაცი. ყველას ნისკარტით თითო ბუმბული ან ფრთა მოჰქონდა ნიშნად ბუზე გამარჯვებისა. ამით აჩვენებდნენ თავის შვილებს, რომ ბუს ბატონობას ბოლო მოეღო და ბეღურეთი თავისუფალი იქნებოდა ამას იქით!..

მინდორში ბალღებს ენახათ გაწიწკნილი ბუ. გამოსდგომოდნენ კომბლებით მოსაკლავად, მაგრამ ერთი ბებერი წნორის ღრუში შესძრომოდათ და ველარ გამოეყვანათ.

[1906 წ.]

# მოგზებიანი საქმე

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ორი ძმა— კაცი, ერთად შეზრდილი და შეთვისებული. ყველა სიკეთესთან ის ზნეცა სჭირდათ, რომ ორივე მეტისმეტი ზარმაცი და მცონარა იყვნენ. თუ რითა ცხოვრობდნენ, ეშმაკმა იცოდა იმათი თავი და ტანი. ყველას მაყარი და ამფსონი კი ისინი იყვნენ.

— რათ მინდა ხვნა და თესვა. იძახდა ერთი. — მოხვნას საქონელი უნდა, საქონელს—მოვლა, გამოკვება. საკვებავს გათიბვა და მოგროვება. მერე თიბვა გულის ზაფხულშია, ადვილად დასიცხავს კაცს, დასცდის, ციებ-ცხელებას დააწყებინებს, ჩავარდება ლოგინათ, შესაძლებელია — დაჭლექდეს კიდეც.

არც ბზეა ადვილი საშოვარი. იმასაც მომკა უნდა. სანამ მომკი, უნდა მოხნა, დათესო, დაფარცხო, მორწყო. მერე ვინ იცის მინდორში გაშვებულ თესლს რა ხიფათი ხვდეს. ან ფრინველმა აკენკოს, — მერე ამოდენა მტრედი, შოშია და ჭილყვავი იცის ჩვენში ხნულებში, ან თაგვმა გაზიდოს, ან სიცივემ გაალაყოს და მოაზროს. ზაფხულში გვალვამ ამოწვას, ან დასეტყოს, ან კალიამ მოძოვოს. ვინ იცის, ახლა რამდენი მტერი ჰყავს კაცს: შერეკავს ვინმე ოხერი მშიერს გუთნეულს და მშვიდობით ამაგო!

— არა, ამ ხელობას ყველა ხელობა სჯობია: ყველაფრისა მე უნდა მეშინოდეს, სიცხესაც და სიცივესაც, ცისაც და დედამიწისაც. ყველა ჩემს ოფლს იტაცებდეს და ემტერებოდეს.

— მე და ჩემმა ღმერთმა, მართლა ჭკვიანი ჰყოფილხარ, ბიჭო, აქამდე არა მჯეროდა, თუ მაგისთანა გოგრა იყავ. აბა მიწის მუშაობა რა ხელსაყრელია. ჩვენ გლეხობა იმიტომ ვართ ღარიბები, რომ მიწას ჩავცქერიგვართ. აბა უყურე, ყველაზე ღარიბი, გაჭირვებული, მშიერ-ტიტველი მიწის მუშა გლეხია.

ვინც მდიდარია, — კაი ცხენზედ ზის, ან ეტლით დაბრძანდება, კარგი აცვია, უკეთეს სვამს და სჭამს, მორთულ სასახლეში სდგას. მტვერს წკიპურტით იბერტყს, იმას მიწის მტვერი არ უყლაპვია, მუშაობით არ მოღალულა, შუბლიდან ოფლი არ მოუწურია, არ იცის, რა არის შრომით მოღალვა, რა არის შიმშილ-წყურვილი, საწყალი ხალხის გაჭირვება. სხედან, ყველაფერი მზამზარეულად მოსდით, ბრძანების მეტი არა ეხარჯება რა, ყველა იმისთვის მუშაობს ფუტკარივით, ყველა იმის საკუჭნაოში, ბეღელ-მარანში მიეზიდება თავის ნაწვავ-ნადაგსა.

— ბატონობა ადვილი იქნება, არა? — სთქვა ერთმა.

— არც დიდკაცობა იქნება ძნელი, — სთქვა მეორემ.

— რა ძნელი უნდა იყოს, თუ უსწავლელი გლეხის შვილი პირუტყვის ფარებს უვლის, არც ჰკარგავს, არც მგელსა და ნადირს ატაცებინებს, ხალხს რა დიდი მოვლა უნდა; სად გაიქცევიან, ნუთუ პირუტყვებს აღარა სჯობიან?! დიდკაცობა ის არის, დიდი ჭკუა გქონდეს, რაც შეიძლება, ისე მოიქცე, იმდენი მოახერხო, მეტი გამოსცინცლო ხალხს, სადაც სხვა ყველაფერს იპოვნის, შენ იქ ძალით მაათხრეინო და მაატანინო. აი ეს არის დიდკაცობა.

— ნეტა ჩვენც ბატონები გავხდეთ! — ინატრა ერთმა.

— რა გიკვირს, არ მომიხდებოდა ბატონობა, თუ?

არც ბატონობაა ძნელი. წამოწექ, კარგი სვი, კარგი ჭამე, საუკეთესო ჩაიცვი და დაიხურე, ბიჭებსა და გოგოებს უბრძანე: „ეი, შეთხის თავო, მოიტანე ისა, წაიღე ესა! მოგვართვი, ბიჭო! ე, შე დათო, წადი ბიჭები ნახე, არ დაიძინონ, არ იცუღლუტონ, საქმე ბეჯითად აკეთონ! ე გლეხებზე ზარმაცი და უქნარა ღმერთს სხვა არ გაუჩენიაო“ და ამისთანები.

აღმოჩნდა, რომ ქვეყანაზედ ბატონობაზედ და დიდკაცობაზედ ადვილი და სასიამოვნო არაფერია. არც არაფერს აკეთებ, არც თავს იტკენ, ყველაფერი კი უხვად და თავისთავად მოგდის და მოგ-

დის. რა გინდა სულო და გულო! იმათთვის სხვები მუშაობენ, იმათ მოჰყავთ პურიც, ღვინოც. საქონელსაც ისინი უზრდიან, ფულიც იმათ მოაქვთ. ფული ხომ ისეთი რამეა, რომ ოღონდ ფული გქონდეს, თორემ დანარჩენი ყველაფერი ფულს მოჰყვება. ოღონდ ფული გქონდეს, აღარც მუშაობაა საჭირო, ყველაფერი მოგივა, რასაც მოისურვებ.

— მაშ ფული მაინც ვიშოვნოთ როგორმე, ბატონობაზედ და დიდკაცობაზედ არც ეგ ყოფილა ნაკლები, — სთქვა ერთმა.

— კოო, ძალიან კარგი იქნება, ადვილი შესანახი და სასიამოვნო მოსახმარი. — დაეთანხმა მეორე.

სათქმელად ადვილი იყო, მაგრამ შოვნა ძნელი იყო.

— აბა როგორ ვიშოვოთ? — სთქვეს ერთად.

— მოვიპაროთ? გაგვიგონ, ციმბირში გვიკრავენ თავსა.

— გავცარცოთ ვინმე? საღრჩობელაზედ ჩამოგვაკონწიალებენ, თუ დაგვიმტკიცდა.

არც ეს გამოდგა. ისეთი ვერაფერი მოიგონეს, რასაც შრომა არ სჭირდებოდა, მაკრამ შრომით გაძდიდრებული ამათ არავინ ენახა ჯერ. მაგალითი თვალწინ ჰქონდა: გლეხებზედ მეტს არავინ მუშაობდა, მაგრამ იმათზე ღარიბი კი არავინ იყო.

აბა, ფულს უიმისოდ ვერავინ იშოვიდა, თუ სხვას ისე არ დასცინცლიდა, რომ ვერავის რა გაეგო.

ასეთ ხელობათ ვაჭრობა დასახეს.

სთქვეს: წავიდეთ, საწვრილმანო ვიყიდოთ, კაპეიკიანი შაურად გავყიდოთ, შაურიანი აბაზათ და როგორც სხვა ვაჭრები, ჩვენც გავმდიდრდებით. ეგ ხომ სირცხვილი არ არის. არც დიდი ჯაფა უნდა, ოღონდ ტყუილის უნარი გქონდეს.

ძალიან მოიწონეს.

აწონ-დაწონეს, მცირე თანხით ცოტა ხანში დიდი ფული მოიგეს თავის ფიქრით.

ბატონობაზედ ნაკლები არც ეს ხელობაა, სთქვეს, აქ თუმცა შენ არ უბრძანებ, გააკეთო, მაგრამ ხალხი თავისთავათ აკეთებს შენთვის, შენ მხოლოდ ეცადე, რაც შეიძლო მეტი დასტყუოო.

მაგრამ მეწვრილმანობა ისე სახეირო ვერ გამოდგა.

საწვრილმანო შეიძლება ადვილად დაიმტვრეს, დაიჭყლიტოს, დასველდეს, დაიპნეს, დაიკარგოს.

მეწვრილმანეობას ისევ მიკიტნობა არჩიეს. ეს იმისთანა ხელობაა, რომ თუ კი ყოჩაღად მოიქცევი, შეგიძლიან შაურით მანეთი გააკეთო. კაცი დაითრო, რაღა ახსოვს, ერთს დანახარჯს რამდენჯერმე გადაახდეინებს, დასალევი ღვინოც უკან დარჩება. ეს კია, თუ არ ხალდზედ, ნისია არავის ანდონ. წავა, ნისიას წაიღებს, მერე აღარც ხისიას ძოიტანს, აღარც თვითონ მოვა. ჯანი გავარდეს, ნისიას ვინღა ჩივის, თუ ძერე მაინც მოვა სავაჭროდა. ხეირს გაჩვენებს, ნისიას აღარც კი გამოეკიდები. ნისიად გამყიდავი თანხას ვერ შეკრავსო.

იყიდეს ერთი პატარა ბოჭკა არაყი, დაუდვეს ხელის ურემზედ. შეებნენ შიგ და გასწიეს სოფელ-სოფელ გასაყიდად.

ასე ამჯობინეს, რადგან სახლის ქირა და სხვა ხარჯები არ მოუვიდოდათ რა, რაც მოგება დარჩება, სულ ჯიბეში ჩარჩებაო.

სოფლამდე დიდი გზა ჰქონდათ გასავლელი. აღმართ-აღმართი გზა იყო. გვარიანად ძოიღალნენ, მოშივდათ კიდეც და გადასწყვიტეს დასვენება.

გადააყენეს გზის იქით მწვანეზედ, ამოიღეს საგძალი, დასხდნენ, დაიწყეს შენაყრება. ხმელა პურის ჭამა გაძნელდა, მშრალი ლუკმა ყელმა აღარ ჩაუშვა, ბოჩკა აქვე დგა არაყით, მაგრამ ძნელი ის არის, რომ თუ არ ნაღდზე, არ შეიძლება ისე დალევა, სიტყვას ხომ ვერ გადავლენ?

— რა კარგი იქნებოდა თითო არაყი დაგველია, არაა? — სთქვა ერთმა.

— ძალიან დავიღალე, ცარიელს პურს რა შესჭამს.

— ფულის საქმე არ არის? შენ ფული მოიტა, ჩემი საქონელი. ჩემზედ უფრო უპრიანი არ არის! — სთქვა მეორემ, — ნისიად კი არ დაგალევინებ, ნუ გეწყინება, ჩემო ძმაო.

მოიქექა ჯიბე პირველმა ამხანაგმა. ბედად ჯიბის კუნჭულში შაურიანი არ ჩაჰრჩენოდა!

— იფ, იფ! აბა დაასხი, აჰა, შაური, — სთქვა ტუჩების ლოკით პირველმა. თან ხელებს იფშვნეტდა და სიამოვნებით შესცქეროდა, პილატეს ცრემლი როგორ მწვანედ ჩამოდიოდა ჭიქაში.

— გაგიმარჯოს, ამხანაგო, ხელი მოგიმართოს, ხეირზედ გატაროს, აბა ჰა პირველი სიფთაა!

ყლურწ!

— გაამოს!

— მადლობელი ვარ! შენც გაგიმარჯოს!

— ოჰო! — სთქვა მეორემ, — ე ფული მეც ვიშოვე, შემიძლიან ნაღდზე დავლიო.

— აბა, გენაცვალე, აჰა შაურიანი, ერთი მეც დამისხი, ჩავცეცხლო! — ამანაც გაისველა ყელი.

ასე მიაყოლეს, ორივე ნაღდზე სვამდა. შაურიანი ხელიდან ხელში გადადიოდა. გოგრებიც შეუხურდათ.

სხვაზედ გაყიდვას, აზირ ერთმანეთშივე გაესაღათ, ის არ სჯობდა? გაუთავებელი ღმერთს არა უბრძანებია რა. ბოჩკაშიაც გამოილია, რაც იყო, არაყი.

ახლა დასხდნენ მოგებისა და თავნის საანგარიშოდ და სულ ერთი შაური აღმოაჩნდათ ნავაჭრი.

როგორ მოხდა ეს, ვითომ სულ ნაღდზედ ჰყიდდნენ?

[1905 წ.]

# ცასწავალამ როგორ მოიხვეჭა სახელი

აქამდე შარა გზაზე დაფრინავდა, დაბნეულ მარცვლებს კენკავდა, თან თეალს ადევნებდა ამდინარ-ჩამდინარ ხალხსა. ესმოდა მათი კვნესა და ოხვრა. ხედავდა, მძიმე რკინის ტაბიკიან უღელქვეშ საქონელი როგორ ხვნეშოდა. თან მუდარებით შესცქეროდა ამვლელ-ჩამვლელს, აეხსნათ უღელი, მაგრამ თითქო ვერავინ შენიშნაო, ყველა არხეინად უქცევდა გზას, ან სახრეს და მათრახს სცემდა. „იქით მიდექ, შე ოხეროვო!“ თვითონ კი იფნის სახრისა და რკინის ტაბიკების მონა-მორჩილი გამხდარიყო. ან ეტლში შებმულ ცხენს ოფლი როგორ წყალივით გასდიოდა და მხედარი მაინც სცემდა...

ესმოდა მეურმის მწარე ღიღინი, როგორ გულიდან ამოჰკვნესოდა ეს ბედისგან დაჩაგრულ-განადგურებული; ეს საქონელზე უფრო გაქელილი და გაპირუტყვებული, მის დღეში მაღლა თავაუღებელი, ძიწის ჩამაცქერალი, ცისაგან და ამა ქვეყნის ძლიერთაგან მხოლოდ რისხვისა და განადგურების მომლოდინე, ხალხში გაურეველი, ხმაამოუღებელი, მასხარადაგდებული და გათახსირებული. თავის ნაღელისა მხოლოდ გზისა და მინდვრის გამზიარებულ ურმის კოფოდან მამა-პაპათა მწუხარე ლექსით:

> გლეხიკაცი დაიბადა,
> დაიწეა და დაიდაგა,
> ხელში ჰქონდა იფნის სახრე.
> მტკაველი არ გაიზარდა.

ან თავის ვირ-ვარამში ძმისა და ამხანაგის, — თავის კამეჩის გამამხნევებელი:

კამეჩი ღონიერია,
უღელსა ზიდავს ხისასა,
გაუპირდება, წაიღებს
თავისასა და სხვისასა.

კამეჩიც ხვნეშოდა და თითქო პატრონს გულისწუხილს მიუხვდაო, თავს არა ჰზოგავდა და კუდისქნევით მძლავრად აწვებოდა უღელს.

თუმცა ბეჩავი ცასწავალა ზამთარში თვითონაც სიცივითა ფიჩხდებოდა, მაინც დაგლეჯილ ფარაჯაში გახვეული გლეხი თავისზედ მეტად ებრალებოდა. გაყინული ცდილობდა მომძრალი ხელები უბეში ჩაეყო მოსათბობად, მაგრამ თბილი მკერდის მაგივრად გაყინული ხორცი ეკრა ძვლებზედ, ჰხედავდა მიწისმუშას, როგორ სოფლიდან სოფელში ზურგით მიჰქონდა წისქვილში საფქვავი და რამდენი გამაძღარი ბღენძით მიაჭენებდა ეტლსა.

— ბატონო, — ეხვეწებოდა მუშა ღიპგადმოგდებულს ეტლში მჯდომს, ხალხის სისხლით გაბერილ წურბელას, თოელისგან კოჭებგაწითლებული, — ღმერთი გადღეგრძელებს, ეს პარკი მეეტლემ სოფლამდე მიმიტანოს. თოელია, ვერ ვატარებ, ვაი, თუ გზაზედ დამიღამდეს, ნადირმა გამაფუჭოს.

— რას ბიჭარაე, ‘შე ვირო? — უყვირის ზიზღით ბატონი, — ვისა ჰხედავ შენს ტოლსა? რა ყურს უგდებ მაგ ოხერს, გარეკე ბიჭო!

ამის შემდეგაც კიდევ კარგა ხანს ილანძღებოდა და შფოთავდა ბატონი და „დროების გაფუჭებაზე“ და უფროს-უმცროსობის დაკარგვაზედ ფილოსოფოსობდა.

ჰხედავდა ზაფხულში პიროფლიან ბიჭებს, ხვითქგადადენილებს, ესმოდა მათი „ჰოპუნა“ და ნამგლების სასიამოვნო წკრიალი გამხმარ ყანაში, მიყრილ-მოყრილი ძნა და დაფორიაქებული მწყრებისა და ყანის მდგმური პატარა ფრთოსნების ფრთხიალი. ესმოდა მუშის მოთქმა თავის წარსულ-აწმყოზედ.

გლეხს როდის გაუთენდება,
ან როდის გასთენებია,
როდის ყოფილა მოლხენით,
გული არ დაჰღონებია.

თავისუფლება ბილშიც კი
ბეჩავს არ მოსჩვენებია.
თავის საკუთარ კერაზე
შვილი არ დაპბერებია,
არც ვაჟი კაცად ჰქცევია,
არც ქალი გასთხოვებია!
პურით არავინ გამძღარა,
ღვინით არ ზიარებულა,
ვინც იმის სისხლი არა სვა,
აბა ვინ აშენებულა?!

მუდამ გაჭირვება და წუთისოფლით გაუხარლობა!

ჰხედავდა თავის ამხანაგ და მეზობელ ჩიტებს და მრავალს სხვა წვრილ ფრთოსანთ მონადირისა, მელიისა, კვერნისა და კიდევ თავისივე მოდგმის ალალ-შავარდნების მსხვერპლს და იმათ ლუკმას. ჰხედავდა მუდამდღე ამათ ჟლეტას და დაფორიაქებას, იმათ უმწეობა-ულონობას, უპატრონობას და გაწყვეტას. არავინ ქვეყანაზედ მათ არ ინდობდა, ყველა სდევნიდა, ხოცდა, იქერდა, ბუდეებს უნგრევდა, კვერცხებს უმტვრევდა, ბარტყებს უხოცდა და ერთი არავინ იყო, რომ ამ დაბეჩავებული სულდგმულებისათვის სხვა უკეთესი ცხოვრება დაეხატნა, დახსნის გზა ეჩვენებინა, სული ჩაედგა ბრძოლა-წინააღმდეგობისა.

ჰხედავდა ყველა ამას ცასწავალა და გულში მოუთავსებელი გრძნობა ებადებოდა. ეს გრძნობა თანდათან იზრდებოდა, დიდდებოდა და თან მთლად იმის არსებას ბატონ-ბრძანებლად უხდებოდა. ამ გრძნობასთან ის სრულიად აღარა ჩანდა, სურვილად იყო ქცეული. ეს სურვილი კი უსაზღვრო და შეუსრულებელი იყო, უფრო ფანტაზიას ჰგავდა, ვიდრე სინამდვილეს. ეს ფანტაზია იყო იმისი სიცოცხლე, იმის სულისჩამდგმელი მაცოცხლებელი მზის შუქი. თვითონაც არ ჰქონდა კარგად გამორკვეული ამ სურვილის საზღვარი, თუმცა გრძხობდა კი, რომ ასეთი ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, რომ რითაც იქნებოდა ხალხს უნდა გაეღვიძნა და ახალს სიცოცხლეს მოჰბღაუქებოდა ძხსნელ ფიცარივით, ძველი ყოფაცხოვრებისათვის მძლავრად ჩაეცხო წიხლი.

და, აი, იწყო გალობა და გალობა. გალობდა თავის ერთნაირ ამოხმებთან შეუზავებელ ხმით, გალობდა მდაბიო მოუხეშავ სიმღერას

ძაღლა ასული; ეს სიმღერა იმით იყო კარგი, რომ ყველას ესმოდა, შიგ დაფარულ-დამალული არა იყო რა, თავის გულის ვარამს, თავის სათქმელს, თავის საწადელს მაღლა ჰაერში ამბობდა, რომ ქარს ოთხივკუთხივ გაეფანტა. ამ დაჩაგრულ ფრთოსანთ იმისი გამბედაობა ჰხიბლავდა, გულადობა აკვირვებდა. ჰხიბლავდა კაცთა ნათესავთაც ეს უმწიკვლო, უანგარო ხმა პატარა მგალობლისა; თავი მაღლა აიღეს და გულდასმით დაუგდეს ყური.

— თქვენ ხომ მიწას ვერ მოჰშორებიხართ და შიშით მაღლა ვერ აგიხედნიათ, — უსაყვედურებდა თავის მოდგმის წვრილფრთოსნებს ცასწავალა, — აბა, მე მიცქირეთ, ეს პატარა როგორ ავფრინდები ცაში, რომ ძაღლებმა ვეღარ დამიჭირონ და ბალღებმა კომბლები ვეღარ მესროლონ.

და დაიწყებდა თავის წკრიალა „ცას წავალ, ცას წავალას“[1] და მისი ვერცხლივით წკრიალა ხმა გაზაფხულის სითბოსავით მოედებოდა არემარეს. და პატარა მხრებგაშლილი ტრიალით მიისწრაფოდა ცის სივრცეში, კირკიტები და კვირონები რომ დასცურავდნენ, იმათ მაღლა ადიოდა და ადიოდა სულ ზევით და ზევით, ღრუბლებისა და არწივების საბრძანებელში, სადაც მერცხლების ჭიკჭიკი და ყორნის ყრანტალი სრულიად არ ისმოდა. თვითონ მიმინოც კი შურით სკდებოდა, რომ ის ერთი წიწკნა მგალობელი ასე მაღლა აფრინდა და სხვებსაც იქ იწვევდა.

— ვერ უყურებთ ამ მასხარას! — იძახდა მიმინო, — ჩვენზედ მაღლა აფრენა სურს.

— შეაშინე მაინც, თუ არავისი გრცხვენიან. ყველამ რომ აქ მოიწადიხოს ამოსვლა, მსუქანმა მწყერებმა, რომლებიც თავის დღეში ხეზედაც არ შემსხდარან; მამლებმა, ნაგვებს რო ჰქექენ; ინდაურებმა, ბანიდამაც რომ ვერ ჩამოფრენილან; წიწილების დედაკრუხმა, კაკკაკი რომ ვერ მოუშორებია და საბძელ-ბოსელების განუშორებელმა ჭივჭავებმა, ან თუნდა მსუნაგმა ყვავმა და ათასმა უთელელ-ურიცხვმა ჩიტებმაც, რომლებმაც ჭია-ღუების ჭამის მეტი არაფერი იციან, რა იქნება მაშინ?! არწივი სადღა წავიდეს? ჩვენ რიღათი ვიცხოვროთ?

---

[1] ხალხი ამბობს: ტოროლა იძახის, როცა მაღლა ადის, „ცას წავალ, ღმერთს ეტყვეო! მერე როცა დაეშვება: „ეტყუე, ეტყუე, ეტყუეო“!

წეროებიც კი გაკვირვებულნი შედგნენ, ცასწავალას გრძნობით აღსავსე გალობა რომ მოესმათ ამ მზის სხივების სამფლობელოში.

— ვინ არის? ნუთუ სმენამ მოგვატყუა? — არა სჯეროდათ, თუ აქამდე სუსტი ტოროლა ამოფრინდებოდა, ალბათ ეშმაკური რამე იქნება, ჩვენს გასაბრიყვებლად მოელვნილიო.

ხოლო არწივი მძიმე ფიქრს მიეცა. იმას კი, იმ თამამ ცასწავალას, არც არწივი ახსოვდა, არც წეროების გაბმული გუთანი, არც მიმინოს მუქარა. ის მიიწევდა სულ მაღლა და მაღლა, სადაც ბამბასავით თეთრად გაპენტილი ღრუბლების ნაგლეჯები გარს ეხვეოდნენ ამ პატარა მგალობელსა.

ეთერი ცისა, გაჟღენთილი ცასწავალას იმედიანი გალობით, გაკვირვებული უსმენდა და შესცქეროდა ამ ერთ ბეწო ფრთოსანს, რომელიც არ მოერიდა არც არწივზედ მაღლა აფრენას და არც ღრუბლებთან ბაასს. თვით ვარსკვლავები თვალების ფშვნეტით ათვალიერებდნენ ამ ცის სტუმარსა.

— ჰე! — ამბობდნენ მდინარის პირზედ მსხდომი ჭია-ღუების მჭამელი ჩიტები, ჭალებში და ყანებში მოდებული წერილ-ფეხობა, — აბა, რა პატარაა ე ცასწავალა, ხომ ვიცით, ჩვენთან გაიზარდა მინდორში. მაგისი დედ-მამა ჩვენს მინდორს არ გასცილებია და ზამთარში სიცივით ჩვენთან კვდებოდა ბექებსა და ბელტებქვეშ ამომჯდარი. თუ ის აფრინდება ეგრე მაღლა, ჩვენ რაღა ვართ? თუ ის შესძლო, რომ ეგრე მაღლა აფრინდა, განა მაგისი სხვა სიტყვა მაგრეევე ჭართალი არ იქნება?! მაშ ჩვენც შეგვძლებია ჩვენს თავს ვუპატრონოთ, ალარავის დავეჩაგვრინოთ და შევეჭმიოთ. ჩვენც შეგვძლებია თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებაზედ ოცნება.

* * *

იმამდე ბულბულიცა გალობდა, მაგრამ ვინ უგდებდა ყურს შეყვარებულებისა, მგოსნებისა და ცხოვრებისგან გალაღებულთა მეტი?! მოსწონდათ, სიამოვნებისა და აღტაცების ცრემლებიც მრავლად დაუღვრიათ.

— ბულბულზე უდიდესი მგალობელი ქვეყანაზე არავინ იქნე-

ბაო, — იძახდნენ. ბულბულსაც თავისი გალობით ძალიან თავი მოჰ-ქონდა. ჰქონდა კიდეც თავი მოსაწონი. ვისგანაც კი ცხოვრებას ამ დროს ფასი ედო, აქებდნენ ბულბულს და ცამდის აპყავდათ. მაშ, არ მოიწონებდა თავსა?

მაგრამ განა მარტო შეყვარებულნი, მგოსნები და ცხოვრებისა-გან გალაღებულნი იყვნენ ქვეყანაზედ? სხვანიც იყვნენ, სხვანი... ღამე, როცა ბულბული გალობდა, ისინი მოღალულნი მკვდრებივით ეყარნენ და ეძინათ ჯაფისგან წელმოწყვეტილებს.

დილით, როცა ბულბული განთიადს ქებათა-ქებას შეასხამდა, ძუ'ძა მკლავზე ხამგალგადებული სამკალში გარბოდა, ნამგლისა და ცელის წკრიალი ბულბულის ხმას ჰფარავდა და აყრუებდა. რა ბულ-ბულისა სცხელოდა დაკუზულს, ოფლშიმოხარშულს, ყელგამშრალს ძუ'ძას, ხრინწიანი ხმით, რაღაც სიტყვებს რომ ბუტბუტებდა. ხალხს ეშდურობდა, ბედს თუ თავის მასაზრდოებელ მიწას, რომ ასე ძუნწობ-და და სულ ნაკლებსა და ნაკლებს მოსავალს აძლევდა?

არა! რა ჰქონდა დედამიწასთან დასამდურებელი? არც გულს შე-იცვლიდა ადვილად, თუკი იმის ხელში იქნებოდა. მაგრამ ვაი, რომ შორიდან შესცქეროდა ამ თავის მშობელ დედას, სხვისა ხელში დე-დინაცვლად გამხდარს, ძუძუგამხმარს, მეტისმეტი წეწვა-გლეჯით გა-მოფიტულს, ძალაგამოლეულსა!

— რა გიყო, ჩემო ძმაო, — უპასუხებდა დედამიწა, — შენც ხომ თითქმის დაჰბერდი და ისევ მე შემომცქერიხარ, შენი მამა-პაპა და პაპის-პაპანიც მე 'შემომცქეროდნენ, დრო არ არის, მეც მოვიღალო და ვეღარ გავძლო? მაინც გულს ნუ გაიტეხ, ისევ დედად დავრჩები, წინ ეცადე მიხსნა. შენს ხელში ისევ დედა ვიქნები — მიწა ეუბნე-ბოდა, თუ მიწის მაგივრად თვითონ ბურტყუნებდა, ეს თვითონაც არ ესმოდა.

■ ■ ■

თუმცა ბულბული უდიდესი მგალობელი იყო, მაგრამ ამ დროისთვის იმისი ტკბილი ხმები აღარ ვარგოდნენ. ბულბულის ტკბილი გალობა აღარ აკმაყოფილებდა ტანჯულთა ხროვას. ვინ იცის, ბულბულსაც

რომ გაებედნა და ცხოვრების მოთხოვნილებასთან შეეთანხმებია თავისი დიდებული ჰანგი, ის უფრო სახელოვანიც შექმნილიყო და ცასწავალა ვეღარც კი შეენიშნათ.

ამ ტვირთმძიმეთაც უყვარდათ ტკბილი ხმები, ესენიც გრძნობდნენ ბუნების სიდიადეს და მშვენიერებას, როცა ლუკმისათვის ზრუნვა დღეს ღამედ არ აქცევინებდა.

[1008 ნ.]

# მიხო და მწვანე ქალია

მეტად კარგი და მოყვარული დედა ჰყვანდა პატარა მეძროხე მიხოს. ან როგორ არ ეყვარებოდა, თავისი ახალგაზრდობა მიხოს შესწირა: ოცი წლისა იყო, როცა ქმარი მოუკვდა და მიხოც ძუძუთა დაჰრჩა. რამდენი ძთხოვნელი მოსდიოდა, რამდენი უჭირებდა საქმეს, მომთხოვდიო. ზოგი საქვრივო ფულს უმტკიცებდა—ეექსილს აძლევდა; „მიხოსაც თან წავიყვანთო, — ეუბნებოდნენ, — საკუთარ შვილივით გავზრდითო“, მაგრამ მიხოს დედას ვერავინ გადაათქმევინა თავისი აღთქმა, რომ ჩემს დღეში არ გავთხოვდები და ორჯერ არ დავაობლებ ჩემს მიხოსაო.

— უწინამც დღე დამლევია, რომ მიხოს ძუძუ სხვას არ მოაწოვოს დედაშენმა, ჩემო დამმარხველო! შენ გენაცვალოს დედის ორივ ძუძუები, ჩემო დიდო ვაჟკაცო! — მალ-მალე ჰკოცნიდა და ჭირსა ჰპარავდა დედა მიხოსა.

ეს „ვაჟკაცი“ კი სულ რვა წლისა იყო და მიწას ძლივს ასცილებოდა. ბაგრამ „ვაჟკაცსაც“ ისე ეჭირა თავი, თითქოს მართლა უკვე კაცი იყო და საშინაო საქმეს მოზრდილივით კითხულობდა.

ჯერ ექვსი წლისა ძლივს იყო მიხო, რომ ხბორებში დადიოდა. დილით ჯერ დედის ძუძუებს მიეალერსებოდა და მერე საგძლით გაშართული გასწევდა ხბორებით ეკლესიისკენ, სადაც სასაფლაოზე კარგი ბალახი იცოდა. იქ საფლავის ქვებს ქვეშ ჩიტის ბუდეებს ეძებდა,

ან ტიტასა სთხრიდა, ხუხულებს აწენებდა სიპი ქვებისას, ან პატარა წყაროზე დგნალის ქერქის ღარებს უდებდა, ვითომ წისქვილის დასაბრუხებლად. ან ხიდსა სდებდა, წყალს აგუბებდა; მერე, როცა საკმაო წყალი დაგუბდებოდა, უშვებდა, და რაკი წყალი ხიდს მოიტაცებდა, იცინოდა და ტაშს უკრავდა. თუ ამხანაგები ჰყვანდა, მაშინ ხომ, ვინ იცის, რას არ იგონებდნენ და არა თამაშობდნენ. ბევრს არას დაგიდევდათ, სძოვდნენ ხბორები რასმე, თუ არა, ოღონდ ჭკვიანად ყოფილიყვნენ, რომ არსად გაქცეულიყვნენ.

შვიდი წლისა რომ გახდა, მაშინ კი ინდაურებიც გაურია ხბორებში და ისე დაუდიოდა ნამკალ-ნათიბებში. ხბორები მწვანე ბალახს არჩევდნენ ნამჯიდან, ინდაურები კალიებს დასდევდნენ და კუჭებს იტენიდნენ მსუქანი ლუკმით, მერე ყანის კალიები ცარიელი ქონი იყო! ამიტომ იყო, რომ მთელს სოფელში მიხოსთანა ჭუკიები არავისა ჰყვანდა.

— ულოცავ, მართავ, თუ იცი რამე, რომ შენი ჭუკიები ეგრე მალე იზრდებიან! თორემ, ღმერთმანი, არც ჩვენ ვაკლებთ ჭამას, სულ დოთი და ხაპოთი ვურეეთ საპმელს, მაგრამ აბა შენებსაც შეჰხედოს კაცმა და ჩვენს ჭუკიებსაც. თითქო წვიმას დაუზიზიაო, ისეთები დადიან.

რვა წლის მიხომ უკვე ძროხებშიაც დაიწყო სიარული. საცინელი იყო, სანამ დედა თავის შესაფერს გუდას უყიდდა, ჩვეულებრივი გუდა წვივებამდის სცემდა.

— ახლა კაცი ვარ, — იძახდა მიხო, — ბალღი ხომ აღარა ვარ, რომ აბგით ვატარო პურიო! მაგრამ როცა დედამ თავისი შესაფერისი გუდა უყიდა, უნდა. გენახათ მიხო, როგორ ჰკოცნიდა თავის პატარა შოლტასა და გულში იხუტებდა.

— შენ გენაცვალე, ჩემო კარგო გუდავ, ჩემო ამხანაგო! აბა, დღეს საითკენ წავასხათ ძროხები? დავურიოთ ვისმე, თუ ცალკე ვაძოვოთ? რას მეტყვი, გენაცვალე? — და გუდაც იტყოდა: „დღეს ღრუბლიანი დღეა, ჭალაზე წავასხათ, იქნება კალმახებიც დავიჭიროთო“. მერე როგორ ეხალისებოდა თევზების ჭერა! შარშან ზაფხულს დაიჭირა პირველად ნემსკავით კალმახი და ახლა სულ იმ გუბესთან ბიდიოდა და იქ უთრევდა თავისს კაკლისტოლა ტყვიან ნემსკავს, მაგრამ ის ოხრები აღარ ებმოდნენ.

— ეჰ, წმინდა წყალია, მხედავენ და რას მოებმიანო, — გაიკეთებდა ხოლმე გულს მიხო. შემდეგ კი, როცა ბიძამ ინგლისური ნემსკავი მოუტანა და კარგადაც გაუმართა, მიხოს ნემსკაევებს მობმა დაუწყეს კალმახებმა.

— "ბარ'შან ცხრა კალმახი დავიჭირე, — კვეხულობდა მიხო, — წლეულსაც ოთხი ერთხელ დავიჭირე, ხუთი ერთხელ და შვიდი ერთხელაო.

ერთი სიტყვით, სულ ახსოვდა, როდის რამდენი კალმახი დაეჭირა. ადრე გაზაფხულზედ კი, როცა ჭალაზედ ჯერ ჩირთი[1] არ იყო შემოსული და არც ბალახი ამოქოქინებული, მიხოს მზვარეებში დაუდიოდა თავისი ძროხები, სულ ზევით, მთის ძირას, სადაც ძველი ბალახი თოვლისგან მიწაზედ იყო დაწოლილი და საქონელი ზაფხულივით იძღობდა მუცელს.

თვითონაც ფუღურო ხეებს უკიდებდა ცეცხლს, სიამოვნებდა ცეცხლის ჭაქა-ჭუქით, შიგ ქვას ახურებდა, ზედ ნაპოვნ თოვლს სდებდა, წინ შოლტას უგებდა, რომ ზედ დაგუბებულიყო თოვლის წყალი და დაელია, თორემ პირმზითებში წყაროები იშვიათად მოიპოვებოდა.

მჟოლობას და მაყვლობას კი ჩრდილებს აღარ ეშვებოდა. მიხო თვითონაც გიახლებოდათ და დედისთვისაც მოჰქონდა პატარა ყურიან ხოკერათი. იმის მეტიც რომ არა ყოფილიყო, ჯერ დედისთვის გაავსებდა პატარა ხოკერას და, თუ კიდევ იპოვიდა, მერეღა სჭამდა, ისიც, რომელიც უფრო წვრილი და კეტრიანი მარცვლები იყო, იმას თვითონ სჭამდა, დედისთვის კი საუკეთესო მსხვილს და კარგად მწიფე მარცვლებს ინახავდა. დედამ იცოდა ეს და როცა შვილი მჟოლითა სავსე ხოკერას მოუტანდა, წამოჰყრიდა ჯამებზედ, უფრო მომეტებულს შვილს დაუდგამდა და ნაკლებს თვითონ. აბა, აქ გიახლებოდათ ხოლმე სიამოვნებით მიხო, რაკი თავისი დედა გვერდით ეჯდა და ჭირსა ჰპარავდა.

არც ბარწყვობას აკლებდა თავის წილს დედას. ამაზედ ადრე ვერავინ მოიტანდა ხოლმე ბალახის წბილეებზედ ასხმულს, მარჯანივით წითელს ტყის მარწყვსა. მერე რა სიფრთხილით მოჰქონდა

[1] ახლად აშლილი ფოთოლი.

ხოლმე ეს მარწყვის ღარადელები და მოუხაროდა, თითქოს დიდი სარჩო უშოვიაო.

სამაგიეროდ დედაც გაახარებდა ხოლმე ჭრელი წინდებით, ახალ თასმიან ქალამნებით და წითელი ახალუხით. ისეთი ღილებიანი ქამარი ჰქონდა, თითქოს ვარსკვლავები მიუკრავთო. დახეულსა და ჭუჭყიანს თავის დღეში არ გაატარებდა.

— ეგ ერთი სანთელი მინთია, — იტყოდა ხოლმე მართა, — და მაგასაც რომ გული სრული არა ჰქონდეს, რიღასთვის რა მინდაო. — მუდამ ალაღებდა და ათამამებდა.

არც საგზლის ჩადებას აკლებდა თავისი დედა. როცა პურს აცხობდა, მიხოსთვის უეჭველად ქადის კვერს გამოაცხობდა, ან ხაჭოერბოიან წიწანს[1] ჩაუდგამდა გუდაში, ან ხაციწის უკეთებდა, ერბოს და კარაქს უკრავდა პურზე. მიხოც თავის საგძალს მუდამ ტოლებს უწილებდა ხოლმე. იშვიათად თუ შესჭამდა მარტოკა, ისიც როცა ამხანაგებთან არა ჰყვანდა საქონელი დარეული, მაშინაც ზოგს ჩიტებს უწილებდა, ზოგს კალიებს ულესავდა კარაქით პირსა.

ჭალაზედა ჰყავს საქონელი მიხოს. მზეა ცხრათვალა. ლხინია კალია-პეპელებისა; ბუზების ბზუილი და ფუტკრების ბზუკუნი ყურებს უჭედავს გამველელ-გამომვლელსა. ჩიტების ჟივილ-ხივილი ტყეშინდორს აცოცხლებს. წყლის პირები და ხევ-ხუვი სავსეა ბალახით. საქონელი გამაძღარი და გალაღებული ბედნიერებაშია. მიხოსაც აქა ჰყავს თავისი ძროხები. ხელს არ აყენებს, კალიას დასდევს, უნდა თავის ინდაურებს საუზმე მოუგროვოს და სახლში წაუღოს. აგერ დაუჭერია მწვანე მხედარი კალია და კარაქს აჭმევს, სურს თავის ინდაურებისათვის გაასუქოს. წბილა ბალახით პირში კარაქსა სტენს. მწვანე კალიაც ჰყლაპავს და ჰყლაპავს.

— მიირთვი, ჩემო კალია, გასუქდი, — ეუბნება მიხო, — ბოლოს გამოდგები. — ჭამს მწვანე კალიაც. ყელს ეზიდება, ლამის დაიხრჩოს. მერე ტუჩებს ილოკს, ულვაშებს ისწორებს. — მიირთვი, რა პირს უქერ, მე ვიცი, მინდორშიც გექნება კარაქი.

აი, გაძღა მწვანე მხედარი კალია, დაითრო და მოიხვენა. თავი ძირს, მიწისკენ, ჩაქინდრა, თვალები დახუჭა, მაგრამ რას დახუჭავდა

[1] პატარა ხის ჯამი, ბადია.

უკილოო თვალებს. ულვაშები დაკეცა, გვერდზედ მოიწყო. მხრები უკან გაიშვირა, ფეხები ორჩოფეხასავით აქეთ-იქით მიიდგა. დაითრო და დაიძინა. სძინავს მხედარ კალიას და ძალიან სიზმრებშია. აგერ მოუტანიათ კარაქი კოდებით, ჩაუწყვიათ შიგ დიდი სპილენძის ქაფქირები, იჭერენ საწყალს კალიებსა და სულ ქაფქირით სტენენ ყელში. ამასაც ძალა დაატანეს და სულ ძალით ჩასტენეს პირში. ისეთი გაუხდა მუცელი, ტომარასავით გაებერა. სულს ძლივსღა იქცევს. ოო, ღმერთო! ეს რა საშინელებაა!

აგერ გამოჩნდა შავი რაღაცა ფრინველი, თეთრხალებიანი. შაშვის ტოლაა, მაგრამ არც შაშვია. მოდის, რა მოდის, მოაჭენებს მწვანე კალიასაკენ! თან გზა-გზა წვრილს კალიებსა და ჭრიჭინებს იჭერს და ყელში ჰგზავნის, ზოგსა პირიდან ფეხები და ულვაშებიღა მოსჩანს. დაყვირებასაც კი ვეღარ ასწრებენ, ისე უცებ ჰყლაპავს. აგერ ახლოვდება! ღმერთო გამჩენო, რამოტოლაა! რამოტოლა ნისკარტი აქვს! ერთი რომ ჩასცხოს, კალიის წელი მეტსაც ვერ აიტანს, შუაზედ გაჰგლეჯავს. უნდა გაიქცეს მწვანე მხედარი კალია, ან გაფრინდეს, ან დაიყვიროს, მაგრამ საშინლად დამძიმებულია, ვეღარც კი ინძრევა ადგილიდან. ყელიც კარაქით სავსე აქვს, ხმას ვეღარ იღებს, ყელიდან აღარ ამოსდის. ოჰ, მზეო, დამბადებელო, რაღა ჰქნას, სად წავიდეს?!

— ეი, გაიღვიძე, ძამიავ! — მოესმა უცებ მიხოს ხმა, — ჯერ ძილი ადრეა, აძაღამაც გეყოფა მოსვენება. აბა უყურე რა დღეა! ცხრათვალი მზე დაგვცქერის, მინდორი ღვთის მადლით სავსეა. ხომ ხედავ ყველა მოძრაობს, ირჯება, სიცოცხლეს ეშურება.

მწვანე მხედარმა თვალები დააჭყიტა, გაიზმორა, შიშით აქეთ-იქით ძიიხედ-მოიხედა, ი შავი მტერი რა იქნაო. რაკი გაიგო, რომ სიზმარი იყო, ცოტა გულზედ ეფონა, ისევ ძილს მისცა თავი. მეტად დამძიმებული ჰქონდა კარაქისაგან.

— თავი დამანებე, მეძინება, შენმა კარაქმა დამათრო!

— მაშ კარგი და როცა გაიღვიძო, ჩემთან უნდა წამოხვიდე!

— სად?

— სოფელში.

— რათა?

— იქა სჯობიან. აქ ტყესა და მინდორში რა გინდა, მგელი შეგჭამს.

— მე მგელი ვერ შემჭამს.

— რატომ?

— იმიტომ.

— ჩვენს ცხვრებს კი შესჭამს ხოლმე მგელი, კარში რომ დაგვრჩება. მეც კი მეშინიან, როცა ღამე საქონელს დავეძებ, ციცინათელა მგლის თვალები მგონია. კბილები კაწკაწს მიწყობენ.

— მე კი მწვანე ფოთოლზედ ვზივარ და უშიშრად მძინავს. როცა გამეღვიძება, სიმღერასაც შემოვძახებ ხოლმე.

— არა, კალიავ, მაინც სოფელში სჯობიან, იქ ბევრი ბალღებია და კარაქსაც ბევრს გაჭმევენ.

—იქ ქათამ-ინდაურებიც ბევრია, სოფლის გახროკილ კალო-ბანებზე რა უნდა ვიპოვნო, თქვენს ქათმებსაც ენატრება მწვანე ბალახი, ჩემთვის რას გაუშვებენ.

— მაშ, არ მოდიხარ? — ჰკითხა მიხომ.

— არ გიახლები, ხელი გამიშვი! ფეხებზედ ნუ მიჭერ, კანჭი არ მომტეხო.

მიხომ კანჭებიდან ხელი გაუშვა, მუცელზედ მოსჭიდა. კალია როგორლაც უგუნებოდ შეიქმნა. ალბათ ძალიან თუ მოუჭირა მიხომ ხელი. საწყალს პირიდან გამდნარი კარაქი წამოუვიდა.

— ნუ გამჭყლიტე, შე უღმერთო, ხომ ხედავ, ლამის გვერდები დამემტვრეს. მუცელზედ ნუ მაწვები, ყელში ამომედინა შენი კარაქი. — თან პირს აცმაცუნებდა, უნდოდა ეკბინა მიხოსთვის, რომ როგორმე ხელი გაეშვებინა; გაზივით პირს ალებდა, კისერს აქეთ-იქით იღრეცდა.

— კალიავ, ნუ ჩხუბობ, ხომ არ მინდოდა, უნებურად მომიყიდა. შენ რომ რბილი მუცელი გქონდეს და სიხარბით ყელამდე აივსო საჭმელ-სასმელით, რა ჩემი ბრალია. — კალია მაინც თავისას არ იშლიდა, კისერს იღრეცდა, გაზივით ყბებს ხან გაშლიდა, ხან მოჰკუმავდა. ბოლოს როგორც იყო პირი მოავლო მიხოს ხელზედა და ერთი მადიანად უკბინა. მიხომ სიმწვავით დაიჭყვირა, ვინ იცის, რა ეგონა.

— შენ მიკბინე, კალიავ? რად მიკბინე? მე შენთვის სიკეთე მინდოდა, შენ სიავით მიხდი?

კალია გაბრაზებით თვალებს აბრიალებდა, იწევდა, რაც ძალი და

ლონე ჰქონდა, უნდოდა ხელიდან გასხლტომოდა. ისე იწევდა, რომ ფეხები კინაღამ მიხოს დარჩა ხელში.

— მაშ არ გინდა ნებით წამოხვიდე? — ჰკითხა მიხომ მწვანე კალიას. კალია ხმას არ იღებდა, გაბრაზებული იყო...

უცებ მწვანე კალია თავდაყირა რაღაც ბნელეთში ჩაეშვა, მხრების გაშლაც კი ვეღარ მოასწრო.

ირგვლივ საშინლად ბნელოდა, არსაიდან ნამცეცი შუქი არ ჩაშოდიოდა, დაჩეხით კი არ დაჩეხილა, რბილად რაღაზედაც დაეცა. უნდოდა აქეთ-იქით მიეხედ-მოეხედა, გაეგო სად იყო, მაგრამ თვალებს ვერ ახელდა, თავზედ რაღაცა აწვებოდა. ვინ იცის, ამ მდგომარეობამ რამდენ ხანს გასტანა. შიშით ვეღარაფერი გაეგო, სად იყო, რას უშვრებოდნენ, ან რა მოელოდა. თავს დაღუპულადა სთვლიდა. ხსნის იმედი დაჰკარგა. სასოწარკვეთილებას მიეცა. მოაგონდა კალიას თავისი მწვანე მინდორი, ყანითა და ბალახით სავსე, მოაგონდა ბუნებისაგან ასე უხვად გაშლილი სუფრა სულდგმულთათვის. სიცოცხლე დაენანა, უფრო კი ეს წუთისოფელი არ ეთმობოდა. არ ეთმობოდა ფოთლიანი ტყეები, წვიმაში რომ კარავადა ჰქონდა. ერთი ზაფხულის სიცოცხლე ჰქონდა და ისიც ასე ადრე ესპობოდა. უყვარდა სიცოცხლე. გაუჭირვებლად სცხოვრობდა, არა ენატრებოდა რა, ასე იყო კაი ხანს კალია, მუდამ ჟამს სიკვდილის მომლოდინე.

უცებ ზემოდან საიდგანღაც შუქი ჩამოდგა და ცოცხალი რაღაცა ზურგზედ დაეცა. მძიმე არ იყო, მაგრამ ჩუჩუნებდა კი. მწვანე კალიამ სული განაბა, გაიტვრინა. ვინ იცის, რა ნადირი იქნებოდა, ან შესჭამდა, ან უკბენდა, შიშით აღარ იცოდა რა ექნა. უბედურებას უბედურება დაერთო. მაგრამ, აი, ახლადჩამოვარდნილი იქითკენ გადაფოფხდა, ზურგი გაუთავისუფლა, მწვანე მხედარმა კალიამ თავისუფლად ამოისუნთქა, თუმცა წინანდებურად ისევ ბნელოდა.

მოძრაობაზედ ეტყობოდა, რომ ახლადჩამოვარდნილიც ძაან ფოშიმანში იყო. რაღასაც ფაცურობდა, თავის დაღწევას ცდილობდა. თან ორივენი ირწეოდნენ, ეტყობოდა, სადღაც მიდიოდა ამათი საპყრობილე.

მაგრამ აი, ცოტა ხნის შემდეგ, კიდევ მიემატა მწვანე მხედარს თანამგზავრი. ეს უკვე დიდი კუტი კალია აღმოჩნდა. ახლადჩამოვარ-

დნილმა, შეშინებულმა და გულგახეთქილმა, ძალაუნებურად მწვანე კალიას ფეხზე უჩქმიტა.

— ჰე, რას იჩქმიტები, ვილაცა ხარ? არ გეყო, რო ზურგზე დამაჯექ? — გამოეხმაურა მწვანე კალია.

პასუხმა გული დაუმშვიდა მწვანე კალიას, რადგან თავისი სისხლი და ხორცი აღმოჩნდა, ღიპიანი ლეგა კალია, განთქმული მჭრელი და მკერვალი უპატრონოდ დარჩენილ ჩოხა-ახალუხებისა ნამკლებში.

მესამე მეჭიანურე კალია აღმოჩნდა, საკალიეთის გამრთობი, მუქთად დამკვრელი სიცხე-პაპანაქებაში.

სამივენი ერთმანეთს გამოეხმაურნენ, სალამი მისცეს და ბოლოს თავის მდგომარეობაზედ შეუდგათ სჯა-ბაასი.

ახლად მოსულებისგან გაიგო მწვანე მხედარმა კალიამ, რომ საძიენი ტყვედ ისხდნენ მიხოს ჯიბეში, რომ ხსნა არსაიდგან იყო და სად ძიჰყავდა ეს სამივე მსუქანი კალია მიხოს, ვერ გაეგოთ. ალბათ სოფელში კარაქის ან შაქრის საწუწნავად!

— რაღაც ინდაურებს ახსენებდა, რომ დაგვიჭირა, — სთქვა ღიპიანმა.

— ძალიან მსუქანი ხარ, შენ სულ სხვისი ოფლით ხარ გასუქებულიო. ჩვენს ყანებს შენა სჭამ და ახლა მე შენ ჩემს ინდაურებს ძეგაქძევო. როგორ იამებათო, იძახდა. თან ჯიბეში მსვამდა. მინდოდა დავძრომოდი ხელიდგან, გავიწიე, მაგრამ კანჭი მოვიტეხე და ბედს დავემორჩილე, — სთქვა ამოოხვრით თეთრმა კალიამ.

ინდაურების ხსენებაზედ მწვანე მხედარს ფერი ეცვალა, ტანი აეკინკრა.

— ცუდად არის ჩვენი საქმე, ამხანაგებო! — დაიწყო მწვანე კალიამ, — ჩვენი ბედი წინდაწინვე გარდაწყვეტილია. ჩვენ აღარავინ ძოგვისმენს, არც სამართალს მოგვცემს. აბა ინდაური კალიას რა საძართალს მისცემს იმის მეტს, რომ ნისკარტს ჩასცხებს და მუცელში ჩაუძახებს. იყვირე, რამდენიც გინდა, მუცლიდგან ვეღარავის გააგონებ შენს გაჭირვებას. ასეთია ქვეყნის სამართალი. სადაც ძალა მივა, სამართალი ბანიდგან გაიპარება. აბა, ამხანაგებო! თავს მოვუაროთ, ძოვიფიქროთ რამე, როგორ ვუშველოთ ჩვენს გაჭირვებასა. იფიქრეთ ყველამ. იქნება ღმერთმა რა ფიქრი მოგცესთ, რომ გამოგვადგეს. ჩვენი ხსნა ჩვენს ხელთ არის, სხვისა იმედი ნუ გექნებათ. აბა

ვიფიქროთ! და დაიწყეს ყველამ ფიქრი. თუმცა მიხოს ჯიბე აქეთ-იქით ექანებოდა, კალიებს ერთმანეთს ახეთქებდა და ფიქრს უშლიდა.

ფიქრობდა მწვანე კალიაც. თავი ძირს დაეხარა, თვალები დაეღლულა, ფიქრობდა და შუბლიდგან მწვანე ოფლი ჩამოსდიოდა. ფიქრობდა და ვერ მოეფიქრებინა, როგორ დაეღწია ტყვეობისათვის თავი.

— იცით, ძმებო, რა მოვიგონე, — დაიწყო მეჭიანურემ,—აი, ეს გაბერილი თერძი კაი მჭრელია. ერთხელ ჩვენა და მაგან ერთი მომკლის ახალუხი სულ ჩავკემსეთ. ეს ჩვენი საპყრობილეც რბილი ჩიოისაა, დავადგეთ და დავჭრათ, მერე სადაც გავძვრებით, ეგ იქ ვიკითხოთ.

ეს აზრი ყველამ მოიწონა, თუმცა მწვანე მხედარს, ცოტა არ იყოს, შეჰშურდა, რატომ მე არ მომაგონდაო, მაგრამ რაკი საერთოდ გამოსადეგი თათბირი იყო, არად მიიჩნია ეს შური და სიამოვნებით გამოუცხადა თანხმობა.

— აბა, ღმერთო და ბედო! დაიწყეთ, ბიჭებო! ერთი პირი ვისაც ექნება, მუდამ გაიმარჯვებს.

რას მოიფიქრებდა ჩვენი ყაირათიანი მიხო, თუ ინდაურებისთვის გამზადებული კალიები იმის ჯიბეს აფხავებდნენ და აცხავებდნენ!

პირველად რომ შუქი დაინახეს, ისეთი სიხარული შეუდგათ, რომ მეჭიანურემ ჭიანურიც კი ჩაარაკრაკა.

— ძაან მხიარულად არიან ეს ყანაჭრიები! — სთქვა მიხომ. — ვნახოთ ახლა, ინდაურები როგორ გაიხარებენ!

მაგრამ, შენს მტერს, ნუ რა კარგი! ჭუჭრუტანა უკვე იმოდენა იყო, რომ მეჭიანურე თავისუფლად გაძვრებოდა, მაგრამ ამხანაგების თავის დანებება და მარტოკა თავისი გათავისუფლება ფიქრადაც კი საზიზღრად ეჩვენა.

— ერთობაა, ერთობა უნდა იყოს, სადაც ჩემი ამხანაგები, მეც იქ, — ფიქრობდა თავისთვის.

— აბა ერთი მომეცალეთ, ერთი ჩემებურად დავაწკაპუნო მაკრატელი! — სთქვა ლიპიანმა თერძმა. ხვნეშით სინათლესთან მივიდა და ჩასჭიდა თავისი გალესილი ყბები ჯიბის ნახვრეტს. ჩითის ნაფხ-

რეწებს აქეთ-იქით ისროდა, ჯიბეს ფხრაწა-ფხრეწი გაუდიოდა.

ცოტა ხნის შემდეგ სამივენი გამოკმულ ჯიბის ნახვრეტთან იდგნენ გადასახტომად გამზადებულნი.

როცა მიხომ ბალახიან გორაკს მიატანა, საიდგანაც აუარებელი კალიებისა და ჭრიჭინების ჭრიალი ისმოდა. „გაუმარჯოს თავისუფლებასაო!“ — დაიყვირეს და სამივემ ერთად ბალახებში ამოჰყვეს თავი. ღიპიანმა ყირამალა გადაიარა, რადგან კანჭი ჰქონდა მოტეხილი, მაგრამ ძმებისა და მეგობრების ყვირილმა სულ დაავიწყეს ტკივილიც და წვაცა. კაი ხანს ისმოდა ჟრიამული კალიებისა, რომლებიც „გაუმარჯოს თავისუფლებას, გაუმარჯოსო!“ ყვიროდნენ და სიხარულით ხტოდნენ და ცეკვაედნენ.

[1900 წ.]

# სანთელი

ჯერ სანათი არ იყო მოგონილი. აქამდე სულ ბნელოდა. სოფელიც სიბნელეს იყო შეჩვეული და ასე ეგონა, სულ ასე უნდა იყოსო, ღვთისგან ასეა გაჩენილი და ნაბრძანებიო. ვერ წარმოედგინათ, რომ ამ სიბნელის წამალი იქნებოდა სადმე, ან მოიგონებდა ვინმე და ღამის სიბნელეს გააშუქებდა. თვით სიბნელე, ავაზაკსა და ავკაცს გარდა, ყველას დიდ უბედურებად მიაჩნდა, ყველა ნატრობდა დღეს და ღამეს კი სწყევლიდა.

ავი კაცი კი ისე გრძნობდა თავს ბნელაში, როგორც თევზი წყალში. ხალხიც ბნელის შიშით კარშიაც ვერ გამოდიოდა, თორემ საქმეს აბა ვინ გააკეთებდა, — იწვნენ და ეძინათ. იმდენი წოლით გვერდები გადაღლეტილი და დაწყლულებული ჰქონდათ.

ამ ძილით და ხალხის კარში გამოუსვლელობით სარგებლობდა ჭურდი, — სხვისა ოფლის მიმთვისებელი, სხვისა ნაშრომ-ნაამაგი უშრომლად თავისთვის მიჰქონდა, თავის საკუჭნაოს, ბეღელ-კიდობნებს ავსებდა, მშრომელისა კი ცარიელი რჩებოდა.

ყველგან სიბნელე მეფობდა.

— გაუმარჯოს სიბნელეს, გაუმარჯოს ბნელეთის სამეფოს! — იძახდნენ მტაცებელნი და მპარავნი.

— გაუმარჯოს ბნელეთს, ბნელეთის ბატონს!

— ჩვენს უფალს ტარტაროზს! — მოსძახდნენ ბანს კუდგაბზეკილი რქიანი ეშმაკები.

— სინათლე, სინათლე! გამოუშვით შუქი! — იხვეწებოდნენ სიბნელისა და მტაცებლისაგან შეწუხებულნი, გაძარცულნი, მშიერნი, ტიტველნი.

— გვიშველეთ! გვიშველეთ!

ხოლო ბნელეთის ეშმაკი ძალიან დიდგულად და არხეინად ბრძანდებოდა. თავისი სამეფო დაუსრულებელი და საუკუნო ეგონა.

— ვინა კითხულობს სინათლეს?! — კითხულობდა ზიზღით და მუქარით ტარტაროზი, — არ გეყოთ, რომ მზის შუქი მუქთად გეძლევათ და დილიდან საღამომდე ნება გაქვთ ისე მოიხმაროთ, როგორც გნებავთ? გინდათ ღამეც გაანათოთ? ეგ ხომ ჩემი შეურაცხყოფა და შერცხვენა იქნება. თქვენ გინდათ, რომ მეც აღარ ვიყო?! გეშინოდათ სიბნელისა და ახლა გსურთ ბნელიც სინათლეზე შესცვალოთ?! ვერ მოგართვეთ!

• • •

ღამე, როცა სიბნელეს მთელი ქვეყანა მოეცვა, ხალხი სახლებში შეყუჟულიყო და ნამცეცი შუქი არსადა სჩანდა, რომ მგზავრს, გზადაკარგულს, გზა გაეგნო და ნადირებისა და ავი სულების წერა არ გამხდარიყო. კაცები ერთად ვერ მიდიოდნენ, სიბნელის შიშით ერთმანეთს არ იცნობდნენ, მტერს მოყვრისგან ვერ არჩევდნენ.

ბელზებელი და იმისი ხელქვეითნი კი ცდილობდნენ უფრო დაებნელებიათ ისეც შავბნელი ღამე. ფიქრობდნენ, როგორმე მოესპოთ დღეც და კაცთათვის მზის შუქი გამოუყენებელი გაეხადათ; რომ კაცთ აღარ შესძლებოდათ ნათელი მზის ხილვა; რომ უკუნითი უკუნისამდე სიბნელეს ემეფნა, ტარტაროზის გასახარელს; რომ ბელზებელისგან გამოგზავნილი მაჯლაჯუნას ეღრჩო უმწეო ხალხი, ბალღებისთვის სისხლი ეწოვნა, ეპარნა პატარა ბავშვები და დევების ხაე'შმაკარზე შეეცვალა; რომ მგელკაცას ყმაწვილები ეპარნა, კაცები ეჭამა და მკვდრები სამარიდან ეღო; რომ საამურ ბულბულის გალობის მაგივრად მხოლოდ მესაფლავე ბუკნაოტის მოზარე კიეილი სმენოდა კაცთა მოღალულ ყურს.

• • •

მოულოდნელად სასწაული მოხდა.
ამ თვალგაუჩხვერავ სიბნელეში, შიგ შუა სოფელში, უცებ შუქი გამოჩნდა. ერთ თმა-წვერგათეთრებულს კაცს, რომელსაც თავისი სიცოცხლე სულ სინათლეზე ეფიქრა და ემტვრია თავი, ხელში ძაღალ ტარზე ანთებული სანთელი ეჭირა, მოდიოდა სოფელში წელგაშლით, ამაყი, თამამი, თავმომწონე.

შუქბარაქიანი სანთელი უხვად აბნევდა სინათლეს გარეშემო და არემარეს დღესავით ანათებდა. განათდა გზა, განათდა კუნჭულ-კუთხე, შეაღწია შუქმა ღარიბთა ქოხებში, უღიტინა ბრმას ამოშრეტილ თვალში და სინათლის ძალა აგემა, ჩაიხედა ღრმა ხვევებში, მთის ნაპრალებში, ტყის ჩაბნელებულ გულში. გაწუქდა სახე ადამიანისა, გაირჩა პირუტყვი და ადამიანი, ხე და ქვა, სულიანი და უსულო.

როგორც ფარვანის ლაშქარი, ისე შემოჰხვეოდა გარს ხალხი: მოხუცი, რომელიც ათი და ოცი წლის განმავლობაში კარში არ გამოსულა, ეხლა ამ საარაკო შუქის დანახვაზე ყმაწვილური აღტაცებით გამოქანებულიყო და, როგორც სასწაულს ღვთისაგან მოვლენილს, სასოებით შეჰხარობდა და შეჰლაღადებდა. ბავშვიანი დედაკაცები გზებზევე იჩოქებდნენ, ბავშვებს სანთლისკენ იშვერდნენ და შუქზე უთითებდნენ. აღტაცებული ბავშვებიც მისკენ თავის პაწია ხელებს იშვერდნენ და წეჰფოფინებდნენ. იმედშემოსილი დედები, რომ ეს ახალი მზე ამათ პატარა ჩვილებს სულ სხვა კაცად აქცევდა, სასოებით ბერიკაცის გასავლელ გზაზე იჩოქებდნენ და მიწას ეამბორებოდნენ. ბალღები, გოგოები და ბიჭები, ერთმანეთში არეულნი, აღტაცებულ სიმღერას უმღერდნენ და აქვე ხელდახელ ქებადიდებას სთხზავდნენ სინათლის შესამკობელსა. ავადმყოფნი, ბრმები, დავრდომილნი მოხოხაენ სანთლის დასანახად, თვალებს იფშვეტდნენ და პირჯვარს იწერდნენ. ისმოდა ხმა ღაღადებისა, აღტაცებული, დიდებული, მხიარული, სიცოცხლით სავსე, იმედიანი.

ხოლო სანათი შორს აბნევდა თავის მადლიან სხივებს. ანათებდა აქამდე სახიფათო გზას, ქვითა და რიყით მოფენილს, ეკლითა და ნადირით სავსეს, ავაზაკებისა და ყაჩაღების საფარ ბინას. ანათებდა

მუშა, მშრომელ ხალხს, იმათ ჭუჭყიან და ოფლიან პერანგებს, იმათ დაღვრემილ სახეს, ეხლა კი სიხარულით გაშუქებულ-განათებულს.

— გაუმარჯოს სინათლეს! გაუმარჯოს ბნელეთში სინათლის შემტანს! — იძახდა აღტაცებული ხალხი.

— ძირს სიბნელე! ძირს ბნელეთის მოტრფიალენი და ბნელეთის ღმერთი! ძირს ბელზებელი ეშმაკი! — გრიალებდა მწყობრი ხმა ქალ-ვაჟებისა და იქვე სიხარულის ფერხულს აბამდნენ და წკრიალა ხმით სიმღერას აგუგუნებდნენ.

გაჰღვიძებოდათ ფრინველთაც. ახალ სახილავის დანახვაზე გონს ვერ მოსულიყვნენ და, დარწმუნებულნი, რომ ეს პატარა მზე დიდი ძმის შვილი იყო, საწყალი ხალხისთვის გზის გასანათებლად და გასართობად ჩამოსული, თავის წვრილხმიან საკრავში ჰბერავდნენ და ტკბილ საგალობელს არაკრაკებდნენ.

ბელზებელი ეშმაკი კი ახალი სინათლისაგან შეძრწუნებული და ბალახაშლილი, ტახტიდან ჩამობრძანებულიყო. და ცოფიანივით დორბლებს ჰყრიდა.

— იპოვნეთ სანათის მომგონი და მომიყვანეთ აქ!—ბრძანა ღრიალით ტარტაროზმა, — მინდა იმის ტანზე ჩემი კბილების სიბასრე ვცადო. ვასწავლო ჭკუა, რომ კვლავ აღარ გაბრიყვდეს და ჩემს საბრძახებელს ხელი აღარ შეახოს, ბნელის გაშუქება აღარ გაბედოს! მომიყვანეთ ამ წუთში ის უბედური, დავინახო თვალით, რა სულიერია, რა ძალა აქვს! — ყვიროდა ტარტაროზი და სიბრაზით დორბლებს ჰყრიდა.

შეშინებული ეშმაკები და ჭინკები ხარის ტყავივით მიწაზე გართხმულიყვნენ.

— აი, მბრძანებელო ბნელეთისაო და ჯოჯოხეთის მთავარო! შენი ფეხთა მტვერი ვართ, ბნელეთის დასაწყისო და სულის ჩამბერავო! გაგვსრისე, დაგვხოცე, გოგირდის ცეცხლში ჩაგვყარე! ჩვენ შენი მონები ვართ. უშენოდ ჩვენი სიცოცხლე და ცხოვრება რა იქნებოდა, ბურჯო ჯოჯოხეთისაო! გვიბრძანე და სინათლეს სიბნელედ ვაქცევთ, — სიხარულს — მწუხარებად, დღეს — ღამედ, წყალს — სისხლად, სიცოცხლეს — სიკვდილად, ახალგაზრდობას — დახავსებულ ძოხუცებულობად, რიყეს — კაცის ძვლებად, აყვავებულ სოფელ-ქალაქებს — კაცთა სასაფლაოებად, რომ მხოლოდ ძაღლებიღა

იგონებდნენ დახოცილ პატრონებს! გვიბრძანე და ჰაერის მაგივრად ფრინველთ და ნადირთ თოფისა და ზარბაზნის ბოლს ვასუნთქებთ, მშიერ პირუტყვთ ბალახისა და თივის მაგივრად, ვაქკაცთა თმას მოვაძოვინებთ. გვიბრძანე და ყოველივე ნამუსს და სვინდისს მოვსპობთ ქვეყანაზე, ტაძრებს წავბილწავთ და ქალებს ნამუსს ავხდით, აკვნის ბალღიდან დაწყებული დახავსებულ მოხუცამდე. გვიბრძანე და სიცოცხლეს თესლშივე მოვკლავთ, ხემ და ბალახმა ღოღო ვეღარ გაიტანოს და სიცოცხლე სათავითვე მოისპოს!

იამა ჯოჯოხეთის მთავარს ხელქვეითებს ასეთი ერთგულობა და ერთსულობა. დართო ყოველივე ნათხოვნის ნება, დალოცა და გაისტუმრა ქვეყანაზე.

და გაიფანტნენ უთვალავნი ეშმაკნი; ქაჯნი და ავი სულნი ხმელეთზე და წყალზე სიკვდილისა და სიბნელის გასავრცელებლად.

* * *

ხოლო არც სანათის გამომგონს ეძინა. მოედო მთელ ქვეყანას სანთელ-ფარნები, აუნთეს სინათლის ღმერთსაც სანთელი, ვინაიდგან იმასაც შეაწუხებდა ღამის სიბნელე, რადგან ამაზე დიდებული და წმინდა მსხვერპლი სხვა აღარ ეგულებოდათ მის წინაშე შესაწირავად. გაინათეს სამყოფი და სადგომები, სახლები, ეზოები და ქუჩები. განათდა ყველა ქოხი და სახლი, ყველა აღტაცებით შესცქეროდა თავის ცოლ-შვილის გაშუქებულ სახეს, იმათი ცქერით ტკბებოდა.

გადაიქცა ღამე დღედ, ამოისუნთქა ხალხმაც თავისუფლად. ყველა ბნელეთის შვილები უფსკრულში ჩაინთქნენ და ქვესკნელში ჩაძვრნენ. მოისვენა ხალხმა, თავის ნაოფლარს — ნაამაგარს სიყვარულით და სიხარულით შეხედა.

სად იყვნენ მტაცებელნი და მპარავნი, სხვისა ოფლში ხელებს რო აფათურებდნენ? რა იქნა ამოდენა უთვალავი, უანგარიშო მუქთახორა სისხლის მწოვლები?

სინათლის შუქზე დაფრთხნენ და ბნელი მოძებნეს. გარბოდნენ გულგახეთქილები, აფარებდნენ თავს კლდეს და ხვრელს, იმალავდნენ თავს კაცთა ხათესავთაგან, მაგრამ ბნელი მათ ვეღარ ჰფარავდა,

ხალხი ჰხედავდა ვინც იყო იმისი ოფლის მტაცებელი, იმისი მტერი — სულთამხუთავი, ძრწოდა ბნელეთი და ბნელეთის ძალნი, ირღვეოდნენ მისი ზღუდენი და სიმაგრენი.

• • •

არც ტარტაროზს ეძინა. მისგან გაგზავნილი ეშმაკები კაცის სახით ქოდვნენ ქვეყანას, იჩენდნენ მისდამი გულმტკივნეულობას, ამოუდგნენ გვერდში, გაუწიეს ჭირში და ლხინში ერთობა და ძმობა. გადუშალეს სული და ვული, რომ მათი გულისპასუხიც გაეგოთ, გაუხდნენ ვითომ და მეხვაშიადედ, ჭირისუფლად. უჩვენეს თავი ერთგულად, თავდადებულად. არწმუნებდნენ და ეფიცებოდნენ, რომ ისინი იყვნენ ხალხისთვის ჭეშმარიტი მომხრე და კეთილის მდომელნი, რომ სხვა ყველა მტერი და დამღუპავი იყო.

ერთმა წვერიანმა ეშმაკმაც მიიღო უმანკო ანგელოზის სახე და, როცა მთავარი ქურუმი წმიდა-წმიდათაში სანთელს უნთებდა სინათლის ღმერთს, გამოეცხადა.

— ქურუმო! — უთხრა ეშმაკმა ანგელოზის ტკბილი წკრიალა ხმით, — გაარისხე შენ ღმერთი სინათლისა, იმის გულის წყრომას საზღვარი არა აქვს შენი ქცევით. რად აანთე სანთელი მის წმიდა-წმიდათაში? რად გაანათე მისი ტაძარი? რათა ჰყავ ცხად მისი კუნჭულ-კუთხე, მისნი წმინდა საიდუმლონი?! რათ გახადე სახილველი, რაც აქამდე უხილავი და საიდუმლო იყო? მოვლენ მპარავნი, ქურდნი და ავაზაკნი, დაათვალიერებენ შუქზე ყველაფერს, დაჰზვერენ, დაიგულებენ და მერე, როცა შენ წახვალ, მოვლენ, აანთებენ ჩვენგანვე წმინდად აღიარებულ სანთელს და გაზიდვენ ყველაფერს. დარჩება ტაძარი გაძარცული და ოხერ, წარიტაცებენ ძვირფას სამკაულთ და სამოსელთ, შანდალთ და ხატთა მოჭედულობით. ეცადე, მოსპო ყველგან სანთელი, ჩააგონე სხვებსაც, ხომ იცი, ტაძრისმსახურთა სიტყვა ხალხისთვის წმინდა და გადუვალია. ნუ უჯერებენ მაგ ვითომდა ახალი სინათლის მომგონთ, ეგ სინათლე ქვეყანას დაღუპავს. აბა სად არის სინათლე გარეშე მზისა. ყველა ავკაცს გაუადვილდება სხვისა დანახვა, განათებული გზა გაუადვილებს ხალხს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას, მომეტებულ დროს მისცემს ერთად სამყო-

ფელად, დაეკარგებათ სასოება ღვთისა და შიში. ეშმაკისა და ავისულებისა ეშინოდათ და მათთან ბრძოლაში დამხმარედ ღვთის შემწეობას ითხოვდნენ, სინათლეზე ეშმაკის ლანდი გაჰქრება და გაჰქრება ღვთის დიდება და ლოცვა-ვედრება. თუ ღმერთს აღარ იწამებენ, შენ და მრავალს შენს ხელქვეით ქურუმებს ვინღა იწამებს, დარჩებით შერცხვენილნი, გაწბილებულნი, პატივაყრილნი. მაშ, წადით და სადაც სანთელი და სინათლე ნახოთ სახლში თუ კარში, მოსპეთ, გააქრეთ. შეაძრწუნეთ ხალხი, რომ ვეღარ გაბედონ სანთლის ანთება, გაუხადეთ ხალხს ისე საქმე, რომ ყველა სანთლის მომგონს სწყევლიდეს და სდევნიდეს.

ასრულდა მაცდურის სურვილი.

მოედნენ ქვეყანას ქურდები, ლოთები, კაცის მკვლელები, ძმის გამყიდავნი, ქვეყნის მოღალატენი, სხვისა ხელის შემხედვარნი, ძალლივით სხვისა ნასუფრალის მონამცეცენი, ზარმაცნი, უქნელნი, მცონარენი და ათასი სხვა ეშმაკისგან შესყიდულნი და ტარტაროზის მსახურნი.

დაუწყეს ალალ-მართალს ხალხს ხოცვა და რბევა, სინათლის გამვრცელებელთ დევნა და კვლა, სახლებში შეხტომა, ქუჩებზე და მეიდნებზე ხალხის ჭერა, სანთლების ქრობა და სინათლის მოსპობა. სადაც ვერ მიდიოდნენ, იქ ჰგზავნიდნენ მუქარის წერილებს, აშინებდნენ ხალხს ღვთის რისხვით და აოხრებით, დადგა შავბნელი დრო. ყველა ქვეყნისთვის გულშემატკივრის სიცოცხლე განსაცდელში ჩავარდა. ყველა ქვეყნისთვის თავდადებულს საფრთხე მოელოდა, აღსდგნენ თვით სულმოკლე მდაბიონიც და დრტვინავდნენ: რად გვინდოდა სინათლე, თუ კი ასეთი შავი დღე დაგვიდგებოდა, თუ კი სიცოცხლეს მოგვისპობდნენ; სად არის სინათლის გამჩენი, მოვიდეს და დაგვიფაროს ამ ძალმომრეობისაგან. რად გვინდა სინათლე, თუ ცოცხლები არ ვიქნებით, თუ კი დაგვღუპავენ და გაგვანადგურებენ!

გასჭრა ტარტაროზის ბილწმა ხრიკებმა.

მოიცვა ქვეყანა შიშმა და ძრწოლამ, დამყარდა ისევ სიბნელე პირქუში და გაუტეხავი. მოდუნდა სიცოცხლის ძარღვის ცემა. დაიღო თავი მიწაზე მაშვრალმა ხალხმა წინანდელზე მომეტებულად, დაიჩაგრა, დალაჩრდა. მოხსენდა ყველა ეს ჯოჯოხეთის მთავარს, გაიხარა და განცხრომას მიეცა. ბრძანა მეჯლიშებისა და წვეულებე-

ბის გამართვა. გასცა უზომო მოწყალება ყველა თავის ერთგულებზე, აავსო მოწყალებით ყელამდე, ვინც იმის გულისთვის ძმასა ჰკლავდა, მამას თოფს ესროდა, დედას ძუძუს აჭრიდა.

— თქვენა ხართ, ძმებო, ნამდვილი ღირსეულნი შვილნი ჯოჯოხეთისანი. თქვენა ხართ ბურჯნი ჩემი ტახტისა და დიდებისა. თვინიერ თქვენსა არა ვიყო მე და არცა სახსენებელი ჩემი. იცოცხლეთ და მაცოცხლეთ, მემსახურეთ მუდამ ჟამს მაგრე ერთგულად და მეც მოგანიჭოთ ყოველივე სიკეთე და ბედნიერება! მოვსპობ ქვეყანას, მოვსპობ მზის შუქსაც და თქვენს შემრცხვენელს და შემგინებელს კი არ შევარჩენ. მომიცია თქვენთვის კაცთა ნათესავი, მოექეცით, როგორც გინდათ, ხელის შემშლელი მოგიკვდეთ.

ამ ყოვლად მოწყალე სიტყვებმა, ჯოჯოხეთის მთავრის ტახტიდან გაგონილმა, მთლად მოხიბლა ეს ძმათა სისხლით მთვრალი ხალხი! გაისმა საზარელი ღრიალი და ყვირილი, ურასი და ეაშას ძახილი. აღტაცებულნი ეშმაკის მსახურნი პირქვე ემხობოდნენ ბელზებელის წინაშე და ფეხებს ულოკავდნენ.

— გაგვთელე, გაგვსრისე, ჩვენო მბრძანებელო, ჩვენო მოწყალე მამავ! შეგვდეგ ფეხით, რომ შენი წმინდა ფეხის შეხებამ ჩვენი ჯოჯოხეთის მბრძანებლის სამსახური შეგვაძლებინოს და ძალი და ღონე გაგვიორკეცოს. დაგვაფურთხე, რომ შენმა ნერწყვმა გაგვიწმინდოს ყოველივე იმ უწმინდურებისაგან, რასაც ქვეყანაზე კაცურს ეძახიან. გვყავ ღირსი მუდამ ჟამს შენი თვალთა ხილვისა!

ასეთ არაჩვეულებრივ ქვეშევრდომულ გრძნობების გაგონებაზე ბელზებელი უფრო აღელდა, უფრო გული აუჩუყდა და, რადგან თავის სიცოცხლისა და ბრძანებლობის ჟამის გაგრძელება დაიიმედა, მისცა განცხრომას თავი და მოსვენებას გული. ხოლო, რაც იმისმა ხელქვეითებმა ქნეს, ბოლოს გაიგო და ნაყოფიც მოისხა ფრიად მწარე და მოუნელებელი.

* * *

გავიდა ხანი. ''ბიშმა და მათრახებისაგან მიყენებულმა ტკივილებმა იწყეს დაყუჩება. დაინახა ხალხმა, რომ ცოცხალი გადარჩა, მაგრამ ესეთი სიცოცხლე ჩალად აღარა ღირდა: დამონებული, ღირსება ან-

დილი, ნაცემი, ნამუსგაქელილი, მშიერი, ტიტველი, გაპირუტყვებული. ხოლო სინათლისგან შეტანილი ბედნიერება და თავისუფლების გრძნობა ღრმად იყო ცეცხლის ნაპერწკალივით ხალხის გულში შემძვრალი, როგორც ის ქარისგან თანდათან ღვივდება, იზრდება, და დაჰბერავს თუ არა პატარა სიო, აიტანს ალს და აპრიალდება გაშმაგებული. თუ წინათ თავის გაჭირვებას და გათახსირებულ ყოფნას ვერც კი გრძნობდნენ, ახლა, რაკი თავისუფლება ერთხელ მაინც იგემეს, ძრიელის ძალით დაიწყო გულმა ტოკვა სინათლის კვლავ მოსაპოვებლად.

დაიწყო ღელვა და მოძრაობა, ჩურჩული და მითქმა-მოთქმა, ერთმანეთში მისვლა-მოსვლა და საიდუმლოს გაზიარება. ყველას შეატყობდით სახეზე ზრუნვას და დიდ ფიქრს. ჰაერი შურისძიების სუნით იღლინთებოდა. და, ვისაც აქამდე მომაკვდინებელ ცოდვად მიაჩნდა, ახლა სიბრაზით კბილებს აკრაჭუნებდა. თავის თავს აღარავინ ეკუთვნოდა. ყველა რაღაც საერთო ძალას დაემორჩილა. ძარღვებში ყველას ერთი ფიქრით, როგორც ელექტრონის ნაკადულით, უღელავდა სისხლი და ყოველად ძრიელი გაუგებელი ძალა ჩალის ღეროსავით საერთო ზღვისკენ მიაქროლებდა, სადაც შურისძიების ტალღები ყველას ნაფოტივით ისროდა და საერთო საქმისთვის თავსაც ავიწყებინებდა, ცოლ-შვილსაც, სატრფოს და მეგობარსაც.

— მოგვეცით სინათლე! მოგვეცით შუქი! შორს ჩვენგან ბელზებელი და იმისი მსახური! ძირს ეშმაკთ ნითესავნი და მათი დამქაშები! გაუმარჯოს ხალხს! გაუმარჯოს ეშმაკის ხელიდან განთავისუფლების წამს და საათს!

გრიალებდა ხალხი და ეშმაკის მსახურთ ტანში სიკვდილის ქარი უვლიდა და აკრიალებდა.

— მპარავნო და სხვისა ოფლის მჭამელნო! დროა ამოარწყიოთ არმად ნაჭამი, ხსნა არა გაქვთ!

გაუმარჯოს მშრომელთ! სიკვდილი ქვეყნის სისხლის მწოველთ!

— ამინ! ამინ! — მოსძახდა მთა, ბარი, წყალი და ჰაერი.

[1908 წ.]

# ჭრიჭინა

— ჭრიი! ჭრიიიი! — უკრავდა ერთთავად თავის წვრილხმიან სტვირს პატარა ჭრიჭინა.

— ჰმ! ჰმ! — ხვნეშოდა და ზმუკუნებდა ბოროტი მოხუცი, — ამ ოხრისაგან არც დღე მაქვს მოსვენება და არც ღამე! ნეტა, ვის ეძახის ეს ეშმაკის ფეხი?!

— ჭრიიი! ჭრიიი! — უკრავდა ჭრიალა და ყურადღებასაც არ აქცევდა მოხუცებულის ბუზღუნს.— რა ყური უნდა ვუგდო ბებრუცუნების ჯავრობასა, მაგათ სიცოცხლე მობეზრებული აქვთ, სხვისთვისაცა ჰშურთ სიცოცხლე და სიხარული. ნეტა ვიცოდე, რათა ხარ ბოროტი? მე რომ ჩემთვის ვიმღერო, შენ რა გინდა? აქამდე სულ შციოდა, ახლა ძლივს იგრძნო სითბო ჩემმა ზურგმა და გულითაც რომ მინდოდეს, სითბო არ მაჩუმებს.

— ჭრრრიიი! — აგრძელებდა ლეგოსანი. — რაც გინდა სთქვი, იბუზღუნე, იჯავრე, გასკდი ნაღვლითა და გაიბერე! აბა, რა გნებავს ჩემგან, შე ბოროტო, შენა?! ჭრრიი! ჭრრიი! ჭრიااა! ვზივარ თბილად, არხეინად, ვერც სიცივე მოაღწევს ჩემთან და ვერც შენი ჯოხი, ბებერო! ურაკუნე კედლის ქვებს, სანამ მოგბეზრდებოდეს, ხელები შენ გეტკინება, თორემ მე რა?

— ოჰ, ეს ჭრიჭინები, ეს გასაწყვეტები! ნეტა, რასა ჭრიჭინებენ, რა უხარიანთ? რა ყელებს იხევენ? მე კი აღარ მიცქერიან, ლამის

ᲬᲘᲡᲮᲚᲘ ᲛᲝᲛᲔᲬᲐᲛᲚᲝᲡ! ᲒᲐᲒᲘᲬᲧᲓᲐ ᲮᲛᲐ! ᲒᲐᲩᲣᲛᲓᲘ, ᲨᲔ ᲔᲨᲛᲐᲙᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲔᲚᲐᲕ! ᲠᲐ ᲧᲣᲠᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲛᲩᲮᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲒᲣᲚᲡ ᲛᲘᲬᲧᲐᲚᲔᲑ?! ᲓᲐᲘᲪᲐ, ᲔᲠᲗᲘ! ᲒᲐᲫᲠᲒᲐᲗᲠᲔᲕ ᲛᲐᲜᲓᲔᲓᲐᲜᲐ, ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲡ ᲜᲔᲛᲡᲘᲗ ᲓᲐᲒᲗᲮᲠᲘ, ᲣᲚᲕᲐᲨᲔᲑᲡ ᲓᲐᲒᲐᲫᲠᲝᲑ, ᲙᲐᲜᲯᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲝᲒᲐᲚᲔᲬ, ᲐᲑᲐ, ᲜᲣ ᲒᲐᲩᲣᲛᲓᲔᲑᲘ!

— ᲭᲠᲠᲠᲠᲘᲘ!.. ᲒᲐᲘᲑᲔᲠᲔ ᲡᲘᲑᲠᲐᲖᲘᲗ, ᲑᲔᲑᲔᲠᲝ! ᲛᲐᲮᲡᲝᲕᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ. ᲛᲐᲨ, ᲐᲠ ᲕᲘᲭᲠᲘᲭᲘᲜᲝ ᲘᲛᲘᲡᲛᲐ ᲛᲝᲛᲚᲝᲓᲘᲜᲔᲛ? ᲐᲠ ᲛᲔᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲪᲘᲕᲘᲗ ᲙᲠᲘᲭᲐ ᲛᲭᲝᲜᲓᲐ ᲨᲔᲙᲠᲣᲚᲘ, ᲮᲛᲐᲡ ᲕᲔᲠ ᲕᲘᲚᲔᲑᲓᲘ? ᲐᲠ ᲛᲔᲧᲝ, ᲠᲐᲪ ᲡᲘᲛᲨᲘᲚᲡᲘᲢᲘᲢᲕᲚᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲢᲐᲜᲔ, ᲠᲐᲪ ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡᲒᲐᲜ ᲨᲘᲨᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲓᲐ ᲕᲭᲐᲛᲔ?! ᲘᲒᲐᲚᲝᲑᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲪ, ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲔᲑᲝ, ᲗᲣ ᲡᲐᲓᲛᲔ ᲮᲐᲠᲗ. ᲛᲝᲛᲔᲪᲘᲗ ᲑᲐᲜᲘ, ᲓᲐᲕᲫᲐᲮᲝᲗ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲓᲐᲕᲐᲭᲠᲘᲐᲚᲝᲗ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲢᲙᲘᲕᲐᲠᲔᲑᲘ! ᲘᲒᲐᲚᲝᲑᲔᲗ, ᲫᲛᲔᲑᲝ! ᲨᲔᲕᲐᲥᲝᲗ ᲡᲘᲛᲦᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲬᲕᲔᲕᲘ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ! ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲕᲔᲠᲪ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲛᲐ ᲒᲐᲘᲒᲝᲜᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲚᲝᲑᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲕᲘᲧᲕᲘᲠᲝᲗ, ᲓᲐᲕᲘᲮᲠᲘᲜᲬᲝᲗ ᲘᲛᲘᲡ ᲥᲔᲑᲐᲨᲘ ᲧᲔᲚᲔᲑᲘ!

ᲐᲠ ᲨᲔᲒᲐᲨᲘᲜᲝᲗ ᲛᲐᲒ ᲑᲔᲑᲠᲣᲪᲣᲜᲐᲛ, ᲛᲐᲒᲐᲜ ᲔᲒᲠᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲓᲐᲚᲘᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲓᲦᲔᲜᲘ. ᲒᲐᲜᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠ ᲣᲜᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘᲐᲜᲘ ᲘᲧᲝᲡ! ᲒᲐᲜᲐ ᲗᲕᲘᲗᲝᲜ ᲐᲠᲐ ᲰᲡᲣᲠᲡ, ᲛᲝᲕᲘᲓᲔᲡ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲒᲔᲪ ᲡᲮᲕᲔᲑᲡᲐᲕᲘᲗ ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲝᲑᲓᲔᲡ? ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲐᲡ ᲛᲝᲣᲢᲐᲜᲡ ᲐᲑᲘᲑᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲗᲐ-ᲑᲐᲠᲘ? ᲕᲘᲜ ᲒᲐᲣᲪᲝᲪᲚᲔᲑᲡ ᲛᲘᲬᲐᲓᲥᲪᲔᲣᲚᲡ ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲡ? ᲕᲘᲜ ᲓᲐᲣᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲡ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡᲐ? ᲕᲘᲜ ᲓᲐᲣᲫᲐᲑᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲘᲬᲕᲔᲕᲡ ᲙᲐᲠᲨᲘ ᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲜᲐᲮᲐᲓ? ᲕᲘᲜ ᲐᲮᲐᲠᲔᲑᲡ ᲬᲙᲠᲘᲐᲚᲐ ᲮᲛᲘᲗ ᲨᲔᲠᲪᲮᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲤᲠᲔᲜᲐᲡᲐ?

ᲙᲘᲓᲔᲪ ᲘᲡ ᲐᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲡ ᲛᲐᲒ ᲡᲐᲬᲧᲐᲚᲡ! ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲐᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲡᲔᲕᲓᲐ-ᲜᲐᲚᲕᲔᲚᲡ ᲣᲛᲐᲢᲔᲑᲡ. ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲚᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲡᲐᲜᲣᲒᲔᲨᲝ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ! ᲩᲕᲔᲜ ᲙᲘ ᲐᲠᲪ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘᲡᲐ ᲒᲕᲔᲨᲘᲜᲘᲐᲜ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲐᲠᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲒᲕᲘᲥᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘ ᲠᲐᲛ ᲒᲕᲐᲢᲘᲠᲔᲑᲡ; ᲡᲐᲓᲐ ᲒᲕᲪᲐᲚᲘᲐᲜ, ᲠᲐᲪ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ, ᲘᲛᲐᲖᲔᲓ ᲕᲘᲓᲐᲠᲓᲝᲗ?! ᲐᲡᲔ ᲭᲠᲘᲭᲘᲜᲘᲗ ᲒᲐᲕᲐᲢᲐᲠᲔᲑᲗ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡᲐ. ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲗ, ᲫᲛᲔᲑᲝ, ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲗ!

—ᲭᲠᲠᲠᲠᲘ! ᲭᲠᲠᲠ! ᲭᲠᲠᲠᲘᲘᲘᲘ! ᲭᲠᲘᲐᲐ! ᲛᲝᲕᲐ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ, ᲢᲣᲠᲤᲐ ᲓᲐ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ! ᲒᲐᲒᲔᲪᲚᲔᲑᲘ, ᲑᲔᲑᲔᲠᲝ, ᲒᲐᲛᲝᲕᲫᲕᲠᲔᲑᲘ ᲨᲔᲜᲘ ᲑᲣᲮᲠᲘᲡ ᲧᲝᲠᲔᲓᲐᲜ, ᲛᲝᲘᲡᲕᲔᲜᲔ ᲛᲐᲨᲘᲜ. ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲐᲨᲘᲜ ᲙᲘ ᲒᲐᲩᲣᲛᲓᲔᲑᲘ? ᲐᲮᲚᲐ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲒᲘᲤᲠᲗᲮᲝᲑᲡ ᲫᲘᲚᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐᲡᲐ. ᲐᲮᲛᲐᲣᲠᲓᲔᲑᲐ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲧᲐᲚᲛᲝᲛᲐᲢᲔᲑᲣᲚᲘ, ᲒᲐᲘᲦᲕᲘᲫᲔᲑᲡ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲢᲧᲔ! ᲩᲐᲒᲧᲕᲘᲠᲔᲑᲡ ᲧᲣᲠᲨᲘ ᲫᲔᲮᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲖᲔᲓ ᲥᲐᲜᲓᲐᲠᲐᲖᲔᲓ ᲨᲔᲛᲝᲛᲯᲓᲐᲠᲘ ᲝᲤᲝᲤᲘ, ᲓᲐᲒᲫᲐᲮᲔᲑᲡ ᲛᲫᲚᲔᲕᲐᲠᲘ ᲒᲣᲒᲣᲚᲘ! ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲔᲑᲡ ᲨᲔᲜᲘ ᲓᲔᲠᲔᲤᲜᲘᲡ ᲭᲔᲠᲨᲘ ᲑᲣᲓᲔᲡ ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲘ,

ის ხომ გალობას არ მოიშლის. იჭიკჭიკებს ბუდის პირზედ მჯდომი, ჰაერში მფრინავი, ცაში მონავარდე. არ მოგასვენებს ბარტყების ჟღურტული და წრიპინი.

—ჭრრრიი! ჭრრრიიი! ნუ ხარ ბოროტი, ნუ! აბა რას გიშლი, კედელში რომ ჯოხებსა მჩხვლეტ; გინდა შიგ გამომჭყლიტო! მე ხომ ჯოხი ვერ მომწვდება, ხრუწუნში უვნებლად ვზივარ, ხომ ვერც გამოანგრევ, რომ გამომიყვანო? მაშ რად ბოროტობ?

იჯდა ჭრიჭინა თბილად ბუხრის კედელში და თავის წკარუნას უკრავდა და უკრავდა, სანამ გაზაფხულმა მზის შუქით არ გაათბო ქვა და ქვასქვეშ მიწა. მაშინ კი გამოძვრა თავის სოროდან ჭრიჭინა.

— გამარჯობა, მოხუცო! აი, მივდივარ, აღარ შეგაწუხებ ჩემი სტვირით, პაპავ! — და ხტუნ[illegible]ით გასწია ჭრიჭინამ კარებისაკენ, საიდანაც თბილი შუქი შემომდგარიყო და ლეგოს კარში ეძახდა: „წამოდი, ლეგო, წამოდი მინდორში, ამხანაგები გელიან. ეხლა ყველგან თავს მოაფარებ, ბალახი ყელამდეა, ყვავილებით სავსეა ქვეყანა. წამოდი, არ დადგე, წამოდი, ჭრიალავ!"

ძზის შუქიც ასრევე უძახოდა სხვა მრავალს მწერს და ქვეძძრომს, რომლებიც ზამთრის შიშით ზოგი მიწაში ჩამძვრალიყო, ზოგი ხის ქერქს შეჰფარებოდა, ზოგი ჭერში იჯდა, ან კედლის ნახვრეტებში.

— წამოდით, ყველანი წამოდით! ნურავინ ნუ დარჩებით, ვისაც გაზაფხული გახარებთ, მივეგებოთ ერთად! ერთმანეთს მხარი დავუჭიროთ, ამხანაგებო, აჩქარდით, ნუ იგვიანებთ.

— მშვიდობით, პაპავ, მშვიდობით! არ დაგივიწყებ, შემოდგომაზე ისევ გეწვევი, თუ ცოცხალი დავრჩი. ისევ ისე ვიჭრიჭინებ და ყურებს გამოგიჭედავ, შენ კი ისევ იბუზღუნებ და იჯავრებ. აბა, მშვიდობით, კარგად იყავი, პაპავ! — ეძახდა მხიარული ლეგოსანი, კარების ზღურბლზედ შესკუპებული. მაგრამ გაჯავრებულმა პაპამ თავისი კავიანი ჯოხი უთავაზა ისე მაგრა, რომ სულ მიწა აათხრევინა. თან ლანძღვაც დაატანა.

— ძოუსავლეთში წადი, შე შავო ეშმაკის ბარტყო! დრო არ არის გაძეცალო და მომასვენო?! წადი და აღარ მოხვიდე, შე შეჩვენებულო, მოუსვენარო. „წასვლა იანი, მოსვლა გვიანი". — თუ არ ლეგოს სიმარდე, იქნება ჭრიალა გაჭყლეტილი ჯოხს აჰყოლოდა, მაგრამ გადახტა და თავს უშველა.

— რა არის, პაპავ, ერთხელ მაინც გამოიჩინე გულკეთილობა!

დარჩა მოხუცი მოწყენილი, გაჯავრებული. ჭრიჭინამ კი მინდორში ამოჰყო თავი.

• • •

— რა უხარიათ ამ წყეულებს ნეტა? — იძახდა პაპა.—რატომ ყელი არ ეხევათ, ან თავი არ ასტკივათ ამოდენა ყვირილით! მე ლამის გაშაგიჟოს მაგათმა ჭრიალმა და ჭრიჭინმა. შე მოუსვენარო, თუ მოგზვედროდა ჯოხი, მაშინ ნახავდი შენს სეირს, მაშინ ასწევდი შენს ჰანგებს მაგრე მაღლა ფარდებში. მანდ წადი, მანდ. აბა მანდ არიან შენი სულთამხუთავები. იმედია შემოდგომას ვეღარ მოესწრები. გაგიცურდება ჩემს თბილ ბუხართან ჯდომა და მღერა...

დარჩა მოხუცი მარტოდმარტო. მოაგონა გაზაფხულმა თავისი სიშავ'შვე, სიყმაწვილე, სივაჟკაცე. მერე თავისი მკვდარი შვილები.

— ეჰ, ვინ იცის, ჩემს შვილიშვილებს უფრო მეტიც ეჭყვირნათ. რა იყო, მეც მეძახდეს ვინმე პაპასა და ეშმაკივით მარტოდმარტო არ დავრჩენილიყავი. რა იქნენ ჩემი პატარა ველის ყვავილები! თქვენც ზომ ზაშთარმა არ დაგაჭკნოთ, ჩემო ვარდებო? რატომ ბებერ პაპას არ ამხიარულებთ თქვენი ყივილ-ხივილითა?! — ბუზღუნა პაპა სტიროდა, ყვითელს, დახავსებულს წვერზე წვიმის წყალივით ცრემლები სწვეთავდა.

• • •

ჭრიალა კი მიხტოდა; მხიარულობდა. იცოდა, რომ ქვეყნად კიდევ ძალიან ბევრი მტერი ჰყვანდა, ბევრს ვისმეს ჰქონდა მისთვის პირი გაღებული. ერთგან წიწილაც დაედევნა, მაგრამ პირშიჩალაგამოვლებული დარჩა.

ჭრიჭინა კარგად ჰხედავდა, როგორ ნელა-ნელა ეპარებოდა მსუნაგი წიწილა. თვალებსაც კი აღარ ახამხამებდა, ვაი, თუ ხმაურობა რამე შეესმას, გამექცეს და დამემალოსო. წინდაწინვე ჰგრძნობდა

ლეგოს გემოს და პირს იტკბარუნებდა. „იჰ! იჰ! იჰ! — ამბობდა გუ-ხეაბში — ეს კაი ლუკმა ვიშოვე: ამ დილით კაი საუზმე გამიჩნდა, მომხედა ღმერთმა“.

— იქამდის ნურა ჰამე რა, სანამ ჭრიალა შენ არ შეგეჭმიოს! გა-ნა, ჩენც უნდა მე შემჭამო?! მაშ იმოდონა უთეალავს შაშვებს, ჩხარ-თვებს, ბოშიებს, ჩიტებს, მერცხლებს და ათას სხვა მტერს როგორ-ღა გადავრჩებით, რომ საშენოდაც კი გავხდეთ. მაშინ ჩვენი საგვარე-ულო ხომ გასწყდა ქვეყანაზე, — ამბობდა გაჯავრებული ჭრიალა.

ჯერ ქათმების სამეფოს არ გასცილებოდა, რომ უცებ სულთამხუ-თავივით წინ შეეფეთა ერთი უზარმაზარი წითელი მამალი. გვერდ-ზედ გადაგდებული ჩინჩლო, ნამგლის სიგრძე საყვირები, წითელი ბარჯახივით წვერები, ოქროსფერი ქოჩორი, ფეხებზედ გრძელი ყან-წები, გაალმასებული ნისკარტი. აი, მორთულობა და მოკაზმულობა მამლისა. თვალებს აბრიალებდა, მხედარივით ცმუკავდა, ფაფხურობ-და, ჭრიალას წითელქუდა ჟანდარმი ეგონა. ძალიან შეფიქრიანდა. გულგახეთქილმა ხტომას უმატა, მაგრამ არც მამალი ჩამორჩა. კი-სერწაგრძელებული, გამახვილებული ნისკარტით გაექანა ლეგოსა-ნისკენ.

— ვერ წაბიხვალ, ძამიავ, თქვენი გემო ჯერაც პირში მიდგია! თქვენგან არის მინდორ-ბაღები აკლებული და მწვანილის კვლები დაცხავებული. აქ კიდევ ჩემს პატრონს არა აქვს შენგან მოსვენება, ბე წყეულო! — უკვე დაეწია მამალი, ზედ წააწყდა გაქანებული, ცოტა დააკლდა, კინაღამ ფეხით გასრისა. — ჰოო, შე საძაგელო, შე წყეულო! აბა დამაცადე!

— ახლა კი მშვიდობით, ზაფხულო! ახლა კი დავიღუპე. რაღა გადაბარჩენს ამ სიკვდილის პირიდან. მორჩა ყველაფერი! — ამბობ-და ჭრიალა. — ისევ ჩემი ყოჩაღობა თუ დამიფარავს, თორემ სხვა ხსნა არ არის.

ისეთის ძალით ჩასცხო მამალმა ნისკარტი, რომ მთელი ტანით ზედ წააწყდა თვითონაც, თავი ვეღარ შეიმაგრა. მაგრამ ჩვენი მგა-ლობელი ამ საფრთხესაც მშვიდობიანად გადურჩა. იმის მაგივრად მამალს ქვისთვის ჩაეცხო ნისკარტი ისე მძლავრად, რომ ტვინი სულ ბეერყია. ამის შემდეგ შაკიკი აუტყდა და სამს დღეს და ღამეს თავის ტკივილი ჰკლავდა. თვითონაც ძალიან უკვირდა მამალს, რო-

გორ წამოვიდა ხელიდან ცოცხალიო, სწორედ პატარა ეშმაკი თუ იყოვო.

გულგახეთქილმა ჭრიალამ ძლივს ერთ ქვისქვეშ მოასწრო შეძრომა და დამალვა. თავის დროზედ ხომ დამალვა და გაქცევაც კაი ბიჭობაა.

— მადლობა ღმერთს! — ამბობდა გულის კანკალით ლეგოსანი. — ეხლა პირდაპირ პირიდან გამოვეგლიჯე სიკვდილსა, სასწაულით გადავრჩი. ეს დასაწყისია, — შემდეგში ბევრი სხვა საფრთხე მომელის წუთისოფელში. ეჰ, „გადამხდა გადასავალი, სხვა უარესსა მოველიო", რა კარგად უთქვამთ.

დიდხანს იჯდა ქვისქვეშ ლეგოსანი, იჯდა, სანამ ხმაურობა არ მისწყდა, მამალმა ყივილი არ შესწყვიტა და წიწილებმა წივილი, — კარში აღარ გამოუხედნია.

როცა ქვისქვეშიდან გამოძვრა, უკვე დაღამებულიყო. ის საზარელი მხეცი, წელან რომ კიბაღამ ჩაყლაპა, აღარსადა სჩანდა. ირგვლივ მშვიდობიანობა სუფევდა. საშიში აღარა იყო რა. ცა ვარსკვლავებით მოიჭედა, ოქროს ღილებივით იწყეს ციმციმი. აპრელდა ლაჟვარდი გუმბათი, წვრილ მნათობებში მთვარე ლამპარივით აენთო. ფრინველებისა და ცხოველების ჩვეულებრივი ყვირილი და განგაშიც ძისწყდა. მხოლოდ ობლადდარჩენილი ბულბული უსტვენდა სადღაც ჩირგვებში ჩამალული.

შორიდან ლეგოსანის ამხანაგების ჭრიალი და ჭრიჭინი ისმოდა. ერთავად ტკაცატკუცი იდგა. ერთი მღერა და განგაში იყო. ყველას ხმას იძათი ჭრიჭინი ჰფარავდა. კაცს ეგონებოდა, სოფელი აყრილა და აქეთ გადმოსახლებულაო. ამათ ტყიდან ხის ტოტზედ მჯდომი მწვანე ფოთლის ბაყაყი უბანებდა კრიალით.

— ბნელა, — სთქვა ლეგოსანმა, — ძალიან ბნელა! შესაძლებელია გზა დაკარგო, უბედურებას რასმე შეეემთხვა. აქვე გავითიო, ვაი, თუ ის მხეცი ისევ შემხვდეს. განა მუდამ გადურჩება ხიფათს კაცი?! ხიფათი მწყერსა ჰგავს, სადაც არ ელი, იქიდან ამოფრინდება.

ამხანაგების ჭრიალი თავისკენ იწვევდა. ეს ხმა წინამძღვრად გაძოადგებოდა ლეგოსანს. მაშ გზა დაეულოცოთ ჩვენს მგალობელსა.

— გამარჯვებათ, ძმებო, გამარჯვებათ! — აძლევდა სალამს ჭრიჭინა წინა შეხვედრილს ამხანაგებსა. ჰკითხავდა მინდვრის ამბავსა და

თვითონაც უამბობდა თავის თავგადასავალსა. სამაგიეროდ, ჭრიჭინებიც სულით და გულით ეგებებოდნენ ახლადმოსულს ამხანაგსა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს, — ყვიროდნენ ამხანაგები, — მოხველ მშვიდობით! კეთილი იყოს შენი მოსვლა!

გაერია ამხანაგებში ჩვენი ჭრიალა და თავის ხმა იმათ გალობას შეჰმატა.

— ჭრიიი! ჭრრრიი! — იძახდა მთელი კრებული.

— წავიდა სუსხიანი, სიკვდილისფერი ზამთარი, წავიდა! გაიხარეთ, ძმებო, გაიხარეთ! აბა, დავეშუროთ, ამხანაგებო, სითბო-სინათლეს, ზამთრის გაჭირვება დავივიწყოთ. იგალობეთ, ძმებო, იგალობეთ!

მთელი ზაფხული ისმოდა განუწყვეტელი ჭრიჭინი და ჭრიალი შავი და ლეგო პატარა ჭრიჭინებისა, სანამ ტყეს ფოთოლი ჩამოსცვივდებოდა, მწვანე ბალახი გახმებოდა და თეთრი თრთვილი ხელებსა და ფეხებს დაუწყებდა ყინვასა...

[1906 წ.]

# მუხა გაზაფხულზე

ძუხამ რომ თვალები გაახილა, ჩირთი უკვე ასცილებოდა, კოხტა-პრუწა არყი მწვანე, ქორფა ფოთლებით მორთულიყო. მზეზედ ტურფადა ბზინავდა.

— დილა მშვიდობისა, პაპა! — მიესალმა ნაზად თეთრკაბიანი ძთების ასული დაღრეჯით მდგომარე, ხავსით დაბურვილს, სიბერით დაჩაჩანაკებულს მუხას ტანწერწეტა არყი.

— ძალიან მძიმედა ხარ, პაპა! რამდენი ხანია, შენს გვერდზედ ვშრიალებთ, ვყბედობთ, ქარს ვეკამათებით, შენ კი გძინავს და გძინავს! რამდენჯერ გეძახეთ გაიღვიძე, პაპა, გაიღვიძე! გაზაფხული მოდის!

— აბა, გამოიხედე, ჩვენ უკვე სადღესასწაულოდ სულ ახალ-ახლებით მოვირთენით, მოვიკაზმეთ, შენ კი ისევ შიშველი სდგეხარ! ნუთუ არ გამოგაღვიძებს მგრგვინავი ხმა გაზაფხულისა?!

— გაიღვიძე, პაპა! — ჩასჭიკჭიკებდნენ ჩიტები, — ჩვენ უკვე ხახლებსაც ვიშენებთ, ბუდარობას ვაპირებთ. რაღა დროის ძილია? გაიღვიძე!

— რას მოგიწყენია ბუმბერაზო? რატომ არ გამოფხიზლდები?— გასწიოდნენ ქორფა ყვავილები და ბალახები, კლდის კინჭუხებში ამომძერალები.

— გაიღვიძე, მოხუცო! — შრიალებდა წვიმა, — გაიღვიძე! რა

ხანია, თოელი გავადნე, მდინარეები ავახმიანე, ბალახი გავაცოცხლე! აბა, გაიხედე ქვეეით, ბარად, ჭალები როგორ თეთრად და წითლად გადავპენტე, შავ ხნულებს მწვანედ ფერი ეუცვალე! გაიხედე, როგორ გამოვაღვიძე ქვეყანა, როგორ ხმა ამოვაღებინე. ჩაჰხედე ძირს ხეობას, გაღმა ფერდობზედ მდგომ ტყეს, რა რიგად ავამწვანე და ფოთლით დავბურე! შენი ბიძაშვილები უკვე ძილიდან გამოერკვნენ, პირი დავბანე და ახლა ისინიც სხვებთან ერთად შემოსვას ეშურებიან! გაიხედე! ჩიტების საბანაო პატარა ნაკადული როგორ მრისხანე ხევად ვაქციე და ავალრიალე! რა ხანია ხეობაში ჩაჰყვირის და ჩაჰქუხს! შენ მაინც არაფერი გესმის, თითქოს შენთვის ყურთასმენას ეღალატნოს!

— გაიღვიძე, მეზობელო! აი, მეც შენსავით მრავალწლოვანი ვარ, მეც საუკუნოებმა ძირი გამიშეშეს; წვერი ხესაეით გამიხმა, მაგრამ გაზაფხულმა მეც გამაცოცხლა. საერთო სიხარულში ჩამაბა. გაიღვიძე! — ბიბინებდა ქუჩი, — შენ კი, მუხავ, სდგეხარ უძრავად, წარბშეუხრელად, უდარდელი, თითქოს ფიქრი დაგკარგვოდეს. არ გესმის არც ხეების შრიალი, არც ბალახთ საამო ბიბინი, არც ხევების საზარელი ღრიალი და არც ახლადშობილი ნაკადულების ჩახჩახი. ვერ გამოგაღვიძა ვერც ფრინველების ტკბილმა გალობამ, ვერც წვიმის ხუილმა, ვერც ქარის თავისუფალმა გრიალმა. არ შეისმინე არც მოკეთის ხვეწნა-მუდარა, არც მეზობლების რჩევა-დარიგება. არაფრად ჩააგდე არც თბილი სიო, მზის შუქიდან ნაშობი, არც თვით მზის სხივები, დედამიწის გულის გამთბობნი. აგცილდა ჩირთი, მთების კალთები მწვანედ გაცოცხლდა. შენ კი? არც კი მიიხედე. ხევებსა და ღელეებში უსულოდ მწოლარე ზვავებიც დადნა, ენა ამოიდგეს, წყლად ქცეულთ მღვრიე ხევებად ბარისკენ ჩაიმღერეს, იყვნენ აქ დედაკაცებიც, იყვნენ ბალღებიც.

— უყურე, დედა, უყურე! — გიცოდებდა პატარა ქალი. — საწყალი მუხა! გამხმარა! ველარ მოსწრებია ბეჩავი გაზაფხულს! ყველამ გაიღვიძა, ყველა გაცოცხლდა, ამოძრავდა, ეგ კი სდგას გამხმარი, უსიცოცხლო, უგრძნობელი! ფუჭია მაგისთვის ბუნების გაღვიძებაც და ცხოვრების განახლებაც. საწყალი!

— არა, შვილო, — ეუბნებოდა დედა, — მუხა არ გამხმარა, არც მომკვდარა, არა, ჯერ ისევა სძინავს, არ გაუღვიძნია. ეგ ბუმბერაზი

ძალიან გვიან იშლება. მაგისი ღონიერი ფესვები ღრმად არის დედამიწის გულში ჩამძერალი, შორს არის კლდეებში გაჯაჯღული, იქ კი სითბო გვიან ჩაატანს. მაგის დაღრეჯილს, დახავსებულს ქერქს მსუბუქი გაზაფხულის სითბო რას გააცოცხლებს? სხვა ხეებისა და ბალახებისათვის საკმაოა რამდენიმე თბილი დღე, ნათელი მზის შუქი, თბილი ჟუჟუნა წვიმა, რომ გაცოცხლდნენ და აშრიალდნენ. მუხას კი თუ არ გამუდმებული წვიმები, ხანგრძლივი ცხელი დღეები და მქუხარე ღრუბლები, ადვილად არ გამოაღვიძებს რა.

აკი ამიტომაც, როცა შემოდგომაზე უბრალო თრთვილი ბალახბულახს აზრობს და ხეებიდან უთვალავ ფოთლებს ჰყრის დედამიწაზედ, მუხა ამაყად სდგას ხოლმე, მწვანე ფოთლებით მორთული!

დედის სიტყვით გახარებული პატარა ბალღები შემოგეხვივნენ გარს, ზოგი ქვას გიკაკუნებდა, ზოგი ჯოხს, ზოგი ქერქს გყრიდა და ხავსსაც გწიწკნიდა. თან გეძახდნენ: გაიღვიძე, დევგმირო, გაიღვიძე, საკმაოდ თბილა!

— მადლობა ღმერთს, პაპა, რომ გაიღვიძე! ახლა კი ზამთარს აღარა მოგვაგონებს რა!

* * *

ზამთარი კი ამ დროს, ზაფხულისაგან გამოდევნილი, ერთი მაღალი მთის ღელეში მწოლარე ზვავში იფარავდა თავსა, ცრემლიანი, გაწბილებული, გათახსირებული. მუდამ წამს, მუდამ საათს ახალ-ახალი ხორცი ადნებოდა, ის კი ზვავს უბუზღუნებდა:

— რა ღმერთი გიწყრება, ზვავო, შენ რაღასა ლნები? პირში ხომ ვერ მიმცემ იმ ოხერ ზაფხულს? გამაგრდი, შემინახე, დამიფარე! ნუ გამხდი ზაფხულის გულისას!

— შე დალოცვილო, მეც შენი შვილი არა ვარ! მეც შენითა მქოხდა დიდი გული, როცა მთაზედ ვიდევი და ბარად ჩაყრილი თოვლი ზურგს მიგაგორებდა. მაგრამ შემოგვეპარა გაზაფხული, ჩვენ არა გვკითხა რა, ბარში გადნა და გაიპარა თოვლი. გვიღალატა, დაგვტოვა მარტოდ. ზოგი წვიმამ დაადნო, ზოგიც შესვა და ორთქლად აქცია. ჯერი მოდგა ჩვენზედაც. ვიმაგრეთ, ვიმაგრეთ, მაგრამ როდემდე? საძირკველი დაგვენგრა, ლიბო გამოგვეცალა. რაღა დაგვარჩენდა?

მოჰქროდა გამარჯვებული გაზაფხული, მოუძღოდა წინ მზე და წვიმა. დიდხანს ვუმაგრდით, დიდხანს ვუძლეთ იმის იერიშს, მაინც ზოლოს გვძლია, მოგვხვეტა ერთად და, აი, ზოგი ამ ღელეებში გადაძოგვიძახა, ზოგიც ხევხუვებში ჩაგებერტყა. შენ, ზამთარო, სად იყავ მაშინ? რატომ არ დაგვეხმარე? რატომ არ გადაუდექი გაზაფხულს წინ? სად გაჰქრა შენი ძლიერება? სად გაჰქრა შენი ყინვა და ზროობა? გიღალატეს?

— მომკალით, შვილო, მომკალით! — ბუზღუნებდა წყალში ამოზუნზლული ზამთარი, — რაღა სიცოცხლის ღირსი ვარ, ჩამქოლეთ ძე აძაღლებული! ზვაეო, აბა, ერთი ჩაიხედე მაგ მოღალატე ბარისკეხა, ეგ არის გამოგვეცალა ხელიდგანა? ნახე, აღარავინ დარჩა ჩემს მხარეზედ? მაშ, მუხაც გაიშალა? მაშ, ეგ იყო ჩემი ძალა? მაშ, ქვეყახა რომ ჩემი შიშითა თრთოდა, ახლა ყველამ დამივიწყა? ჰა? მოიცადოხ, კიდეე მოვა ჩემი დრო, კიდეე ვაწვნეე ჩემს ძალას, მოიცადონ.

— ეჰ, შე დალოცვილო, შენა, რა ქნან? მოხვალ შენ შენი სასტიკი თოვლითა და ყინვით, გასცრცვი, გაატყავებ ქვეყანასა, გააშიშვლებ, შესტუქსავ, ნიშის ზარს დასცემ, გაჰყინავ, გააფიჩხებ, მოვა გაზაფხული, შეჰმოსავს, მოჰრთავს, მოჰქარგავს, მიუალერსებს, უმღერის, ახარებს, ათბობს, გააძღობს, მოხვალ ბერე ისევ შენა და ისევ ძველი ამბავი იწყება. რა ქნას ქვეყანამა? რიო მოგიგონებს, სიკეთით?

— გაიხედე, ნახე, მაშ, აღარავის ვახსოვარ? აღარავისა აქვს ჩემი შიში.

— ე, შე დალოცვილო, შიშით გინდა ქვეყანა დაიპირო? აბა, როგორ გადავიხედო ღელეში ჩაპყლეტილმა, თავი მაღლა ვერ ამიღია, ზევიდან მიწა და ტალახი მაწვეს, საიდან გავიხედო? გაგზავნე ყინვა, ეგ ადვილად გაფრინდება.

ეძება ზამთარმა ყინვა, მაგრამ ვერსად იპოვა.

— სითბომ შეჭამა, სითბომ! — ქვითინებდა ზამთარი, — ვაიმე, ჩემო ერთგულო ძალავ, სადა ხარ, ყოვლად ძლიერო? სადა ხარ, ჩემო ფარო და ხმალო? შენც მიღალატე და გაზაფხულის გულისა გამხადე, ჩემო ერთგულო! მერე მიჰმართა თოვლსა. — აბა, თოვლო, ჩემო თეთრო მტრედო, ჩემო სპეტაკო ფრინველო! მოდი დედაშენთან, ჰხედავ, სულსა ვლევ; ნუ გამატან საფლავში დარდად. აბა ჩაი-

ხედე ბარისკენ, ან მთაში, მთის კალთებზედ, კლდეების თავებზედ, ულრან ხეებში, სადაც მზის შუქი დღეში ორ საათობითაც არა კადრულობს ჩადგომასა, იქნება იქ შეგვრჩა ვინმე ერთგული? რა მადლობელნი იქნებიან ან მზისა, ან ზაფხულისა, სულ მუდამ ნისლითა და ღრუბლით დაბურულნი, სულშეხუთულნი? ჯურღმულში მყოფნი ადვილად არ გვიღალატებენ. რა იციან მაგათ ზაფხულის გემოსი? მე ვიცი, რა ყურძენს დაუმწიფებს და ზედაშეს ჩააქყლეტინებს? რა წითელ-ყვითელ ყვავილებით მოჰქარგავს მაგათს არემარეს ზაფხული?! ყვავილიც კი, თუ საღმე გამოძერა ხის ტოტებზე, ჩემი ფერია. აბა, ძალაც ასეთი უნდა და გავლენაცა!

— ეჰ, მშობელო! — ხრიალებდა ზვავი სულთმებრძოლიეით, — რა სიკეთე ახსოვთ შენგან იმ მთა-მთის კუდებში მცხოვრებთ? ორ საათობით ხომ ათბობს და ანათებს მაინც ზაფხული. შენ კი ისიც გშურს იმათთვის. იმ ორ საათსაც აშხამებ და სიმწარით აღამებინებ. ზაფხული კი სიცოცხლეს უბრუნებს საკვდავად გამზადებულთ. ცოტახხობით მაინც შეჰმოსავს იმ შენგან დაწყებულ თეთრი ყვავილებით ბუწკნარ-ხეებსა, ცოტახნობით მაინც არის ახარებს კაცის თვალსა! რა ვუყოთ, თუ ბროწეული და ატამი წითლად არ გამოსჭვივიან, რა ვუყოთ, თუ ძვირფასი ბარის ყვავილებით არ ირთობა კლდის ნაპრალები! ცოტა ხანს ხომ აამწვანებს შენგან გაცრეცილ-გატიტვლებულს ტყე-მინდორს შენგან ათვალწუნებული ზაფხული.

შენ კი, აბა, რა სიკეთე გიქნია იმის მეტი, რომ გაჰყვლეფ, დააზრობ, დაჰკრუნჩხავ, სიცოცხლეს აწყევლინებ, დასთოვლავ, ყინულებით დაახრჩობ. ნეტა, რა ჭკუა გიჭრის, რომ იმათგან ერთგულობასელი?!

— წადი, შვილო, თოვლო, ჩადი, ნუ დაიზარებ, თავს შემოგევლე! ჩადი, რომ უკანასკნელი დღენი წუთისოფლისა მაინც სიამოვნებით დავლიო!

წავიდა თოვლი... დაჰბურა ცივმა ნისლმა მთის წვერი, დაჰბერა ცივმა ქარმა, დაჰქროლა და ჩასწივლა უფსკრულ-ნაპრალებში. შეკრთა არყის ფოთოლი, შიშით თრთოლა იწყო. დაჰკიდეს თავები ბალახებმაცა და დაეშვა ცის თვალაუწვდენელ სიღრმიდგან თეთრ ფოთლებად მთისკენ თოვლი. მაგრამ ვერ მოესწრო დედამიწაზე დაცემასა, გადნა, გაწყალდა და წვიმადქცეული გულგამოფიტულმა

კლდემ, კუნძადქცეულმა ქუჩის ძირმა და ქორფა ბალახის ფესვებმა შეირგო, მოკვდა, წავიდა თოვლი.

ელოდა ზამთარი, ელოდა თოვლის დაბრუნებას, ელოდა იმისგან სასიამოვნო ამბებსა, ელოდა, რომ თოვლი ახარებდა მუხის გაუშლელობასა, უღრანს ხევებში ჯერ ისევ ზამთრის მბრძანებლობასა, მაგრამ არც თოვლი დაბრუნებულა და არც საამური რამე ჰსმენია. ასევე დაემართა თრთვილსაც. ელოდა ზამთარი, ელოდა გულის გასახარელ ცნობასა, ლოდინმა გული გადულია.

— არწივო! არწივო! — შეჰღაღადა ამაყად მცურავს არწივს ზამთარმა, — დიდებულო ფრინველთა მეფეო! მოიღე მოწყალება, ჩემსკენაც მოიხედე. შენ სულ შენ თავს უნდები, შენი დიდება და ძლიერება გახსოვს, იმას შესტრფი და შეჰხარი! შესდეგ ცოტა ხანს, დაძიგდე ყური, ნუ მარიდებ თვალს! შენ ხომ სულ აქა ხარ, სხვებსავით არ გარბიხარ თბილი ქვეყნებისაკენ, როგორც სხვა წვრილი ფრთოსნები; შენ იცი ჩემი ძალა და ძლიერება, შენ მიცნობ, რომ მოკეთედაც ვვარგივარ და მტრადაც. მოვა ჩემი დრო, კიდევ დავაზრობ ფეხებს ქარაფშუტა ჭკუათხელ სულდგმულთ. ჰხედავ, ზაფხული თავზე წაძოძაჯდა. მარტო მუხაღა შემრჩა, ის არ აჰყვა ზაფხულის ბაქიობას, იმან იცოდა ჩემი ძალა და ღირსეულადაც აფასებდა. მინდა სიკვდილის წინათ მაინც გავიგო, იმანაც ხომ არ მიღალატა და ყელი არ გაძოძვრა, იმანაც ხომ არ შეიმოსა გაზაფხულის სამოსელი? ჩადი, გენაცვალე, მანდ რომ დიდი კლდეა, იმის თავზე სდგას. გამაგებინე შართალი, რომ მოსვენებით დავლიო დღენი!

არწივი შედგა. ზვიადმა ამაყად დაუწყო ზამთარს თვალით ძებნა.

— ფუჰ!—გააფურთხა გულზვავმა. — თუ მაგრე ძლიერიცა ხარ, მაგ ჭუჭყიან ზვავში რაღას შემძვრალხარ? გამოდი და პირდაპირ ეკვეთე ზაფხულს, თუ შეგიძლიან რამე, თორემ რა ღობე-ყორეს ედები, რა ხავსს ეპიდები, შე სულმდაბალო! რამდენი ხანია ბუხის მსუქანი ფოთლები ჩემს ბარტყებს უჩრდილებენ და წვიმისაგან იფარავენ! ვისღა ახსოვს ზამთარი! გირჩევ გაიპარო, თავს უშველო!

არწივმა ფრთა ფრთას შემოჰკრა, ზიზღით შეჰხედა შიშისაგან თხასავით მოკუნტულ ზამთარსა და ცის სივრცეში შესცურდა.

[1908 წ.]

# მკვეხარა პავლია

ტყუილაც იყო პავლია და მკვეხარაცა.

— შესანიშნავი მონადირე ვარო, — იძახდა ხოლმე, — მე რო თოფი მქონდეს, ერიჰაა! იმდენს დავხოცავ, იმდენსა, რომ...

— რას დახოცავ, პავლიავ, მგლებსა, დათვებსა თუ ირმებსა, ჰა? — ჰკითხავდნენ ხოლმე დაცინვით ამხანაგები.

— ტყუილებსა! — გასცინა ერთმა.

— არა, კალიებსა და ბუზებსა, — დაურთო მეორემ.

— არა, მგლებს დახოცავს, კაცო, არ იცით, რა გულადია?—დაუმატა მესამემ.

— მგლებიო?! — დაფიქრდა პავლია, — ჰაი, რო კაი ბიჭობაა მგლის მოკვლა, მაგრამ, მაგრამ... — და ტანში შიშის ჟრუანტელმა დაუარა.

— მგელი? ვინ მოჰკლავს მგელსა?! თურმე ნაკვერჩხალივითა აქვს თვალები და როცა კბილებს აკაწუნებს, სულ ცეცხლის წინწკლებსა ჰყრის. აი, ბნელა ღამეში რო ტყეში ხანდახან სინათლე გამოჩნდება ხოლმე, ის მგლის თვალებია თურმე.

— არა, არა! — ფიქრობდა პავლია, — მართალია, მონადირე ვარ, თოფიც მიყვარს, არც სროლისა მეშინიან, მაგრამ მგელზე ნადირობას მაინც, როგორ გავბედავ? მამა დამპირდა, თოფს მოგიტანო. მომიტანს კიდეც, ვიცი, სანადიროდ წავალ ვენახში. მგლები კი ტყეში

არიან; ვენახში ხომ ვერსაიდან შემოძვრებიან, იმ სიმაღლე ღობე არტყია და მერე სულ ეკლებითაა შემოვლებული. ისეთი შეერჭობათ ფეხში ძეძვის ეკლები, რომ სულ სიმწარით ყმუოდნენ. ჰოო, ეგრე გინდა; შე სისხლისმსმელო, შენა! კიდევ გადმოხვალ ვენახში? გინდა ყურძნები და ხილები შეგვიჭამო? დიახ! ვერ მოგართვეს, შენთვის ხომ არ დავრგეთ? გნებავს კი მწიფე მტევნები ტვლიპო და წითელი ვაშლები კბიჩო? ერთი გნახოს ჩვენებიანთ ნიკუამ, თავის დიდი თოფი როგორ გესროლოს! — ასე იმუქრებოდა პავლია, მაგრამ გუნებაში კი ღმერთს ევედრებოდა, ის სატიალე მართლა არსაიდან გაძომძვრალიყო ვენახში. მერე ყურძენიც მწიფდა, ატამიც თვალშესული იყო, გულაბებსაც კიდევ ება აქა-იქ დაშაქრებული მსხლები, ჯაძისტოლა ძოწვით წითელი და ქარვასავით ჩაყვითლებული ქაშა ვაშლები ხომ იმდენი ეყარა ვაშლებისქვეშა, რომ ფეხი აუგორდებოდა კაცსა.

— ჩვენს ხახვის კვლებში ირმებს უვლიაო! — ეუბნებოდა ერთხელ პავლია ამხანაგებსა, — ღმერთმანი, არა ვტყუი, ბიჭებო, გინდა ჩვენს ნინოსა ჰკითხეთ. ისეთი ტოტიანი რქები ჰქონდა თურმე. ნავალი ეხლაც ეტყობა, იმ საოხროს სულ ჩაუქელია ხახვები. აბა, იმაზე არის კარგი ნადირობა, აი!

— ჰო პავლე! თქვენი ბოსტანი რო ძალიან შეღობილია, აბა იქ ძროხები და კამეჩები ხომ ვერ გადავიდოდნენ, შენმა მზემა! — ეუბნებოდნენ დაცინვით ამხანაგები. მაგრამ პავლია თავისას არ იშლიდა: ნამდვილად ირემი ჩამოვარდნილაო.

— გეყოფა მაგდენი ტყუილი, პავლე, გეყოფა!

* * *

ზაფხული გავიდა. ზაფხულის ალაგას შემოდგომა ჩადგა. ვენახიდან წითლად დამკრახული მტევნები ნერწყვსა ჰგვრიდა პავლიასა და იმის ამხანაგებსა. მწიფე, ყვითლად დაშაქრებული მსხლები და წითელი ვაშლები თავს უკრავდნენ პატარა მსუნაგებსა, ესენიც მთელი დღეები ვენახების ირგვლივ ატრიალებდნენ ხარებს, სუნი მაინც შოგვივაო. სინჯავდნენ და უკირკიტებდნენ, გადასაძრომი ხომ არსაი-

დან არისო. აბა, რას დაიხვალიებდნენ, თუკი დროს იპოვნიდნენ და ძებაღე არსაიდან არ მოასწრობდა. თუ ვერაფერს გახდებოდნენ, მერე კი ძებაღესა სთხოვდნენ, გვაჭამეო. მებაღეც მოაგროვებდა კეტრიანს ნაყარს ვაშლებსა, დაქექილ მსხლებსა და გადმოუყრიდა ღობიდან. ახლა უნდა გენახათ, რა ყურთაგლეჯა ჰქონდათ ამ ვაშლებზედა! ყველა ცდილობდა მეტი აეღო და უბე გაეტენა.

— ე ჩვენებიცა, — იძახდა ერთი, — როცა წალამია მოსაგროვებელი და ფიჩხია ასაკრეფი, მაშინ მარდად მეძახიან,—ვარდო, ვენახში წამო, წალამი აკრიფეო. თოხნა-მარგვლაში და მუშაობაშიაც არ ძიკლებენ და ახლა კი შიგაც აღარ გადამახედებენ ხოლმე.

— ჰოდა, კაცო, ეს სამხარ-სადილი ჩამოგვიტანეო, ეს ცივი წყალიო! აბა ახლა დამიძახონ და ჩამატანინონ, ღვთის წყალობა გაქვს, მე მტევნებს ჩამოვტვლეპ! — ამბობდა მეორე.

— იცით, ბიჭებო, — ჩაერია პავლიაცა, — ჩემს ძმას რო სადილს ჩაეუტან ხოლმე, კარებიდან გამამართმევეს და არც კი გადამახედებს ვეხახ'ში, რო დავინახო, როგორი ყურძენი ასხია, როცა მოვკრეფთ, მაშინ ჩადი და რამდენიც გინდა იარეო, მეუბნებიან, საკუთრად დაგრჩება სამცერევადაო[1]. მამაჩემმა ხილები გაყიდა, მეუბნება, თოფსაც მოგიტანო. ჰე, ბიჭებო, აბა მაშინ ნახეთ, როგორ დავაქუხო ხოლმე! თქვენც გასროლინებთ. განა! თქვენ წამალი მოიტანეთ ხოლმე. ერთი ე ყვავები სულ გაეწყვიტოთ. რომ დედაჩემს მაგათგან მთელი ზაფხული მოსვენება არა აქვს. ხან ბატის ჭუჭულებსა სტაცებენ, ხან ინდაურების ჭუკიებს, ხან ქათმის წიწილებსა.

— აბა, ის გასატიალებელი, ჩვენც სულ გაგვაცია! — დაემოწმნენ ამხანაგები. — ბუდე გლახუნაანთ კაკლების წვეროკინაზე აქვს. და პირდაპირ იქ მიაწიალებს ხოლმე წიწილებსა. ვერავინ გაბედა ასვლა, კაცო, რომ ჩამოეშალათ.

— მე ავცოცდი იმ დღეს, ყვავს ბოლო ჰქონდა გადმოშვებული, ის იყო, ხელი ვტაცე, უნდა დამეჭირა, მაგრამ დაიფრთხიალა და გაძე'შვა, ნახევარი ბოლო ხელში შემრჩა. წამივიდა ი ვერანა! — იცრუა პავლიამ. ამხანაგებს სიცილი აუტყდათ.

---

[1] მცერევას ეძახიან რთველის შემდეგ რომ ვენახში აქა-იქ ვაზებზე ყურძენი სადმე შერჩება ან დაიბნევა, იმის ძებნას.

— დაიკარგე, შე ლახიანო! ფეხებს ძლივს დაათრევ, ვის ატყუებ, შე ყრალო, შენა!

— ღმერთმანი ავცოცდი, — ირწმუნებოდა პავლია, — დედა არ ძოძიკვდება, რომ ასვლა მინდოდა, მაგრამ გაფრინდა და მეც აღარ აველ, რაკი გაფრინდა. მინდოდა შიგ დამეჭირა და როგორც ერთ-ხელ სალახანამ (ბიჭის სახელია) ცოცხალს ნავთი დაასხა და მერე ცეცხლი წაუკიდა, მეც ისე მინდოდა მექნა!

— ჰო, მართალია, არა ტყუის, — დაემოწმა ქერა წყალობა ბიჭი, — ისეთი ხტოდა ი ვერანა და ჩხაოდა, რომ სიცილით მოკვდებოდა კაცი.

* * *

პავლია მარტო ერთში გამოდგა მართალი: მამამ ქალაქიდან მართლა მოუტანა თუნუქის თოფი და კალის პატარა ხმალი.

— უჰ, ბიჭებო! — იძახდა ლოყებდაწითლებული ლადა — რა თოფია, კაცო, რა თოფი! ისე ბრჭყვიალებს პავლიას თოფი, თითქო ვერცხლისააო! ისეთი წითელი კონდახი აქვს, ნაზუქივით დაბრაწული... ახლა რა ხმალიც მოუტანია, და! წმინდა ვერცხლისაა, მზესავით ანათებს ი ვერანა! ჰეეე! ბიჭებო! ნეტავი იმასა!

— ჰოოდე, გუშინ იძახდა, ხარებში უნდა წამოვიღოვო და იქ ვისროლოთო, — სთქვა ცუცნიამ.

— დაიკარგოს ი ყრალი! ი რა თოფის ღირსია! — შეიშურა ვიღამაც.

— ოი, დადაა! რა კარგია, კოტორავ, მეცა ვნახე, ისეთია რომა! ნეტავი მეცა მჭონდეს იმითანა თოფი! უნდა ვუთხრათ, ყველას გვასროლინოს. წამალი არ უნდაო, ისე თავისთავად ისვრისო.

დიდის ამბით, მოუთმენლობითა და გულისფანცქალით მოელოდნენ პავლიასტოლი ბიჭები იმის თოფისა და ხმლის ნახვასა. ბევრს ჰშურდა გულიგულში პავლიასთვის თოფი, მაგრამ როგორ დაიმჩნევდა. ყველანი პავლიას გზას გასცქეროდნენ; ხარები რო გამოჩნდებოდა ვისიმე, ყველა ჟრიამულს ასტეხდა ხოლმე, — მოდის, მოდისო! — ყველა ცდილობდა გზაშივე დაჰხვედროდა პავლიასა და პირველს ენახა იმისი თოფი და ხმალი.

აგერ გამოჩნდა პავლიაც. აჩქარებით მოერეკება თავის ყვავარ ხარ-კამეჩსა. გამეტებით უტყაპუნებს და უტყაპუნებს სახრეს საქონელსა. კამეჩების გვერდებს ხოკერივით ფახაფუხი გააქვს.

— ჰაბო, შე მგლის ლუკმავ! ახლა მოგინდა ძოვნა, შე საერანავ? პავლიას უფრო ძალიანაც ეჩქარებოდა ტოლ-ბიჭებში მისვლა. ხმალი ჩაძოეკახტურა, თოფი მხარზე გადაეგდო. თავს იდებდა, სულ ინდაურივით იფხორებოდა.

— დამაცათ, კაცო! აღარ დამაცდით, თქვე ოჯახქორებო, რომ მოვიხსნა?! — არ ჩამომაგლიჯოთ, რას ეწევით, ეი! ისე იქცევით, თითქო არა გენახოთ რა! — ჯავრობდა პავლია. მაგრამ სანამ პავლია აიხსნიდა, ბიჭებმა უკვე აპყარეს იარაღი და პავლიას აბჯარმა ხელიდან ხელში იწყო გადასვლა.

ზოგი უმიზნებდა, ზოგი ფეხს ეწეოდა, ზოგი შიგ იხედებოდა და უბერავდა; რომელიც უფრო გულადი იყო, აჩხაკუნებდა.

— ემანდ არ გაგივარდეთ, ეშმაკმა არ გატეხოს, ეე! — აფრთხილებდა რომელიღაც მშიშარა ბიჭი. ბალღებმაც სიცილი ასტეხეს, ერთმა თოფი მთქმელს დაუმიზნა.

— თქვი, ჰა, რაში მოგარტყა, თვალში თუ მუცელში? — ბიჭებმა უფრო უმატეს სიცილსა, მშიშარს შემოესვივნენ გარსა. იმასაც შერცხვა, გაწითლდა.

— რა ვიცი, ეგრე გამიგონია, ეშმაკი გაჰტენს ხოლმეო, — მართულობდა თავსა.

ზოგი ხმალს იღებდა და ფხას უსინჯავდა, წვერზე თითს უსვამდა. ან ხესა სთლიდა, მაგრამ როგორღაც არ ეკარებოდა ხესა. ეს კი, ცოტა არ იყოს, ეუცხოვათ, საეჭვოდ ეჩვენათ. წვერი არ იჩხვლიტებოდა და პირი არა სჭრიდა, მაშ რის მოსახმარიღა იყო. მაგრამ ისეთი თეთრი იყო, ისეთი პრიალი გაჰქონდა, რომ როგორ შეიძლებოდა იმისი უვარგისობა.

— ვერცხლისაა, პავლე? — ეკითხებოდა კურკა, მეტსახელად რწყილასაც რომ ეძახდნენ, — მაგისთანა ბრჭყვიალაა ე დალოცვილი!

— მაშ რისაა? სულ წმინდა ვერცხლიაო, მამაჩემმა თქვა, — გაიბღინძა პავლია, — განა ცოტა მიუცია; იცით, ასე თქვა მამაჩემმა, ერთი მუჭა ფული მივეციო.

— არ გახუნდება და არც დაჟანგდება, პავლე, არა? — ჰკითხავ-

დნენ. ცნობისმოყვარე ამხანაგები პაულიასა. ისიც დიდ მცოდნესავით იბერებოდა.

— რა დაეანგებს, რკინისა ხომ არ არისო!

ამ ამბით გაატარეს ბიჭებმა დრო რთველობამდე.

* * *

ბოიცალა ვენახმა და მოიცალა პაულიამაც ვენახში სანადიროდ და სამცვრევად. ახლა კი აღარავინა ჰყვანდა ხელისშემშლელი, გინდა მთელი დღე იქა მჯდარიყო. მაგრამ სანამ ნავში და გოდრებში არ გამოილია ყურძენი, მანამ არ წასულა სამცვრევად, მერე კი სიმსუნაგემ ძალა დაატანა და გადასწყვიტა ვენახის მცვრევა.

ვენახი ძაან სამცვრევი გამოდგა, სადაც ყურძნიანი გოდრები მდგარიყო, ერთი დუნია მარცვალი ეყარა. მიჰყვა პაულიაცა და ჰყლაპა და ჰყლაპა ინდაურივით. სქელს ვაზიანებში კი ვერ გაბედა შესვლა, ვაი თუ მგელი იჯდეს სადმეო. ისევ ვაშლებისა და კაკლების ბოვლა არჩია. კაკლით უბეები დაიტენა და ვაშლებიც ჩაკბიჩა, მაგრამ ყურძენზედ უგემურად ეჩვენა.

ვეხახიც იმის თვალში როგორლაც გაიზარდა. სულ რაღაც ფაჩიფუჩი და ბრიალი ესმოდა, არც თუ ისეთი ქარი იყო, მაგრამ ყურს რო დაუგდებდა, რაღაც აფაჩუნებდა. ბალახსა და ვაზის ფოთლებს ანძრევდა. ჩიტები ბრაველად დაფრინავდნენ, ვაზისა და ხილების ფოთლებში ძვრებოდნენ, ლილიფარის თავებს სჩიჩქნიდნენ, მიწაზე ბალახის თესლსა და ჭია-ღუას ეძებდნენ. ზოგი მიწაზედ ისხდა, ზოგი სადღაც მიეშურებოდა.

იქით, სადღაც, ვენახის ჩალა-ლელიან წნორებში, კაჭკაჭი გაშმაგებით ჩხაოდა, ხის ტოტებზედ ახტოდა და ჩახტოდა, გაცხარებული ამხახაგებს უძახდა. ჯერ ერთი კაჭკაჭი გაჩნდა საიდანღაც, ჩუმად ბოფრინდა და ნერგის წვეროკინაზედ დაჯდა; მიტრიალ-მოტრიალდა, გაოცებით ასწივ-დასწივა თავის ხმალივით ბოლო და დაშტერებით ერთს ალაგს დააშტერდა. მერე ძირის ტოტზედ დაეშვა და ჩხავილი და ჭყრიალი მორთო. მეორეს მესამე მოემატა, მესამეს—მეოთხე, მეოთხეს — მეხუთე და შესდგა მთელი გუნდი. ერთი ნერგიდან მე-

ორეზე სხდებოდნენ, მაინც ერთ და იმავე ალაგს დასტრიალებდნენ. ეტყობოდათ, რაღაცა დაინახეს, ერთთავად ჩხაოდნენ და ჭყრიალებდნენ.

პავლიას გული მიეცა; „ამოდენა კაჭკაჭები აქ რა თავს მოიყრიდნენ, საშიშს რომ რასმეს ჰხედავდნენო. წავიდე, ერთი ჩემი თოფი გავატყრო და გულები დავუხეთქო მაგ სატიალეებსა. მაგათგან აღარაფერსა აქვს მოსვენება; სიმინდები სულ მაგათ დაგვიკორტნეს, ტაროებს ნახევარზედ აღარ ასხია მაგათგან მარცვალი. ახლა კიდევ ერთმანეთს ეძახიან, მოდით ვიმცვრიოთ, თორემ პავლია დაგვასწრობს. მე გამცერეინებთ, თქვე ვერანებო, თქვენა! ამ წითელ ვაშლებს რო მიკორტნით, ის კი არ გეყოთ?!“

პავლია ვენახის ნაპირას შეჰყვა. თოფი მოიმარჯვა, გული გაიმაგრა, თუმცა ვაზების ხმელ ფოთლებში საზრდოსმძებნელ თაგვის ფაჩი-ფუჩიც კი აკრთობდა და საშიშრად ეჩვენებოდა. პავლიას მიახლოვებაზედ მიწაზედ მსხდომი ბელურების ბოინი (ვუნდი) აიშალა და ჟივილ-ხივილით ლობეებსა და წნორებს აესხა. კაჭკაჭებმა ხმა გაიწყვიტეს და დაშლა იწყეს. ზოგი გაჯავრებული გაფრინდა, ზოგი იქვე ახლომახლო წნორებზედ დასხდნენ და დაისვენეს. ჭარი ამოიღეს. ახლა პავლიაზედ ეჭირათ თვალი.

— ნეშინდით განა, თქვე ვერნებო. რაკი თოფი დაინახეთ, ჰა? ერთი მანდ მოვიდე, მე გაყურებინებთ თქვენს თამაშსა! — წათამამებულმა პავლიამ ფეხი აუჩქარა.

კაჭკაჭები ჯერ არ ეპუებოდნენ, იქვე ახლომახლო ცვლილობდნენ ალაგს, მაგრამ ვიღამაც შენიშნა, რომ პავლიას რაღაც თოფის მსგავსი ეჭირა ხელში.

— ერიჰაა! ახლა კი სახუმარო აღარ არის, თუ არ მოეშორდით ძაგ ბალღსა! — დაიჭყვირა ვიღამაც, — არიქათ, თავს უშველეთ, ჩვენ მოსაკლავად მოდისო!

სადაც კი ღობეებში რამ კაჭკაჭი მსხდარიყვნენ, აიშალნენ და კუდამოძუებულებმა ვენახებს შეაფარეს თავი. პავლიამ კი ღიღინით ფასწია იქითკენ, სადაც კაჭკაჭები ისხდნენ.

მაგრამ რათა ჩხაოდნენ კაჭკაჭები? რათ მოიყარეს ერთად თავი? ხასიათადა სჭირთ, უცხო ფრინველს ან ნადირს რომ დაინახავენ, მოიყრიან ერთად თავსა და ჩხავილით თავს დასტრიალებენ. ეხლაც

კურდღელს მოჰკრეს თვალი და იმაზედ ასტეხეს განგაში. პავლიას ხმაურობამ თურმე წამოახტუნა, დამფრთხალმა ვენახის ნაპირნაპირ შემოირბინა და ღობისძირას ლელიანებში ჩაწვა.

კაჭკაჭებმა სწორედ ამ დროს მოჰკრეს თვალი და ისე გაცოფებით იძიტომ დასჩხაოდნენ. კურდღელი ყურადღებასაც არ აქცევდა კაჭკაჭების ჩხაკილს, თავისთვის არხეინად ლოგინს ისწორებდა, ბუნაგს ლელით აგებდა. ამათ ჩხავილში სხვა აღარაფერი ესმოდა, მაგრამ რაკი კაჭკაჭები აფრინდნენ და იმათი ხმა მისწყდა, კურდღელს ღიღინი და ფეხის ხმა მოესმა, ბევრი აღარ უფიქრია, გადმოხდა გზაზედ და პირდაპირ პავლიასკენ დაეშვა.

არ ვიცი, პავლიას დანახვაზედ დაეცა თავზარი, თუ გაუკვირდა, კურდღელი უცებ შესდგა და დიდრონი თვალები პავლიას შეაჭყიტა. პავლიაც უცებ გონს ვერ მოვიდა, შიშისაგან ვერ გაარჩია კარგად, რა ნადირი იყო. ის კი დაინახა, რომ თითო მტკაველი ყურები ჰქონდა, დიდი მუშტისტოლა თვალები, თითო მტკაველი კბილები და თვითონაც რაღაც საზარელი ბანჯგვლიანი მხეცი იყო. ერთი კი დაიღრიალა „ვაიმე"-ო! თოფი იქვე გაჰვარდა, რაც ყურძენი და ხილი ჰქონდა ხელში, ისიც დაებნა; იმდენი ძალა კიდევ შერჩა, რომ უკან მობრუნდა და თავგადაგლეჯილი გზა-გზა დაეშვა.

კურდღელიც გონს მოვიდა, ერთი კიდევ შეჰხედა შეშინებულმა პავლიასა და მოკურცხლა.

მირბის პავლია, მირბის, რას მირბის, რომ სულ მიფრინავს; კურდღელსაც აჭარბებს და მგელსაცა. მიხტის, როგორც ველის კანჯარი, როგორც ხარირემი! მიქშუის, როგორც შავარდენი! გაქცევითლა თუ უშველის თავსა, თორემ სხვა გზა აღარსაიდანა სჩანს! აგერ ვენახს ძეორე ძხარეს მოექცა, საცაა, კარებიც გამოჩნდება, მაგრამ... ეჰ! აღარ მინდა ვსთქვა, ამ დროს უცბად ფეხში საზარელი მხეცი სწვდა კბილით! პავლიამ სწორედ ასე იგრძნო. იქნება ქალამანიც წამოსდო მოკრილ ძირხვენის ჯოყარსა (ღეროს), ვინ იცის, მაგრამ პავლიას კი ნამდვილად ეგონა, რომ რაღაცა საშიშარი ნადირი დააჯდა ზემოდანა.

საწყალი ძირს ღრიალით გაიშხლართა. რაღა ეშველება?! უკვე სჭამს ნადირი, კბილები ჩაუყარა. თბილი სისხლი წურწურით გასდის კანჭებზე! შუბლზე ოფლმა დაჰხეთქა. თვალები დახუჭული აქვს, არ დავინახო მაინცაო.

ბედად ახლოს იმის ტოლ ბიჭებს ჰყოლოდათ ხარები და შესმენოდათ, პავლია როგორ გულსაკლავადა ღრიალებდა. ხელად ვენახში შეცვივდნენ და პაელია გაშხლართული კი ნახეს ვენახის გზაზე. მართლა ძირხვნის ძირისათვის გამოედო ქალამანი პავლიასა! იმას საზარელი მხეცი ეგონა, არსად სისხლი, არსად მჭამელი! ააყენეს პავლია, ყველანი ირგვლივ შემოეხვივნენ, თავგადასავალი გამოჰკითხეს. როდის, როდის ძლივს ამოიდგა პავლიამ ენა და უამბო ამხანაგებს თავისი გაჭირვება. ამხანაგებს სიცილით სულ მუცლები ასკდებოდათ.

— მართალია, პაელიავ, ის ნადირი ვენახიდან გადმოხტა, გრძელყურებიანი კურდღელი იყო, იმას შეუშინებიხარო. — ბევრი იცინეს და მერე კი კიჟინით მოედვნენ სამცვრევს. პავლიას კი ჯერაც ისევ მხეცი მჭამელი ელანდებოდა.

[1006 წ.]

# მოვლენ! მოვლენ!

სწერეთ, შვილო, სწერეთ, გენაცვალოთ დედა. როცა დასწერთ და გაკვეთილებს მორჩებით, მერე გამოეცხოთ ბედისკვერები და გოზინაყიც მერე მოვადუღოთ. აბა, შვილო ნინო, ისწავლე წერა? მალე ისწავლე, რომ მამას მისწერო წერილი. აკი ციხეში გითხრა, ისწავლე, შვილო ნინო, შენი ხელით დაწერილი წიგნი გამომიგზავნეო. ვარა და ეთერი თავის ხელით დაწერილს ბარათებს უმზადებენ მამას, შენა და ელოღა დარჩებით. ელო პატარაა, შენ კი უნდა ისწავლო, მალე გაახარო შენი მამა.

— მეე, დედილო? მე ლოდისღა მაწავლის ვალა წელასა? განა მე კი ალ მივწელავ მამას წელილსა? — ეკითხებოდა დედას პატარა ყვითელთმიანი ელო. ამას მეტ სახელად რუსკინას ეძახდნენ, რადგან ძაან ყვითელი თმა ჰქონდა და რუსის ბავშვს მოგაგონებდა კაცსა.

— შენც ისწავლი, შვილო. მაშა, მაგრამ ჯერ პატარა ხარ. ეხლა ნინო, ვარა და ქეთევანი მისწერენ, შენს მაგივრადაც დასწერენ, ნუ ინაღვლი.

— როდის მოვა მამა, დედილო? მართლა აღარ მოვა? სოფომ სთქვა, ბატონიანთ ქალებმა მითხრეს, მასწავლებელი ვეღარ დაბრუნდება, სამუდამოდ არი გაგზავნილიო. — დაეკითხა ეთერი.

დედას თითქოს თავზედ დაენგრა სახლი, გაფითრდა, გაშტერდა, დაბარბაცდა და საწოლის თავს წაავლო ხელი. ასე დარჩა პირში სიტყვაგამშრალი, ენა დაება, გონება ვეღარ მოიკრიფა.

ეთერის სიტყვებმა გოგოები გამოაფხიზლა, დედას შეშინებული თვალებით დაუწყეს ცქერა. დედისაგან მოელოდნენ სიმართლის გაგონებას.

— მართლა, დედი? მართლა? — ეკითხებოდნენ შეშინებულები. დედას ვეღარაფერი მოეხერხებინა სათქმელად, სულ დაიბნა, გონება დაეკარგა, წინათაც გაეგონა კილოკავად, მაგრამ დაბეჯითებით არავინ ეუბნებოდა, ალბათ ან არ იცოდნენ მართალი, ან იცოდნენ და არ უმჟღავნებდნენ, ეცოდებოდათ საწყალი ქალი, მაგრამ შვილის სიტყვებმა სულ დაუმტკიცეს, რაც ექვი უღრღნიდა გულსა.

გოგოები ტიროდნენ, ელო იჭაქებოდა.

მამის მოუსვლელობა ბევრნაირად იყო ბავშვებისათვის სამწუხარო. ზობა-ახალწელიწადი იყო, ნათლიღებაც მალე მოვიდოდა, და ამათ კი არც ერთს ახალი კაბა არა ჰქონდა. არც ჩუსტები ჰქონდათ ახლები, მომეტებულს ძირი ან გვერდი ჰქონდა გამოგლეჯილი, წვიმა-ტალახი უსველებდათ ფეხებსა.

ამათს მამას მთავრობის წინააღმდეგ მოქმედება დასწამეს; ადგილიდან დაითხოვეს და მალე კიდეც დააპატიმრეს. ჯერ ციხეში ჩასვეს, მერე გამოუძიებლად ცივს შორეულს გუბერნიაში უკრეს თავი.

ცოლ-შვილს მხოლოდ გაგზავნის წინადღეს მისცეს ნება ნახვისა, ისიც, ვინ იცის, რამდენი თრევისა და ხვეწნის შემდეგ. ქმრისგან ჩუმად წერილი მიეღო, სადაც წერდა: ერთი პარტია უკვე გაამგზავრეს, რაც მე მოვედი, ახლა მეორე პარტიას ამზადებენ, მაგრამ არ ეუბნებიან, ვინ უნდა გაგზავნონ. სანამ ჯარი არ მოვა წასაყვანად. ხვალ ეტაპი ჩამოივლის და საღამოთი უეჭველად მეტეხის ციხეში გადაგვიყვანენ; მეც უეჭველად ამ ეტაპით გამგზავნიან. ეცადე ამიტომ, მოხვიდე, მნახო და ბავშვებიც მაჩვენო, თორემ მერე, იქვი არ არის, ვეღარა მნახავ. სათქმელიც მაქვს რამე, უნდა დაგარიგო, როგორ მოიქცე უჩემოდაო.

ოთხივე ქალი მუხლთან უსხდნენ და ტიროდნენ; ტიროდნენ, რადგან დედა ტიროდა, თორემ იმდენი არა გაეგებოდათ რა არც ციხისა და არც ცივი ქვეყნისა. ესმოდათ მხოლოდ, რომ მამასთან არ უშვებდნენ. არ უშვებდნენ ეს თოფიანი და ხმლიანი კაცები. ეს ხიშტიანი სალდათები.

— სად ალის მამა? რატომ არ წავალთ, დედილო? — ჰკითხავდა ტირილით დედას სულ უმცროსი ქალი ელო. — ჩქალა წავიდეთ მამასთან, თოლემ ამ სალდათებისა მეშინიან! ვიტილებ, დედა, თუ ალ წამიკანე! მაგრამ დედა უფროც ტიროდა. მამასთან მაინც არავინ უშვებდა.

აქვე იყვნენ ბევრი სხვა დედაკაცებიც თავისი შვილებით. ზოგი გადახრწნეული ბებერი იყო, ზოგი გასათხოვარი, ზოგიც ახალი პატარძალი. ესენიც იმასვე ელოდნენ, რასაც ელოს დედა. ისხდნენ, იდგნენ და ელოდნენ. აქვე იყო ამისი დაც თავის ორი გოგოთი, გლეხის ცოლი, სულ ახალგაზრდა ქალი, სასოწარკვეთილი, ტირილით დაოსებული, ცრემლისაგან დაწითლებული თვალებით. აქვე იყო ამათი მეზობლის გიგას ცოლიც თავის ექვსი შიშველ-ტიტველი ბალღით. ამათს ქმრებს ხვალ ერთად მოელოდათ ცივ ქვეყნებისკენ გამგზავრება. ბევრნიც სხვანი იყვნენ, რომლებსაც არც კი იცნობდნენ და სოფლის სახელიც კი არ გაეგონათ იმათი. ერთმანეთს იშვიათად ჰკითხავდა ვინმე ამბავს. ან ვის ეცალა საამბოდ. ყველას ერთი დარდი აწვა გულზედ, სხვა ყველაფერი დავიწყებოდათ. ბედნიერს აძლევდნენ დაუბრკოლებლივ ნებართვის ქაღალდს და ისიც გაბრწყინებული სახით მიეშურებოდა ციხისკენ.

გოგოებს თვალწინ ედგათ ახლაც, პირველად რომ ციხის გალავნის კარები გაუღეს, შეუშვეს და ისე მოკეტეს; სანამ კარს გაუღებდნენ, წინ თოფიანი სალდათი აეყუდათ, — უკან დადექითო, — უბრძანებდა.

ციხის ეზო სავსე იყო სანახავად მოსული ხალხითა. შუაზე თოკი გაებათ, რომ თოკს არავინ გადასცდენოდა, ვისაც ნება არ ჰქონდა. პატიმრებიც, ვისაც არავინ მოსვლოდა, ზოგი ფანჯრებიდან გადმოიცქირებოდნენ, ზოგი აივნებზე იდგნენ. სანახავად მოსული ქალები და კაცები პატიმრებს შემოჰხვეოდნენ. ზოგი ტიროდა კიდეც. ეხვევოდნენ ცოლი ქმარს, დედა და მამა — შვილს, მამები — ბავშვებს, და — ძმასა, მეგობარი — მეგობარსა. ზოგს გული წასვლოდა, აღარ იცოდნენ რა ექნათ. იჭაჭებოდნენ ბავშვები, საერთოდ სამწუხარო და მძიმე სურათი იყო. იქვე ეყარა პატიმრებისათვის მოტანილი კალათები, ბოღჩები, ხელსახოცები, შეხვეული ქაღალდები, მაგრამ ამის დარდი არავისა ჰქონდა. ყველა ეშურებოდა ესარგებლა თავისუფა-

ლი წუთებით, დამტკბარიყო თავისიანების ცქერით, ეთქვა, რაც შეიძლებოდა, ყოველივე, რაც სათქმელად და დასაბარებლად უნდოდა. ყველა ჩქარობდა, მოუსვენრობდა. ზოგნი ჩუმად ჩურჩულებდნენ, რომ არავის რა გაეგონა, ან ზედამხედველს არ მიექცია ყურადღება, აქეთ-იქით იცქირებოდნენ. ზოგი ხმამაღლა ელაპარაკებოდა ჩვეულებრივ საოჯახო საქმეებზე, ან იმისთანა საგნებზე, რაც პოლიციასთან არ იყო დასამალი. ზედამხედველები და ციხის უფროსიც ყველას ერთნაირი ყურადღებით არ უგდებდნენ ყურსა. იმათ ნხოლოდ რამდენსამე პატიმრისაკენ ჰქონდათ თვალიც და ყურიც. იმათ სიტყვებს სათითაოდ ითვლიდნენ, თუ როგორმე სხვისა ლაპარაკში არ გამოეპარებოდათ და ველარ გაარჩევდნენ.

* * *

დედამ მაშინვე თვალი შეასწრო და მიაშურა. მამამაც საჩქაროდ ამათკენ გამოსწია. დედას თითქოს უკან ეწევა ვინმე, ფეხები არ ემორჩილებოდნენ. მიდიოდა მამისკენ და თან თვალებში შესცქეროდა; უნდოდა იქიდან ამოეკითხა ყველაფერი — ან საყვედური, ან სიყვარული: სიყვარული და მწუხარება გაყრის წინა წამებში, ან საყვედური, რომ ასე დაიგვიანა და ადრევე გველის ფხაში არ გაძვრა და არა ნახა. ან ხომ არ შეატყო, რომ მთელი დღე ტიროდა და ეხლაც სასოწარკვეთილი მიდიოდა.

ვერაფერს გამამხნევებელ სიტყვებს ვერ ეტყოდა თავის შვილების მამასა? მაგრამ მამას შვილებმა ვერა შეატყვეს რა თვალებში და ვერც დედამ. ის ჩვეულებრივი ღიმილით მიეგება ცოლ-შვილს და დაწუხებული გულით გადაჰკოცნა ყველანი. რადგან შვილები ყველანი ერთად შემოეხვივნენ, ჯერ პატარა ქალს დაეწოდა საკოცნელად. ამ დროს დანარჩენი გოგოები ჩამოეკიდნენ ყელზე და დაუწყეს მამას მხურვალედ კოცნა, თან ტიროდნენ და მამას ცრემლებით უსველებდნენ სახეს.

მამა გამხდარი და გაყვითლებული ეჩვენათ; ხელები კი გასთეთრებოდა, დასუფთავებოდა, ნამუშევარი აღარ ეტყობოდა, წვერსა და თმაში ჭაღარა ვერცხლის ძაფებივით გამოსჭვიოდა.

— ნუ იტირებთ, შვილო, ნუ! — აჩუმებდა მამა, — აგერ დედა დარჩება თქვენთანა. გაუგონეთ დედას, ნუ გააჯავრებთ, ისწავლეთ წერა-კითხვა და წერილი მომწერეთ ხოლმე. როცა ვარა იქნება შინ, ეს გასწავლით, როცა არადა, მაშინ დედაც დაგასწავლით ასოებსა. აბა, თქვენ იცით, როგორი კარგი და გონიერი შვილები მეყოლებით!

ამ დროს უცებ აივანზე მდგომს ერთს პატიმარს ტირილი აუვარდა, ამხანაგები შემოეხვიენენ, აჩუმებდნენ, ამშვიდებდნენ.

— რა გატირებს, კაცო, შენი ხომ არავინ არის? ან შენ ხომ არ გგზავნიან? ჩვეულებრივი სურათია, აქ მუდამ ეგრეა, ხამადა ხარ და იმიტომ მოქმედებს შენზე მაგრე ძლიერ. რა დაგემართა? სირცხვილი არ არის?

— რის სირცხვილი, კაცო! — მოსთქვამდა პატიმარი, — შეჰხედე ამ ბალღებს, მამას ვეღარ მოაშორეს, ლამის ზედ დააკვდნენ. რად შემოუშვეს? რად მისცეს ნება მამის ნახვისა?

ამხანაგებმა რის ვაივაგლახით ძლივს ოთახში შეიყვანეს დასამშვიდებლად.

ცოტა მოშორებით უარესი სურათი იყო. საწყალი გიგა წითელი ხელსახოცით, ძველს ჩამოგლეჯილს პალტოში გახვეული, ცრემლიანს თვალებს იწმენდდა.

შვილებიც საცოდავად მოკუნტულიყვნენ და შეშინებული თვალებით შესცქეროდნენ ხან მამას და ხან დედას.

— რად დაგვღუპე, გიგა, რად მოგვეჭერი ყელი? — მოსთქვამდა გიგას ცოლი, — ვის ამარას უშვებ ამ შენს ცოდვის შვილებსა? აბა შეჰხედე, შე უღმერთო, ემათ უნდა თავი დაანებო? ხომ სიმშილ-სიტიტვლით დაგვეხოცნენ! არა, არა, გიგა, მე ამათ საცოდავობას ვერ ვუცქერი, ავდგები და მეც წავალ სადმე, დავიკარგები, დეე დაიხოცნენ შენს კერაზე!

გიგაც სტიროდა. ეს გმირი კი არ იყო, ქვეყნისათვის თავდადებული, რომელსაც ცოლიც, შვილიც და თავისი თავიც ქვეყნისთვის შეეწირა, ეს იყო ჩვეულებრივი მშიერ-ტიტველი გლეხკაცი, რომელიც დიდმა არეულობამ (რევოლუციამ — ასე ეძახიხ ხალხი) ღრმა ძილიდგან გამოაღვიძა და თვითონაც თავისფერ გაჭირვებულებთან ერთად მიუდგა „ერთობის“ ხალხს, რომ ეგების ეხლა მაინც ჰშველებოდა რამე და დუხჭირ ცხოვრებიდგან თავი ეხსნა.

ცოლმა გიგას საგზაოდ ექვსი აბაზი ჩამოუტანა, მჩვარში გამოკრული.

— დედლები გავყიდე, გიგა, შენ უფრო დაგჭირდება, თორემ იქ, ვინ რას მოგცემს? მართალია, ამ ხუთი დედლით ვითქვამდით სულსა, ნავთსა და ასანთ-საპონს მაგათი კვერცხით ვყიდულობდით, მაგრამ ჩვენ უნავთოდაც კარგა გავძლებთ, ოღონდ შენ იყავ, გიგა, კარგად და ნურა გაგიჭირდება რა. ე პერანგიც შეგიკერე; აბა, სულ ხომ მაგ ერთ პერანგში არ ამოირთმევ სულსა, სხვა არა იყოს რა, ჭუჭყი დაალპობს.

გიგამ თვალების წმენდით გამოართვა ახალი წითლიანი ჩითის პერანგი, იღლიაში ამოიდო და თან უსაზღვრო მადლობით გადახედა ცოლსა.

— რით იყიდე, შე საწყალო? რა გქონდა, რას გაჰყიდდი?

— როგორ თუ რა მქონდა? სიმინდის რჩევა ვუშველე იოსების ცოლს სამ დღესა და იმათ მომცეს სამი აბაზი.

ამხანად ცოლსაც გული მოუბრუნდა და სიყვარულით შესცქეროდა თავისს „ბუნტოჩიკ“ ქმარსა.

მალე ციხის ზედამხედველმაც გამოაცხადა, ვადა გავიდა, დროა ეხლა კი წახვიდეთო. გაისმა დედაკაცებისა და ბავშვების ტირილი. ეთხოვებოდნენ ერთმანეთს, უკანასკნელად ჰკოცნიდნენ.

მას აქეთ არის მამა აღარ უნახავთ. სამივენი ერთად და იმათთან ოცდათხუთმეტი კაცი კიდევ სხვა, იმავე ღამეს, ძლიერი ჯარის თანხლებით, გორის სადგურზედ გაიყვანეს და ქალაქისკენ გაისტუმრეს.

ამის შემდეგ მეტეხიდანაც მიიღეს წერილი, სწერდა: „ხუთი დღის შემდეგ გვგზანიან; თორმეტი კაცი კიდევ აქედან მოგვიმატესო“.

რუსეთიდან მიიღეს კიდევ რამდენიმე წერილი, მაგრამ თვითონ კი ვერ გაუგზავნეს. სწერდა: „თქვენი ამბის გაგება მენატრება, მაგრამ სანამ ალაგობრივ არ მიგვიყვანენ და არ დაგვაბინავებენ, წერილს ვერ მივიღებ თქვენსას, რადგან ციხეებში დიდხანს არ გვაყენებენ, სულ რამდენიმე დღე ვრჩებით. როცა ალაგობრივ მივალ, მაშინ მოგწერ მისამართს და მაშინ მომწერეთ დაწვრილებით ყველა თქვენი გაჭირვება-დალხინებაო. მოსაწერიც ბევრი რამე მაქვს,

„ბევრი რამ ვნახე და გამოვცადე, მაგრამ ქაღალდსა და საწერ-კალამს ვერა შოულობს კაცი. ჩუმად უნდა დასწერო და ჩუმადვე ვისმე გაატანო, თორემ, თუ გაიგეს, დაიჭერენ წერილს და დაჰხევენო“.

* * *

მამის მოსვლა ბევრნაირად იყო ბავშვებისთვის სანატრელი: რაც მამა გაუგზავნეს, დედა სულ ჯავრობს და ბუზღუნებს, აღარც უცინის, აღარც ეალერსება, სულ მოწყენილია და დაფიქრებული. მამა რომ მოვა, ახალს საკაბეებს უყიდის ყველას და ახალს ჩუსტებს, თორემ ეხლა ჩუსტებიდან ტიტველი ქუსლები და თითის წვერები უჩანთ. აღარც სკოლაში დაიარებიან, სკოლაც დაკეტეს. მარტო ვარაღა სწავლობს გიმნაზიაში. დედის ნუგეში ეს არის. შაბათ-კვირაობით ამოდის სოფელში, დედას ქვეყნის ამბავს უამბობს, რადგან გაზეთებს მუდამ კითხულობს. მოცლილ დროს დებსაც ეს ასწავლის.

* * *

— მართლა, დედი, რატომ ბედისკვერებს არ გამოვაცხობთ? დაღამდა, გოგოებმაც წერა გაათავეს, რომ დაგვპირდი, აგვისრულე კიდეც! — მოაგონა დედას ნინომ.

— ეხლავე შვილო, ეხლავე, აბა, ვარო, შენ კეცი შემოიტანე და მიაყუდე: სანამ გახურდება, მეც მოვზელ.

თონეში ვერ მოასწრეს გამოცხობა, და ცოტა ადრეც მოვიდოდა, პური ორი სამი დღის წინად გამოაცხეს.

გოგოებს უცებ ფაცი-ფუცი შეუდგათ; ზოგი წყალს აწვდიდა, ზოგი საცერს, ზოგი ფქვილს, ზოგი კეცს უკეთებდა შეშას და ცეცხლს უბერავდა. გულის ფანცქალით ელოდნენ ბედისკვერების ჩაკვრასა. ყველას თავისი შესაფერი კვერი გაუკეთა დედამ. ელოს კვერი ყველაზე პატარა იყო, იმაზე მოზრდილი ნინოსი, უფრო დიდი ეთერისა და მერე ვარასი. სულ დიდი კვერი მამასთვის გააკეთეს. შიგ ჩამიჩი ჩაატანეს: ეს მამას ბედი იყოს, ეს გიგასი და შაქროსი, ესაც იმათ ამხანაგებისა, თუ მოვლენ.

— აბა, გასუქდი კვერო, გაიბერე, შამა მოგვიყვანე, გენაცვალეთ! — ეალერსებოდნენ გოგოები კეცში ჩასმულ ბედის კვერსა. თან გულის ფანცქალით შესცქეროდნენ, ან ახლა აიბურცება და გასუქდება, ან ახლაო. ასე ეგონათ, კვერის გასუქება უეჭველად მამას მოუყვანდა, თითო წუთი მთელ საათად ეჩვენებოდათ. მაგრამ კვერი გვიანობდა, არ ჩქარობდა გასუქებას, — ალბათ ცეცხლიც ნელი ენთო.

— არა სუქდება მამას კვერი, დედი! — სთქვა მოწყენით ვარამ და ხელზე დაეყრდნო ლოყით, მაგიდასთან ჩამოჯდა. გოგოები რიგრიგობით მიდიოდნენ კეცთან და კვერებს სინჯავდნენ.

— ლა უკოთ დედილო, ლო მამას კველი ალა სუქდება, ლაგა უჩველოთ? — დაეკითხა დინჯად ელო დედასა. არც დედა შესცქეროდა ნაკლები ყურადღებით ბედის კვერებს. ყოველმხრივ იმედგადაწყვეტილს ბედისკვერისაც კი სჯეროდა, წყალწაღებულივით ხავსს ეჭიდებოდა. ბუკნაჭოტის ძახილსაც ეხლა უგდებდა ყურს, სიზმრებსაც ეხლა ჰხედავდა და იხსომებდა, ქალალდს აშლეევინებდა, ბოშის დედაკაცებსაც კი აკითხვინა. გლეხები შინ შეჰყავდა, პურს აჭმევდა, ღვინოსა და არაყს ასმევდა: — დამილოცე ჩემი პატიმარი, დამილოცე, შენი მამაშვილობის ჭირიმე! — ჰლოცავდნენ ისინიც და ესეც, თითქოს ხელსახოცში მაგრა შეახვიაო, ერთად იგროვებდა გულში და სულ ვარას მამას უნახავდა. მიძინების დანგრეულს საყდარს რამდენჯერმე შემოუარა ჩოქითა და მუხლის ყრით, ჩოქითვე შემოატარა შვილებიც.

რაკი ცხობაში შევიდნენ ბედისკვერები, დასუქება იწყეს. ჯერ ყველაზე პატარა ელოს კვერი ამოიბურცა.

— უკულე დედილო, უკულე, ლოგოლ გაიბელა ჩემი ბედისკვერი, გიპიანი გაქდა! — ყვიროდა ელო და სიხარულით ფეხებს ატყაპუნებდა.

ელოს კვერს მოჰყვა ნინოს კვერიც. ეს უფრო ელოსაზედ დარბაისელი გახდა.

— აი, ჩაქრი! — დააყარა ქოქოლა თავის ბედისკვერსა, — რაში მეკნაჭება, რომ შენ სუქთები? ბარემ მამაჩემის კვერი გასუქდეს? მაგრამ მამის კვერსაც შეეტყო, რომ აიწია და გასუქება იწყო.

— დედი! დედი! — ყვიროდა ვარა. — აქ მობრძანდი! ჩქარა!

ჩქარა! აბა უყურე მამას კვერს, როგორ სუქდება! — ეთერიც თვალებგაბრწყინებული აღტაცებით ჩასცქეროდა ბედისკვერებიანს კეცსა.

— მოვა მამა! — წამოიძახა სასოებით ეთერმა, — მოვა მამაჩემი, გოგოებო, ვენაცვალე, მოვა!

მართლაც კვერი გასივდა, გასუქდა, ვეებერთელა გახდა. ჩამიჩები სულ გადმოიკაკლნენ.

— შაქრო და გიგაც მოვლენ, დედი! უნდა მაშოს ვახარო! — ყვიროდა გახარებული ნინო.

— მოვლენ! მოვლენ, -- ყვიროდნენ გოგოები და სიხარულის ჟრიამული ედგათ.

[1900 წ.]

# გულადი მამლაყინწას ამბავი

მაშინვე ეტყობოდა, რომ გულადი უნდა გამოსულიყო. ოცი კვერცხიდან პირველი ის გამოიჩეკა. შეაშრო თუ არა ტანზედ ლორწო, მაშინვე დედის ქვეშიდან კარში გამოიხედა.

იმისი დედა, ქოჩორა კრუხი, გოდორში იჯდა ბზეზედ; გოდორი საქათმეში იდგა. ქოჩორამ ეს მეორედ გამოჩიკა ამ ზამთრობით წიწილები და ძალიან ხელოვან და სანაქებო კრუხად ითვლებოდა.

— საშინელი ქაფარია (აშარი), — იძახდა დიასახლისი მელანია, — მაგისთვის ჯერ კაჭკაჭს და ყვავს წიწილა არ მოუტაცნია. ძალიან მონადირე არის: ვინ იცის, სად არ დაუდის წიწილები, მთელს ვენახებს გარს უვლის... აკი იმიტომ დასვეს მეორედ!

— ჰე, რა კარგი ყოფილა ქვეყანა! — სთქვა გაკვირვებით წიწილამ, — მე კი ამდენი ხანი რაღაც უმსგავს ჯურღმულში ვიჯექ, შუქი თვალითაც არ დამინახავს! — და ზიზღით გადაჰხედა კვერცხის ნაჭუჭებს, საიდანაც ამ რამდენიმე საათის წინათ გამოძვრა.

— ეტყობა, დიდი უნდა იყოს ქვეყანა. ჯერ გოდორი რამოტელაა, და ეხლა ეს საქათმე! ღმერთო, რამდენი ჩემისთანა მოთავსდება აქა! სხვა უჩემო, ვინ იცის, ჭკუიდგანაც შეშლილიყო, მაგრამ მე ფიქრი არ მაქვს!

— ეე, ძმებო და ამხანაგებო! თქვენ რაღასა სხედხართ მაგ ჯურღმულში, გამოდით, გამოიხედეთ კარში! თქვე საწყლებო, აბა,

ერა გინახავთ ჯერა? ბიჭი მე ვარ, რომ ათასი რამ ვნახე; აბა, იცით სადა სდგეხართ? გინახავთ გოდორი? ან საქათმე თავის თახჩებით და ქანდარებით? აბა, მე როგორ დამედრებით, თქვე საცოდავებო? ჭიაყელებივით იკლაკნებით, ბეჩავად წივით! იმდენი ღონე არა გაქვთ, რომ დედის ქვეშიდან თავი გამოჰყოთ...

წიწილები ზოგი შრებოდა, ზოგს ეხლა გადაეხსნა ნაპუპი და გამოძრომასა ლამობდა, ზოგს ნისკარტით გამოეხვრიტა კვერცხი და ჰაერს სიამოვნებით სუნთქავდა, თან კმაყოფილებით ჭუკჭუკებდა. ზოგი კვერცხი კი ისევ უკრავი იყო, მხოლოდ ფახა-ფუხი გაჰქონდა.

— არ გითხარით, ჩემისთანა არავინა ხართ-მეთქი! თქვე საცოდავებო, როგორ მეცოდებით! — სთქვა თავმოწონებით მომავალმა მამლაყინწამ. — შენ რაღა გკიდია ნისკარტს ქვემოდამ, დედა, ეგ წითელი? იქნება საჭმელია რამე? — და პატარა სამამლიამ დედაკრუხს დაუწყო ბიბილოს წეწვა და კენკა.

— კრუ-უხ! კრუ-უხ! ნუ-ნუ! — გაიფრთხილა უსიამოვნოდ კრუხმა, — განა, ეგ არის კაი ბიჭობა, დედას ბიბილოზედ ეჭიდებოდე? აგერ, ბზე გაქექე, თუ გული გერჯის. — მაგრამ დედის თქმა საჭირო აღარ იყო. წიწილამ, უკვე ნისკარტით სინჯვა დაუწყო ნამჯის ნაგლეჯებს, შესაჭმელიც იწოვა რაღაც და შეკენკა.

აღარ ეთმობოდა სამამლიას სინათლისათვის თავის დანებება, ასე გაუტკბა წუთისოფელი. მაგრამ თანდათან რაღაც უსიამოვნება იგრძნო, თითქო ტანში რაღაცა უღიტინებსო, ეწვოდა კანი და სტკიოდა, სიცივემ დედის უბე მოაძებნინა. დედის უბეში იმ წვამ და ღიტინმა გაუარა, ძალიან სიამოვნობა იგრძნო.

— ჭკრუუ! ჭკრუუ! — სიამოვნებდა სამამლია. — რა კარგია დედის ფრთისქვეშ თბილად ჯდომა! სულ მუდამ კარში გდებაც საჯერო არა ყოფილა. აბა, ვინც კარში გაიხედავთ, თუ დიდხანს დარჩით, გაიგებთ, რომ მარტო მე არ გამოვიქეცი. თქვენც მალე აქვე შობრძანდებით!

როცა კარგა დათბა და სიცივის სუსხი გადაავიწყდა, ისევ კარში გამოძერა. — კრიი! კრიი! თავები რო გამოგიყვიათ, გეშინიათ ქვეყნისა, თუ რა არის? აი თქვე ლაჩრებო თქვენა! და მეტისმეტი სითამამით კისერი წაიგრძელა, ვითომ უნდა დაეყიელა თავის ჭკუაში, მაგრამ ყელიდან არაფერი ხმა არ ამოუვიდა, შერცხვა და, ვითომ აქ

ირაფერიაო, ჩალაჩულებს კენკვა და გადაბრუნება დაუწყო. ასე ცდილობდა კარგა ხანს; მერმე დედის ზურგზედ შეხტომა სცადა, მაგრამ ამაოდ.

ახლა კი სხვებიც გამოძვრნენ; ხუთი-ექვსი წიწილა მოგროვდა კრუხის წინ. ზოგს ისევ თავი სძლევდა და ფეხები არ ემორჩილებოდა, ზოგი კი თამამად იყო და სიყოჩაღით ჩვენს ნაცნობ სიყმისშვილს სამამლიას არ ჩამოუვარდებოდა. ბზეში ფუსფუსებდნენ, ერთმანეთს ნისკარტს უკენკავდნენ. სამამლია იმათში არ ერეოდა, გარ-გარ დადიოდა, თავმოწონებით იბღინძებოდა.

— ეხლა აქ ყოფნა აღარა ღირს, — სთქვა გაჯავრებით სამამლიამ,—აქ ხომ ეს წვრილფეხობა გამოძვრა. თუ ბიჭი ვარ, ამ ღობეს გარეთ უნდა გავძვრე. აბა ვცადო! უეჭველია, იქ ბევრს რასმე საკვირველს ვნახავ და გავერთობი კიდეც. მომბეზრდა ამ ვიწრო გოდორში ჯდომა. მე ხომ პატიმარი არა ვარ, ფანჯრებიდან ვიჭყიტებოდე!

შემოუარა მთელ გოდორს, სადაც ერთი ბეწო ჭუჭრუტანა ჰქონდა, ყველგან ნისკარტი შეჰყო, სცადა გაძრომა, მაგრამ ვერ მოახერხა. შესცივდა კიდეც და უსიამოვნოდ წივილი მორთო: — წია! წია! წია! მიშველე, დედილო, მიშველე! შემცივდა, შემცივდა! ლამის კრიჭა შემეკრეს, გამათბე, გენაცვალე!

— კრუუხ! კრუუხ! კრუუხ! — შეწუხდა კრუხი, — მოდი, თბილად უბეში ჩამიჯექი, შვილო, აბა რად იყინები! რას აკეთებ? მოდი, არ გამიციედე, ავად არ გამიხდე, ჩემო თვალის სინათლევ!

ამის შემდეგ კარგა ხანს აღარ გამომძვრალა კრუხის ქვეშიდან სამამლია, კარგა ძილით გაძღა და სითბოში მოიშუშა.

ახლა სხვები გამოძვრნენ და უეჭველია იმათაც ისევე ისიამოვნეს ქვეყნიერების დანახვით, მზის შუქით დასტკბნენ, როგორც ჩვენი სამამლია. ჰაერი ჩაყლაპეს. წელში გაიშალნენ.

სამი დღის შემდეგ კრუხი ბუდიდან გადმოსვეს და მზეზედ გაიყვანეს წიწილებიც.

— ჰე, ღმერთო! რამოდენა ყოფილა ქვეყანა! რა ტურფა და მშვენიერია! აბა, რა არის ამასთან შედარებით ჩვენი საბუდარი, ან საქათმე? — ოჰ, მზეე, რა საამურად ათბობ და ანათებ ქვეყანას, შე დალოცვილო! შენს უუდროზედ სრულიად მავიწყდება დედაჩემი

კრუხი. მე ვნახე პირველად ეს ქვეყანა და მზე! მე მეკუთვნის მზეც და ქვეყანაც, ჩემო დებო და ძმებო. ეს ტურფა ქვეყანა ეს შემკული მზის სხივები ჩემია, ძე ვიპოვე, იცით? გაგეგებათ, თქვე საწყალებო? მე რომ არ გამოვმძვრალიყავ პირველი, თქვენ რას იპოვიდით? საქათმიდან კი გამოჰყოფდით თავსა? მგონი, იქ დაზრდილიყავით და იქ დაბერებულიყავით. ვინ გაჩვენებდათ ქვეყანას? ვინ დაგატკბობდათ მზის შუქით? ამოგძვრებოდათ სიბნელეში სული. დაიხოცებოდით ქვეყნის უნახავი. მე ვარ, რაცა ვარ! ახლა გავიზარდო! მაშინ ნახეთ, რა იქნება!

* * *

ამის შემდეგ სულ მზეზე ხტოდა და ცეკვავდა. ხან ბუზებს უკირკიტებდა, ხან ქერსა და სიმინდის მარცვალს ებრძოდა. რამდენჯერა სცადა ჩაეყლაპა ის საოხრო ქერის მარცვალი, ხან სიგრძეზე, ხან გარდიგარდმო, ბევრჯერ კიდეც გატეხა სცადა, მაგრამ ვერაფერი მოუხერხა, არ იქნა, ვერ ჩაყლაპა.

ასევე ებრძოდნენ იმის და-ძმებიც ამ მოჯადოვებულს ქერის მარცვალს, ხელიდან ხელში გადადიოდა, ნისკარტიდან ნისკარტში, პირიდან ერთმანეთს ძალით სტაცებდნენ, მაგრამ ვერაფერი დააგვარეს. დედამაც რამდენჯერმე ჩაიგდო პირში, — რა არის ისეთი, რომ ჩემმა შვილებმა ვერ ჩაყლაპესო!

თუმცა ყელი ძირს ეწეოდა, მუცელი შემოსჩხაოდა, — მე ჩამოგიგდე, მე მოვინელებო! — მაგრამ შვილების სიყვარული სიმშილზედ მეტი აღმოჩნდა. განა, დედის ყელი ლუკმას ჩაუშვებს, როცა შვილებსა შიანთ? ეგონა, ეხლა მაინც ჩაყლაპვენო, მაგრამ ყელში არ ეტეოდათ.

ჩვენმა სამამლიამ ძალიან ითაკილა ქერის მარცვლის ასეთი გაჯიუტება და თავი გამოიდო: სურდა ძმებისათვის ეჩვენებინა, რომ ის მართლა მეტი იყო იმათზე, სტაცა პირი გაჯავრებულმა ყვითელ ქერის მარცვალს გრძელ კუდში და თავდაყირა ჩაუშვა ყელში. მაგრამ ქერის მარცვალიც ძაან გულადი გამოდგა, ფხით ყელში გაერჩო და სულ „ვაი დედა“ აძახა. რის ვაი-ვაგლახით ძლივს ამოაგდო.

— აი, შე წყეულო მარცვალო, გინდოდა დაგეღრჩე, მაგრამ ვერ შოგართვეს! განა, შენ მე უნდა დამახრჩო? პირველმა მე ვიპოვნე ქვეყნიერება. შენ კი მე არ გიპოვე, შე გაუზრდელო, შენა? ღირსი კი ხარ, რომ ჩაგყლაპო და კუჭი წავიხდინო? ჩამოეცალეთ, ძმებო, მაგისგან ხეირი არა გამოვა რა. ეგდე მაგრე, უმადურო, ვნახოთ რას იპოვი? — გაჯავრებულმა სამამლიამ ზიზღით გადახედა ქერის მარცვალს და გაშორდა.

კრუხმა, რაკი დაინახა უპატრონოდ დაგდებული მარცვალი, სიამოვნებით შეკენკა. აბა, იმოტელა კრუხთან რას გახდებოდა საცოდავი?

სამამლიამ აინუნშიაც არ ჩააგდო ქერის მარცვლისაგან დამარცხება. უფრო გაიბღინძა, გაიბერა, არ ვიცი აქცევდნენ ყურადღებას და-ძმები, თუ არა, მაგრამ თვითონ კი ძაან მოჰქონდა თავი და ფაფხურობდა.

— განა, შეგიძლიანთ თქვენ ან ქვეყნიერება აღმოაჩინოთ, ან ქერის მარცვალი ჩაყლაპოთ? მე სულ სხვა ვარ, თქვე საწყლებო, საცოდავებო!

* * *

ერთი კვირის შემდეგ კვერცხისგულისფერი ყვითელი უკვე გაბუნდა. რბილი, ბამბასავით ფაფუკი გინგლი აწაწინა ბუმბულებად გადაექცა.

ფრთები წავად დაეტყო და უკანაც ოთხი თუ ხუთი კალმის წვერის ოდენა ბოლოს ფრთა აიშვირა; შუბლზედაც წითელი ხაზი დაეჩნდა. ცხადად სჩანდა, რომ სამამლია იყო. მერე რა მამალი გამოვიდოდა! მამალი ქვეყნის ფასი და დარი, განთქმული ბატონ-პატრონი და მბრძანებელი საქათმისა, დამამშვენებელი და გამამღიდრებელი ქათამთ გვარისა!

კრუხი ახლა უფრო შორს მიდიოდა, ჰქექდა, სჩიჩქნიდა. წიწილები მოლონიერდნენ, ბალახებში ჩარჩენის შიში აღარ იყო.

— კრუუხ! კრუუხ! მოდი, შვილებო, ნეხვი გავქექოთ. აქ ძალიან ჭიაყელებს ვიპოვით, მოდით, გენაცვალეთ, მოდით! კე-კე! კე-კე-

კე-კე! ოჰ, რამდენია, ოჰ, რა მსუქნებია! მოდით, შეეჯამეთ, დაეშურეთ, გამოიქეცით! კე-კე-კე-კე-კე-კე! კე-კეთ!

კრუხს ნისკარტი და ფეხები ნეხვით მოსვროდა, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა, ნისკარტით წერაქვივით სთხრიდა, ფეხებით ჰქექდა და სწრაფად აქეთ-იქით ისროდა ნათხარს. რამდენიმე წითელი მსუქანი ჭიაყელა იპოვნეს კიდეც: იკლაკნებოდნენ, ფორთხავდნენ, ცდილობდნენ თავი გადაერჩინათ. წიწილები შემოხვეოდნენ და მაღალი ხმით იჭვს აცხადებდნენ, მოვერევით, თუ ვერაო? თან უნდოდათ ჩაენისკარტათ, თან უკან-უკან იწევდნენ და ვერ მიებედნათ. ამასობაში სულ ერთად მოგროვდნენ, მშიშარებს გული მიეცა. როგორც იყო, ერთ-ერთმა გაბედა და ნისკარტი ჩასცხო. ჭიაყელამ საცოდავი კლაკვნა იწყო, წიწილა უკან შედგა. ამას მეორე მიჰყვა, მეორეს — მესამე, მესამეს — მეოთხე. მერე აიტაცა კიდეც ერთმა ნისკარტით. ამას სხვა გამოედავა და დაიწყეს ჭიაყელას აქეთ-იქით წევა. ჭიაყელაც მაგრობდა, ვერ გაგლიჯეს, ვერ მოკლეს. ბოლოს მობეზრდათ, ძირს დააგდეს, ისევ ირგვლივ მოგროვდნენ.

— რა ვუყოთ, ძმებო! — სთქვა ერთმა. — ამისთანა მსუქანი და გემრიელი ლუკმა პირიდან როგორ გავუშვათ, განა ჩვენი დედა მაგიტომ იწყვეტავს წელსა?

— რაო? ვერ გაგლიჯეთ, თქვე საწყლებო? ჩამოდექით! აბა, ერთი მე ვნახო, რალაც ჭიაყელა ბრძანდება! — სთქვა ნაცნობმა სამამლიამ და შუა წიწილებში შეიჭრა. — ჩამოდექით! აბა, მე ვნახო, რა გემო აქვს? აქამდე ერთი ჭიაყელაც ვერ გაგლიჯეთ! რა ხალხი ხართ? მე მთელს ჩავყლაპავ, — აბა უცქირეთ! და-ძმები ჩამოეცალნენ, როგორლაც მოწიწებით დაუთმეს თავხედი ჭიაყელა.

დაეძაგურა სამამლია ცალი ბოლოდან ჭიაყელას და ყელისკენ დაუწყო წევა. იქით სამამლია, აქეთ ჭიაყელა! დაიწყეს ბრძოლა. მართალია, სამამლიამ ცოტა რამე ჩააცილა ყელსა, მაგრამ ჭიაყელაც მეტად გრძელი და ღონიერი გამოდგა. აღარ ინდომა სამამლიას ყელში ჩაძრომა. საცოდავი იკლაკნებოდა და იფშიკებოდა მთელი ტანით. წიწილასაც გაუჭირდა საქმე. ცოტა არ იყოს, შიშმა აიტანა. სული ეხუთებოდა, — ყელში კი არ დამრჩეს და არ დამახრჩოსო. მეტი ღონე არ იყო, უნდა თავი დაეშვა და და-ძმებისათვის ეთხოვნა შველა.

— მოდით, რასა დგეხართ და იცქირებით? გასწით, გავგლიჯოთ ეს ოხერი. აბა, გასწით, ჰა! ეგრე, აი, ეგრე, აი, შე ჭამიავ, შენა! — საცოდავი ჭიაყელა შუაზე გაგლიჯეს; მუცლიდან ნაჭამი ნეხვის წვენი გამოუვიდა. კაი მოზრდილი ლუკმა, რასაკვირველია, სამამლიას ერგო. დანარჩენი წიწილებმა მოიტაცეს, გასწიეს და გამოსწიეს.

ამის შემდეგ უნდა გენახათ, რა ყოფაში იყო სამამლია. იბღინძებოდა, ყოყოჩობდა, თავი მოჰქონდა. სცემდა თავის და-ძმებს, სისხლს უშრობდა, ყველას ეჩხუბებოდა და ებრძოდა.

— მე ვარ, რაცა ვარ, თქვე საწყლებო! ხომ არა გგონიათ, როცა გავიზრდები, თქვენსავით გოდორში ჩავჯდე, ან საქათმეში შევიდეო, — ეტყოდა ხოლმე. თანაც აიფხორებოდა, წაიგრძელებდა კისერს, უნდოდა დაეყივლა, მაგრამ ყელიდან ხმა არ ამოუვიდოდა.

ამ ყოფით გაატარა კიდევ რამდენიმე კვირა. კარგა დაფრთიანდა. ბოლო გაეზარდა, თუმცა საყვირები კი არა ჰქონდა ჯერა. ხერხივით ბიბილო შუბლზედ გამოეჭიმა, სინგურივით წითლად ღუოდა.

მუდამ გაბერილი და გასიებული დაიარებოდა, ამრეზილი, გაჯავრებული. მხრები მუდამ აწეული და აფხორილი დაჰქონდა. ახლა თავის და-ძმებს კი არა, სხვა ვარიებსაც ებრძოდა. მეტისმეტი მოუთავსებელი ხასიათი გაუხდა.

— ეჰ, შვილო, — ეტყოდა ხოლმე დედა, — გცემო, როგორ გაგიმეტო, არა გცემო და მეტისმეტი ხარ, შე დასარჩენო. არ შეიძლება, ქვეყანას ნივრად ხომ არ გადაესხმი. სულ ჩხუბობ, სულ ერთ ამბავში ხარ...

დედის სიტყვა და ქარის გრიალი იმისათვის ერთი იყო.

* * *

გავიდა ხანი. ჩვენი მამლაყინწა უკვე ერთი კვირა იყო, რაც ყიოდა. სულ ყელს იხევდა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ეზიდებოდა კისრის ძარღვებს. ყიოდა და ყიოდა, დღე თუ ღამე. საჭმელი აღარ ახსოვდა და სასმელი.

— ყიყლიყოო! მე ეხლა დიდებული მამლაყინწა ვარ! რა ვუყოთ, თუ ჩემზე ხმამაღლა დიდი მამალი ყივის. ის ბრიყვია! მე ვარ, რაცა ვარ! თუ არა ვარ და გაიგებთ მალე. ეი, შენ, ვარიკელავ, ექეთ შე-

შომხედე, ვარ დიდებული და ქებული თუ არა? თქვი ჩქარა, თორემ ამ საათში თავს შუაზე გაგიხლეჩ ამ ჩემი ალმასივით ნისკარტითა.

— ვინა ახლად ენაამოდგმული ყვინჩილა და ვინ „დიდებული და ქებული"? — გაიფიქრა თავისთვის ვარიკამ. მაგრამ რადგან თავის დროზე პასუხი არ მისცა და არ შეაქო, გაბრაზებულმა ყვინჩილამ ერთი რიგიანად ჩასცხო ნისკარტი, მაშინ კი იკადრა და ხმა ამოიღო:

— დიახაც, ძმაო და ამხანაგო, რომ ქებული და დიდებული ხარ, ვინ არ იტყვის მაგას. — მაგრამ ამითაც ვერ დააკმაყოფილა ყვინჩილას თავმოყვარეობა.

— ვინ არის შენი ძმა და ამხანაგი, შე ბრიყვო, შენა? გაგეხარდება კი რომ ტოლად გაგიხდე? არ იცი, რომ მე უნდა ბატონობით მომიხსენიო?

— ბატონო მამლაყინწავ, ნუ გამირისხდები, თუ შენი საკადრისი სიტყვა-პასუხი არ ვიცი. მე ერთი გაუზრდელი ვარიკა ვარ, ბრიყვი და უვიცი.

— სწორეს ლაპარაკობ, — სთქვა ბღენძით მამლაყინწამ, — მე ეხლა ბატონი ვარ და მალე ყველაც შეიტყობს ამას.

ამის შემდეგ სწორედ განკითხვის დღე დაუდგათ ვარიკებს, ყვინჩილა-მამლაყინწებს, ინდაურის ჭუკებს, ბატისა და იხვის ჭუჭულებს.

— ვარ ბატონი, თუ არა, შე პირუტყვო? — და ჩასცხებდა საცოდავ ჭუკიას.

— ვაი, ვაი, ვაი! წყალსამც წაუღია ყველა ბატონები და შენც იმათთან! ნუ მომკალ, შე გასაქვავებელო! ვაი, ვაი, — და გათამამებული მამლაყინწა ახლა სხვას ეძებდა, რომ იმასაც ეღიარებინა იმისი უპირატესობა და ბატონობა: — მე ვარ ბატონი, რით ვერ გაიგეთ, თქვე ნაგვის მქექავებო, თქვენა!

სადაც მაღალი რამ იყო, სწორედ იქ ავიდოდა და იქიდან დაჰყიოდა ძირს მყოფ ქათმებს. საბძლების საყვავეებზედ, კაკლებზედ, სახლების სახურავებზედ, ბანებზედ, სათივეებზედ, ბუხრებზედ, ერთი სიტყვით, სადაც კი მაღალი რამ იყო, უეჭველად იმაზედ უნდა აფრენილიყო. იდგა იქ და თავმოწონებით გადმოჰყიოდა: ყიყლიყოო! აგრძელებდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, და ბოლოს დააყოლებდა ხოლმე: ოოო!

— ეს ძალიან თამამი მამალი იზრდება, — იძახდა პატრონი, — სწორედ ნამდვილი მამალია, მაგის დაკვლა არ შეიძლება, უნდა შევინახოო.

— ეს ბალღი ცუდად დააბოლოვებს თავის სიცოცხლეს, — ამბობდა დიდი, გამოცდილი მამალი. — ძალიან იწევს თავში. თავს შეჰკრავს სადმე!

— ქა, ეს სახელგასაწყვეტი, — ჯავრობდა დიასახლისი, — სულ ამომიხოცა წიწილები, არ ვიცი, რა ვუყო? მაგ კაცის ბრალია, არა შვრება, თამამიაო, თორემ აქამდე ათჯერ დავკლამდი!

* * *

ერთხელ ერთი ყვირილი და ალიაქოთი ასტყდა. ყვიროდნენ პატრონები: ჰაი! ჰაი! ჰაი! ჰაი! არიქა, ქორმა ვარია წაიღო, არიქათ!

ჰყიოდა შეშინებული მამალი, ჰყიოდა გაცოფებული კრუხი. წიოდნენ გულგახეთქილი წიწილები. კივკივებდნენ დაფორიაქებული ინდაურები, სისინებდნენ ბატები, ჰყეფდნენ ძაღლები.

— არიქათ, უშველეთ, ეგები გავაგდებინოთ, ქორმა წიწილა წაიღო, უშველეთ! — ყვიროდნენ სახლში მყოფები და ქორს მისდევდნენ. მაგრამ ქორმა ყურიც არ შეიბერტყა! ძლივს სადმე მსუქანი სადილი ეშოვა და განა კიდევ გაუშვებდა ხელიდან!

* * *

ყვინჩილამ დაყვირებაც ვერ მოასწრო, ისე უცებ მოექცა ქორს კლანჭებში. თუმცა საშიშარ მდგომარეობაში იმყოფებოდა, მაგრამ რაკი არაფერი სტკიოდა, — ქორს ვერ ჩაეყარა კარგა კლანჭები, ისე ბუმბულით და ფრთებით აეტაცნა, — იმას ქორის კლანჭებში კი არ ეგონა თავი, ასე ეგონა, სასეირნოდ მივდივარო. ქორის ცეცხლივით თვალები და ხანჯლის წვერივით ნისკარტი რომ დაენახა, მგონი გუნება წახდენოდა, მაგრამ ძირიდან ვერაფერს ჰხედავდა, რადგან თვითონაც იყურებოდა.

გრძნობდა, რომ მაღლა-მაღლა მიდიოდა. ჰაერი საამურად ულიტინებდა, გულში თეითონაც ძალიან დიდი სიამოვნება იგრძნო და სიამით გულმა ტოკვა დაუწყო, როცა ნიავქარივით ხეების წვერებსა და საბძლებს მაღლა გადაუარა. სახლები და ქოხმახები ქათამ-ინდაურებით ძირს სადღაც დარჩნენ, ქინძისთავისტოლად ძლივს მოსჩანდნენ, მამლის შორეული ყივილი ძლივს ესმოდა.

— აი, ეხლა ვარ ბატონი მამალი, — გაიფიქრა მამლაყინწამ, — აბა, ვინ ამოფრინდება ამ სიმაღლეზედ?!

სოფელს რომ გადაუარეს და უცხო ქათმები გამოჩნდნენ, ვეღარ მოითმინა, თავმომწონეობით გადახედა და გამარჯვებულივით დაჰყივლა: ყიყლიყოოო! — აი, თქვე ნაგავქექიებო, ვერა ხედავთ, ბატონი მამლაყინწა სად ბივემგზავრები? თქვენ ამოფრინდებით ასე მაღლა, თქვე საწყლებო?

— ყიყლიყოო! ყიყლიყოო! ჩამოვიდე მანდ, მე გაყურებინებთ თქვენს სეირს! ეჰ, მცოდნოდა თუ კალო-საბძლები და ქათმები მანდაც იყავით, მე გიჩვენებდით თამაშს!

— ყიყლიყოო! ჩამოვიდე მანდა, თქვე ლაჩრებო, თქვენა!

და კიდევ დიდხანს ისმოდა მამლაყინწის ყვირილი, სანამ ქორმა ერთ ულრან ტყეში არ შეაფარა თავი.

[1907 წ.]

# მოარული ქუდი

პელას ქათამს კვერცხი მოეპარა, საბძლის საგვერდულში ბზეზედ ედო და მერე კრუხადაც დამჯდარიყო.

პელამ მაშინღა მოიკითხა, როცა ორჯერ თუ სამჯერ საკეხკის დაყრის დროს დასთვალა თავისი ქათმები და ერთი ყვითელი ფეხბუმბულა დედალი აღარ ამოჩნდა. აქეთ ეცა, იქით ეცა, ეძება, მეზობლებში იკითხა, მაინც არა ჩანდა. ღმერთო შეგცოდე, მეზობელ ფეფოსაც დააბრალა, „ნამდვილად ის დაიჭერდა და გორს წაიყვანდა გასაყიდადაო". ერთი სიტყვით, ძალიან სწუხდა.

გიორგობისთვე იყო, ხან წვიმდა, ხან თოვდა, ერთთავად ციოდა. ქათმებიც სულ სახლსა და საბძელს შესტრიალებდნენ, სიცივით კარში ვეღარა ჰყოფდნენ თავსა. ჭილყვავები სიმინდის ძირებს ეხვეოდნენ და ჭყაოდნენ.

მოშივნოდა ფეხბუმბულასაც, საბუდრიდან ამოსულიყო და კარში ძალზე ჭყიოდა:

— გამომხედეთ, ორი-სამი დღის მელოგინე ვარ, გამომიტანეთ, მაჭემეთ რამეო! — პელომ მაშინვე იცნო თავისი ფეხბუმბულას ხმა, სიხარულით კარებს ეცა.

— შენ კი გენაცვალე მა ხმაში, ჩემო ქალო! ჩემო მშვენიერო!

მაშინვე სიმინდი გაუტანა, დაუფშვნა ტარო, წყალი დაუდგა. თან სიყვარულით ეალერსებოდა და ებაასებოდა:

— სად იყავ, ჩემო ოქროვ? სად მომპარე კვერცხები? სად გაიქეთე ბუდე? მე კი გამებუტე, ლამაზო? — ფეხბუმბულა პატრონის სიტყვებით გათამამებული ხამუშ-ხამუშ ჰყიოდა თავმომწონედ. თან აქეთ-იქით იხედებოდა, თითქო ქათმებს ეუბნება: „აბა, რომელი ხართ ჩემისთანაო?"

— ეგრე, გენაცვალე, ეგრე! — გაუჯავრდი მაგ წუწკებს. — ჭამა ფეხბუმბულამ, დალია წყალი და პირდაპირ ბუდისკენ გასწია.

ქათამი ინდაურივით ეშმაკი როდია: ინდაურმა იცის, თუ კაცს ჰხედავს, სადაც კვერცხსა სდებს, იქითკენ თავის დღეში პირდაპირ არ წავა, თვალის ასახვევად ხან აქეთ წავა, ხან იქით. თან სადაც მოხვდება, ჩაჯდება და ზურგზე ხმელ ფოთლებს და ჩალას იყრის, ვითომ ვიმალები, კვერცხი აქ უნდა დავდოვო.

საღამოთი პელა თავის უფროს ქალს მაკალას ეუბნებოდა:

— ჩვენს ფეხბუმბულას საბძელში მოუპარავს კვერცხი და თერთმეტზედ კრუხად დამჯდარაო... მართალია, კარგადა ზის, მაგრამ ზამთარია, ასვლა-ჩასვლაში დაუცივდება, მინდოდა ამეკრიფა, შინ შემომეყვანა და აქ დამესვა, მაგრამ ქაბატომ დამიშალა. — ადგილიდან ნუ დასძრავ, არა უშავს რაო.

პელამ მართლა არ დასძრა, მაგრამ ძალიან ცივოდა და ქებულმა ფეხბუმბულამ სულ სამი წიწილი გამოიტანა. ახლა კი ბზიან გოდორში გადასვა პელამ კრუხი და სახლში შეიყვანა. შემდეგ ბევრსა ნანობდა, რომ ქაბატოს გაუგონა და კრუხი საბძელში დასტოვა, მაგრამ რაღა ეშველებოდა!

— აბა ეხლა რაღა ვუთხრა ამ სატიალოს! — ამბობდა გაჯავრებული, — ამ სამი წიწილისათვის როგორ მოვაცდინო კრუხი, მერე ამ მამასისხლობას. კვერცხები ვინაღვლო თუ წიწილები! მერე რა კაი დროს კრუხი იყო და! სახლში რომ დამესვა, ათს მაინც გამოიტანდა, სააღდგომოდ დასაკლავები იქნებოდნენ, თითოს ხუთ შაურად გავაყიდვინებდი და ჩემს ტიტველ გოგოებს თითო რამ მაინც მოუვიდოდათ.

გადასწყვიტა, როცა წიწილები კარგად მოიშუშებოდნენ, კრუხისთვის ფეხები შეეკრა და წიწილები კი ობლად ფეჩქვეშ დაეზარდნა. აღებაში კიდევ მოიქცევა და დავსვამო.

როცა წიწილები მოიშუშნენ და ჭამა შესძლეს, პელამ კრუხს ფე-

ხები შეუკრა და საქათმეში დააგდო. წიწილები კი თბილად ყუთში ჩასვა, ეგება უდედობას შეეჩვევნენო.

უნდა გენახათ, რა ამბებში იყვნენ პელას პატარა გოგოები—მაკალა, თინა და რესა, სულ წიწილებს ეალერსებოდნენ და შესჭიკჭიკებდნენ. წამდაუწუმ დაიჭერდნენ, ხან ჰკოცნიდნენ, ხან უბეში ისვამდნენ.

— გენაცვალეთ, თქვე ობლებო! — ეალერსებოდა მაკალა, — წაგართვესთ დედა, დაობლდით, ჩემო მშვენიერებო? ახლა მარტოკაებმა როგორ უნდა დაიძინოთ უდედოდ, ხომ შეგციოდათ ამ ცივ ზამთარში, გენაცვალეთ?!

— ლადა ტილით, გენაცვალეთ, ვის ეძაქით? ძუძუ ქომ აღ მოქსივდათ? — ჰკითხავდა პატარა თინა. თან ჰკოცნიდა და თავზე და გულზე ხელს უსვამდა.

— თქვენი დედა აგე იქ ალიც ცაქათმეცი, ნუ იტილებთ! — წიწილები კი ტიროდნენ და ტიროდნენ. ეძახდნენ თავის დედას.

წია-წია-წიაა! წია-წია-წიااا! — აგრძელებდნენ, იხეთქდნენ თავებს.

— ნუ იტირებთ, შვილებო, ნუ იტირებთ! — ეუბნებოდა პელა.— ისეთ ქუდქვეშ ამოგსვამთ, რომ დედა დაგავიწყოსთ. აბა წადი, შვილო, მაკალო, მამაშენის ძველი ნაბდის ქუდი მოიტანე, წალოშია. ამოვსხათ ქუდქვეშ და ფეჩქვეშ დავუბუდოთ; ალბათ, სცივათ, რომ წივიან.

მაკალამ ხელად მოურბეინა მამის ოფლით გაქონილი და შედარებით დამძიმებული ნაბდის ქუდი. გოგოებს ერიამული შეუდგათ.

უნდა გენახათ, რა ამბავში იყვნენ, წიწილები რომ წივილით აქეთ-იქით აქანებდნენ ქუდსა. მერე რაკი ფეჩქვეშ შეახოხა და წიწილებს ჩასთბათ, წივილს უკლეს და გატკრინდნენ. მხოლოდ ხანდახანლა ისმოდა იმათი ჭუკჭუკი.

— წიკრიი! — აგრძელებდნენ სიამოვნებით, — წიკრი! ახლა კი დავიძინოთ!

სინუას სახლში ფეხბუმბულას ობლად დამრჩალმა წიწილებმა დიდი გართობა და სიხარული შეიტანეს. იმისი გოგოები სულ წიწილების ალერსსა და ფარეზობაში იყვნენ: უყრიდნენ ნაკმაზს, უფხვნიდნენ მჭადს და წიწილებიც გაიგონებდნენ თუ არა „მოდით, მოდი-

თო!" გამალებულები გარბოდნენ. გოგოებისა აღარ ეშინოდათ, აღარც ერიდებოდნენ, როცა ხელში იყვანდნენ. აღარ წივოდნენ, პირიქით, სიამოვნებით მოჰყვებოდნენ „წიკრიის" გალობას.

სუფრაზედ დაურბოდნენ, ჯამიდან და ხელიდან ლუკმასა სტაცებდნენ, ქალთაში უსხდებოდნენ, ან მუხლქვეშ უძვრებოდნენ და იქ იბუდებდნენ. ეს იყო, რომ ციცუნიას კი ვერ შეეჩვევნენ, თუმცა დაწოლილს რომ მოასწრებდნენ, ზედ შეახტებოდნენ და რბილად იბუდებდნენ. მაგრამ როცა კატუნია ტორს წაუცაცუნებდა და ხუმრობით დასაჭერად ეცემოდა, ან უკან გამოუდგებოდა, ისინი გულგახეთქილები ან ქილებშუა იმალებოდნენ, ან ტახტქვეშ შეაფარებდნენ თავსა, არა და თვითონ პელას შეახტებოდნენ ხოლმე თავზედ. იქ მოიკალათებდნენ და კატას მხოლოდ იქიდანღა უწყებდნენ უშიშრად ყურის გდებას, თითქო გადმოსძახიან, აბა აქ ამოდი, თუ კაი კატა ხარო! კატაც ვითომ და აქ არაფერიო, უზაკვო თვალებით გადაჰხედავდა დიასახლისის თავზედ მსხდომ წიწილებს, — აბა, მანდ როგორ შემიძლიან შემოგწვდეთო; ამოგორდებოდა სადმე, ან ვითომ თქვენ ვერ გამჩნევთო, ძველი ხალიჩის ჩამოგლეჯილ ნაპირას უწყებდა კაწრვას, ან ბალღების წინდას იპოვიდა, ან გორგალს და ეთამაშებოდა.

ფეხბუმბულაც სანამ ფეხშეკრული იყო, ჭკვიანად იყო, მერე როცა გაუხსნეს ფეხები, კარგა ხანი დარბოდა და ჭყიოდა, ეძებდა შვილებს. უფრო ხშირად კი სახლის კარებთან იდგა და სახლში შესჭყიოდა, ალბათ წიწილების ხმა თუ ესმოდა.

პელას გოგოებს ყველაზე მეტად ის ახარებდა, როცა წიწილებს დაიჭერდნენ და ქუდქვეშ სხამდნენ. რადგან ძილის დრო არა ჰქონდათ და ისე ამწყვდევდნენ, წიწილებიც ურჩობდნენ დაპატიმრებას და თავის საპატიმრო ქუდს აქეთ-იქით ახოხებდნენ. საცინელი იყო, როცა ქუდი აქეთ-იქით დაცოცავდა. არა ჩანდა, ვინ ამოძრავებდა, უცხოს თვალთმაქცობა ეგონებოდა. გოგოების აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

პელოს ქმარი სინუა, აგერ სამი კვირა სრულდებოდა, სამუშაოდ იყო წასული. ცოლ-შვილი დღე-დღეზე ელოდა. გოგოები სულ გზას გასცქეროდნენ. მამას ცალკე მოელოდნენ გოგოები, კაბებს და ჩუსტებს ცალკე, მაგრამ ქუდის ამბავი უფრო საინტერესოდ მიაჩნდათ.

ჯერ მამამ არ იცოდა, რომ ობოლი წიწილები ჰყავდათ და ქუდქვეშ ამწყედეედნენ. გოგოებმა ერთმანეთში მოილაპარაკეს და დედასაც შეეხვეწნენ, რომ მამისთვის არ ეთქვა იმათი საიდუმლო.

— ქუდი წიწილებით ფეჩქვეშ შევახოხოთ და როცა მამა მოვა და ფეჩთან დაჯდება, შევანძრიოთ, წიწილებს გაეღვიძებათ, გათენებული ეგონებათ და დაიწყებენ ცდას ქუდის მოსაშორებლად. ვნახოთ, რას იზამს მამა, როცა დაინახავს, რომ იმისი ქუდი უფეხოდ დაიარება. გოგოებმა წინდაწინვე გაითვალისწინეს მამის გაოცება და ერთ სიხარულსა და ამბავში იყვნენ. მამას მოვატყუებთ და შევაშინებთო!

— ახლა, გოგოებო, როცა გაიგებს, რამდენს იცინებს, — იძახდა მაკალა. საღამოზე მოვაო, ამბავი მოუვიდათ. პელამ თავი დაიბანა, შვილებიც აბანა, ჩაიცვა რაც კი მოეპოვებოდა, დაჰგავა სახლი, დარეცხა ჯამ-ჭურჭელი, მიალაგ-მოალაგა ყველაფერი, ჭილობი გაბერტყა, ზედ ხალიჩისძველა გადაშალა, თავისი დედამთილის ნამზითვი (ეხლა ვინღა აღირსებს გლეხის გოგოს ხალიჩას?), ლოგინს თავისი დაკერებული შალი მიაფარა, ქათმებს აჭამა, წყალი მოიტანა.

— აბა შვილო, დროა, წიწილებს აჭამეთ და დაუბუდეთ, უხეიროდ დაწუწკდებიან, — უთხრა პელამ გოგოებს. გოგოებმაც სიხარულით დაიჭირეს წიწილები, მირეკეს და ფეჩქვეშ ამოსხეს. ცოტა ხანს იჭუკჭუკეს წიწილებმაც და, რაკი დასთბათ და საღამოც იყო, მალე ხმა გასწყვიტეს და დაიბუდეს.

— შვილო მაკალო, მამაშენი შეცივნული მოვა, ფეჩს შეუკეთე! — მაკამ ხელათ მოარბეინა ორი-სამი ნაპობი და მიუმატა ფეჩსა. ფეჩს თითქო გაეხარდაო, გუზგუზი და ხმაური მორთო, გამოცოცხლდა.

კარგად დაბინდული იყო, როცა გოგოებს მამის ხველა შემოესმათ. ყველანი კარებს ეცნენ და მამას ჩამოეკიდნენ ყელზე. მამას ულვაშსა და წარბ-წამწამზედ ჭირხლი მოჰკიდებოდა, მაგრამ ბალღების დანახვამ სიცივეც დაავიწყა და სხვა დარდებიც. ისიც გულიანად ჰკოცნიდა თავის შვილებს.

— აბა, როგორა ხართ, შვილებო? ან დედა როგორ არის? ხომ არ აჯავრებთ? აბა შვილო მაკალო, შენ ეხლა ათი წლის ქალი ხარ, ვიცი, დედაშენს მოეხმარები ყველა საქმეში, არა?

— მაშა, მაშა, მაშა! — თან გაგიქეებით ჰკოცნიდნენ მამას.

— დამაცადეთ, ჯერ შინ შევიდეთ, გეყოფათ! — უძალოვნდებოდა მამა. მაკამ წითელი შეკრული ხელსახოცი ჩამოართვა და შინ შეიტანა. როცა შინ შემოვიდნენ, შვილების ყურადღება ახლა წითელმა ხელსახოცმა მიიზიდა, უნდოდათ გაეგოთ, ვის რა მოუტანა მამამ.

ყველა გახარებული იყო, ყველასათვის რამე იყო, თუ ჩასაცმელი, თუ დასახური.

რაკი შვილების ალერსით იჯერა გული, სინუა ფეჩთან მიჯდა და ქალამნების ხდა დაიწყო, თუმცა თავისი სამი გოგო არ აცლიდა და ცდილობდნენ მამისათვის ქალამან-წინდა გაეხადნათ.

— ნუ მოისვრით შვილო, ხელებს, მე თვითონაც კარგად გავიხდი.

— არა, მამა, შენ დაბუხული ხელები გექნება, მოგვესვაროს თუ მოგვესვრება. — აღარ ეშვებოდნენ გოგოები.

მამამ გაბერტყა ქალამნები, ტალახში მოსვრილი წინდები კი ცოლს გადასცა.

— ამორეცხე და ეგები ხვალისათვის გამიშროეო.

— ხვალ ახალი წინდები ჩაიცვი, კაცო, დაგიქსოვე და მაგვების დაცვეოასაც მოესწრები, — ეუბნებოდა ცოლი.

ქალამნებს კი ფეჩქვეშ უწყო გაფენა. გოგოები უკვე გულისფანცქალით შესცქეროდნენ თან მამას, თან იმ ქუდსა. სიცილს ძლივს იკავებდნენ. — დაიცა, მამაჩემი რას იზამსო.

ალბათ ქალამანი თუ მოხვდა, ქუდი შეინძრა, უცებ მოძრაობა იწყო და ფეჩისქვეშიდან სინუასაკენ გამოსწია. სინუას ჯერ ეგონა, ალბათ მე თუ მომიხვდა ხელი და გამოვახოხეო; ცოლისათვის უნდა ეკითხნა, ჩემი ქუდი აქ რადა გდებულაო, მაგრამ ქუდის მოძრაობა რაღაც არაჩვეულებრივად მოეჩვენა და ყურადღებით დააცქერდა...

— მოვიდა ქუდი, მამა, არ შეგეშამოს, — ჰყვიროდნენ გოგოები და სიხარულით აღარ იცოდნენ რა ექნათ.

— აი, თქვე საძაგლებო, თქვენა! კინაღამ წიწილებს არ შემაჭამეს! წინადვე ვერ გამაგებინებდით, თქვე კუდიანებო, თქვენა! — იცინოდა მამა.

[1907 წ.]

# მერიგდნენ

— რათა მცემ, შე ულმერთო, რა დამიშავებია შენთვის? ხომ ხედავ მეც თქვენთან ვიზრდები, ჯერ ხომ სამი თვისაც არა ვარ!

— ჭურრრ! ჭურრრ! — ჩხაოდა გულგახეთქილი კაჭკაჭი ნატო და თან შიშისაგან თვითონაც ძალაუნებურად ჰკბენდა თავის შემწუხებელ ვარიასა.

— მკბენ კიდეც, შე სასიკვდილე შენა? — გაგულისდა და უფრო გაცხარდა სადედლე ვარია და უფრო ცხარედ ჩასცხო კაჭკაჭსა.

— ნუ მკლავ, შე უსამართლო, რა დაგიშავე?! — ეევედრებოდა კაჭკაჭი, თან შიშით ჩხაოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.

— რა დაგიშავეო?! რა დაუშავეს შენმა დედამ, მამამ, დეიდამ ბიძამ, პაპამ, ბებიამ, დებმა, ძმებმა, ნათესავებმა, მთელმა თქვენმა გვარმა ჩემს ძმებს, დებს, დედ-მამას, ბიძა-ბიძაშვილებს, მთელ ქათმისა და იხვის გვარსა. ცოტა წიწილები და ჭუკიები გამოწიწკნეს? თქვენ არ გაჭმევდნენ? მაგ თქვენ სამიწე ღორმუცელებს არ აძღობდნენ ჩვენი ქორფა წიწილების ხორცითა? რისგან მოხდა, რომ თქვენ მაგრე სუფთად და კოპწიად დაფრინავთ და თითო ადლ ბოლოს დაათრევთ, ჩვენ კი ბოლოდაგლეჯილები, აბუზულ-გაწიწკნილები დავდივართ? ეგეც არ გვაკმარეთ და ახლა აქაც მობრძანდი და სათონესაკუჭნაოში დაყრილ ნამცეცებსაც გვეცილები? თუ არ მოგკალი, არ იქნება, შე გვარგასათხელებელო! — და სანამ პატრონი მიეშვე-

ლებოდა, ურტყამდა და ურტყამდა საკვერცხედ მოჩრიხული ჭროლა-ჭროლა ქოჩორა ვარია ნატო კაკკაკსა.

ნატო კაკკაკი კი ჩხაოდა და ჩხაოდა.

— მიშველეთ! მიშველეთ, ქრისტიანებო! მომკლა ამ ბნედიანმა. შიშველეთ, ვინა ხართ მადლიანი?!

ამხანად ბოლო დაგლეჯილი, (ჩინჩილო) ბიბილო გვერდზემოქცეული ვარია ჯოხით მოაშორა პატრონმა მარომ, თან შეთათხა და შერისხა, არც ემეტებოდა, რომ ჯოხით ეცემნა.

მერე კაკკაკს მიუალერსა:

— მოდი, ჩემო ნატო! ვინა გცემა, გენაცვალე, მაგ უნამუსომა? შოიცადოს მაგ... მაგ სასიკვდილემ! — და კიდევ ჯოხი დაუტუნტურა მოჩხუბარ ვარიასა.

ნაცემი ნატო მაროს წინ დახტოდა და თან რაღაცეებს უამბობდა პატრონს, თანაც შესცქეროდა თავისი შავი მძივივით ბრეყვიალა თვალებითა.

— ჭყრრრ! ჭყრრრ! რომ არ მომშველებოდი, მაროჯან, ეგ ცოფიანი მომკლავდა!

ნატოს ერთგულობაში ალბათ არ იყვნენ დარწმუნებულები, რომ იმისი დამამშვენებელი ბოლო ძალზედ დაემოკლათ და მხრებიც სულ შაეკრათ, რის გამოც კურტუმსუკან ზურგი სულ უჩანდა და გაწიწკნილსღა ჰგვანდა.

— რას გერჩოდა ე ქორის გამოსაწიწკნი ეგა? რათა გცემა, ჩემო კარგო? — ეალერსებოდა მარო ნატოსა.

ნატოც ხან ერთი თვალით შეაცქერდებოდა მაროს, ხან მეორეთი.

— ჭურრრ! ჭურრრ! მცემენ, მარო, მცემენ! რათა მცემენ? ვის რა დაუშავე? მართალია, კაკკაკი ვარ, ჩემი ნათესავები და მამა-პაპა სულ მტაცებლები და ქურდ-ბაცაცები იყვნენ, სულ ტაციობით ზრდიდნენ შვილებსა. მართალია, გვაყვედრიან, რომ იმიტომ დაფრინავთ მაგრე სწრაფად და თავისუფლად, რომ ჩვენი მიწაზე მოსიარულე წიწილებით იკვებებითო, მაგრამ მე რა? მე რაში ვურევივარ? მე რა ვიცოდი, დედაჩემი საიდანა შოულობდა ჩემთვის რომ გემრიელი ლუკმა მოჰქონდა. იტაცებდა, იპარავდა, თუ თავის ოფლით შოულობდა. აი, თუ მე მოვიტაცო, თუ დავუშავო ვისმე რამე, მაშინ რაც უნდა, ის მიყონ. ჩემი დედ-მამის ცოდო კი მე რად უნდა გადავიხადო?!

— ჰურრრ! ჰურრრ! — იძახდა ნატო, — რასაც ეგენი აკეთებენ, შეც გავაკეთებ, მეც თვითონ ვიზრუნებ ჩემი საზრდოსათვის. სხვა რა საქმე გვაქვს. ჩვენ ყველანი კაცის ხელში ვართ, სურს, დაგვარჩენს. სურს, დაგვხოცავს. რა გვაქვს ერთმანეთში სადაო და გასაყოფელი?

— ჰო, ჩემო კარგო, მაგრამ ლურჯ კრუხს გაუფრთხილდი, მაგისათვის საკმარისია, რომ შენ ჭრელი ხარ, ხო იცი, რა გაბოროტებულია შენი გვაროვნობისგან. ეცადე, ცუდი არაფერი შეგამჩნიოს, მერე მალე შეგეჩვევიან და შეგირიგდებიან.

* * *

ნატოს ისტორია გრძელი არ იყო. იმის დედ-მამას მაროს ვენახში ალუბლის წვერზე ჰქონდა ბუდე. სულ ხმელი ძეძვი და წალამი აეზიდათ, სამ თუ ოთხ ტოტშუა ჩაედგათ და გაემაგრებინათ, ქოთნის ძირივით შემოეგლისათ ტალახით და მერე ჩალაბულა ჩაეგოთ, ზემოდანაც წალმით დაეხურათ და მხოლოდ აქეთ-იქიდან გაეშვათ გასაძრომი.

კრუხად მჯდომს მხოლოდ ბოლო უჩანდა, ისიც იმიტომ, რომ მეტისმეტად გრძელი ჰქონდა.

მარო მოუთმენლად ელოდა ბარტყების გამოჩეკას. ძალიან ენატრებოდა კაჭკაჭის მოშინაურება.

— რასა ბრძანებთ, ქალო, ბეგიაანთ ჰყავს ერთი კაჭკაჭი, ადამიანივითა ლაპარაკობს. ხუთი თუმანი ეძლიათ, მაგრამ არ მიეცათ, ერთი ხარის ფასია.

— ხუთი თუმანი ჩვენისთანა საწყალი ხალხისათვის ხუთი ათასი თუმანია! — იძახდა მაროს დედა.

მართლა აძლიეს ხუთი თუმანი, ან მართლა ლაპარაკობდა ადამიანივით, თუ არა, ეგ კი არ ვიცი.

თუმცა გოგოები მალ-მალე ათვალიერებდნენ ბუდეს და ბარტყებს არ დააფრინოს კაჭკაჭმაო, მაინც დრო გამოეპარათ და ერთხელ რომ ვენახში ჩავიდნენ, ბუდე ცარიელი კი დახვდათ. ძალიან ეწყინათ, მაგრამ ვის დააბრალებდნენ, თავიანთი ბრალი იყო. — ადრე რომ ამოვიყვანოთ, გააცეებს და მოკვდებაო.

დაღონებული მარო მოწყენით შესცქეროდა ცარიელ ბუდესა.

— ფიქრი ნუ გაქვს, დაო მარო, — გაამხნევა უფროსმა ძმამ, — აბა ვენახს შემოუარე, აქვე ეყოლებათ სადმე, შორს არ წაიყვანდნენ, ღამე ისევ ბუდეში უნდა დაიბუდონ ხოლმე, თუ ყოჩაღად მოვიქცევით, უეჭველად ვიპოვით და დავიჭერთ.

მართლაც, ბუდის შორიახლოს სწორზედ ორი კაჭკაჭი იჯდა და ბავშვებს ყურადღებით ათვალიერებდა, როცა ისინი ბუდის ქვეშ დატრიალებდნენ. ამათ მიახლოებებზე კაჭკაჭები აფრინდნენ და ჩხავილი მორთეს. ერთ ნერგს დასტრიალებდნენ და ჩხაოდნენ.

— აქ მოდი, მარო, აქ მოდი, ჩქარა! აბა უცქირე სადა ზის გამოყეყეჩებული! ამიტომ დასჩხავის ასე გამწარებით დედა, უნდა როგორმე ააფრინოს.

მაგრამ ყურყუტს არ ესმოდა, რა ხიფათი მოელოდა. იჯდა ნერგის ტოტზედ და აქეთ-იქით უაზროდ იბლიტებოდა. როცა მარო ნერგზედ აფოფხდა, იმან ყურიც არ შეიბერტყა, მხოლოდ გაკვირვებით კი უცქეროდა, ეს რა სულიერიაო.

იქნება დაეჭირა კიდეც მაროს, მაგრამ ხელის მოჭიდებამ ნერგის ტოტი შეანძრია, რაზედაც ბარტყი იჯდა, ის აფრინდა და იქით ტოტზედ გადაჯდა.

მაროც გულის ფანცქალით მიცოცავდა ბარტყისკენ, თან ცდილობდა ღობეზედ დადებულ ძეძვს არ გაეკაწრა, თუმცა ხელშიაც შაერჭო და მუხლიც დაუსისხლიანა, ბოლოს სწვდა დასაჭერად. შეშინებული ბარტყი აფრინდა და ტოტებში გაება. ძეძვებში ჩამოვარდა და ჩხავილი მორთო. მაროსაც ეს უნდოდა, სწრაფად წაავლო ხელი და თუმცა კაჭკაჭი ჰკბენდა და აკაწრიდა, მაგრამ რაღას გაუშვებდა ძვირფას საშოვარსა?

ჩამოსვლაში კაბაც ჩამოიხია, წვივიც ჩამოაქლიტა ხმელ როკსა. თვალებგაბრწყინებული მარო აღტაცებით უჩვენებდა კაჭკაჭს დაძმებსა.

დედა კაჭკაჭი კი ჩხაოდა და ეძახდა ნათესაობას საშველად.

მოგროვდნენ ისინიც, დახტოდნენ ხის ტოტებში, ჩხაოდნენ, უბედობდნენ, ვერც ერთმა კი ვერ გაბედა მაროს დასცემოდა და ბარტყი წაერთმია.

მარო გახარებული შინ წავიდა, დაღონებული კაჭკაჭები კი წნორებზე ჩამწკრივდნენ და გაბეს ლაპარაკი.

ბარტყს ფრთები და ბოლო შეაკრეს, „ნატოს“ სახელით მონათლეს და ჩხირების გალიაში შეამწყვდიეს. დოში პური ჩაუყარეს და თითით ყელში ჩასტენეს. წიწილების ხორც-ნაჩვევ კაკკაკს ბარემ არ ესიამოვნებოდა და უგემურად მიირთმევდა გლეხურ საკმელსა, მაგრამ რა მეტი გზა იყო. გოგოები ხანდახან კალია-ბუზებსაც უზიდავდნენ და ათასში ერთხელ ხორცსაც შოულობდნენ, ან მეზობლები დაჰკლავდნენ რასმეს, ან ბედნიერ დღეში მამა იყიდდა დუქანში.

თანდათან შეაჩვია „ნატო“ თავის მდგომარეობას, საკმელსაც თვითონ დაუწყო ჭამა და ბოლოს ხომ გალიიდანაც გამოუშვეს და ნება მისცეს თავისუფლად სიარულისა. ბავშვებს ძალიან შეაჩვია, სულ უკან დასდევდა სკიაობით და ყვირილით. ქათმებში ჩაერეოდა ხოლმე და იმათთან საკენკს ვითომ და ჰკენკავდა. საზოგადოდ ძალიან მხიარული იყო, როცა თავისუფალი იყო, თუ ქათმები არ ჩაარტყამდნენ თავში, ან კრუხი არ მოჰკრავდა თვალსა. კრუხმა კი რამდენჯერმე კინაღამ გაგლიჯა და რის ვაი-ვაგლახით ძლივს გააგდებინეს ხელიდან.

გალიაშიაც ძალიან სწუხდა და მოუსვენრობდა, სულ ჩხაოდა, გალიის კარებს ებრძოდა, გვერდებიდან თავსა ჰყოფდა, ახტოდა და დახტოდა ქანქარაზედ. თუ კარგად არ იყო დაკეტილი, გალიის კარებს თვითონ აღებდა, რასაც მოახელებდა, ნისკარტით მიათრევდა და სადმე ქვეშქვეშ მალავდა, თან ცალი თვალით უღირღიტებდა, ჩანს თუ არაო.

ბოლოს ბევრი ეჭვისა და უნდობლობის შემდეგ ვარიები და დედლებიც შეაჩვივნენ, თუმცა ხანდახან რო ჩამოფრინდებოდა საიდანმე, ისევ ერიამული შეუდგებოდათ ხოლმე. იმათთან ერთად დახტოდა, ჰკენკავდა, წყალსა სვამდა, ემასხარებოდა. მაროც სიხარულით ფეხზე აღარ იდგა, ან ახლა ამოიდგამს ენას ან ახლაო.

მაროს მამას კი არა სწამდა რა კაკკაკის ლაპარაკისა: — თქვენ რას მიკეთებთ, შვილო, მაგდენი ლაქლაქით, მაგან რა გამიკეთოსო.

დღეს აღარ აშინებთ ქათმებს „ნატო“ კაკკაკის სიჭრელე. კრუხიც შეაჩვია და წიწილების მოტაცებისა აღარ ეშინიან.

[1907 წ.]

# პირველი საშოვარი

შეტად გაჭიანურდა სასტიკი ზამთარი, სულ ყინვა და ყინვა. გაჭირდა სკაში საქმე. თაფლი გამოილია, მშიერი ფუტკრები სიცივეს ვეღარ უძლებდნენ, ზოგი უკვე დახოცილიყო და სკის ძირზედ ეყარა, ზოგი კვდებოდა. გარეთ კი ყინვა ბატონობდა და კარში თავს არავის აყოფინებდა.

— ცოტა კიდევ, ძმებო, ცოტა კიდევ, მოთმინება! ხედავთ, სიცივისაგან ცხვირს კარში ვერ გავყოფთ! — ამხნევებდა შავი ბანჯგვლიანი ფუტკარი. — დავინახოთ თუ არა დარი, შეშრება თუ არა თოვლი და ჩადგება ქარი, გავიდეთ მაშინ საშოვარზედ. რა ვქნათ, თუ ათი მოკვდება, ათიდან ერთი ხომ მაინც დაბრუნდება სანუგეშო ამბითა. და თუ ვინმე ჩვენგანი ყვავილს სადმე მიაგნებს და სახლში პირველი საშოვრით დაბრუნდება, მაშინ ეს ბედნიერი შემთხვევა ასისა და ათასის სიკვდილს დაგვავიწყებს. ჰხედავთ, რამდენია სკის ძირზედ მკვდარი ფუტკარი? არ ერჩივნათ, აქ შიმშილით და სიცივით სიკვდილს მინდორში საშოვრის ძიებაში დახოცილიყვნენ? ხომ არც სიკვდილია მაშინ საზარელი. ყვავილის ძებნაში ამოგვდის სული, მაგრამ სიკვდილის ბურანში გახვეულს ისევ ყვავილები გველანდებიან და ქრება სიკვდილის საზარელი არარაობა.

მაშ გულადად, ძმებო და ამხანაგებო! ნუ შეგეშინდებათ სიკვდილისა! ყველას სიკვდილი მოგველის. იხოცებიან ჩვენი ძმები, დები,

მამები. ვსუნთქავთ მუდამ ჟამს სიკვდილის საშინელ კვამლს. ჰხედავთ იმათ სულთაბრძოლასა. გავუძლოთ ყოველ გაჭირვებას, სიმშილს და სიცივეს! გავძლოთ, სანამ მინდვრად გავიდოდეთ, სანამ წითელ-ყვითელი ყვავილების სურნელება ზამთრის გათახსირებას არ გვახარებს. იმედს ნუ გადავიწყვიტავთ. ბევრს თქვენგანს ზამთრის სუსხი ამის მეტად არ უგემნია და სასოწარკვეთილი იძახის:

— ვაიმე! ვაიმე! დაგვხოცავს ზამთარი, გაგვწყვეტს და გაგვაქრობს! გაგვრეკავს სკიდან თოვლში და დაგვახრჩობს!

— არა, ძმებო, არა! საშიშია ზამთარი, მაგრამ არც ისე, როგორც გამოუცდელებს და მხდლებს ეჩვენებათ. მუდამ ასეთი ყოფილა ზამთარი. მაგრამ ზამთრის შემდეგ გაზაფხულის ყვავილების ტკბილი ნექტარი და ზაფხულის მანანა წარსულ გაჭირვებას ხელად გვაუიწყებს.

რა კარგია მინდვრიდან თაფლით და ყვავილთა ფქვილ კაპაჭით[1] დატვირთული ფუტკარი.

მხდლებო, გულს ნუ გაიტეხთ! მოიგონეთ თაფლით სავსე თეთრი ხილარი[2], მოიგონეთ ყვავილების ტკბილი წვენი, ღვთისგან თქვენთვის უხვად ჩასხმული.

სკა ბზუოდა, ხმაურობდა, გუგუნი გაჰქონდა.

ზოგი ძირს მოხოხავდა კარში გასახედად; ზოგსაც, რომელიც სიმშილისაგან ძირს გადმოვარდნილიყო და სულსა ლევდა, იმედიანად თვალები გაეჭყიტა და ადგომას ლამობდა.

* * *

ბზუუ! ბზუუუ! ჯავრობდა დედა ფუტკარი.

— ნუ გახვალთ, შვილო, კარში, ნუ ენდობით წყეულ ზამთარსა. ნათელი და თბილი დღეები ზამთარშიაც გამოვარდება ხოლმე, მაგრამ ის გაზაფხული არ არის. დიდი ხნის გამოცდილებამ მასწავლა: არ ვენდოთ ზამთრის კრიალა დღესა, — ხანმოკლეა და მწირი. ერთ ყვავილს, ერთ ბეწო საშოვარს, ერთ ცვარ ნექტარს ვერსად ნახავს კაცი.

---

[1] ფუტკარს რომ უკანა ფეხებით საშოვარი მოაქვს, იმ საშოვარს ასე ეძახიან.
[2] ახალი ფიჭები თაფლით სავსე.

გაფრინდები ბრწყინვალე დღისგან გამოტყუებული სკიდან, მიბზუი მინდორში, აცეცებ თვალებს, სუნთქავ ხარბად ჰაერს, რომ შეიტყო სუნით, ხომ არსად გაიშალნენ ადრეული ზამთრის ყვავილები: ყვითელი, სარქველივით ერგვალი, ლილიფარის თავივით ბრტყელი ლუსუმა, ან მრავალფეროვანი კეკლუცი, ტანწვრილი ენძელა. თუმცა იმათი მკერდი ვარდისა და იის საამურ სურნელებას არ გამოსცემს, მაგრამ სამაგიეროდ ყვითელ ფქვილს უხვად გვთავაზობს ჩვენი მშიერი ძმებისთვის.

მიფრინავ მინდორში, ეძებ... ეძებ... არაფერია. კიდევ მიფრინავ უფრო შორს. გიტყუილებს მზის შუქი, გეალერსება თეთრად მბრჭყვინავი თოვლი...

უცებ გაიპარება ბრწყინვალე დღე, გადნება თბილი მზე, მოეფარება გორაკებს. სადღა სცალიან ჩვენთვის, ის სხვა ქვეყნისკენ მიეშურება, სადაც არც ცივა და არც თოვლი ავნებს ყვავილებს და პატარა ფუტკრებს. უცებ იცვლის ფერს მშვენიერი ნათელი... აგერ მოქრის ქარი, სისინებს გველივით, ქშუის და გასწივის:

— გირჩევნია ფუტკარო, გაეშურო სკისკენ, თუ თავი ცოცხალი გინდა. იცოდე, თუ დაგეწიე, ან წინ გადაგეღობე — გამოეთხოვე სიცოცხლეს.

— უუუ! — ღმუის მშიერი მგელივით ქარი. — უუუ!

— ესწრაფე, ფუტკარო! მოვიდა სიკვდილი! — ჭკვიანმა იცის, რასაც ნიშნავს ეს საზიზღარი ბღუილი. გამოუცდელი კი ხდება იმისი მსხვერპლი.

გეყინება სისხლი, გიდამბლავდება ფრთები, ეცემი ძირს, ქარისგან ძლეული დაცოცავ მიწაზედ, ეძებ მაღლობს, რომ ასცოცდე ზედ და კვლავ აფრინდე, მაგრამ უღონოდ ისევ ძირს ეცემი.

— უუუ! — გაჰკივის, ქარი. — უუუ! ვეღარ ადგები, ბრიყვო, სკას ვეღარ იხილავ თვალით!

და ბუმბულივით მიგათრევს, სადაც თვითონა ნებავს. ცდილობ გაფრინდე, ებრძვი ქარს, კიდევ ეცემი ძირს, კიდევ ფრინდები, მაგრამ ქარი კი დაგხარხარებს, არაფრად აგდებს შენს მისწრაფებასა.

— ნუ გახვალთ, შვილო, ნუ! მოვითმინოთ კიდევ, სანამ დღეს სიგრძე მიეცემოდეს და ჰაერს სითბო. აყვავდნენ ბალახები, გაიფოთქოს ტყე.

— ბზუუ! ბზუუ! — ისმოდა უკმაყოფილო ბზუილი პასუხად. — გაჭირდა ცხოვრება, თაფლი ჩვენ აღარა გვაქვს. სკაში თაგვებმა ფიქები დაგვიხრეს, ჩვენ აქ სიცივით და სიმშილით ვიხოცებით. ეგ იძახის, კიდევ მოითმინეთო.

* * *

თბილი ბრწყინვალე მზის შუქი მინდორში ეპატიჟებოდა ტანჯულწამებულ მშრომელ ფუტკრებს: გამოდით, გამოძვერით, სანამ ღრუბელი არ გადაჰფარებია ცას, სანამ ქარს ჩემი სითბო ძალას უკარგავს. გამოძვერით, მიიარ-მოიარეთ; ენძელა და ლუსუმა რა ხანია ამოძვრა დედამიწიდგან. მალე იასაც გავაცოცხლებ და ავაყვავებ ლამაზსა.

— ბზუუუ! ბზუუ! — ისმოდა გაჩქარებული ბზუილი.

ფუტკრები უკვე გაფაციცებით ხრავდნენ და ღრღნიდნენ დინდგელით და საქონლის ნეხვით ამოლესილ სკის სათვალეს. ხრაშა-ხრუში და შრიალი ისმოდა.

— გავიდეთ, ბიჭებო, სინათლეზედ, გავიდეთ!

სკაში უკვე შეძვრა მზის წმინდა სხივი. ვერცხლის ძაფივით შემოეხვია ზოგს წელზედ, ზოგს კისერზედ, ზოგს თვალში უღიტინა და გააღვიძა.

— უჰ, უჰ! — იძახდნენ ახლადგაღვიძებულები, რამდენი გვძინებია! სად ვიყავით აქამდე, რატომ ვერ გავიგეთ გაზაფხულის მოსვლა?!

ბზუოდნენ, ფაცაფუცობდნენ, გარბოდნენ და გამორბოდნენ.

აგერ ერთმა გულადმა ბანჯგვლიანმა ფუტკარმა გამოჰყო სათვალიდან ულვაშები, ცოტა ხანს ასე დაჰყო, თითქო ჰაერს სუნთქავდა, მერე გაბედა და გამოძვრა. ულვაშების ცმაცუნით აქეთ-იქით იწყო ცქერა და ჰაერის ყნოსვა. გაცოცდა სათვალისწინ ფიცარზედ, მიიარ-მოიარა და ისევ სკაში შეჰყო ცხვირი.

— თბილა, ძმებო, — თქვა ბანჯგვლიანმა, — იქნება არც ისე საშიში იყოს, როგორც დედა ბრძანებს. აბა გამოძვერით, ნახეთ, რა დღეა!

ბანჯგვლიანის ხმამ ფუტკრები კარში გამოიყვანა, ძვრებოდნენ

თითოობით, წყვილ-წყვილად, სამი და ოთხი მიივლ-მოივლიდნენ და ისევ სკაში ბრუნდებოდნენ. ბანჯგვლიანი კი ბზუილით აფრინდა და იწყო ჰაერში ტრიალი. ჯერ თავის სკას ათვალიერებდა, სინჯავდა, როგორი იყო, სად იდგა, ისევ ძველ ადგილზედ, თუ ახალზედ. ჯერ დაბლა-დაბლა დაფრინავდა, პატარა წრეებს აკეთებდა, ეტყობოდა, დაბუხულ მხრებს ავარჯიშებდა, — მთელი ზამთარი აღარ ეფრინა; მერე თანდათან დიდ წრეებს უწყო შემოვლა. უკანასკნელად შემოავლო წრე და ისარივით გაეშვა მინდვრისკენ.

ცოტა ხნის შემდეგ სკიდან გამოშლილ ფუტკარს ერთი ბზუილი და ამბავი ჰქონდა. ყველა ეშურებოდა გამთბარიყო და დაბუხული მხრები და ფეხები გაეშალა. რომლებიც უფრო უღონონი იყვნენ, სკასა და სკის წინა ფიცარს ეხვეოდნენ და თბებოდნენ, უფრო თამამები მაღლა ადიოდნენ და იქიდან გარშემო ათვალიერებდნენ, გაშლილი ხე ხომ არსად ჩანს, ან ქარი ხომ არ მოიტანს ყვავილის სუნსაო. -

ბანჯგვლიანი კი მიქრის ქარივით მინდორში, მისრიალებს ისარივით.

— ბზუუუ! — იძახის გულადი, — ბზუუუ! წამოდით მინდორში, ვისაც გული გერჩით, წამოდით! ცდა ბედის მონახევრეა. ბიჭი ის არის, ვინც ეხლა იპოვნის გაშლილ ყვავილს და საშოვრით სკაში დაბრუნდება! ბზუუუ! — აგერ ჩაუარა წოწოლა ლელსა, რომელსაც ფოთლები გასცვივნოდა და სამხრესავითღა ეხირა.

— ეჰ, ლელო, შენ თავის დღეში არა მოგიწოდებია რა მშიერი ფუტკარისთვის და არც ახლა გაიმეტებ რასმე. ნეტა, ან სხვას გამოსდგომიხარ რაშიმე!

ლელი კი თავს აქნევდა, ალბათ ბანჯგვლიანის სიტყვებს კვერს უკრავდა.

— შენა, ბორხვენავ? რა ძალიან გამხმარხარ და გატიტვლებულხარ? რა უყავ შენი თავკომბალა ძურწები? გაგზავნე აქეთ-იქით? ოჰ, რა ეშმაკი ხარ და მოყვარული შენი მოდგმისა! ვინც კი ახლო გაგივლის, როცა მოსული ხარ, ოღონდ ერთი ბეწოდ კი მიეკარნენ შენს ძურწებს, მაშინვე მიეკვრიან და მისდევენ თან, სანამ ძალით არ მოიშორებენ და არ გადაისვრიან, სადაც მოხვდება. შენც ეგ გინდა: შენი თესლი იქვე გახეთქილ მიწაში ჩაძვრება და მეორე წელს

ვეებერთელა ბორხვენას უკვე გადაუშლია თავისი სამზეურივით ფოთლები. ვერ დაგემდურები, ზაფხულში კარგი მასპინძელი მყევხარ. ეტყობა ადრეა, რომ ჯერ გაღვიძებას არ აპირებენ შენი შვილები.

— ადრეა ჯერ, ბანჯგვლიანო! ნუ ენდობი ზამთრის დღესა. შიშით ჯერ მიწიდან ვინ ამოჰყოფს თავსა. ტყუილად თავს დაიღუპავ, ვერაფერს იშოვი, — აფრთხილებს ბორხვენა.

— ბზუუ! — მიბზუის ბანჯგვლიანი, — დაღუპვისა ჩვენ არ გვეშინიან!

— გამარჯვება, შინდო, აბა რას შვრები, გაქვს რამე მშიერი ფუტკრებისთვის მომზადებული, თუ არა?

— ჯერ ადრეა, ბზუილავ, ყინვამ მეტისმეტად გააკირა საქმე, ვერ გავბედე გაშლა. შენ ეგრე ხევის პირს დაჰყე, ხეებზედ ტყუილად რასმეს ეძებ, ისევ მზვარე ბექებში მოძებნე, ლუსუმა იქნება ამოძვრა სადმე.

— მშვიდობით! ნახვამდის! — მიაძახა ბზუილამ და დაჰყვა ხევის პირსა. სითბოს ჩაეტანებინა დედამიწაში და ბალახი გაეღვიძებინა. მიწიდგან ამოეყოთ ნემსის წვერივით წვრილი წვერები და მზეზედ მწვანედ ბზინავდნენ.

მზეს ყინვისგან ჩამოშლილი ბექი გაეშრო და გაეხუნებინა. ჭიანჭველასაც რომ გაეღვიძა, ფხვიერი, გამშრალი, მტვრად ქცეული მიწა მოცურავდა პაწაწა ზვავებად.

— აი შე ყვითელო ლუსუმავ, შენა! კარგა ადრე ამომძვრალხარ, გოგო! ძალიან აზიზ-მაზიზი ბრძანებულხარ, დაიავ, რომ ასე ადრე ეშურები წუთისოფელს, არ გინდა ზაფხულის მზემ მოგასწროს, განა?.. კვერივით რომ დამრგვალებულხარ, ფუყე ფეხზედ მდგომი.

რამდენიც დათბება, შენც ღერო გიგრძელდება და შენი ყვითელი ფერიც იწყებს ცვლას, ხოლო ფურცლები ჭკნობას. მერე თეთრ ბოხოხ ქუდივით გაიკეთებ თავს და წვრილმხრიანი თესლებისგან შემდგარ არახჩინს იდგამ თავზედა. შემოუბერავს ქარი, მოგგლეჯს თავიდგან შენ ბოხოხა ქუდს და მიაქროლებს ცაში. მიფრინავენ ისინიც პეპლებივით, სადაც თვალი მიუწვდებათ, სადაც ქარი ინებებს და დედამიწაზედ ჩამოუშვებს, ან წვიმის ცვარი დაამძიმებს და ძირს ჩამოაგდებს, იქ ამოვა შენი მოდგმა და მშიერს ფუტკარს ადრეულ საშოვარს მისთავაზებს.

აგერ, დაიავ, მშიერი ფუტკარი გვეწვია, მისთავაზე რამე, შენს გახარებას! ზამთრისაგან შეჭირვებულია, გული გაუკეთე, იმედით აღაფრთოვანე!

ყვითელი ფერი და თავისებური სურნელება ლუსუმასი უკვე შორიდანვე ეძახდნენ ბანჯგვლიანს და თავისკენ ეპატიჟებოდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ყვითელი საშოვრით დატვირთული ბანჯგვლიანი სიხარულით მიეშურებოდა სკისკენ.

მიფრინავს ბანჯგვლიანი, მიაქვს სასიხარულო ძღვენი სკაში. მოსისინებს ქარიც.

— ვერ წამიხვალ, ბზუილავ, ვერა! უნდა შენი საშოვრით სიცივით გაგაფიჩხო! ბზუუუ! — ბღუის ქარი. ისვრის უკან ბანჯგვლიანს და მიწაზე საშინლად ახეთქებს. თითონ კი გამარჯვებული ბღუის და ბღუის: — უუუ! უიიიი! — გაჰკივის კუდიანივით.

ბანჯგვლიანი მოსულიერდა; პირველი დარდი იმისი ის იყო, საშოვარი ხომ არ მოსტაცა ქარმა და არ დაღუპა. ინახა... მადლობა ღმერთს, ისევ ისე ხელუხლებელი იყო.

მზე ის იყო ჩასვლას ლამობდა, ქარი სუსხავდა და უბუხავდა ხელსა და ფეხსა. ბანჯგვლიანმა გული არ გაიტეხა, ქარს ზიზღით გადახედა და გულადად წამოდგა.

— რამდენიც გინდა დამახეთქო, ქარო, ჩამაგდო წყალში, გადამისროლო უფსკრულში, ვერ გამიტეხ გულს! რაც ვიშოვე, იმას ხელიდან ვეღარ ამომგლეჯ.

ნელ-ნელა სცადა ბანჯგვლიანმა ფრენა. თუმცა პირქარი იყო, მაგრამ მაინც აფრინდა. ახლა ისე მაღლა-მაღლა აღარ მიფრინავდა, დედამიწის პირს გაეკრა და ისე წავიდა.

— ბუუუ! ბუიიიი! — ბღუის ქარი. მოაქვს ლელისა და ნარის ლელქაში, მრაგორებს ხმელს, ძირიანად მოგლეჯილს ეკლებს და ნარებს.

იყინება ბანჯგვლიანი, აი ეს-ეს არის ბრაგვა მოსძვრება, მაგრამ სძლებს, სძლებს, რადგან პირველი საშოვარი ამან უნდა მიიტანოს და ზამთრისგან შეშინებულს და სასოებადაკარგულს სკას ისევ სული ჩაუდგას, იმედი ჩაუნერგოს.

ცოტა კიდევ, ცოტა და ბანჯგვლიანი გულაღმა სკის კარებზედ ეცემა, დაღალული და გაყინული.

უნდა გენახათ, რა სიხარულით და ერიამულით შემოეხვივნენ ამ-ხანაგები ბანჯგვლიანს, — ჰკოცნიდნენ, ლოკავდნენ, ეწეოდნენ, ათბობდნენ, ბზუოდნენ, თავს ეელებოდნენ. თან მოტანილ პირველ საშოვარს სინჯავდნენ და გახარებულები სკაში ბრუნდებოდნენ, სა-სიხარულო ამბის შესატყობინებლად.

— შევიყვანოთ, ძმებო, სკაში, შევიყვანოთ, აბა ადექი, ძმაო, ნუ გეშინიან, ჩვენ გაგათბობთ.

ბანჯგვლიანი წამოდგა და ფუტკრებისგან გამხნევებულმა სკაში გასწია. მუშა ფუტკრები კი ულოცავდნენ, აქებდნენ, ადიდებდნენ. მთელი სკა სიხარულსა და ნეტარებაში იყო.

განა ხუმრობა იყო, — ზამთარს აჯობეს პატარა ფუტკრებმა და სკაში საშოვრით დაბრუნდნენ.

მართალია, კიდევ ბევრი იმსხვერპლა სასტიკმა ქარმა და სიცი-ვემ, მაგრამ ამას თითქო აღარავინ ამჩნევდა.

ზაფხულში უკვე მართვე გამოუშვეს, საზამთროდ ფიქები თაფ-ლით დატენეს, შემოდგომაზედ მუქთაჭამია კარუზები (მამალი ფუტ-კარი) დახოცეს და გადმოყარეს და საზამთროდ თბილად დინდგე-ლით სათვალე ამოგლისეს.

[1907 წ.]

# რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ

მამამთილი ამიტომ ხშირად უსაყვედურებდა ხოლმე:

— რა არის, ქალო, რომ ჩემს დაუძახებლად ადგეთ? ეგ რაღა გამოვიდა, რაკი მე გაგაღვიძებთ, ვითომ მე გამიკეთებია თქვენ მაგივრად საქმე. საკვირველია, ღმერთმანი, ნამწეწი ფიქრი და დარდი არა გაქვთ, საქმე სულ არ გაჯავრებთ, გინდ სახლი წყალმა წაიღოს, თქვენ მაინც არხეინად გძინავთ! — ასეთი ისტორია მუდამ დღე გაშეორდებოდა ხოლმე.

კიდევ კარგი, რომ ქართლელ გლეხს დიდი ხათრი, სიყვარული და პატივისცემა აქვს ქალისა, თორემ სხვა ვინ მოუთმენდა?

რძლები ახალგაზრდები იყვნენ, ჯანით და ღონით სავსენი, იღლებოდნენ კიდეც. ვერც დაიძინებდნენ, ვიდრე ყველა ოჯახში მყოფი არ დაწვებოდა. მუდამ ჩიკორივით ფეხზე უნდა ეტრიალათ. ასეთი იყო ჩვეულება.

პატარა ბიჭიც კი ამათ უძახდა:

— ძალო! წყალი დამალევინეე! — და თუ ერთ-ერთი ძალო მაინც არ გაიგონებდა, კვლავ მოისმოდა უფრო მკაფიოდ:

— ძალოო! წყალი დამალევინეე!

ცომშიაც რომ ჰქონოდათ ხელები, მეტი ღონე არ იყო, უნდა ამდგარიყვნენ და შეესრულებინათ მათი სურვილი.

— ფეფეე...

— ბატონო!

— წყალი შედგი, ჭურჭელია დასარეცხი, — უბრძანებდა დედამთილი.

— ემ საათში, ბატონო, ბავშვს ძუძუ უძევს პირში, დავაძინებ და ეხლავე!

— ფეფე!

— ბატონო!

— ემანდ დოა შესადღეები, ჩვენებიათ სადღეებელი გამოართვი!

— ემ წუთში, ბატონო, ემ წუთში, — და დაფაცურდებოდა წასასვლელად.

— ფეფე! — ეძახდა მაზლი.

— ბძანე! — ეტყობოდა, რომ ჯეელ მაზლს სხვა კილოზედ აძლევდა პასუხს.

— მოდი, კევრზედ დაუდეგ, უნდა ეენახში ავირბინო, პატარა პირის გასასველებელი ჩამოვიტანოთ რამე!

— ემ საათში, ემ საათში, სადღეებელს ჩამოვაბამ და მოვალ.

— ბევრი წამოიღე, გიგა!

— დედაა! — ღრიალებს პატარა ქალი, რომელიც აკვნისთვის მოუყენებიათ.

— ჰაჯან, ქალო! — გაეპასუხება ალერსიანად დედა.

— გიგლა ტირის, ძუძუ მოაწოვეე!

— ადამიანო! მოდი, კალოა საქცევი, ნაპირი შემოსაგველი, ი ბიჭი სადღა გადაიკარგა, ე ბალღები ამ ხარებს ვერ ატარებენ! — უძახის ქმარი.

— შენღა მაკლდი, შენმა მზემა! — ბუზღუნებს ფეფე.

რა ფეფე, რა თინა, ორივენი, მუდამ დღე ამ ყოფაში იყვნენ. ისინიც ციბრუტივით ტრიალებდნენ, ყველას ასწრობდნენ, აკეთებდნენ.

უცქერის მამამთილი, რომ ამისი რძლები აქაც არიან, იქაც, თითისტარივით ფეხზედ ტრიალებენ, მაინც ასე იძახის:

— პატარძლებია, მაგრე უნდა, მაშ როგორ იცხოვრონ!

დაღალულ ფეფეს ხშირად, როცა შვილი ძუძუდან რძეს სწუწნის,

თავჩაქინდრულს აკვნის უღელზედ მიეძინება ხოლმე, აფხიზლებს მხოლოდ გიგლას კბილები, რომელიც ძუძუზედ ჰკბენს, რაკი ძუძუში რძე აღარა აქვს.

— უი, ჩემ თვალებს, რაზედ მამამთილი მომასწრობდა! დაიძინე, შე აბეზარო, არ გესმის, მეძახიან! — და თან გულიანად ჰკოცნის გიგლას მსუქან თათებსა.

მამამთილი ხანში შესული კაცია, მხნე, გამრჯელი, ალალი ლუკმის მჭამელი, როგორც მომეტებული ნაწილი ქართველი გლეხობისა. ღამე ერთი პირი წაეძინება, მერე წამოდგება, ჯერ ისევ ღამეა, პირზედ წყალს შეისხამს, პირჯვარს გადაიწერს:

— ღმერთო, გვიწეველე, დალოცვილო! ღმერთო, უშველე ხალხს საქრისტიანოსა. ღმერთო, უშველე ყველა გაჭირვებულსა!

არემარეს დაათვალიერებს: საბძელს, კალოს, ძნას, ბაკს, ბოსელს, საღორეს.

— მტერს არა სძინავს, იქნება მოიპარა ვინმემ რამე, ან გააფუჭა, ზარალი მომაყენა. — მერე შვილებს გააღვიძებს: — ადექით, ბიჭო, რა არი მაგოდენა ძილი? დავიჯერო ამოდენწა ღამეში ვერა ძღებით ძილითა?

ბოლოს რიგი რძლებზედ მიდგება. თუმცა დედამთილიც ჰყავს, მაგრამ იმას უფრო არ ემეტება გასაღვიძებლად. „ჯეელებია, ილალებიან, დაიძინონო". ილვიძებენ რძლებიც უწადილოდ, თვალების ფშვნეტით, მთქნარებით, დედამთილის იმედი აქვთ.

* * *

საწყლებს დაუძახებლად მუდამ გვიან ეღვიძებოდათ, ან ნახირის გარეკა დაუგვიანდებოდათ, ან კალოს გაშლა, ან თონის გახურება და პურის გამოცხობა.

— ეს სულ მაგ ოხერი ძილის ბრალია, — იძახდა მამამთილი, — აბა ადრე ადექით, თუ ან კალო დაგრჩეთ გასაშლელი, ან პური გამოსაცხობი, ან ძროხები დასაწველი. მართალია, ჯეელებია, ძილი უყვართ, მაგრამ თუ ჯეელი არ ადგა ადრე, ეხლა მე გინდ მთელი ღამეც ფეხზედ ვეხირო, რილას მაქნისი ვარ, რას გავაკეთებ?!

მერე კალოობაშია გაჭირვება. ადრე ჭნდა ადგე, კალო გაშალო, მთელი დღე პაპანაქებაში კალოზედ იტრიალო, საღამოთი ხვავის აღება გვიანდება, მერე თუ უქარო დღეა ან ძალიან ქარიანი, და აბა, სანამ ხვავს არ აიღებენ, კალოს მოშორება როგორ შეიძლება, კალო ნარდია.

ძალიან იღალებოდნენ, ღამეც ბავშვები აღვიძებდნენ და ამიტომ დილით ადრე ადგომა ესიკვდილებოდათ. მამამთილს ძალიანა სურდა, როგორმე მოეშლეინა იმათთვის დილის ძილი.

— დაიცათ, ქალებო, ისეთს ოინს გიზამთ, მამიჩემის ცხონებამ, რომ თავის დღეში არ დაგავიწყდეთ და აღარც გაღვიძება მოგინდეთ. თქვენ თუ ისე არ გიყავით, ვერ ისწავლით დილით ადგომასა.

რძლებიც და ყველანიც მოელოდნენ, რომ მამამთილი უპირობდა რაღასაც, მაგრამ რას? ის კი არავინ იცოდა.

ერთ საღამოს მამამ სახლში მყოფს ყველას გამოუცხადა, ხვალ დილით არამც და არამც თინა და ფეფე არავინ გააღვიძოთ, თორემ ან მე ვიქნები ან თქვენაო. რძლებს კი არ გააგებინეს ეს გადაწყვეტილება. ყველა მიხვდა მამა რასაც აპირობდა.

ფეფეს და თინას თავის ბალღებით და დედამთილს დარბაზში ეძინათ ხოლმე, მამამთილს კალოზე, დანარჩენებს ზოგს საბძელში, ან ვენახში, ზოგს კიდე კალოს ხარი მინდორში მიუდიოდა.

დილით ყველანი ადრე წამოხტნენ. დედამთილიც ადგა, თინას და ფეფეს კი ისევ ეძინათ დარბაზში.

— არ ადგნენ? — იკითხა მამამთილმა.

— არ ამდგარან! — უპასუხა ცოლმა.

— წადი, ფეხაკრეფით, ერთი ჭილობი მოიტანე და დარბაზის ბანს (ფრანგულს) დააფარე, კრინტი არ დასძრა, თორემ უერთოდ ვერ გადამირჩები, — უბრძანა ქმარმა.

— ერთი თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს, — სცადა გამოქომაგება დედამთილმა.

— ეგ შენი საქმე არ არის, წადი, რაც გითხარ, აასრულე. თუ შუქი ჩასულა საიდანმე, იცოდე, ვეღარ გადამირჩები, ნახირა და ღორ-ხბოც არ გარეკოთ!

ცოლმა კიდევ რამდენჯერმე სცადა დაეშლეინა ეს ახირებული გადაწყვეტილება, მაგრამ ამაოდ.

დარბაზში ისეთი სიბნელე გამეფდა, რომ თვალში თითი გეტაკებინა, ვეღარაფერს დაინახავდი. ქართლში დარბაზებს მხოლოდ ბანიდან ჩასდის სინათლე. სიცივის გამო სახლებს მიწაში აკეთებენ, კედლები ან ალიზისაა (გამოუწვავი აგურისა) ან ბელტისა, ან ქვიტკირისა, ან ისე ყორეა. ზოგჯერ არც ის არის და არც ის, მიწაა პირდაპირ კედლად. ეს ქონებაზე არის დამოკიდებული და ადგილმდებარეობაზე. სადაც შეშა და ქვა ძვირია, იქ მიწური ან ბელტი და ან ალიზია კედლად, სადაც კლდის ქვა ბევრია, იქ ყორეა უკირო და სადაც ქვაც ბევრია, ქვიშაც და კირიც იშოვება, უფრო ქვიტკირს აშენებენ. რაკი სახლი მიწაშია ჩამძვრალი, ფანჯრები სად გაუკეთდება, სახლი ისევ მაღლიდან უნდა გაშუქდეს. ამიტომ დარბაზებს ზედ კერის თავზე დადგმული აქვს მაღალი მუხის ფიცრების ჭდეული ალბი, სიმაღლით სამი არშინი ან ცოტა მეტ-ნაკლები. მაღლა ეს ბანი შაქრის თავივით წვრილდება და შორიდან ძველებურ მაღალ ქუდს მოაგონებს კაცსა. კერიდან ბოლიც ამ ბანიდან ადის და მზის შუქიც აქედან ჩამოდის. აქვე აკეთებენ მერცხლები ბუდეს და კერას დაჰგალობენ, თუ ამ ბანს დაჰფარდა და კარებიც დახურულია, უსანთლოდ დარბაზში აღარ შეისვლება.

• • •

ფეფე და თინა გემრიელად ხვრინავდნენ. ერთხელ ერთს რომელღაც კიდეც გამოეღვიძა, ამოიხედა, ხომ არ გათენდაო, მაგრამ რაკი ბანში შუქი ვერ დაინახა, ისევ გადაბრუნდა და ხვრინი ამოუშვა.

— აბა ჯერ ადრე იყო და ძილი კი ასე ტკბილი და გემრიელია! ცოტა ხნის შემდეგ უფრო ბარაქიანი ხვრინვა გაისმოდა დამშვიდებულ დარბაზში.

უკვე კალოს სადილობა გადასული იყო (სადილობა დილის პურის ჭამას ჰქვიან და სამხარი — სადილს, ქართლში), როცა ფეფეს გამოეღვიძა. მართალია, ბნელოდა, მაგრამ ღამეს მაინც არა ჰგვანდა. ძილით იყო გამძღარი და რაღაც შიშით მაინც გული ურაკრაკებდა.

— თინა! თინა!—დაჰკრა ხელი რძალსა, — გაიღვიძე, რა გაუღვიძარი შეგეყარა, ადექ!

— რა გინდა, ქალო, რას დამაფეთიანე? ისევ ღამე ყოფილა! — გაუჯავრდა თინა.

— რა ვიცი, ქალო, ე შუქი კი არა ჩანს, მაგრამ ალარ მეძინება, აბა, ყური დაუგდე, თითქო ალოსხარს უჯავრდებიანო, რაღაც უბედურებაა ჩვენს თავსა. ბანს ხომ არ დახურეს განგება. — ადგნენ ჩქარა, ხელად გადაიცვეს კაბის ბოლოები. კარებების ნაპერეტებში მზის შუქი ოქროს ძაფივით შემომძვრალიყო და აქა-იქ მიწის იატაკზედ ბრეყვიალა მძივებივით თრთოდა და კანკალებდა. ხანა ჰქრებოდა, ხან ისევ ენთებოდა. გარედან შრომის ხმა და ღრიანცელი ისმოდა.

გამოაღეს კარები! ვაი სირცხვილო! ასეთია მზე, სწვავს დედამიწას. ხალხი სულ კალოებზედ გახვეტილა, აქ ერთიც არავინ ჩანს. იქიდან კი გაეხებული „ჰარალოს“ ხმა მოისმის.

ჩეხრეო ხართა ნანაო,
ნოადაგ მოუღალაო!
ერეკე ხარსა კუდესა,
ღონიერს და მუდამსაო,
ერეკე ხარსა-კამეჩსა,
მოზვერს ხამუშიანსაო.

—

სოფლის ბოლოს ყანას ვმკიდი,
ნამგალს გაპქონდა ერიალი.
საბხარი გადმოვიტანეთ
ეგ ოსერი და ტიალი!

თითქო ამათი გულის გახეთქა უნდაო, ვიღაც არაკრაკებდა.

— ვაიმე, ნახირი არ გაურეკიათ! — ტირილის ხმით იძახის თინა.

— არც ღორ-ხბოა გარეკილი!

— ძროხებიც დასაწველია!

— ბუკიებიც წივიან, არ უკმეევიათ.

— არც კრუხ-წიწილა გამოუშვიათ!

— ვაი, ჩვენს შერცხვენას!

— ვაი, ჩვენს თავსლაფდასხმას!

ახლა კი გულამოსკვნით ღრიალებდნენ თინა და ფეფე. ახლა საქმე მაშინ იყო, როცა საქონელი და ღორ-ხბო შუა სოფელზედ ჩაატარეს.

საქონელს მოშიენოდა, გაცოფებული დარბოდნენ აქეთ-იქით, დასდევდნენ თავგადაგლეჯილი თინა და ფეფეც. ხალხი კი სიცილით იხოცებოდა ამ ოინზედა.

— რა ოხერი კაცია ე ანდრუა! — იძახდა ხალხი.

— არც ახლა ადგებიან ადრე? — იძახდა ერთი ნიშმოგებით.

— კიდევ დაიძინებთ დილის ძილსა?! — დასცინოდა მეორე.

ერთი სიტყვით, რომ დედამიწა გახეთქილიყო და შიგ ჩაცვივნულიყვნენ, ის ერჩივნათ ფეფეს და თინას, ოღონდ ამ შერცხვენას კი არ მოსწრებოდნენ.

არც მამამთილი იყო გაჯავრებული:

— არგებთ, საკვლაოდ მაგდენს აღარ დაიძინებენ! ან კი რალა დააძინებთ?

[1908 წ.]

# ზღაპარი ღორისა, იმისი ხუთი გოჭისა და მგლისა

იყო ერთი ღორი, ჰყვანდა ხუთი გოჭი: მშიანა, მცივანა, თბილანა, გვიანა და მაგარა. დედა ღორი ძალიან ჭკვიანი იყო, მაგრამ არც თუ გოჭები ჰყვანდნენ უგუნურები. თვითონ მინდორში დაიარებოდა, სთხრიდა მიწას, პოულობდა და სჭამდა ძირხვენას, მაჩიტას, თეროს ძირს და კიდევ ბევრს სხვა ბალახის ძირებს, რაც თვითონ უყვარდა და მე კი არ ვიცი მათი სახელი. თუ ბალახი იყო ამოსული, თხრით თავს არ იწუხებდა, ბალახს საქონელივით სძოვდა, თუ სადმე ნაკარტოფილარს შეიგულებდა, სიამოვნებით სჩიჩქნიდა დინგით, პოულობდა კარტოფილის მარცვლებს და აღტაცებით ახრამუნებდა.

— რა კეთილია კაცი! იძახდა ტრუხუნა. — იცოდა, რომ მე ასე მიყვარს კარტოფილი და მიწავაშლა და ამიტომ დაუტოვებია მიწაში ამდენი გემრიელი მარცვლები!

არც დამპალ და ჭიან ხილს იწუნებდა, თუკი შეხვდებოდა სადმე. რაღა გაეაგრძელო, სიმინდი და ყანა ხომ სამოთხედ ეჩვენებოდა.

რაკი მადა ძალიან ჰქონდა, ჯიქანსაც ძალზე იტენიდა რძითა და გოჭებიც კიტრებივით ჰყვანდა დასუქებული და ჩარგვალებული.

ამასთან ხუთივე გოჭი ძალიან ჭკვიანი და გამგონე იყვნენ.

ერთხელ ღორი მინდორში მიწასა სჩიჩქნიდა. ნაწვერალში თა-

გვის სორო ეპოვნა, სულ თავთავებით გაჭედილი, თითო თითოდ იღებდა გემრიელ ხორბლის თავთავს და მადიანად აკნატუნებდა. ამ დროს თავს წაადგა ერთი მშვენიერი მგელი ბრიალა თვალებით და კაწკაწა კბილებით:

— გამარჯვება, ღორო! დაიყმუვლა მგელმა, თან უნდოდა თავის ხმისათვის სიტკბოება და სინაზე მიეცა, მაგრამ მაინც საზარლად და საძაგლად გამოუვიდა.

ამ ხმაზე ღორი შეკრთა, ჯაგარი ყალყზე დაუდგა. მოიხედა,—მგელია, თვალებს აბრიალებს, კბილებს აკაწკაწებს.

— რას აკეთებ, ღორო? რათა სჩიჩქნი ამ მიწას, რას ეძებ? დაეკითხა მგელი.

— გადღეგრძელოს ღმერთმა, ბატონო, — მიუგო მოწიწებით შიშისაგან მოკუნტულმა ღორმა.

— რას ვაკეთებ და აი, აქ თაგვის სორო ვიპოვე, სულ თავთავებით არის გამოტენილი. იმ წყეულ თაგუნას ჩაუზიდნია ზამთრის საზრდოდ, ეხლა მე მივაგენი და იმას გიახლები, თუ მიირთმევთ, ბატონო, კაი მსუქან თავთავს აგირჩევთ, იქნება გესიამოვნოთ?

— რაო? დაიღრიალა მგელმა, — გინდა ფხები გამეჩხიროს ყელში და დამაღრჩო? მე გაყურებინებ შენ სეირსა! შენ ვინ მოგცა ნება, რომ ერთ საწყალ უღონო ცხოველს რის ვაივაგლახით ერთი სორო თავთავი ძლივს მოუგროვებია ზამთრის საზრდოდ, შეუნახავს, შენ კი დასდგომიხარ და მაგრე უსვინდისოდ სტვლეპავ! ისინი უნდა სიმშილით დაიხოცნონ, შენ კი შენი შვილები დაასუქო და შენი შავი ბუცელი ამოჰყორო?! ამისათვის უნდა შეგჭამო, შე ავაზაკო შენა! მოინანიე ცოდვები! — ღრიალებდა მგელი.

ღორი მიხვდა, რომ ამისი საქმე ძალიან ცუდათ იყო, თუ რასმე არ მოახერხებდა. ტყუილად ხომ არ უთქვამთ: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსაო“.

— რა მოვიგონო, როგორ გადავურჩე ამ სულთამხუთავს? ბუტბუტებდა ტრუხუნა.

— დიდებულო, ბატონო! — მოაბსენა ტრუხუნამ. — თქვენი ნებაა, რასაც მიზამთ თქვენს ფეხთა მტვერსა. ვინ დაგიდგებათ წინა? მაგრამ სანამ შემჭამდეთ, გთხოვთ ერთი სიტყვა მათქმევინოთ, თუ თქვენი ნებაც იქნება.

— სთქვი ჩქარა, არ დამაგვიანო! — დაიყმუვლა მგელმა.

— მე ძალიან დიდი ხნისა გახლავართ,— სთქვა ტრუხუნამ,—თქვენს პაპას მოვესწარი... რა ვაჟკაცი იყო, ის სულკურთხეული!... ასე რომ, აღარც კი მახსოვს, რამდენი წლისა ვარ, ძელები გამიქვავდა და ტყავი საშინლად გამიმაგრდა; სიმსუქნე რაც მქონდა, სულ ჩემმა ხეთმეგოჭმა გამომწოვა რძესთან ერთად, ეხლა მე რა გემო უნდა ჩამატანო? წამობრძანდი ჩვენსა, ხუთი გოჭი მყავს, ერთსა ჰქვიან მშიანა, მეორეს მცივანა, მესამეს თბილანა, მეოთხეს გვიანა და მეხუთეს მაგარა; ხუთივე ისეთი მსუქნებია, რომ სულ ქონი გასდით. მობრძანდი, რომელიც მოგეწონოს, ის წაიყვანე; მერე თუნდ მე შემჭამე, მაგრამ იმისთანა გემრიელი და ქორფა გოჭის ხორცის შემდეგ მე რაღა გემოს ჩამატანთ?!

მგელი ძალიან დააფიქრა ხუთი გოჭის ხსენებამ: სად ქორფა გოჭების ხორცი და სად ბებერი ღორისა.

— მაშ კარგი,— შეჰყმუვლა მგელმა,— ეხლა შენ შინ წადი, მეც საღამომდე მოვალ, იცოდე, თუ მომატყუილე, ცუდად იქნება შენი საქმე.

— დიდი დღე მოგცეს გამჩენმა, დიდებულო ბატონო! შესტრუხუნა მოწიწებით ღორმა — მობრძანდი საღამოზედ, ყველანი საღორეში ვიქნებით.

მგელი გზას გაუდგა. თან საღამოს გემრიელ ვახშამზედ ფიქრობდა, თან ტუჩებს ილოკავდა და მსუქან გოჭების მოგონებაზე ნერწყვსა ჰყლაპავდა.

ღორსაც რაღა დააყენებდა იქა. — ღმერთი არ გაუწყრეს, — ფიქრობდა ღორი, — არ იფიქროს, რომ დღევანდელი კვერცხი სჭობია ხვალინდელ ქათამსაო, არ მობრუნდეს და არ გამომფაშვოს, წავიდე, მივეპატრონო ჩემს შვილებს. ვნახო, რას წაიღებს ჩვენგან!

ღორი დაბრუნდა შვილებთან, უამბო რაც გადახდა, დაარიგა, როგორ უნდა მოქცეულიყვნენ, ან რაც უნდა ეთქვათ, მგელი რომ მოვიდოდა და მოითხოვდა კარების გაღებას.

დაკეტა ღორმა მაგრა საღორის კარი, დააწვინა შვილები და თვითონაც საღორის კართან დაწვა. ძილით კი რა დააძინებს, მგელს ელის.

კარგად რომ ჩამობნელდა, მოვიდა მგელი და საღორის კარს დაუკაკუნა.

— ვინა ხარ? — იკითხა ღორმა, ვითომ და აქ არაფერიაო, — რაღა დროს სტუმრობაა, ამ დროს ყველა თავის ბინაზე არის!

— მე ვარ, გააღე, ღორო, კარი! — შეჰყმუვლა მგელმა.

— ღორიცა ხარ და არცარა იცი რა! — გასძახა ღორმა. — დაიკარგე მანდედან!

რაკი ღორმა ასეთი პასუხი მისცა, მგელმა ახლა მშიანას დაუძახა:

— მშიანა, კარი გამიღე!

მაგრამ მშიანა, დედისგან როგორც იყო დარიგებული, ისე მოიქცა:

— ჯერ მშიან, ძუძუსა ვწოვ, შენთვის არა მცალიან. — გამოსძახა მშიანამ.

— მცივანა, კარი გამიღე! — შესძახა ახლა მცივანას, რაკი მშიანასაგან ისეთი პასუხი მიიღო.

— მცივა, — გასძახა მცივანამ, — რა კარის გასაღებად მცხელა.

— თბილანა, კარი გამიღე! — შეჰყმუვლა მგელმა თბილანას.

— შენ საქმე გამოგლეევია, ძლივს სადმე თბილად ჩავწექი; თუ არ დაგიშლია, შენი გულისთვის ახლა გვერდს გავიცივებ! — გასძახა თბილანამ.

— გვიანა, კარი გამიღე! — შესძახა მგელმა ახლა გვიანას.

— გვიან გეღირსება კარის გაღება, შე სისხლისმსმელო შენა! დაიკარგე მანდედან! — გამოსჭყვიტინა გვიანამ.

რაკი კარი არავინ გაუღო, მგელი საშინლად გაბრაზდა. მაინც კიდევ სცადა და ახლა მაგარას დაუძახა:

— მაგარავ, კარი გამიღე!

— მაგრაა დაკეტილი, არ გაიღება, — გამოსძახა მაგარამ. — სჯობია საიდანაც მოთრეულხარ, იქვე მიბრძანდე! ვინ იქნება სულელი, რომ შენ კარი გაგიღოს. გასწი, დაიკარგე მანდედან!

საშინლად გაბრაზდა მგელი, სულ ცოფსა ჰყრიდა.

— დაიცათ, თუ სულ არ დაგალპოთ, თქვე უმსგავსოებო, თქვენა! ერთი კარი გამიღეთ! ყმუოდა მგელი. მაგრამ კარს მაინც არავინ უღებდა.

იდგა დიდხანს მგელი, ან ახლა გამიღებენ კარსა, ან ახლაო. მერე თვითონაც სცადა კარის გაღება, მაგრამ მართლა ძალიან მაგრა აღმოჩნდა დაკეტილი. მეტი ღონე არ იყო, ცარიელი მუცლით უხდა წათრეულიყო თავის სოროსაკენ მოსისხლე მგელი.

ასე გადაურჩა ღორი მგლების კბილებს.

ჭირი იქა, ლხინი აქა, ქატო იქა, ფქვილი აქა.
მჯას ურემი ავაგორე, წამოვიდა გორებითა,
აივსენით ქონებითა, ჭკუითა და გონებითა.

[1008 წ.]

# ბეკეკასი და მელიას ამბავი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი კაცი, ჰყვანდა ერთი ბატკნიანი ცხვარი, ერთი ძროხა, ორი ხარი, ღორი ოთხი გოჭით, ქათამი, ბატი და ინდაური.

რადგან ცხვარსაცა სწველავდნენ, ამიტომ იმათ ვაჟს, თედუას, ცხვარიც ძროხასთანა და ხარებთან ერთად ტყეში მიჰყავდა საძოვარზედ. ბეკეკას კი შინ უშვებდა. ამ დროს ბეკეკა მოწყენით იყო ხოლმე და მთელი დღე გზაზედ ეჭირა თვალი, — ან ახლა მოვა დედაჩემი და ან ახლაო. როცა მოწიოდა, ქათამ-ინდაურებისაგან გაქელილ ბალახს სწიწკნიდა და ამით კარგა სქელი დუმა გაიკეთა.

ტყე ამათ ახლო იყო. ამ ტყეში ცხოვრობდა თაგვი, კურდღელი და მელია. თედუას ამათი სულაც არ ეშინოდა, პირიქით, სადაც შეხვდებოდნენ, ისინი გარბოდნენ ხოლმე, თუმცა თედუა იმათ არას ერჩოდა. მგელი კი ათასში ერთხელ ფეხად გაივლიდა ტყეზედ, მაშინაც ძაღლების ყეფა და მეძროხეების კივილი ასტყდებოდა ხოლმე და ამას შემდეგ ორ-სამ კვირას აღარ გამოჩნდებოდა.

ერთხელ, როცა თედუა საქონელს ტყეში აძოვებდა, მამა ყანასა მკიდა და დედა რძესა სდღეებავდა, ბეკეკას მოსწყინდა მარტოკა ყოფნა, ეზოდან გამოვიდა და სოფლის გარეთ გასწია. ამოდენა თავისუფალი ცარიელი ადგილები ძალიან მოეწონა, შორიდან ტყეც დაინახა, შავად რომ გამოიყურებოდა, მეტის სიამოვნებით შეხტა,

შეიკუნტრუშა და ხტუნაობით გასწია იქითკენ. თუმცა დედა ეტყოდა ხოლმე, უჩემოდ არსად წახვიდეო, მაგრამ სულ დაავიწყდა დედის სიტყვები. მერე რა კარგი იყო ტყეში! რა გრილოდა! რა ნორჩი და გაუქელავი ბალახი იყო ამოსული. ყველაფერს ათვალიერებდა და სინჯავდა. თუმცა მომეტებულად თხილი, ნაკაფი რცხილა, მუხა და კუნელი იდგა, მაგრამ ალაგ-ალაგ ბებერი, დახავსებული მუხისა და რცხილის კუნძები ბუასავით გამოიყურებოდნენ და ბეკეკას გულს უხეთქავდნენ.

ბეკეკას რაღაც ფაჩიფუჩი შემოესმა, ხმელ ფოთლებს რაღაც აბრუნებდა და აშრიალებდა. ბეკეკამ ყურები ცქვიტა. თაგვი თურმე საზრდოს ეძებდა და ის აფაჩუნებდა. ბეკეკამ ვერც კი შენიშნა. თაგვმა მუშაობას თავი დაანება და ბეკეკას ეპვის თვალით შეხედა, მერე იცნო, რომ თედუას ბატკანი იყო და გაგულადებულმა სალამი მისცა:

— გამარჯვება, ბეკეკო! — მიესალმა თაგვი.

— გაგიმარჯოს, თაგუნიავ! — უპასუხა ამაყად ბეკეკამ.

— აქ რა გინდა, ბეკეკავ, ამ დაბურულ ტყეში? ერთიც ვნახოთ, ან მელა შეგხვდა, ან მგელი? ხომ შეგეპამეს.

— თუ მაგრე საშიშია ტყე, შენ რაღას აკეთებ აქ, თაგუნიავ? მაგრე პატარა ხარ და გზა რომ დაკარგო, სანამ სოფელში მოხვალ, მერე რაღა გეშველება?

თაგუნიას გაეცინა.

— მე სოფელში რა მესაქმება, ტყეშიაც კარგადა ვარ ჩემთვის, თხილსა და რკოს ვაგროვებ, ზამთრისათვის სოროში ვინახავ. როცა დაზამთრდება, შევძვრები, ვზივარ თბილად და ვაკნატუნებ გემრიელ თხილებს.

— მაშ ვიღაც მელიაა, ან მგელი არ გეშინიან იმათი? — ჰკითხა ცოტა მგლის სახელის გაგონებაზედ აკანკალებულმა ბეკეკამ, — რომ მოვიდნენ და შეგეპამონ?

— სულაც არა, ჩემი სორო ვიწროა, იქ ვერც მელია შემოძვრება და ვერც მგელი და კარში კი ზამთარში არ მესაქმება, თუ ზაფხულში გავისარჯე და ზამთრის საზრდო მოვაგროვე. მე მგელს ერთი ლუკმაც არ გამოუვალ, იმას შენისთანა ბატკანი უყვარს, თუ შეგხვდა, მაშინვე შეგყლაპავს.

— მაშ შემჭამს მგელი, თაგუნიავ, რომ შემხვდეს?

— შეგჭამსო?! ისე ჩაგაკნატუნებს, სულ ძვალ-ტყავიანად, რომ ერთი დაბლავლებაც ვერ მოასწრო!

ბეკეკა კანკალმა აიტანა, მაინც ულური არ გაიტეხა.

— აქ როგორღაც ცივა, ისევ შუაგულ ტყეში სჯობია, იქ ხომ მგელი ვერ დამინახავს!

— ნუ წახვალ ტყეში, ბეკეკავ, გირჩევ, ისევ შინ დაბრუნდე, — უძახდა წრუწუნა. მაგრამ ბეკეკა ახირებული ვინმე იყო.

გზაზედ ბეკეკამ ზოგან ბალახი მოწიწკნა, ზოგან ნორჩი ფოთოლ და ხის ყლორტი მოკორტნა. ამასობაში კარგა გზა გაიარა. თითქმის შუადღემ მოაღწია.

უცებ, ერთი რცხილას ქვეშ, რაღაც ლეგო წამოხტა, გრძელი, თითო მტკაველი ყურები დაცქვიტა და მსხვილი გადმოკარკლული თვალები დააბრიალა.

ბეკეკა შიშით შეხტა.

— ნუ შემჭამ, მგელო! — დაიბღავლა საწყალმა ბეკეკამ. — კვლავ აღარ წამოვალ მარტოკა ამ წყეულ ტყეში!!

ლეგომ ცოტა გაირბინა, მაგრამ რაკი ბეკეკას ბღავილი გაიგონა, შედგა და მოიხედა.

— ეს ხომ ბეკეკა ყოფილა! მე რაღამ შემაშინა, უჰ, რა უბედური მშიშარა ვარ! — სთქვა კურდღელმა.

— ნუ გეშინიან, ბეკეკავ, მე კურდღელი ვარ, მგელი ათი ჩემოტოლაა. კბილები ცეცხლივით უელავს და ხანჯალივით მჭრელი აქვს. ჩემი ნუ გეშინიან, მე არაფერს გერჩი.

ახლაღა მოვიდა გონს ბეკეკა, ცოტა გული დაიმშვიდა და კანკალმა უკლო. როცა გული დაიმშვიდა (კურდღელზედ ცუდი არა გაეგონა რა და აბა რად შაეშინდებოდა?), კურდღელს ჰკითხა:

— მაშ, შენა ხარ კურდღელი? გაზაფხულზედ რომ ჯეჯილს სძოვ, კაცს კომბოსტოს უჭამ და ნამყენებს უხრავ?

— დიახ! მე გახლავარ კურდღელი, მაგრამ მე სულ ამ ტყეში ვცხოვრობ, მე აქ არც ნამყენებსა ვხრავ და არც კომბოსტოსა ვჭამ, ისინი მინდვრის კურდღლებია, მე ტყეში ისეც თავზედ საყრელი საზრდო მაქვს, ზაფხულში ნედლ, მწვანე ბალახს ვძოვ, ზამთარში ხმელ ბალახს და დაბნეულ თიეას ვპოულობ და თუ დამჭირდება,

ხეების ნეკერსაც გეახლები. აქ რა გინდა, ბეკეკავ, ამ ულრან ტყეში? ერთიც ვნახო, ან მგელი შეგხვდა სადმე ან მელია, ისიც დიდი ამოსავარდნელია, მე იმისი უფრო მეშინია ხოლმე, არც შენ შეგეპუება, თუ კი შეგხვდა.

მგლის ხსენებაზედ ბეკეკას სულ თახთახი დააწყებინა შიშით, მაგრამ კურდღელთან თავი არ შეირცხვინა და გულადად უთხრა:

— მე მგლისა სულაც არ მეშინიან,—სთქვა ტრაბახით ბეკეკამ,— დაიკარგოს აქედანა, ჩვენს პატრონს ისეთი კომბალი აქვს, რომ! ის ვიღაც მელია არის, ის რაღა ნადირია? დიდია თუ პატარაა? სადა ცხოვრობს? აქ ხომ არსად წევს გზაზედ?

— არ ვიცი, — სთქვა კურდღელმა, — შენ ძალიან გულადი ყოფილხარ, მაგრამ მე კი ძალიან მეშინიან იმათი. თუ მძინარს არ მომასწრეს, ისე კი ადვილად ვერ დამეწევიან, ისეთი გაქცევა ვიცი. მაგრამ ღამე ფუსფუსით ვიღლები და დღე მაგრა მძინავს ხოლმე, მაშინ თუ დამაწვნენ, მორჩა, ვეღარავინ მიხსნის!

— მე სულაც არ დავიძინებ, — სთქვა თავმომწონედ ბეკეკამ, — აქ ხომ საძილოდ არ წამოვსულვარ; უნდა ტყე ვნახო, ვიკუნტრუშო, ვიხტუნაო, იქნება დედაჩემსაც შევხვდე და სავსე ჯიქანი გამოვწოვო, თორემ სახლში სულ ცოტას მარგუნებენ ხოლმე, მომეტებულს სწველიან.

— წადი შინ, ბეკეკავ, — უთხრა კურდღელმა, — თუ გზა არ იცი, მე მიგაცილებ. შენ ისეთი დუმა გაბია, რომ ყველა ხელს წამოგატანს და არც გაქცევა იცი რიგიანი, მაგ გოგრასავით დუმით სად გაექცევი?

ბეკეკა შეფიქრიანდა, მაგრამ არ უნდოდა კურდღელს ეთქვა, რომ შეეშინდაო და ამიტომ გულადად სთქვა:

— ტყე ხშირია, კურდღელო, და დაბურული. აქ ვინ დამინახავს. ისე შევძვრები, რომ, მგონი, კვალსაც ვერავინ მოაგნოს. თუ სოფელში ჩახვიდე, ჩვენებს ეწვიე.

— დიახ! თუ არ დაგიშლია, იქ წავალ! — სთქვა კურდღელმა. — შენ იქნება არ იცი, რომ ძაღლი მგლის ძმაა?!

ბეკეკამ არც კურდღლის დარიგება გაიგონა და ისევ გზას გაუდგა. მოდის ბეკეკა, ჩლიქებით აბაკუნებს, ყურებს აბარტყუნებს, დუმას ათამაშებს. აქეთ-იქით სიფრთხილით იხედება და ათვალიერებს.

ფრინველები ზოგი ჰყივის, ზოგი იძახის და გალობს, ხეებზე მოუსვენრად დახტიან, ფოთლებში ქექულაობენ.

— ოჰ, რა მხიარულობაა ტყეში! — სთქვა ბეკეკამ.

— ყველანი რა ტკბილად და უდარდელად სცხოვრობენ! აქ ხომ რძეს არავინ მოუწველავს დედას და შვილს მშიერს არ გაუშვებს!— მოდის და ფიქრობს:

ნეტა ი კურდღელი მაინც წამოსულიყო ჩემთან! მართალია, არ მეშინიან, მაგრამ ამსანაგი კიდე სხვა რამეა, გზა მაინც ეცოდინებოდა. ნეტა ი თედუას მაინც სადა ჰყავს საქონელი, რომ აქამდი ვერ შევხვდი. დედა მაინც მენახა! უჰ, რა კარგია, რა საამურია დედასთან ყოფნა! აღარც გეშინიან და არც ფიქრი გაქვს რისამე. დედის წინ ხტი და კუნტრუშობ. ხან ბალახს ეცილები და პირიდან ბალახის ლუკმას ართმევ პაწაწა ტუჩებით, მერე ჯიქანში შეუყოფ ცხვირს, ძუძუს სწოვ, ძირს ეწევი, არც იღეკება და არც იგლიჯება ი დალოცვილი! თან სჩურგნი და ცხვირით ატყობინებ, ჩამოუყარე რძე, გენანება შენი შვილისთვის, თუ რა არის?! ვენაცვალე დედაჩემს! ოჰ! რა კარგი ხარ, ჩემო დედილო!

კარგა ხანი გავიდა, მზე დაეწვერა. ხეების ჩრდილები რაღაც უზარმაზარი გახდნენ, ხელები გაფარჩხეს და დედამიწაზედ გველეშაპებივით დაწვნენ.

ბეკეკას წყალი მოსწყურდა, ყელი გაუშრა, გული ებნიდებოდა. ახლომახლო ცვარი წყალი არსადა სჩანდა. არც ხევი, არც წყარო, უბრალო მღვრიე გუბეც კი არსად იდგა. სულ მზეს ამოეშრო და ჩიტებს დაელიათ. შიგ ებანავნათ და ნიშნად თითო ფრთა გაეშვათ. ბეკეკა ცოტა შეფიქრიანდა.

— ახლა რა ვქნა, რომ ვერც წყალი ვიპოვო და ვერც დედას შეეხვდე, ხომ წყურვილმა დამახრჩო. მოაგონდა, რომ ღამდებოდა კიდეც.

— ვაიმე, რა საშინელია ბნელი ღამე! როგორ ცეცხლივით თვალებს აბრიალებს მგელი და კბილებით აკვესებს! ვაიმე, შემჭამს ის სისხლისმსმელი!

— არსადა ხარ დედაჩემო?! დაუძახო მაინც, იქნება აქ ახლომახლო იყოს სადმე. — და ბეკეკამ საბრალო ხმით იწყო ბღავილი და დედას ძახილი, მაგრამ დედა არსად სჩანდა, ღამე კი თანდათან ეფარებოდა დედამიწას.

ამ დროს ბეკეკას ტკბილი სალამურის ხმა მოესმა. ბეკეკა სიხარულით შეხტა. ეს სალამური ხომ თედუასი იყო! სხვისი სალამური აბა ასე რას დაუკრავდა? ისე უსტვენდა, ისე არაკრაკებდა, რომ ბეკეკას გულმა რწყილივით ხტუნვა დაუწყო. სალამური კი უფრო და უფრო უკრავდა, ბეკეკა იყაყეებოდა და ჩლიქებზედ დგებოდა, უნდოდა დაენახა, სად იჯდა ასე მოფარებით თედუა, ან დედა სად იყო? ბეკეკა უფრო წინ წავიდა, თან ბღაოდა, ეგები იმათ მაინც დამინახონო. დედა მაინც არსადა სჩანდა. სალამური კი უკრავდა და უკრავდა. ბეკეკას ტირილი მოერია, მაგრამ ამ დროს მოესმა საამური სიმღერა, სალამურზედ ვილაც დაღუღუნებდა:

„ბატარა კაჭრუმელაო,
თეთრო და კარგუნელაო,
აქა ვარ შენი ძმობილი,
შემოკუე ნელა-ნელაო.
ე მშვენიერი ქათიბი,
ნეტა ვინ შეგიკერაო?
ძვირფასი მარგალიტებით
ყელ-ყური დაგიმშვენაო?
ნუ გეშინიან, ბეკეკო,
გულადად იყავ შენაო,
ამოდი, ვიმხიარულოთ,
დავაგუგუნოთ „დელაო“,
ისეთი ლხინი გავმართოთ,
ჩვენ დაგვნატროდეს ყველაო,
ნუ გეშინიან, აქა ვარ,
შენი ძმობილი მელაო!“

ბეკეკამ ახლალა დაინახა, რომ ერთ დამპალ მუხის კუნძზედ წამოსკუპებული იყო ერთი ყვითელი მელია, ფოლივით კუდი ქვეშ ამოეგო, წინა თათებით სალამური ეპირა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, უსტვენდა, თან ცბიერად თვალებს ათამაშებდა.

ბატკანს სიხარულით ცრემლები მოერია.

— აბა, — სთქვა ბეკეკამ, — მტერი ასე გაუფუჭებს სახელს კაცსა. კურდღელისათვის რომ ყური მეგდო, ხომ მართლა ცუდი აზრი უნდა მქონოდა მელიაზედ, ეს კი ასეთი ღვთისნიერი ვინმე ყოფილა!

ბეკეკა გულადად მიუახლოვდა მელიას და სალამი მისცა.

— გამარჯვება შენი! შენა ბრძანდები მელია? მე შენზედ ბევრი რამ ცუდი გავიგონე, მაგრამ შენ მაგრე კარგი ჰყოფილხარ!

— გაგიმარჯოს, თეთრო კაჭრუმელო! სადა ხარ აქამდე?! რამდენი ხანია, აქ გელი. შენთვის ერთი ქვაბი რძე მიდგია სოროში, ლამის დამეავდეს და გადასაქცევი გახდეს.

გახარებული ბატკანი ძლივს შესცქეროდა მელიას. რა ლამაზი იყო ეს მელია. არც თაგვსა ჰგავდა და არც კურდღელს. თვალები და კბილები ხომ სრულებით არ უგვანდა მგლისას, და მგონი, კბილები სულაც არ უნდა ჰქონოდა, ბალახს ისე ბატკანივით სწიწკნიდა ალბათ.

— ჩვენი თედუას სალამური შენ ვინ მოგცა, მელიავ, ეგ ხომ ჩვენი პატრონის შვილისაა? დედაჩემს რომ საძოვარზე წაიყვანს, მაშინ უკრავს ხოლმე.

— მართალია, — იცრუა მელიამ, — ემანდ შემხვდა და ეს სალამური იმან მათხოვა. ჩვენი ბეკეკა მოვა და მერე იმას გამოატანეო.

— მაშ დედაჩემიცა ნახე, მელიავ? — ჰკითხა გახარებულმა ბეკეკამ.

— ვნახე მაშ! ისეთი ჯიქანი რძე ჰქონდა შენთვის შენახული, რომ!

— კარგი დედა მყავს, მელიავ, არა? — ჰკითხავდა ბეკეკა.

— კარგი, კარგი! ასეთი დუმა ჰქონდა, ქვაბის ტოლა.

— მაშ რძე ჰქონდა ჩემთვის შენახული, ჰა? — ჰკითხა კიდევ ბეკეკამ.

— მაშ! მაშ! — ილიმებოდა ცბიერად მელია.

— მაშ არ იქნება, რომ დედაჩემთან წამიყვანო?

— როგორ არა, ჯერ ცოტა შეისვენე, რძე დალიე და მერე მე თვითონ გამოგყვები, ახლა კი ჩემს სოროში წავიდეთ.

გახარებული ბეკეკა ხუსხუსით გაჰყვა წყეულ მელიასა.

სორო იქვე ახლოს ჰქონდა, დიდი ხანი არ მოუგვიანდათ.

— შენ შინ შედი სოროში, მე აქ კარებში ჩავჯდები, იქნება მოვიდეს ვინმე, უფრო ვერ დაგინახავენ.

მელიას უნდოდა, ცოტა შებინდებულიყო და ისე დაეწყო თავისი საქმე, ეშინოდა, არავინ წამომადგესო, ამიტომ ჩაჯდა კარებში და დაამღერა:

„პატარა კაჭრუმელაო,
თეთრო და კარგუნელაო!
შეგხვდი და წამოგიყვანე
სოროსკენ ნელა-ნელაო.
დავსხვედით, ლხინი გავმართეთ,
დავაგუგუნეთ „დელაო“,
თაგვი, კურდღელი, დათუნა,
ჩვენ დაგვნატრიან ყველაო.
ლხინი გვაქვს, ვიმხიარულოთ,
არ დავ-ყენოთ ენაო!
თუ ჩემზე ვინმემ პორები
გიამბო, მოგახსენაო,
არ დაიჯერო, ბეკეკო,
ტყუილი არის ყველაო.
ნუ გეშინიან, აქა ვარ
შენი ერთგული მელაო,
განა უბრალო ვინმე ვარ,
მელა ვარ, კუდაგრძელაო“.

— უნდა ითამაშო, ბეკეკო, ქვიფს ნუ წამიხდენ, მაგა ნუ წაგიწყდება! — ეუბნებოდა გახარებული მელია, თან გულში ფიქრობდა. „ეს რა მსუქანი და გემრიელი ლუკმა მომცა ღმერთმა, ერთ კვირასაც ვერ შევჭამო“.

ბეკეკაც მხიარულად იყო, მაგრამ წყალი ძალიან სწყურიოდა, რა ეთამაშებოდა, წყურვილით ყელი ამოხრანწული ჰქონდა.

მაგრამ რძე არსად სჩანდა, არც აპირობდა მელია რძის მოტანას.

— წყალი მწყურიან, ძმობილო: სადა გაქვს რძე? — მაგრამ მელიამ ყური მოიყრუა, ვითომ არ ესმოდა. სალამური გვერდზედ გადააგდო, თვითონ სოროს კარებში ჩადგა.

— აბა, ბეკეკო, მე რომ არ შეგხვედროდი, ხომ მგელი შეგჭამდა! მერე რამოტელაა ის ვერანი! სწორედ ხარის ტოლაა. როცა გაჯავრებულია, აგერ ამ დიდრონ ხეებს ძირიანად გლეჯავს და შუაში ჩურჩხელასავით ჰკვნეტავს. აბა, ჩემი მადლობელი უნდა იყო, თორემ ისე გადაგყლაპავდა, როგორც შენ ეხლა ერთი ყრუნტი რძე გადაყლაპო. მერე გინდ მუცელში იბღავლე, რაღას მოეწევი, ის რომ ყმუის და ღრიალებს, ხეებიც კი კანკალს იწყებენ ხოლმე! — ასე აზვიადებდა მგელს მელია, უნდოდა უფრო დაეშინა ბეკეკა.

ბეკეკას შიშით რძე სულ დაავიწყდა.

— მერე რომ აქაც მოვიდეს, რა გვეშველება, — ჰკითხავდა თახთახით მელიასა.

— ჩემი შიშით იმას აქ რა მოიყვანს, — უპასუხა ეშმაკმა მელიამ, — მაგრამ როცა მე გვერდზედ არ გეყოლები, მაშინ რა გეშველება, შე საწყალო?! უჰ, ძალიან შეცოდები, რომ იცოდე!

— სოფელშიაც მოვა მგელი, მელიავ?

— მოვა, მაშ! ისე გადმოსტეტა ფარეხში, ფეხიც არ დააკაროს ბობესა.

ბეკეკა მთელი ტანით კანკალებდა.

— მაშ რა ვქნა? როგორ გადავრჩე იმის კბილებსა?

— აი, ბეკეკო, ერთი რამე გაქვს, რისთვისაც მაგრე გეშტერება მგელი. ის რომ არა გქონდეს, მერე სადაც გინდა იარე, ვინ გაგცემს ხმასა. აი, ეგ შენი რგვალი ღუმაა შენი დამღუპველი. ეგ რომ არა გქონდეს, მაშინ ვის რად უნდიხარ? სირბილშიაც ძალიან გიშლის, იცოდე. დუმა რომ არა გქონდეს, ვერც მგელი დაგეწევა და ვერც არავინა.

— მაშ რა ვქნა? მასწავლე, გენაცვალე, ვინ მომაშორებს ამ წყეულს, ჩემ დამღუპველ დუმასა? — ეხვეწებოდა ბეკეკა.

მელა ყოყმანობდა, ვითომ ძალიან ემძიმებოდა.

— რა ვქნა, თუმცა ძალიან მეზარება, მაგრამ მეტი რა ღონეა, როცა ჩემი ძმობილი ხარ, რას იქ, ეს კია, პირველად ძალიან გეტკინება, შენ ბღავილი არ დაიწყო, აქ მგელი არსად იყოს, არ მოვიდეს, თორემ შენც შეგეჭამს და მეცა. მართალია, გეტკინება, მაგრამ მალე. გაგიელის, მოგერჩება და მერე ნახე, რა ბიჭი იქნები!

— ოღონდ მომაშორე ეს ჩემი დამღუპველი დუმა და რაც გინდა დამავალე, — ეხვეწებოდა ბეკეკა.

მელია ვითომდა ყოყმანობდა, მაგრამ ბეკეკამ იმდენი ეხვეწა, რომ ბოლოს მელია შეუდგა დუმის მოშორებას.

— აბა, მაშ ჭკვიანად იყავ და არ იყვირო, ბეკეკო! — და მელიამ ერთი ბარაქიანი ლუკმა გამოაგლიჯა კბილით დუმიდგან ბეკეკასა და ხელად გადაყლაპა. — იჰ! რა გემრიელია! — სთქვა გუნებაში მელიამ.

ბეკეკამ ერთი ისეთი დაიბღავლა, რომ გაღმა ტყემაც კი მისცა ბანი... მელიამ კიდევ დააპირა, მაგრამ...

• • •

ცოტა უკან დავბრუნდეთ.

თედომ ცოტა ადრე მორეკა სახლში საქონელი. ყველა დააბინავა, მაგრამ ნახა, რომ ბატკანი აღარსად არის. აქეთ ეცა, იქით ეცა, მეზობლებსა ჰკითხა, მაგრამ არავინ არა იცოდა რა, საით წავიდა, ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ.

თედო მაშინვე ტყეს ეცა. ეჩქარებოდა, სანამ დაბინდდებოდა, მანამდის თუ იპოვიდა, თორემ მერე, ბნელაში, რაღა იქნებოდა. პირდაპირ ბეკეკას კვალს დაადგა, იარა და შემოხვდა თაგვს. საქმეს მორჩენოდა და შინ აპირებდა წასვლას.

— გამარჯვება, წრუწუნავ!

— გაგიმარჯოს!

— დიდი ხანია, აქა მუშაობ?

— დილას აქეთია.

— მაშ ამაზედ ჩემს ბეკეკას ხომ არ გამოუვლია? დავკარგე.

— როგორ არა, ამაზედ გაიარა, ვუშალე, მაგრამ არ დაიშალა. გაიარე, კურდღელს შეხვდები და ის გეტყვის.

იარა თედომ, იარა და ზემოეყარა კურდღელს.

— გამარჯვება, კურდღელო!

— გაგიმარჯოს, თედო!

— ასე ბეკეკას ხომ არ გაუვლია? დილას თაგვს უნახავს და ასე მითხრა, კურდღელს ეცოდინება, ის გეტყვისო. თუ გაიარა, მითხარ, გენაცვა!

— როგორ არა, შუადღე გადაწეული იქნებოდა, როცა ასე გაიარა. ვთხოვე ჩემთან დარჩენა, მაგრამ არ იკადრა. გასწია ჩქარა, ა იქ, ხევის ახლო ბექში მელიას სორო აქვს და თუ მიაგნო, ხომ იცი, შეუქმელს არ გაუშვებს.

თედომ იარა, იარა და მივიდა, სადაც მელიას სორო იყო. ამ დროს ბატკანის გულსაკლავი ბღავილიც შემოესმა.

— ის წყეული მელია ნამდვილად ჩემს ბეკეკასა სჭამსო, — იფიქრა თედომ, მოიმარჯვა კომბალი და მელიას სოროსთან გადახტა.

ამ დროს მელიასაც შემოესმა თედუას ფეხის ხმა, სოროდან გა-

ჩქარებით გამოვარდა, ცხვირი ისევ სისხლიანი ჰქონდა, მაგრამ ამ დროს თედომ შიგ ქეჩოში ერთი კომბალი სდრუზა და ყირაზედ გადაატრიალა.

— კიდევ შესჭამ, შე წყეულო, ჩემს ბეკეკასა?! — გამოუდგა დარეტიანებულ მელიასა და სანამ ის გონს მოვიდოდა ერთი თუ ორი ზურგში.

ცოცხალ-მკვდარმა მელიამ რის ვაივაგლახით თავი დააღწია. ბეკეკაც დაავიწყდა და იმისი დუმაცა. წამოიყვანა თედომ თავისი დაგლეჯილი ბეკეკა, თან მელიას სალამურიც წამოიღო, ბეკეკას უწამლა, მოუარა, დაგლეჯილი დუმა დაუდაღა და როგორც იყო მოარჩინა.

ბეკეკა დღესაც დიდი ერკემალია. მხოლოდ ტყეში უპატრონოდ აღარ დაიარება და აღარც დუმას მოაპრევინებს ვისმე.

ასე გათავდა მელიისა და ბეკეკას ამბავი.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
მთას ურემი ავაგორე,
წამოვიდა გორებითა,
აქ სიცოცხლით გამიძეხით,
საქიოს ცხონებითა,
ჩიტი გაფრინდა ცხრა თვალი,
ასი ტყუილი, ერთი მართალი.

[1008 წ.]

# ერთი ციყვის

# თავგადასავალი

მე თვითონ გიამბობთ, რაც გადამხდა ჩემი მსუნაგობით, ჯიუტობით და გაუგონრობით.

მე მქვიან ციყვი, უფრო მართალი იქნებოდა, რომ „თრითინას“ მეძახდნენ, რადგან „თრი-თრი-თრი“ ჩვენი ენაა. პატარა გოგოები „კვერცხიპარიას“ მეძახიან, ეგრე ვარ დახატული იმათ წიგნებში. ტყეში მაქვს სახლი — ხის ფეღურო ბუმბულით და რბილი ხავსით მოგებული. ვზივარ თბილად, როცა გარეთ ჰყინავს და ყველა კანკალებს, ჩამიყვია ცხვირი ჩემს ფოლიეთ კუდში.

თხილი ძალიან მიყვარს, არც რკოს და წიფელას ნაყოფს ვიწუნებ; ზაფხულშივე ვაწყობ და წაბლის ბუდესავით ჩამსხდარ სამკუთხ მარცვლებს ვხვრეტ ჩემი სატეხისავით კბილებით, გულს ვაცლი და პირს ვიტკბარუნებ.

თხილის კრეფაში კუდით და უკანა ფეხებით ისე ვკიდივარ ტოტებზედ, თითქო მიწაზედ დავიარებოდე.

არც პანტასა და მაჟალოს ვიწუნებ, იმათაც კურკას ვაცლი. ჩიტის ბუდე კვერცხებით და ბარტყებით ხომ ყველაფერს მირჩევნია, რაღა გავაგრძელო, რასაც ტყე ნაყოფს იძლევა, ყველაფერს ვიყენებ.

დედას ადვილად არ ვანებებ თავს, სანამ ამხანაგს არ ვიშოვნი და ცალკე არ გავიკეთებთ ბუდესა.

ბიჭი გახლავართ დედის ნებიერი! ძალიან ვუყვარდი დედაჩემს და მათამამებდა. ამიტომ როცა მოვიზარდე, ბევრს აღარაფერს ვუგონებდი და ჩემს ქეიფზედ დავდიოდი. დედა კი მიშლიდა:

— ნუ ჯიუტობ, შვილო, ახირება კარგად არ გათავდება ხოლმე. როცა დრო მექნება, მე თვითონ ვეტყვი.

— ნეტავი შენა, დედა, დაბერდი და სულ ხიფათი გელანდება! ჩვენ ახალგაზრდები ვართ, სისხლი გვიდუღს! მომბეზრდა თხილ-კაკლისა და რკო და წიფელის გროვება; პანტისა და მაჟალოს ღრუტნამ ხომ კბილები დამაჭრა. ზამთარშიაც მეყოფა მაგათი მტვრევა და ხვრა. უნდა ჩიტების ხორცით ჩავიგემრიელო პირი! — ავიხირე.

ისეთი ბეწვი მაქვს, დაწმენდილი, დავარცხნილი, სუფთა, მზეზედ ოქროსავით ელავს. კუდი ერთ მტკაველზედ გამიშვერია. სწორედ ჩემზედ სქელი კუდი მქონდა.

გაზაფხული გაჩაღებული იყო. ჩიტები ბარტყებს აფრენდნენ, ბუდიდან ამოესხათ, ხის ტოტებზედ ჩაემწკრივებინათ და ფრენას ასწავლიდნენ. ფრინველების ყივილ-ხივილისაგან ტყე ცოცხალი გეგონებოდა. ყველა ხე, ყველა ბუჩქი თავისებურს ენაზედ ლაპარაკობდა და ხმაურობდა.

მეც ხან ერთ ხეზედ ავცოცდებოდი, ხან მეორეზედ. ტოტიდან ტოტზედ ვხტებოდი. ნაღველა მისივდებოდა, ჩიტები რომ ასე დაფრთხიალებდნენ ჩემს თავზედ და მე კი სიმსუნაგით ჩემი მემართებოდა. ვინაბებოდი, ხეს ვეკვროდი, ტუჩებს ვილოკავდი, ნერწყვი მომდიოდა პირში, ვთრთოდი და ვკანკალებდი, როცა უეცრად ჩემს ახლოს ჩიტი დაჯდებოდა, მაგრამ შემასწრებდა თუ არა თვალს, მაშინვე განგაშს ასტეხდა.

— ოი, შე ქურდბაცაცავ, შე სისხლისმსმელო, მანდ რას ჩამალულხარ? დაიკარგე მანდედანაო! — თვითონაც სწუხდა და ტოკავდა შეშინებული.

ვიხედებოდი აქეთ-იქით გაწბილებული, იმედგაცრუებული, შერცხვენილი, სხვამაც ხომ არავინ დამინახა-მეთქი.

— ბზიი! ბზიი! — მაჯავრებდნენ ცისფერი ბზეწვიები და ლეგო ქერონები. თან ვითომ ხის ქერქს ჰკენკავდნენ, ჭიებს ეძებდნენ.

— ქალო, აი იმ ქურდბაცაცას ჭიები მაინც მივთავაზოთ, თორემ ჩიჩიის ნდომით ლამის დამაღი ჩამოუვიდესო!

— ბზიი! ბზიი! ხომ არ გემსუნაგება ჩიტების ხორცი? რას წამოყუნტულხარ? რას იბუზები, მობრძანდი, მიირთვი. ბიკო, ჩიჩო!— დამცინოდნენ ის საძაგლები.

— ჭრიკ! ჭრიკ! ჭრიკ! აი, შე მსუნაგო ღორმუცელავ, იაფად არ დაგიჯდება ჩვენი ჭამა და დევნა, იცოდე ამოგშხამდება, შე სისხლისმსმელო შენა! რატომ არ ჩამოგვეხსნები, არ გეყო რაც ბუდეები გაგვიჩანაგე? — ეყიოდა გაბოროტებული ბეღურა.

— ემ საათში წავალ, მოვასხამ ჩემს ამხანაგებს და ისეთ ღღეს დაგაყენებთ, რომ თავებედს იწყევლიდე, შე მსუნაგო შენა!

იმ სახელგასაწყვეტელებმა ჩემი გვაროვნობის ცოდვა სულ მე მომახვიეს კისერზე! არ ვიყავი მე არაფერში დამნაშავე და ძალიან გაებრაზდი.

— ერთი მობრძანდით ახლო, ვნახოთ, ვინ ვის გასწეწავს-მეთქი, — ვამბობ ჩემს გუნებაში.

რაკი გამიქვეყნდა, იქიდან გავიპარე და ერთ ბებერ იფანზეღ ავცოცდი, ტოტსა და ტოტს შუა გავწექ, ხავსში ჩავიმალე.

ცოტა ხნის შემდეგ ჩხართვმა ჩაამწკრივა ჩემ წინ თავისი ბარტყები; ისეთი მსუქნები ჩანდნენ, თითო თითო კვირას მეყოფოდა. დედა და მამა დასტრიალებდნენ თავზედ, ედგათ ერთი ჩხივილი და ეყვირილი. ჯერ ერთს გააფრენდნენ, დედ-მამაც იმას დაედევნებოდა, თუმცა ბარტყმა ფრენა იცოდა. მაგრამ ეშინოდა და ახლოსვე ჯდებოდა. დედ-მამაც დასტრიალებდნენ, ეალერსებოდნენ. უზიდავდნენ საჭმელს.

ის კი, თითქო უკვირს, რამოტელა ყოფილა ქვეყანაო, გამობენტერებული იჯდა, სულელურად იცქირებოდა აქეთ-იქით.

მერე მეორე გააფრინეს. ეს რომ აფრენილი დაინახა, პირველიც აფრინდა და ორივენი კარგა მოშორებით დასხდნენ. დედ-მამაც თან დაედევნა. ჩემ ახლო ერთი ჩხართვის ბარტყილა დარჩა. ზის გამოყრუებული, თითქო სძინავსო.

— აბა დრო ეხლა მაქვს-მეთქი, — ესთქვი გუნებაში. გავეკარი ხის ტოტს და მივხოხავ მუცლით, სულ-ტყავი გავნაბე, ბარტყმა შემნიშნა, არ ვენახე აქამდე, ალბათ გაუკვირდა ჩემი კუდი, დამიწყო გაკვირვებით ცქერა. მე ცოტა შევდექ, ვსთქვი, „გაფრინდება-მეთქი“, მაგრამ ადგილიდან არ დაიძრა. უცებ ვისკუპე და ვეცი. ასეთი

ჭყივილი ასტეხა, რომ მე თვითონ შემეშინდა, არ ვიცი, დავიმაგრებდი, თუ გამეშვებოდა. ბუმბული კი გაიფანტა ჰაერში, იწვეს, ფრთხიალებს და ჭყივის. აქეთ მე, იქით ისა!

უცებ ერთი ჭახჭახი და ჭყრიალი შემოიმესმა. საიდანღაც გაჩნდა ათზედ მეტი შაშვი და მეტაკნენ კიდეც. დამიწყეს წეწვა და კბენა, ახლა ჩემი ბურტყლი გაიფანტა ჰაერში. სულ გადავირიე, ვისღა ჰქონდა ბარტყის დარდი, ოღონდ თავი როგორმე დამეღწია, ვანებე თავი და დავეშვი ძირსა. მაგრამ გამარჯვებული ჩხართვები და შაშვები იქაც კიჟინით ჩამომყვნენ. ზოგი ბარტყს შემოეხვია, თითქო დაკბენილს უსინჯავენო, ალბათ ისეთი არა სჭირდა რა, რადგან ბარტყი იქიდან აფრენილიყო და მეორე ხეზედ იჯდა და აქეთ-იქით ფეთიანივით იცქირებოდა.

რაკი ალარ მომეშვნენ, ვიკადრე და ერთ ფულუროში შევძვერ. ცოტა ხანს კიდევ იტრიალეს, მეძებეს, მერე კი აქეთ-იქით გაფრინდნენ.

დიდხანს არ დამეიწყებია ეს დღე. სამი ჩიტი რომ ერთად დამენახა, მე მაშინვე სხვა მხარეს ვიპარებოდი ხოლმე.

შაშვს ვეჯავრებოდი ძალიან, დამინახავდა თუ არა სადმე ხეზედ, გულში რომ სულაც არა მქონოდა რა, ასტეხდა ჭახ-ჭახს და ვაი-ვაგლახს.

— გაფრთხილდით ძმებო, ფხიზლად შვილებო, ნათლიებო, ნათლიდედებო! მოვიდა ქურდბაცაცა, კვერცხიპარია, ბარტყიჭამია, მსუნაგი კუდფოლა!

— სად მიხვალ, სადა? გავიგეთ, ყაჩაღო, გავიგეთ! — თვითონაც შეწუხებულ-გაბრაზებული დახტოდა და ჭყიოდა. ეტყობოდა, არც თვითონ იყო ძალიან გულადი.

— თუ შენ კვერცხებს მივაგენ, მაშინ იპყივლე ბევრი, შავკაბიანო ქალბატონო!

შინ რომ დავბრუნდი, ალბათ ბეწვზედ შემატყეს, რადგან აქაიქ ნისკარტით შეეთხელებინათ, დამიწყეს კითხვა, — რა ამბავია შენს თავსაო?

მე ჯერ ვმალავდი, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გულახდით ვუამბე.

— ეგ ქურქი სულ რომ შემოეგლიჯათ, მაშინ მოხვიდოდი ჭკუაზეო, — ნიშს მიგებდა მამაჩემი.

მიწაზედ ჩამოსვლა ჩვენთვის ძალიან საშიშია, ნამეტნავად, როცა თხილს, კაკალს, რკოს და წაბლს ვაგროვებთ. ზარნაში, არწიეი, კვერნა და ათასი სხვა, ყველა ჩვენა გემტრობს. მუდამ ყური მახვილად უნდა გვეჭიროს და ჩვენს ტყავს ეუფრთხილდებოდეთ

დედა მიშლიდა: „ძირს წარამარად რბენას თავი დაანებეო". მე მაინც არ გავიგონე და, მომეცა თუ არა შემთხვევა, მაშინვე მიწაზედ ჩამოეხტი. ჩამომიტყუილა ერთმა პატარა ნადირმა. ძალიან გამიკვირდა. გამლიული და ქოსა ჩემზე ბევრით წვრილი იყო. კუდიც ჩხირივით ვასწვრილებოდა. ზურგი და თავი თოვლის ფერი ჰქონდა, მუცელი, მკერდი და ფეხები თეთრი, მე ვერ დამედრებოდა სილამაზით, მარტო ჩემი ფაფუკი კუდი ორ იმ ნადირად ღირდა. მოკლე ფეხები, პაწაწა ყურები, წვრილი ნაკვერჩხალივით ელვარე თვალები, პაწაწა ვეფხვს მოგაგონებდათ.

ვზივარ მაღლა, ვადევნებ თვალს ამ უცხო ნადირს. ქვებში დაძვრება, ხან დაიკარგება, ხან თავს ამოპყოფს, აქეთ-იქით იხედება, ფეთიანივით თვალებს აცეცებს. მერე ისევ ჩაიმალება. ცოტა ხნის შემდეგ ახლა სხვაგან ამოძვრება, ქვა და ყორეს ურბენს, ათვალიერებს, ეტყობა ეძებს რაღაცას.

მე უფრო და უფრო ცნობისმოყვარეობამ მიმატა. აგერ კიდევ ჩაძვრა ლოდებქვეშ; ცოტა ხანს შემდეგ თვალი მოვკარ, ნაპერწკალივით თეთრად გაშლიავდა, ეტყობოდა, სდევდა რაღაც გაალმასებული.

ბოლოს ამოძვრა, პირში თაგვი დაეჭირა. წელი დაეტაცნა; საცოდავი თაგვის კუდი ჭიაყელასავით იკლაკნებოდა. თაგვს თვალები გადმოჰკარკლოდა. წითელი თაგვი იყო ტყისა, კარგა მოზრდილი. სახლებში იმოტოლა თაგვი არ გაისრდება. მე გაკვირვებული ჩავცქეროდი, თვითონაც ბევრითაც აღარ იყო იმ თაგვზედ სქელი, თუმცა ტანი გრძელი და მოქნილი უჩანდა. რაღა გავაგრძელო, ძალიან შემშურდა. ბევრი აღარ ვალოდინე, ვისკუპე და ვეტაკე.

ალბათ არ მოელოდა თავდასხმას, რადგან ძირს ვერავინ ნახა საშიში და მე კი ხეზედ ვერ შემამჩნია. უცებ შეკრთა, თაგვი პირიდან გაჰვარდა, მაგრამ ხელად შემოტრიალდა და მეძგერა. მგონი, ლომი

რომ ყოფილიყო, უბრძოლველადა არც იმას დაპნებღებოდა, უბრალო ჩვარივით მომაგდებინა და ახლა იმან მოიტანა ჩემზედ იერიში.

კიდევ მადლობა ღმერთს, რომ აბისთანა დიდი კუდი მქონდა. რადგან შიშით კუდი მაღლა ავიფხორე და ფარივით ავიფარე, ისიც ჩემს კუდს ეცა. ის შენს მტერს, რაც მე დღე დამადგა. ისე მემწვავა, რომ ჩემს ჭყვირილს ტყემ ბანი მისცა. აღარ ვიცი, როგორ დავძვერი ხელიდან. როცა გამოვერკვიე, ხის ღრუში ვიჯექ, გული საშინლად მიქაქანებდა, კუდი მეწოდა, სისხლი წკრიალით მდიოდა.

ეჰ, რაღა კუდი იყო! ნახევარს ზემოთ თითივით გაყელეფილიყო. საშინლად მეწოდა, გული მიფერდებოდა. როგორც იყო ჩემიანებთან მივაღწიე.

— რა ამბავია შენს თავს, კუდფოლავ? — მკითხავდნენ გაოცებული მამა-ბიძები. — რა დაგმართვია? იქნება კვერნა შეგხვდა, ან არწივმა დაგიჭირა? ე კუდი რაღა უყავ?!

— რა ფერზეა, გენაცვალეთ, — ვიშვიშებდნენ ქალები.

— წამოდი, წამოდი, შეჭამე რამე, გული მოიბრუნე.

მეც, როცა პატარა შიშმა გადამიარა და გული დავიმშვიდე. ვუამბე დაწვრილებით ჩემი თავგადასავალი. ბევრი იცინეს. ახად მოგსვლიაო. არც ახლა ისწავლი ჭკუასაო? მე კი სიბრაზით აღარ ვიცოდი, რა მექნა.

— თქვენ კი იცინეთ და ამ ჩემს გაყელეფილ კუდს კი აღარ უცქერით-მეთქი!

— კიდეც მაგ კუდს უშველნია შენთვის, კუდფოლავ, თორემ უფრო უარესს მოვესწრებოდითო, — იცინოდნენ მეზობლები.

მხოლოდ დედაჩემი იყო შეწუხებული. რაღაც ბალახები მოიტანა, დამადო კუდზე და შემიხვია. ამის შემდეგ კარგა ხანსა მტკიოდა და თუმცა მომირჩა, მაგრამ ის ლაზათი და შნო სადღაა, ალაგ-ალაგ ქეციანივით არის დამრჩალი.

მეუბნებიან, დრო გავა, ისევ ბეწვი ამოგიდა და წინანდელივით ფაფუკი კუდი გაგიხდებაო, მაგრამ მე არა მჯერა...

დედაჩემმა გვიამბო მერე იმ მხეცის ცხოვრება.

— მაგას თრითინა ჰქვიან, თუმცა „დედოფალსა“ და „ქურციანასაც“ ეძახიანო. ძალიან ყოჩაღი და მარდი ცხოველია. თუ არ გაბრაზე, სრულებით არას გერჩის, თავისთვის დაიარება, თაგვებზე და

ჩიტებზე ნადირობს. სადაც ეგ დაიბუდებს, იქ თაგვებს აღარ ედგომილებათ, უნდა აიკრიფონ ბარგი-ბარხანა და სხვაგან გადაიბარგნენ, თუ არ უნდათ, რომ იმისი წერა გახდნენ.

რაკი წვრილი ტანი აქვს, ისე ძვრება თაგვის სოროებში, როგორც გველი. თაგვის კნუტებს სინსილას უქრობს და ამით ამცირებს ამ ყოვლად მავნე ცხოველს.

ფრინველის ტვინიც ძალიან უყვარს და სადაც საქათმეს შეეჩვევა, პატრონს აღარ გაახარებს. წიწილებსაც სინსილას უქრობს. ჩაუსაფრდება ხშირ ბალახებში ან ყორეში და, როცა კრუხი არხეინად ჰქექავს, უცებ გაჩნდება, ეცემა და ასტყდება წიწილის წივილი. თუ ვერ მოასწრო ყორეში შეთრევა, ან ბალახებში ჩამალვა და მოასწრო კრუხმა, ღვთის წყალობა გაქვს, კრუხი ამოაშხამებს ამ ყაჩაღს ნადირობას. შერცხვენილ-გალახულმა უნდა დასამალი მოსძებნოს.

მაგრამ ღამე, როცა ქათმებს არხეინად სძინავთ, ვიეპარება შეუმჩნევლად, ეცემა ყელში, დაახრჩობს, ჩამოაგდებს ძირს, ამოაჭამს ტვინს და წავა თავის გზაზე, ხორცს პირსაც არ ახლებს.

ამიტომ სოფლის დედაკაცები ძალიან ეფერებიან, ცდილობენ, არ გააჯავრონ როგორმე და არ გადიკიდოს. პირიქით, სადაც შეხვდებიან, ცდილობენ მიეფერნონ და ასიამოვნონ. ამისთვის ლექსიც კი გამოუგონიათ:

„ქურციან, ქურციან დედოფალო,
შენთვის კვერი მომჭონდაო,
ისიც თაგვმა შეჭიკამა,
შენ იცი და იმანაო".

დარწმუნებულნი არიან თრითინა ამის შემდეგ თაგვებს მოსძებნის და იმათზედ იყრის ჯავრსაო.

„მე კი არ დამავიწყდება ჩემს სიცოცხლეში და ყველამ თავისი იცისო!"

ასე გაათავა კუდფოლამ თრითინასთან შეტაკების ამბავი.

[1908 წ.]

# „მეც გავძეღ და ჩემი სტუმარიცაო“

ამის მთქმელს როდენას ეძახდნენ. შეძლებული კაცი იყო, ქონება არ აკლდა, მაგრამ ახირებული ზნე სჭირდა: ჩვეულებადა ჰქონდა, — თავის დღეში სტუმარს პურს არ აჭმევდა. მოსულ სტუმარს ხელს ხომ ვერა ჰკრავდა და ვერ გააგდებდა, მაგრამ როცა პურის ჭამაზედ დასხდებოდნენ, — ვახშამი იქნებოდა, თუ სადილი, — ცოლი დარიგებული ჰყვანდა, როცა დავიძახო, — „მეც გავძეხ და ჩემი სტუმარიცაო“, — მოდი და სუფრა აალაგე. აიღებდა თუ არა ერთ-ორ ლუკმას სტუმარი, რაც უნდა მშიერი ყოფილიყო, როდენი იტყოდა, — „მეც გავძეხ და ჩემი სტუმარიცაო“ და გადიწერდა პირჯვარსა. სტუმარსაც რა მეტი ღონე ჰქონდა, ძალიანაც რომ შიებოდა, უნდა ამდგარიყო. როცა სტუმარი წავიდოდა, დასხდებოდნენ ცოლქმარი და გემრიელად შეექცეოდნენ.

ერთხელ ერთი თავის ცოლის სოფლელი კაცი ეწვია: ასეთია უბედური, სიმშილით ცა წითლად ეჩვენება. მოუთმენლად ელის სუფრის გაშლას. აი გაშალეს სუფრაც. სტუმარი მგელივით დააფრინდა პურსა, მაგრამ ორი-სამი ლუკმა არ შეეპამა ჯერა, რომ მასპინძელმა პირჯვარი გადაიწერა და სთქვა: „მეც გავძეღ და ჩემი სტუმარიცაო“.

მოვიდა ცოლი, წამოკრიფა რაც რომ სუფრაზე იყო, აიღო სუფრა. სტუმარი გაკვირვებული შესცქეროდა. რა გზა ჰქონდა, ხომ ვერ

ეტყოდა, მშიან და მაჭამეო, ადგა ისიც, აიღო თავისი გუდა-ნაბადი. და გაუდგა გზასა. მოდის, მაგრამ ვაი ამ სიარულს, სიმშილით ფეხებს ძლივს მიათრევს. არსად დუქანია, რომ იყიდოს და ჭამოს, ვერც სოფელში უთხოვნია, სცხვენიან. მოდის გზაზედ, აქეთ-იქით იცქირება, მგზავრი მაინც ვინმე შემხვდეს, რომ ლუკმა მომიტეხოსო.

მართლაც წინ როდენის მოყვარე არ შეხვედა! — თავისი მეზობელი. როდენთან მიდის, მოსაკითხი მიაქვს.

— გამარჯვება!

— გაგიმარჯოს!

— სად მიდიხარ მაგოდენა ხურჯინით, რა მიგაქვს მაგდენი?

ჩემ დასთან მოსაკითხი მიმაქვს, აი ამ სოფელში, როდენი რომ ჰქვიან, სიძეა ჩემი.

— აი ღმერთი იმას გაჰბერავს, როგორც ის კაი კაცი ყოფილა!— სთქვა მეზობელმა. თუ ღმერთი გწამს, პატარა პური ამომიღე, თორემ სიმშილით ლამის ჩემი დამემართოს.

— რა იყო, რა დაგიშავა მაგეთი, რომ მაგრე იხსენიებო? ჰკითხავს როდენის მოყვარე.

— კაცო, როგორ არ ვსთქვა: პური მშიოდა, ცა წითლად მეჩვენებოდა, შევბრუნდი, სოფლის სიძეა, პურს მაჭმევს-მეთქი. მომეგებნენ, ღვთის წინაშე, გამიშალეს სუფრა, მაგრამ გავიმართე თუ არა პურის საჭმელად და ერთი-ორი ლუკმა ავიღე, წამოდგა შენი სიძე, პირჯვარი გადაიწერა: „მეც გავძეღ და ჩემი სტუმარიცაო". მოვიდა ცოლი, აალაგა სუფრა და დაერჩი მშიერი. რაღა მეთქმოდა, მადლობა გადავუხადე და წამოველ მშიერი მუცლითა. შენ, რომ არ შემყროდი, გზაზედ სიმშილით მოვკვდებოდიო.

— მოდი, დაჯექ, შენ კაი პური ჭამე და იმას მე მოვუვლიო, — სთქვა მოყვარემ. ამოუღო ამას ნაზუქი, ყველი, ღვინო დაუსხა და კარგა მოანაყრა.

საღამო ხანი იყო, როცა როდენს მოყვარე ეწვია. მოეგებნენ, მოიკითხეს, ჩამოხადეს ხურჯინი, შეიტანეს, ამოალაგეს ნაზუქი, ლავაში, დედლები, ინდაური, თევზი, ტიკპორით ღვინო. ისეთია როდენი, მუშტის ტოლა ნერწყვსა ჰყლაპავს. მერე არც გამომცხვარი ჰქონიათ, გამოსაცხობი ფქვილიც შემოჰლევიათ. ისეთია, სულ ტუჩებს აცმაცუნებს, ძლივს მოელის ვახშმობას. მოვიდა ვახშმობაც, გაშა-

ლეს კაი სუფრა და შემოუსხდნენ სამივენი. ისე შიებია როდენს, რომ თვალში ჩინი აღარა აქვს. მოყვარე კი ყურს უგდებს.

რამდენიმე ლუკმა რომ შეეჭამეს, როდენმა დაიწერა პირჯვარი: „ღმერთო, გვიშველე, მეც გავძეღ და ჩემი სტუმარიცაო, მოდი, დედაკაცო, სუფრა აალაგეო“.

ცოლი მაშინვე წამოხტა სუფრის ასალაგებლად.

— მოიცა, მოიცა! — შეუტია ძმამ, — რომ ალაგებ, რად ალაგებ სუფრას, სიძევ, თუ შენ გაძეხი, უკან დაჯექი! მე კი ძმიან და ვეჭამ კიდევაცაო, მოუჯდა საკუთრად ამ გაშლილ სუფრას და — გაგიძღეთ გული, ყოველი კეთილითა, რომ იმან ლამაზად ისრულა გუნება. სიძე როდენი კი უკანა ზის და ტუჩებს ილოკავს, შიან, რა შიან, ცა წითლად ეჩვენება.

ცოლს წასჩურჩულა: როცა შენმა ძმამ დაიძინოს, ნასუფრალი მაინც მოიტანე. ვეჭამ, თორემ სიმშილით მე ჩემი დამემართოს.

ვახშამი რომ გაათავა, დას დაუძახა: მოდი, სუფრა აალაგე და რაც დარჩა, ისევ ხურჯინში ჩაალაგე, მოჰკარი პირსა და თავით დამიდეო, სადაც დავიძინო, თორემ უცნაური ხასიათი მაქვს. — არ დამეძინებაო. რა მეტი ღონე იყო, აალაგა დამაც სუფრა, ნარჩენი ხურჯინში ჩაალაგა. მოჰკრა პირს, გაუშალა ძმას ლოგინი, მიიტანა ხურჯინი და თავით დაუდო.

დაწვნენ ყველანი. დაიძინეს. მაგრამ როდენს რა დააძინებს: შიან, და ახლა მსუქანი დედლისაკენ და დოშისაკენ ემსუნაგება. მაგრამ არც მოყვარესა სძინავს, ყურს უგდებს, ვნახოთ, რას იზამსო.

— ადამიანო! ადამიანო! აღვიძებს ცოლს როდენი.

— რა გინდა? რად მაღვიძებ?

— ადექ, პატარა ქატო მაინც ასვრიმე და ცეცხლში კვერი შესვი, თორემ ლამის სიმშილით მე ჩემი დამემართოს!

ადგა ცოლი, ასვრიმა ქატო, გაქექა ნაცარი და ერთი კვერი ჩასვა, ზევიდან ღველფი დააყარა.

ცოტა ხნის შემდეგ ადგა მოყვარე, გავიდა ხვნეშით კარში და ერთი კაი დიდი ჯოხი შემოიტანა.

— დაო, წუხელ სიზმარში ვნახე, ვითომ ახალი წელიწადი იყო და უნდა ცეცხლს მივულოცო! თან ცეცხლს დაუწყო ფხვლეტა ჯოხითა, თან იძახდა: „ამდენი ძროხა, ამდენი ხარი, ამდენი თხა და ცხვა-

რი, ამდენი კოდი პური, ამდენი კოკა ღვინო, ამდენი თუმანი ფულიო". ამასობაში ეს ქატოს ყვერი სულ ნაცარში აურია. მერე ლაწვა და ვითომ დაიძინა.

— დედაკაცო, რა ქნა მაგ უღმერთომ, რაზედ დამღუპა და დამანელა, ახლა ხომ სიმშილით მოვკვდებიო, ეუბნება ცოლს როდენი.

— რა ვქნა, აბა ბე ხომ პურად არ გეყოფა? — უპასუხა ცოლმა. როდენმა სთქვა: რაც იქნება-იქნება, მივიპარები, ხურჯინს მოვსნი და პატარა პურს მაინც ამოვიღებო, ასეც მოიქცა. დაოთხდა და მოხოხავს ნელ-ნელა ხურჯინისაკენ, რომ მოყვარეს არ გაეღვიძოს, მაგრამ რა ხანია მოყვარესა ღვიძავს და სიძეს თვალს ადევნებს. იხოხა როდენმა, იხოხა, და როცა ხურჯინს სწვდა პირის მოსახსნელად, უცებ წამოვარდა მოყვარე, დაუჭირა საყელო!

— ვინა ხარ, რომ ხურჯინსა მპარავო?! გადაუჭირა და გადაუჭირა ეს ჯოხი. ასეთია, სულ ბური ასდის! კარგა სცემა, სანამ მე და შენ მივეშველებოდით.

— რო დაატყო დამ, რომ ახლა კი ცუდად არის საქმეო. წამოვარდა და დაუყვირა ძმასა: ნუ სცემ, ძმაო, ნუ სცემ, შენი სიძე როდენიაო!

— თქვენ თხუთმეტი მყეფარი გყავთ, მე რა ვიცი, რომელიაო. უპასუხა ძმამ და უფრო და უფრო მიაყოლა. ასეთია სიძე, სულ ვირივით ღრიალებს. მერე დას დაუძახა; აანთე ჩრაქი, მამიშუქე ახლოსაო!

აანთო დამ სანათი, მიუშუქა, ისეთია როდენი, სულ ლილასავით დალურჯებული.

— აბა შენ რომ მაგრეთი უპურმარილო და ძუნწი არ იყო, ხომ არც ამდენი მოგხვდებოდაო, — უთხრა მოყვარემ. — როგორ ირა გრცხვენიან, შენი ნასტუმარი კაცი წინ შემხვდა, სიმშილით ცა წითლად ეჩვენებოდა. ღმერთს შენთვის ამდენი დოვლათი მოუცია, შენ უნდა სტუმარი მშიერი გაისტუმროვო?! ეხლა კი მიპატიებია და საკვლაოდ კი მაგრე აღარ მოიქცეო.

შეჰფიცა სიძემ, ხასიათს გამოვიცვლიო. ადგნენ, ხელმეორედ გაშალეს სუფრა და ქუდი ჭერსა ჰკრეს.

ამის შემდეგ გამოიცვალა როდენმა ხასიათი და სტუმარი მშიერი აღარ გაუშვია.

[1908 წ.]

# ძაღლის ჭკუა

ეს ამბავი მოხდა 1895 წელს.
მასწავლებლად ვიყავ ქართლში. გაზაფხული იყო. ს. ხელთუბანს აღმოსავლეთით და სამხრეთით ჭაობები აკრავს, რაიცა იზიდავს სხვადასხვა გვარ ფრინველს: იხვს, გნოლს, ტყის ქათამს, წივილას, ღალღას, წეროს, ბატს, სავათს და სხვა მომთაბარე ფრინველს, რომლებიც გაზაფხულობით ცხელი ქვეყნიდან ბრუნდებიან საჩრდილოეთოდ, და რადგან გადასასვლელი აქვთ კავკასიონის თოვლიანი მთები, ზოგი მათგანი ავი დარისა და ნისლ-ჯანყების დროს ჩამოეშვება ხოლმე ქართლის ველებზე თუ დასასვენებლად და თუ საზრდოს საშოვნელად, ზოგიც ცუდი ამინდის გამო, რაკი გზას ვეღარ გაიგნებს. კარგია ამ დროს ქართლის ველი, — ცა სიცოცხლით ივსება, ისმის გაუწყვეტელი ყვირილი წეროებისა, ბატებისა და წვრილ ფრინველების წივილი და ჭყივილი. ეს ფრინველი სულ მგზავრია; თვით ქართლში კი მწყერიც კი გაწყდა, რადგან აქ ბარტყს აღარა ზრდის და სხვაგან გამოჩეკილი და გაზრდილი მის დღეში სხვა ქვეყანაში არ დარჩება საბუდრად, თუ არ თავის სამშობლოში.

მრავალი მონადირე სწყვეტს ამ მინდვრის მცხოვრებლებს და მგონი რამდენიმე ათი წლის შემდეგ მწყრის გულის გამახალისებელი „ქვითკირო, ქვითკირო" ვეღარავინ გაიგონოს. მარტო ადგილობრივი მონადირეები რომ იყოს, კიდევ რა უშავდა, მაგრამ გორი, რომ არა ვსთქვათ, თბილისიდანაც კი მრავლად მოდიან აქ სანადიროდ.

სწორედ ამ მონადირეებს დარჩენოდათ სოფელში ძაღლი. ალბათ მინდორში კურდღელს ან მელიას გაჰყვა, სდია და ასხლტა მონადირეებს, ეტყობოდა, კვალს დუქნამდე მოჰყოლოდა და აქ მოელოდა პატრონის მოსვლას.

მე როცა ენახე, უკვე სიმშილით იყო გადახრწნეული, რამდენიმე დღე აქ მშიერი წოლილიყო, თვალები ამოჰღამებოდა, იწვა მორკალული, თავი მიწაზედ ედო.

რამდენიმე სახელი დავიძახე, მაგრამ ზედაც არ შემომხედა. უეჭველია, თავის სახელს არ ვეძახდი. დავბრუნდი მაშინვე სახლში და პური წამოვიღე. პურის დანახვაზე ზარმაცად შემომხედა, ეტყობოდა, სიცოცხლე მოჰბეზრებოდა; არ ვიცი, სიმშილისაგან იყო თუ პატრონის დაკარგვასა გლოვობდა. უფრო კი უკანასკნელის ნაღველი აწუხებდა. პური დავუგდე და თან შეველაპარაკე. პურს ნელა დაუწყო ჭამა, მე კი მადლობელი თვალებით გადმომხედავდა ხოლმეამის შემდეგ აღარ მომშორებია, სადაც წავიდოდი, სულ უკან დამდევდა. შინ შევიდოდი და კარებს უწყებდა ფხოჭვნას და წკმუტუნებდა. თუ მივეფერებოდი სადმე ერთი საათით და მერე გამოვჩნდებოდი, ამის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა: ხტოდა, თამაშობდა; მილოკავდა ხელებსა და პირს, ყმუოდა და წკმუტუნებდა გახარებული. ნამეტნავად სახის ლოკვა უყვარდა და დიდი ბედნიერება იყო იმისთვის, თუ ამის ნებას მივცემდი.

ვენახი სოფლის ბოლოსა მქონდა და როცა მოცლით ვიყავი, იქ მივიდოდი ხოლმე. ისიც, რასაკვირველია, უკან ამედევნებოდა; გზაში სოფლის ძაღლები გამოგვიხტებოდნენ ხოლმე, მაგრამ ის აიჯაგრებოდა, აიშვერდა მაღლა თავის მოკლე კუდს და ტახივით იდგა. „აბა მობრძანდით, რომელსაც სიცოცხლე მოგბეზრებიათ!“ თან თავის წვეტსა და თეთრ კბილებს აჩვენებდა.

ძაღლებიც მაშინვე უკან შედგებოდნენ ხოლმე: ეგ სხვა ვაჟი ჩანს, მაგასთან ხუმრობა ჩვენ არ გამოგვადგებაო.

ვენახს ვაბარვინებდი, დღიური მუშა მეყენა.

მოწაფემ ამბავი მომიტანა, ჩვენი ძაღლი გაცოფიანდა, სადღაც გადაიკარგა. შეწუხდნენ ჩვენები, ლამის შიშით თავისი დაემართოთ, ვაი თუ დაცოფილები ვიყოთ, ან ვინ იცის, ვინ დაგლიჯოსო. ჩვენც ღორები დაგვიგლიჯაო.

მოწაფეები დავითხოვე პურის საპმელად და ვენახში გავწიე. თან ჩემი ძაღლიც გამომყვა. იქიდან ისევ მალე დავბრუნდი, რადგან შუადღის შემდეგ მოწაფეების მეორე წყებისათვის უნდა მესწავლებინა. გზა-გზა არ წამოვსულვარ, რადგან სასოფლო გზა შორს უხვევდა. სოფელსა და ჩემს ვენახ შუა ერთი ნაფუზარია და რადგან იმ დროს მოხნული არ იყო, გზის შესამოკლებლად ამ ნაფუზარზედ დავიარებოდი.

ახლაც ამ ნაფუზარზედ მოვდიოდი. თან ჩემი ძაღლი მომდევდა. მხიარულად არის, აქეთ-იქით დარბის, სუნავს, იხედება, ეძებს კვალს.

ის იყო, სამოცი ნაბიჯი ძლივს მექნებოდა გასავლელი პირველ საბძლამდე, რომ უკან ქვემოდან ერთი თეთრი ძაღლი გამოჩნდა. მორბის ჩვენკენ, კუდი შეშასავით გაუშვერია. რომ იტყვიან ცოფიანს კუდი ამოძუებული აქვსო, ტყუილია. კუდი ცოფიანს შეშასავით გაშვერილი უპირავს. მორბის, არ იყეფება, მხოლოდ ხანდახან ჰაერში შეხტება, რაღასაც ეტანება, თითქო ბუზებს იპერსო. მე მაშინვე მივხვდი, რომ ცოფიანი იყო.

ჯოხის ან სხვა რაიმე იარაღის ტარება ჩვეულებად არა მქონდა. შიშმა ამიტანა. მერე ჩემს სიცოცხლეში ცოფიანისთანა არაფრისა მშინებია. გზაში მივდიოდი, დღე სხვა არაფერი მომაგონდებოდა, თუ არ ცოფიანი. ბნელი უკუნეთი ღამე რომ ყოფილიყო, კიდევ სხვა არაფერი არა მაფიქრებდა რა, არც მგელი, არც სხვა რამ ნადირი, თუ მეშინოდა, ისევ ცოფიანისა.

კაი დარი იყო. ურემი ეტარებინათ ტალახში, მიწა გამხმარიყო და კოპიტნარი ქვებივით ეყარა. ერთ-ერთ გოროხს დავწვდი და ვესროლე. გოროხმა თავზედ გადაუარა, ცოფიანმა დაინახა და დასაჭერად მიეტანა, არც დაუყეფნია, არც დაუღრენია. ცოფიანი იყო, ცოფიანი!

ტყუილი იქნება, რომ ვსთქვა, არ შემეშინდა-მეთქი. სულ რაღაც ოცდაათი ნაბიჯილაა ჩემსა და ცოფიანს შუა. წინ, ასე ოც ნაბიჯზედ, საბძელია, მაგრამ თავმოყვარეობაც ნებას არ მაძლევს რომ გავიქცე. ვინც დამინახავს, რას იტყვის, ვაჟკაცი იყო და გაიქცაო! იქვე იყო ღობეც, მაგრამ იმავე თავმოყვარეობამ არც ღობეზედ ასვლის ნება მომცა.

„რაც იქნება, იქნება-მეთქი", ვსთქვი, „შიში ვერ იხსნის სიკვ-

დილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“. დავავლე გოროხებს ხელი და დავუწყე სროლა.

ახლა კი ჩემი ძაღლიც შედგა, მგონი ახლალა დაინახა, უცებ აიჯაგრა, მხიარულება ხელად დაეკარგა, შეშინდა, მოიკუნტა, მეკვრის ზედა, ხან წინ წაირბენს და თვალებში მაცქერდება, თითქოს მეხვეწება, წადი ჩქარა, შენი თავიც გადაარჩინე და მეცაო, ხან უკან მომექცევა და ცოფიანს თვალს აღარ აშორებს, თან მეკვრის და წკმუტუნებს. ფეხი ავუჩქარე, მაგრამ ცოფიანიც წამოგვეწია.

დავავლე გოროხებს ხელი და მივაყოლე. ერთი შიგ თავში მოხვდა და ცოფიანი უცებ შედგა, მეორეც მივაყოლე და ის კი ასცდა. ცოფიანი იმ.ს წაეტანა დასაჭერად. მე კიდევ ვესროლე, მაგრამ ახლა ეტყობოდა, რომ კარგად გაგვარჩია და პირდაპირ ისარივით წამოვიდა ჩვენსკენ.

ჩემი წარბა (ასე ვეძახდი ძაღლს) უცებ გამოიცვალა. ეს მოკუნტული ძაღლი უცებ ვეფხვივით დადგა გზაზედ ჩემს უკან აჯაგრული და მოვარდა თუ არა ცოფიანი, ეცა და როგორც ბურთი ამოიდო ქვეშა.

სანამ ის იმას ბუბნიდა, მე უკვე სამშვიდობოს გაველ. რაღა იქნებოდა, წარბას ვეღარაფრით ვუშველიდი, თუმცა იმან კი ჩემთვის გასწირა თავი. მერე მოცვივდნენ სხვა ძაღლებიც და ცოფიანმაც იკადრა ვენახებისაკენ გაქცევა. თუმცა მისდევდნენ და ჰყეფდნენ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ მიბედა საკბენლად, თითქოს ალლოთი იცნეს ცოფიანი. ცხადად ეტყობოდა, ყველა ძაღლი სცნობდა ცოფიანს და ერიდებოდა. ძაღლი თავის დღეში არ მივარდება ცოფიანს საკბენლად, თუ ცოფიანმა თვითონ არ დაგლიჯა. ცოფიანი ვენახებში გადახტა და მიიმალა.

წარბა წკმუტუნით დამეწია და თან ნაკბენ ყურს აქნევდა, თან სიყვარულით სავსე თვალებით შემომცქეროდა.

ამ თვალებში ვკითხულობდი: მემდური, თუ მადლობელი ხარ, ჩემო მეგობარო?! შენ სიმშილით სიკვდილს გადამარჩინე და მე კიდევ ჩემი თავი განაცვალეო.

ახლო აღარ მომკარებია. სახლში რომ მიველ, წარბა აღარსადა ჩანდა. ამის შემდეგ წარბა აღარ მინახავს. არ ვიცი, სად წავიდა, გაცოფიანდა, თუ რა მოუვიდა?

ასე გადამიხადა სიკეთე უბრალო პირუტყვმა.

[1908 წ.]

# სამჯელლოში

— დაუბერე, შვილო, დაუბერე, ხვალ კვირაა, ზეგ ახალი წელიწადია, გავაკეთოთ რამე, რომ გავყიდოთ და საახალწლოდ ვიყიდოთ რამე, — უძახდა შავად ჩამომხმარი მჭედელი კარგუა თავის რვა წლის მიხიასა, რომელსაც მეტ სახელად „კურკანას“ ეძახდნენ. და მართლაც, ისიც ბევრით არაფრით გაირჩეოდა ნეხვზედ ნაყარ მზისაგან გაშავებულ ყურძნის კურკისაგან.

მიხიაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ებრძოდა საბერველს. იმის განიერ მუცელს მკლავებს ძლივს აწვდენდა და ეძაძგურებოდა დაბერილ საბერველის გუდებს; თუ მარცხნივ აწევებოდა, მაშინ მარცხენა გუდა იფუკებოდა და ამავე დროს მარჯვენა იბერებოდა; სამაგიეროდ, როცა მარჯვენა გუდის დრო მოვიდოდა დაფუკვისა, ახლა მარცხენა იბერებოდა; საბერველს გამოეყო ქურასქვეშ რკინის ტუჩი და ქშუტუნი გაჰქონდა ცეცხლქვეშ ნახშირებში; ქარს ჰაერში ნაცარი და ნაპერწკლებად ქცეული ფერფლი აჰქონდა, ნაკვერჩხლები მხიარულად ბდღვრიალებდნენ და ტკაცატკუცი ედგათ.

მიხიამ გადმოიხედა, დრო ხომ არ არის დავაყენოვო, მაგრამ მამას რაღაც სქელი რკინა შეედო ცეცხლში, თან დიდი მარწუხით ატრიალებდა, ეტყობოდა ბერვა დიდი სჭირდებოდა.

— დაუბერე, უნდა ადუღდეს, აი, ეგრე, ეგრე! აი, ყოჩაღ ბიჭო, ეგრე ბიჭო! — იძახდა წახალისებული კარგუა, თან ცეცხლში მუჭით

წმინდა ქვიშასა ჰყრიდა, რკინას ხან გადააბრუნებდა, ხან გადმოაბრუნებდა, თან ღიღინებდა, ღიღინებდა გაუბედავად, ჩუმად, შეუმჩნეველად.

ღრმად დანაოჭებულ კანში ხელის სისქედ ჩამოჰკვროდა მტვერი და ჭუჭყი, სახე დაღრეჯოდა, შუბლზედ შავი ოფლის კუკური ეყარა.

— ეს ოხერი, რაც უნდა ციოდეს, ჭურასთან და გრდემლთან მაინც ცხელა, — იძახდა კარგუა. მაინც ღიღინებდა კარგუა რაღაც უცნობ პოეტისაგან შეთხზულ ლექსს მჭედლებზედ და ღვინოზედ.

მამის ღიღინისაგან წახალისებული მღეროდა პატარა მიხიაც, მაგრამ ამას თითოეული სიტყვა, თითოეული ხმა მკაფიოდ და გრძნობით გამოჰყავდა, როგორც გრდემლზედ ჩაქუჩის ხმა. მღეროდა ობლის ლექსს, რომელშიაც გამოთქმული იყო ობლობის სიძნელე:

„ენა ვერ იტყვის და პირი
ობლობა ისე ძნელია,
სიღარიბე სჯობს ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია“

ემდურებოდა მკვდარ დედას, რომ დასტოვა ობოლი, მამის ამარა, უდედოდ, უპატრონოდ; ეხვეწებოდა თან წაეყვანა იმ ნათელ ქვეყანაში, სადაც არც სიცივე იყო, არც მძიმე რკინის კვერები, არც სიმშილი და სიტიტვლე.

„მცივა, დედა, მცივა“, — ამბობდა ლექსი, — შენ არა მყევხარ, რომ ხელები უბით გამითბო, ჩემო კარგო დედა! სადა ხარ, რომ შენს შვილს თავზედ და ტანზედ ჭუჭყი ხელის სისქედ აძევს და არ გაბანს, არ გაათავისუფლებ?! სადა ხარ, დედილო, რომ მშიერი ეკვდები და მამის შიშით პურიც ვერ მომიტეხია?! სადა ხარ? აღარ მოხვალ შენს შვილებთან?! — გაეგონა სადმე, თუ ასწაელა ვინმემ, თვითონაც არ იცოდა, მხოლოდ გრძნობდა, რომ თვითონაც ასე იტყოდა. სხვისგანაც რომ არ გაეგონა; ამიტომ იყო, რომ ზოგი ლექსი რითმით იყო და ზოგსაც, როგორც ენაზედ ადგებოდა და გული ეუბნებოდა, ისე გამოსთქვამდა.

— კმარა, ბიჭო! — იძახოდა მამა, — მოდი, კვერი დამიკარ!

მიხია თავს ანებებდა საბერველს, რომელიც ხმას სწყვეტს და ეძებს ჩაქუჩს. ცეცხლმაც გრიალი შესწყვიტა, ალი ჩაქრა, ნაკვერჩხლებს ყვითელი ფერი დაედოთ.

კარგუამ გამოიღო მარწუხით თეთრად გავარვარებული, გაღვივებული რკინა; გაჯავრებული ნაპერწკლები სისინით ზოგი კარგუას ტყავის წინსაფენზედ ცვიოდა, ზოგი იშლებოდა და უჩინარი ხდებოდა.

ერთი ნაპერწკალი გაქანდა და მიხიას ტიტველ ფეხზედ დაეცა; მიხია სიმწვავით შეხტა, დაიღრიჯა, მაგრამ მამისა შეეშინდა და ხმაკრინტი ვერ დასძრა.

— მე ხომ არ ჩაგაგდე ცეცხლში, შე ოხერო, — ფიქრობდა მიხია, — მე რას მერჩი, მამაჩემი რომ არ მატანდეს ძალას, სამჭედლოში სულაც არ შემოედგამდი ფეხს.

— დაჭკარ რალა, რა პირი დაგიღია, შე ოჯახდასაქცევო, ხედავ, საცაა რკინა გაცივდება, ნახშირი მაინც არ გენანება, შე... — შეუტია პატარა მიხიას.

ძლივს ერევა მიხია გრძელტარიან მძიმე ჩაქუჩს, სწევს მაღლა, იზნიქება უკან, რომ უფრო ადვილად დასძლიოს, მერე რაც ძალი და ღონე აქვს, უშვებს რკინაზე თითქო გულიდან პატარა ცეცხლის ეშმაკები გამოხტნენო, გაიშალა აქეთ-იქით აუარებელი ნაპერწკალი შიშინით და სისინით; ზოგი მიხიას მიახტა, ზოგი კარგუას, ზოგი მიწაზედ დაეცა, გაცივდა და მოკვდა.

— დაჭკა! დაჭკა! — ყვირის კარგუა.

სცემს მიხიაც, თან ხვნეშის, მთელი ტანით თან მისდევს ჩაქუჩს, თითქო შუბლიც ზედ უნდა დაჭრასო.

— ეგრე! ეგრე! აი, ყოჩაღ! — იძახის კარგუაც და თან თვითონაც რაც ძალი და ღონე აქვს, სცემს და სცემს გრდემლზედ მძიმე რკინას. რკინა კევივით იღეჭება, ბრტყელდება, ნაპერწკალი თანდათან ელევა, შუქი აკლდება, შავდება, ძირს მხოლოდ რკინის შავი ნამცეცებიღა ცვივა.

ხვნეშის პატარა მიხია, ცხვირის ნესტოები ებერება, ჰაერს ხარბად ჰყლაპავს, გრდემლთან ჭილყვავისტოლა ძლივს მოსჩანს...

— ახლა დაუბერე, მიხი! — იძახის მამა და კვლავ მოისმის საბერველის ქშინვა, პატარა ბიჭის წრიპინი და მამის ძველებური სიმღერა.

ცეცხლი კვლავ ღვივდება, წითელ-ყვითელი ალი, ნახშირებქვეშ დაბადებული, ზემოთ მოძვრება, ნახშირებს ირგვლივ ეხვევა, ჰკოც-

ნის, მერე იყოფა, გველეშაპის ენებივით იკლაკნება, ზევით და ზევით იწევს და ჭერქვეშ იკარგება. მოისმის ჩაქუჩის ტკრციალი, ურის გრგვინვა და გრდემლის კვნესა.

— ეგრე ბიჭო, დაჭა, ბიჭო! ჰაიდა ბიჭო! — შედის ეშხში კარგუა. თან თვითონაც ორივე ხელით ირჯება, ჯანს არ ზოგავს.

ეხლა ცულების ამინდია, ზამთარია, შეშის საჭრელად სჭირდებათ, ხვალ მზამზარეულ ცულებს გაიტანს სასწორზე, გაჰყიდის და ზეგისათვის პურს მაინც შეიტანს სახლში. შვილები ეცოდება. მიხიას გარდა ერთი თერთმეტი წლის გოგო ჰყავს სახლში.

— ეჰ, შე ოხერო სიღარიბევ! ერთი წყვილი ახალი ჩუსტი მაინც როგორ არ უნდა უყიდოს პელოს, მალე გასათხოვარი გახდება და ამ ქვის ხეთქაში ფეხშიშველა დადის! სახლის მომვლელი, ჩვენი ცეცხლის ამთები, შეჭამანდის მომხარშველი ის არის, ჩვენი დამრეცხი და დამკერებელი, — ფიქრობს კარგუა.

— თუმცა მალ-მალე არ ვიცვლით, — სულერთია, მჭედელს რაც უნდა ჩააცვი, — მარამ როცა ვიცვლით, მაშინ ხომ საჭიროა დამრეცხი.

ძალიან ყოჩაღია, ცხონებულ დედასა ჰგავს, ერთ საათს არ დადგება ცუდად: სახლის საქმეს რომ მორჩება, მერე მეზობლებს ბუმბულს ურჩევს, მატყლს უწეწავს, წყალს უზიდავს, სარეცხს ეხმარება, თითო-ოროლა გროშსა შოულობს. ორ-სამ წელიწადში ერთ კაბას ვერ ვუყიდი, სულ თავის ხელით გამოდის, ძმასაც აცმევს. ზოგი ძველ კაბას აძლევს, წინდებს, ფეხსაცმელს... აკერებს, აპატარავებს, თვითონაც იცვამს, ძმასაც ტიტველს არ ატარებს. მჭედლის გამორჩენა კი ყველამ იცის რაც არის, ნეტა სახლის ქირა გადავიხადო, სახლში პური შევიტანო, ნავთი და მარილი ვიყიდო, ხანდახან დაღალულ გულზედ თითო-ოროლა ჭიქა ღვინო, ან არაყი გადავკრა.

ეჰ, ბარემ არ არის კარგი ლოთობა! ხანდახან ერთი კვირის ნაწვავ-ნადაგს ერთ დღეს ვაქრობ დუქანში... მერე მიხიას ოფლი კაცმა შეჭამოს?!. მაგრამ ოხრად დარჩეს, მთელი კვირა ცეცხლში იწვები, რკინას ჰკვერავ, მერე გამოხვალ დაღლილი, შეგხვდება შენსავით ყელგადაგდებული მეგობარი, შეგიპატიჟებს, ან შენ დაუძახებ ერთ ჩარექაზე... ჩარექა ნახევართუნგად იქცევა. ნახევარი თუნგი — თუნგად... წახვალ ცარიელ სახლში ფარფატით... მეორე დღის-

თვის არც პური, არც შეშა და ცეცხლი! ეჰ, განა ჩვენს გაჩენაში ღმერთი ურევია! — და ისეთი ამოიოხრა კარგუამ, რომ მიხიამ საბერვლის უკანიდან გადმოიხედა, მამას რა დაემართაო.

— დაიცა, ბიჭო, შე ოჯახდასაქცევო, დააყენე საბერველი, შიგ ჩამდნარა ცული! — ყვირის კარგუა. — რა ღმერთი გამიწყრა, სად მქონდა ფიქრი?!

სცემენ თეთრად გავარვარებულ რკინას კვერსა და უროს! თითქო სულ გაიფუშაო რკინა, მთლად ნაპერწკლებში ეხვევა და ყვითელი ბურჯღალ-ბურჯღალით აქეთ-იქით სისინით იფანტება...

მიხიას ვიღაცის გრძელი ძალზედ ნიდაყვგამოკერებული ხალათი აცვია; გრძელი სახელოები გადაუკეცნია. პელას უნდოდა დაემოკლებინა, მაგრამ მიხიამ არა ქნა, როცა ქუჩაში მივდივარ, გადმოეშალი და თბილად შეეყოფ ხელებსაო.

შარვალიც დაუკონკებია, კოჭებამდე ვერა სწვდება, — „რად უნდა გრძელი, ტალახში მოსვრისო", — იძახდა ჭკვიანი პელო. მართალია, საკერებელი სხვა დაუდვია, მაგრამ სიცივეს რა ეკოხტავება? ეს არის, რომ ფეხებზედ წინდები არ ეცვა, — ძაან დაგლეჯილი ჩუსტები ჰქონდა და წინდებს ხომ ერთ დღეს არ შეაღწეინებდა. ფიქრი არ არის, ფეხი არ გაცივდება, წინდებს ბედნიერ დღეშიაც მოესწრობა. სამაგიეროდ, მოიცლის თუ არა ქურა, მიხია მაშინვე ფეხებს ჩაჰყოფს ცეცხლში და ითბობს, სანამ სითბო გამოელევა.

ორშაბათიდან კვირამდე ამ ყოფაშია მიხია, იმისთვის არც წიგნი, არც სკოლა, არც ალერსი და სიყვარული ვისგანმე. მხოლოდ კვირაობით არის თავისუფალი და მთელ დღეს ქუჩაში აღამებს. თუმცა და უშლის ქუჩაში სიარულს, მაგრამ მთელ კვირას სამჭედლოში ნაგდებს შინ რაღა დააყენებს?! პოულობს ამხანაგებს, ან კოჭს თამაშობს, ან სალაობს, გუნდაობს, გამელელ ეტლს მისდევს და ჩუმად უკან უჯდება. მიაქროლებს მუქთი ეტლი ქუჩებში, უხარიან, გეგონება საკუთარიაო, სანამ არავინ მისცხებს და ჩამოაგდებს, ან თვითონ მეეტლე არ გაუგებს და მათრახით არ აუწვავს გვერდებს, თუმცა იშვიათად, რადგან ეტლის გაჩერებას იშვიათად ელის და გზაშივე ხტება. თუ სადმე არღანს უკრავენ, ან სათამაშოს რასმეს აჩვენებენ, მაშინ ხომ იქ არის და იქ.

საღამო ახლოვდება. ორი ცული უკვე მზად არის, მესამესაც ეს

არის, ეხლა აწრთობს მამა. მზადეეა რამდენიმე შამფური, ზედადგარი, მაშა და სხვა რაღაც წვრილმანი: რაზა, კოპაკი, ანჯამა. აი, მთელი იმათი აეკლადიდება და ხელოვნება.

მიხია ფიქრებშია. ზეგ ახალი წელიწადია, მოდი და ნუ გაიხარებს. — რაც უნდა იყოს, მაინც სხვა დღეებს სჯობია, მდიდარს დღარიბს ყველას რამე აქვს; ყველა ცდილობს ამ დღეს კარგი საჭმელ-სასმელი იქონიოს და ახალი ტანისამოსი ჩაიცვას, — დაგვეკვებება და მთელი წელიწადი ასე გვექნებაო. ახალწლისაგან სასწაულს ელიან ღარიბები, თორემ მდიდრებისათვის ხომ სულ ახალი წელიწადია!

მიხიაც მიელის რაღასაც: სჯერა, რომ ერთ ქალიან კამფეტს მაინც მიულოცავს ეინმე, ერთ ჩურჩხელის ნატეხს! აი, მამაც გაჰყიდის ცულებს, შამფურებს — წვადისათვის დასჭირდებათ ახალწელიწადს, იქნება ორიოდე გირვანქა ნიგოზი და თაფლი იყიდოს! გოზინაყი გააკეთონ, იქნება კამფეტებიც იყიდოს! სხვა კი ეელარაფერი გაბედა ეოცნება, არც იყო ნაირ-ნაირ, მაზამაზა საჭმელებს. ხილს დაჩვეული. თუ არ დაითრო მამა, ყველაფერი გვექნება და თუ დაითრო, მაშინ კი უნდა გამოვეთხოვოთ ყველას. უეჭველია, მამა ღორის ხორცსაც იყიდის და რბილ პურსაც. მოხარშავენ ეხა და პელო, მოსწვნეეენ მსუქან წვენს, ჩააბუებუეებენ შიგ პურს და ჭერიი!

გოზინაყს პელო მოხარშავს, თაფლითაც ის დააბერებს ახალწელიწად დილას. დიდს, ძალიან დიდს ლუკმას ამოუწობს თაფლში, რომ ორ-სამ ლუკმად ძლივს შესჭამოს და თაფლი სულ ექცეოდეს.

— რას დააყენე ე საბერეელი, შე ოჯახდასაქცეო?! დაუბერე რაღა, მოვრჩეთ და მოვისვენოთ, რომ ხვალ გავიტანო, გაეყიდო და ოქვენი საცეცხლი რამე ვიყიდო. ჰაა, დაგეძინა?!

მიხია შიშით შეხტა, საბერველს ისევ საჩქაროდ სტაცა ხელი და დაუწყო აქეთ-იქით რწევა. აქშუვლდა ისევ საბერეელი, გახურდა ცეცხლი, ალმა ჰერქვეშ აიტანა წვერი, აგერ თან აჰყვა დაბრაწული გოზინაყი, კამფეტები, ღორის ხორცი, რბილი პური... ჯერ თეთრ-ყვითლად ბრწყინავდნენ, მერე თეთრ ფერფლებად იქცნენ, ზოგი ჰერს მიეკრა, იქ სხვებთან კოპებზედ მოიკალათა, ზოგი აბლაბუდაზედ შეჯდა და ქანაობა დაიწყო, ზოგი კარში გაიპარა და ქარს გაჰყვა, სადღაც საიდუმლო ქვეყანაში სათამაშოდ და სასრიალოდ, ზო-

გი ისევ ძირს ჩამოცვივდა, მიწაზედ გაიტყლაპა, ზოგი საბერველზედ დასკუპდა, ზოგი ანჯამებს მიეკრა, ზოგიც თაროებზედ დასკუპდა, აგერ წამოვიდა ფარფატით ერთი მიხიასკენ, ხან მაღლა აიწევს, ხან დაეშვება, თითქო მიხიასი ეშინიანო, მერე წინ ქოჩორზედ დააჯდა და თმებზედ ამაყად გამოიკიმა.

უბერავს მიხია და თან თვალი ამ თეთრ ფერფლზედ რჩება. ხომ პაწაწაა, მაგრამ როცა უცებ აიხედავს, რაღაც დიდ ფრინველად ეჩვენება. მერე თანდათან ილევა, პეპელას ტოლი ხდება და ბოლოს კი ძლივსღა მოსჩანს.

— მომშორდი რაღა, რა თვალებში მელანდები, თქვენგანა მაქვს თავი სავსე! — გაიბერტყა ქოჩორი მიხიამ. გაქრა ფერფლი, გაქრა გოზინაყ-კამფეტები, დარჩა საბერველი, დაყინული ფეხები, გალურჯებული ცხვირი — დაიღალა.

ეჰ, მალე მაინც მორჩეს მამა.

* * *

მეორე დღეს შუადღე იქნებოდა, როცა მამამ ორი გირვანქა ღორის ხორცი და ხუთი თუ ექვსი გირვანქა პური უყიდა და გაატანა მიხიას სახლში. თუმცა იმერული თაფლი ორ შაურ ნახევრად იყიდებოდა, — აბა ქართლულს საამაოდ ვინ გაბდიდა, გირვანქა ხუთ შაურად ფასობდა!.. მაგრამ კარგუას მაინც ავიწყდებოდა თაფლის ყიდვა.

— წამო, პატარა დავლიოთ რამე, თაფლს მერე იყიდი, — ეუბნებოდნენ მეზობელი მეჭედლები. ჩავიდნენ და შეაყოლეს.

მიხიას და პელოს არ გაჰკვირვებიათ მამის საქციელი. პირველად ხომ არ იყო, რომ ასე იქცეოდა, ხორცი ხვალისთვის შეინახეს და რბილ პურს კი მადიანად შეექცნენ.

[1908 წ.]

# ქორის ბახალა

ამის დედას ბუდე ერთ ბებერ მუხის წვერში ჰქონდა. ეს მუხა ძალიან მაღლა იდგა — უხვედრ, მიუვალ მთის ფერდოზედ.

ორივენი, მუხაც და ქორიც, თავისუფლების მოყვარულნი იყვნენ. ქორს თავის დღეში ტყვეობა და მონობა არ ეცადნა. ლაღად დანავარდობდა მთაში და ბარში. ხან კაკაბსა და როჭოს იჭერდა, ხან ქედანსა სდევნიდა, ხან სოფლად ჩამოუვარდებოდა და მაშინ უნდა გენახათ, დედაკაცების ჭყვირილი და „ჰაი, ჰუი!“

ის კი ან მსუქან დედალს მიათრევდა, ან დაჩიორავებულ ვარიას და თუ გაუჭირდებოდა, არც მყვირალა მამალს იწუნებდა. ჯერ თავს უტეხდა, რომ ხმა გაეწყვეტინებინა, ტვინსა სჭამდა და მერე მკერდიდან იწყობდა გლეჯას და წიწკნას. ბუმბულს და ფრთებს ბდღვნიდა და ქარს ატანდა, ხორცს კი თავისი წვეტიანი და ბასრი ნისკარტით ღონივრად გლეჯდა და ხარბად ჰყლაპავდა; თან ბრჭყალებით მაგრა დაებღუჯა.

მისი წესი იყო: რაც კლანჭებში ჩაუვარდებოდა, აღარ გაეშვა. აბრიალებდა ცეცხლივით ყვითელ თვალებს და მუდამ მზად იყო სცემოდა, ვინც კი შეეცილებოდა ნანადირევს, გინდ ფრინველთა მეფე არწივი ყოფილიყო, გინდ ქარიშხალზე სწრაფი და მედგარი შავარდენი.

— რამდენი ხნისაა ეს ქორი? — იძახდნენ გლეხები, — რაც თავი

გვახსოვს, სულ ასე დადის და ქათმებს გვტაცებს, არ იქნა, ვერავინ მოკლა ე ტიალი. ძალიან იღბლიანია ე წყეული!

— ერთხელ მივეპარე და თოფის ლულა თითქმის ზედ მივადე,— იძახდა ერთი, — დავსხლიტე, ფალიამ აიარა, მაგრამ როცა ქორი გაფრინდა, თოფი მაშინღა გავარდა.

— ალბათ არ ეწერა ღვთისაგან, — სთქვა ამოოხვრით მეორემ.

ქორი კი თანდათან უფრო და უფრო თამამდებოდა: ეზოდან კი არა, თვით სახლის დერეფნებიდანაც მიჰყვანდა ქათმები, საბძლებში უხტებოდა და ხან ბოსლიდგანაც გამოუყვანია ჭყვირილითა. ნამეტნავად მაშინ ხდებოდა ონავარი, როცა ბარტყები ჰყვანდა, არავის ეპუებოდა, თვალწინიდან იტაცებდა დღეში რამდენჯერმე.

— გაგვაცია, გაგვაჩანაგა მაგ დაღუპულმა! — ბუზღუნებდნენ და ოხრავდნენ ქალები.

* * *

არც მუხას ეცადნა ცულის ძალა, არ იცოდა რა იყო კაცის ხელი. უხსოვარ დროიდან იდგა იქ დახავსებული, დაღრეჯილი. თვითონაც კი აღარ ახსოვდა თავისი წარსული, ვინ მოიტანა აქ ამ თვალუწვდომელ კლდის თავზე, ვინ ჩათესა ამ ქვასა და ქვიშაში?! გრძელ ჭალარა წარბებივით ჩამოფხუტოდა ტოტებიდან მწვანე, ან ნისლისფერი, ერთმანეთზე ასხმული და აჩონჩხლილი ხავსი.

საკვირველი იყო ეს ხავსი. ხან დროთა ბრუნვისგან დაჩაჩანაკებულ — სიკვდილმიუკარებელ გრძნეულთა წვერს მოგაგონებდა, ხან გაფარჩხულს არწივის კლანჭებს, ერთმანეთში გადახლართულთ, ხან ნაზად ნაქსოვ პეპლების მხრებს, ან ფრთების მსგავს ჩადუნის ფოთოლს, ხან ყინვისგან ფანჯრის შუშებზე გამოხატულ საოცნებო სურათებს, ხან პატარა ჩიტების პაწია ბრჭყალებს და მთლად კი, მუხის წვერიდან დედამიწამდე, საოცრად ასხმულ და აკინძულს საოცნებო არწიის გორგალს, თვალაუწვდომელ სიმაღლიდან ძირს დამპალ ფოთლებამდე ჩამოშლილსა.

იდგა მუხა აქ და თვალმოუშორებლად ჩასცქეროდა ჭალას. ვერც კი წარმოედგინა, თუ იმ ჩაღრმავებულ, ჩავარდნილ და სულშეხუ-

თულ ხეობაში შეიძლებოდა სიცოცხლე და ბედნიერება. რა აძლებინებთ, რომ არ იხრჩობიანო, ფიქრობდა გაკვირვებული.

იდგა ასე მუხა მრავალ ათისა და ასი წლის განმავლობაში. ორ წელიწადში ერთხელ მოისხამდა მრგვალ ჯამებში ჩამსხდარ გრძელ რკოებს, შემოდგომით ჩამოჰყრიდა ძირს ჯერ რკოებს და მერე ზემოდან აფარებდა მსუქანს და სქელ ფოთლებს. ეს იყო და ეს იმისი ზრუნვა მომავალი თაობისთვის.

ძირს კი ან გარეული ღორი ჩიჩქნიდა ფოთლებს და ჭკვნეტდა რკოს, ან ჯაფარა ჰქექავდა, პოულობდა და ნისკარტით უხვრეტდა გვერდს, თაგვი აგროვებდა და ციყვს მაღლა ხის ღრუში აჰქონდა ზამთრის საზრდოდ.

— აქ, ამ მუხის წვერზე, გააკეთა ლურჯმა ქორმა ბუდე. კაცის ხმა, სოფლის ხმაურობა და ჭაჭყანი თვითონაც ეჯავრებოდა და არც შვილებისათვის სურდა ქვეყნის განგაშისთვის შეეჩვევინებინა ყური. ველურად იზრდებოდნენ იმისი შვილებიც. ქარის საზარელი ღრიალი, არწივის ყეფა და შავარდენის კივილი ნანად ესმოდათ. ჩანჩქართა ხუილი, ზვავების ქუხილი და დაგორებული ლოდების გრიალი სიმღერას ეტყოდნენ.

ისხდნენ ისინიც ორნი, ჯერ ისევ თაგვებივით გინგლიანი და ყვითელ პირს აღებდნენ. როცა დედის ნაცნობი მხრების ხმა მოესმოდათ, შორიდანვე სცნობდნენ, თავს მაღლა იღებდნენ და წიწინით ეგებებოდნენ. უგლეჯდა დედაც ნისკარტით თავის ნანადირევს და ყელში უდებდა.

— ჭამეთ, შვილებო, ჭამეთ! გაიზარდეთ და დიდი ქორები გახდით, დედის გასახარებლად. შენ გატყობ, თვალყვითელავ, რომ კაი ბიჭი გამოხვალ, ღირსეული ჩამომავალი სახელოვანი მამა-პაპისა. დაგყვა, შვილო, ნისკარტი ალმასი, კლანჭები გრძელი და წვეტიანი, თვალი ცეცხლისა და მხრები ქარისა. გაიზრდები, შვილო, გაფრინდები. ეს ამოდენა მთა და ჭალა-მინდორი სულ შენ ხელთ იქნება. სდიე კაკბებს და ტყის ქათმებსა, სინსილა გაუწყე ქათამ-ინდაურებსა, ვისაც მოერიო, გაუშრე სისხლი, მარჯვე გამოხვალ და ღონიერი.

უგდებდნენ ყურს ბახალებიც, თრთოდნენ და ნისკარტს აკაპუნებდნენ. იმათ არ იცოდნენ, რას უამბობდა დედა: ვინ უნდა დაეჭირათ, ან ვინ უნდა შეეჭამათ, ვისთვის უნდა ედევნათ და სინსილა

გაეწყოთ, ან ვის სისხლს უქებდა, რომ თბილ-თბილი ასეთი საამურიაო.

დედა კი განაგრძობდა:

— ჩემო ბიჭუნიავ, რომ იცოდე, რა გემრიელია თბილ-თბილი სისხლი ფრინველისა, როცა ჯერ ისევ ცოცხალს ჰგლეჯ და ჰყლაპავ! რა საამურია, როცა მეხივით დაეცემი ეზოში გაშლილ ქათმებს! რა წიოკობა და ვაივაგლახი შეუდგებათ ხოლმე! უნდა ეცადო, ხელად აიტაცო და თავს უშველო, თორემ თუ კაცმა მოგასწრო, უნდა გამოეთხოვო სიცოცხლეს; ის ჭკვიანია და სასტიკი, ჩვენზე უფრო მოსისხლე და დაუნდობელია! ერიდეთ, შვილო, კაცსა!

• • •

ასე გადიოდა დრო. ქორის ბახალებს გინგლი ლეგა ბუმბულად გადაექცათ, დაფრთიანდნენ და პატარა ქორები დახდნენ, ამაყი, გულადი და შეუპოვრები. ეხლა საჭმელს დედას პირიდან სტაცებდნენ და თვითონვე ინაწილებდნენ. ბუდეში ძლივსღა ეტეოდნენ და გული გასაფრენად უწუხდათ. ამათაც მოუვლიდათ ხოლმე ჟინი, როცა სხვა ფრინველებს ჰხედავდნენ ცის უფსკრულში მცურავთ, თრთოდნენ და კანკალებდნენ.

უკვე მეორე დღე იყო; დედამ ვეღარაფერი მოუტანა, მუდამ ხელცარიელი ბრუნდებოდა. ბახალებიც მოუთმენლად ელოდნენ და თვალ-ყური დედის გზისაკენ ეჭირათ. მაგრამ მეორე დღესაც ხელცარიელი დაბრუნდა დედა.

— გავაბეზრე, შვილო, სოფელი, გავწყვიტე ქათმის სინსილა, გაფრთხილდნენ, მდარაჯობენ. რამდენიც დავეცი ქათამს, იმდენჯერ კეტებით და თოფებით მდიეს. კიდევ კარგი, რომ ცოცხალმა გამოვასწარი. მეტი ღონე არ არის, უნდა დღესაც მოითმინოთ, ხვალ კიდევ ვცდი, იქნება სხვაგან ვინადირო.

— ვინა გდევნიდა, დედა? ვინ გიპირობდა მოკვლას? რადა? რით გააჯავრე სოფელი? — ჰკითხავდა თვალყვითელა. — აი, დედა, ჩვენ ამდენი ხანია აქა ვართ და ჩვენთვის ხმაც არავის გაუცია, რაღა შენ გაგიმტერდა სოფელი?

— თუ მოგაგნოთ კაცმა, არც თქვენ დაგინდობთ, ხელად წაგგლეჯავთ კისრებს, ან უფსკრულში გადაგიძახებთ, ან ქვებზედ კვერცხი-

ვით გაგეჭეჭყავთ. ავია კაცი, შვილო, ამიტომ გავიკეთე ასე მიუდგომელ და უხვედრ ადგილას ბუდე. თუ იპოვა კაცმა ჩემი ბუდე, მაშინვე ჩამოშლის, თქვენ მიწაზე ჩამოგყრით, დაგადგავთ ფეხებს და იტყვის: „გაწყდით, თქვე გველის წიწილებო, თქვენც დედათქვენისავით მოსისხლენი და მტაცებლები გამოხვალთ! დაგსრესავთ და წელებს გადმოგადენთ. „ერთი ქორით მაინც ნაკლები იქნებაო!" გულს გაიკეთებს.

ბახალა კი შიშითა და სიბრაზით თრთოდა და კანკალებდა:

— რა დაეუშავეთ კაცს, რად უნდა დაგვხოცოს?

გავიდა მესამე დღეც. სიმშილმა ბახალები ძალიან შეაწუხა. უკვე ბუდიდან გადმოვარდნას აპირებდნენ, როცა დედის მხრების ნაცნობი შხუილი მოესმათ, სიხარულით წიწინი მორთეს და ბუდეში წამოიყაყვნენ.

დედა ნანადირევით ბრუნდებოდა, კლანჭებით დაებღუჯა და მოჰქონდა. ბახალები სიხარულით მხრებს ატყაპუნებდნენ. დედა უფრო და უფრო ახლოვდებოდა.

მაგრამ უცებ რაღაც საზარელი ხმა მოესმათ. ვიღაც კვნესოდა და გმინავდა. ეს ხმა გულში არწივის ბრჭყალებივით ხვდებოდათ და გულს უხუთავდათ. ბახალები ერთმანეთს მიეკვრნენ და სმენად გადაიქცნენ.

რამდენადაც დედა ბუდეს უახლოვდებოდა, კვნესა თანდათან უფრო და უფრო მკაფიოდ და გარკვევით ისმოდა.

ალბათ ვინმე თავგასრესილი, წელებგადმოდენილი სულს ებრძოდა! ბახალები მოიბუზნენ, ბუდეში ჩაძვრნენ.

კვნესა აქვე, ამათ გვერდზედ ისმოდა, ოჰ, აქ იყო ის მოსისხლე, ამათ რომ შიშის ერუანტელსა ჰგვრიდა.

— თვალყვითელავ! აბა ყური დაუგდე, — ეუბნებოდა ჩურჩულით ლეგა, — ვინა კვნესის ისა? მე შენ მეგონე, თვალყვითელავ, ეთქვი, მოვიდა კაცი-მეთქი, ჩამოანგრია ჩვენი ბუდე, ჩვენ ძირს ჩამოგვყარა, შენ ფეხით შეგდგა და გისრესავს თავსა! ოჰ, მადლობა ღმერთს, რომ აქა ხარ ცოცხალი! აბა, კარგად დაუგდე ყური! ალბათ აქვე სადმე კაცმა დაიჭირა ვინმე და ჰკლავს, აი, აქვე ყურში ჩაგვკვნესის! დედა მაინც მოვიდეს ჩქარა: ის მოგვეხმარება, არ მისცემს კაცს ნებას, რომ ჩვენ თავები დაგვისრისოს, არა?!

ბახალებს თავები ბუდეში ჩაეყოთ და ერთმანეთს მიჰკვროდნენ.

— რას ჩამძვრალხართ ბუდეში, თქვე ლაჩრებო, თქვენა? ვინ შეგაშინათ? იქნება შავარდენმა დაუხულუზნა კაკაბს და იმისმა მხრების ჭექამ თქვენ გულები დაგიხეთქათ?! იქნება არწივი მეხივით დაატყდა კურდღელს, ან შველს, აქვე, თქვენს თვალწინ გაგლიჯა და თქვენ კი ურცხვად ლაჩრებივით თავებს ბუდეში იფარავთ?! ან იქნება ლაყუნა სვავმა თავზედ გადაგიარათ და იმისმა ჩრდილმა შეგაშინათ?! ან იქნება სიმშილს ვეღარ გაუძელით და ძილს მიეცით თავი?! ხომ არ დაიხოცეთ, გაახილეთ თვალი!

ბახალებმა ახლაღა გაახილეს თვალი და გახარებულნი, დედის ხმისაგან გამხნევებულნი, ბუდიდგან ამოძვრნენ.

ქორს ერთი დედა მტრედი დაებღუჯა კლანჭებით, ბუდის პირთან იჯდა და ცეცხლისმფრქვეველ თვალებით მისჩერებოდა ლაჩარ შვილებს.

— აბა, აი, მოგიტანეთ ვახშამი! კაი ხანი იმარხულეთ, მაგრამ მეც კი კაი ვახშამი მოგიტანეთ. ცოტა კი არ ვეწვალე ამის დაჭერაზედ. ესეც თავისი ბარტყებისათვის მინდორში გორველასა და ცერცველას აგროვებდა. დიდხანს ვიჯექი წიფლის ფოთლებში ჩასაფრებული და ველოდი. ამან უკვე ორიგზობა წაუღო შვილებს საჭმელი და მე კი იქვე ვიჯექ გაქვავებული. მესამედ რომ დაბრუნდა, უკვე არხეინად იყო, აღარ ეშინოდა და აღარც ფრთხილობდა. წეღანდელივით აქეთ-იქით აღარ იხედებოდა და აღარ ფრთხებოდა. მეც დრო შევურჩიე და როცა ის ცერცვლის პარკს ებრძოდა, დავეცი ქარიშხალივით და წამოვიყვანე. არ მოკვდა აქამდე და მეც თავი აღარ გავუტეხე, მინდოდა ცოცხალი გენახათ და თქვენ თვითონ მოგეკლათ. აი, როგორ კვნესის. მოდით და ჩამომართვით. მოდი, შვილო თვალყვითელავ, შენ უფრო ყოჩაღი სჩანხარ შენს დაზე, მაგრამ მარტო კი არ შეჭამო. მაგასაც უწილე!

მტრედი კი კვნესოდა და სულთმობრძავი ჰფეთქავდა. წითელი ნისკარტი განიერად გაეღო, თავი გვერდზე გადაეგდო და მძიმე-მძიმედ სუნთქავდა. ოქროსფერ მკერდზე წითელი ლალივით სისხლის წვეთები მოგორავდნენ და ბუდეში ცვიოდნენ.

თვალყვითელა მოიბუზა და ბუდის შორეულ კუთხეში მიიყუჟა.

მტრედი კი კვნესოდა და თან ყელში ხრიალებდა. თავზარდაცემული ლეგა ბუდეში ჩაძვრა და სული განაბა.

— მოდი, შვილო, წაიყვანეთ და შეჭამეთ, — უძახდა ქორი, — მოდით, თუ გეშინიანთ, ამ საათში სულს გავაფრთხობინებ. რას გიზამთ, სულთმობრძავია, რამ გაგაქვავათ? დაბრმავდით, თუ დაყრუვდით? ჰა, დაიჭით! — და ქორმა მომაკვდავი მტრედი შვილებს ზედ მიუგდო.

მომაკვდავი მტრედი თავდაყირა ბახალებს შუა ჩავარდა. სადა ჰქონდა გაფრენის ან განძრევის თავი, უკანასკნელად ჰფეთქავდა.

თავზარდაცემული ქორის ბახლები კი თანდათან ბუდიდან მაღლა მიფოფხავდნენ, არ უნდოდათ, რომ მტრედს შეჰხებოდნენ, ან კიდევ თვალით დაენახათ.

დედა ქორი კი იჯდა ბუდის პირზედ გაქვავებულივით, სისხლიანი კლანჭებით და სიბრაზით კანკალებდა.

— გავეცალოთ აქაურობას, ლეგავ, — წასჩურჩულა აკანკალებული ხმით თვალყვითელამ.

— წავიდეთ, წავიდეთ, თვალყვითელო! არ მინდა ასეთი ცხოვრება!

ცოტა ხნის შემდეგ და და ძმა ბუდის პირზედ ისხდნენ, ფრთებს ისწორებდნენ და ხარბი თვალით გასცქეროდნენ ცისქვეშეთს, თავისუფლებით და ბედნიერებით სავსეს. გაშალეს მხრები... მსუბუქმა ნიავმა შეისვა ფრთებზედ ახალგაზრდა ქორები და თვალის სისწრაფით გააქანა ჯერ უცნობ წუთისოფელში.

— სად მიჰფრინავთ, სადა, თქვე სულელნო?! — მისძახოდა გაშმაგებული დედა.

[1908 წ.]

# ერთი თავხედი თაგვის ამბავი

— ბზი! ბზი! სულთამხუთავო! რას შემომცქერი შენის მოსისხლე თვალებითა? აბა, ამოდი, თუ კაი ბიჭი ხარ! საქმე ეგ კი არ არის, რომ ძირს მოგვასწრობ ხოლმე და მზეს დაგვიბნელებ, შენ თვითონ მზედასაბნელებელო, შენა! ამოდი რაღა, თუ კაი ბიჭი ხარ, რა კუდსა ხლაკნი და სიმსუნაგით ღნავი!

ასე აჯავრებდა მარანში ჩამოკიდებულ მსხლების ჯაგანზედ მჯდომი თაგუნია ციცას, თან უკანა ფეხებზედ დაყუნტებულიყო, ულვაშები გაებზიკა, წინა თათებს ერთმანეთს უსვამდა და დაცინვით მალმალ ცალ თვალს ხუჭავდა. — ამოდი, რაღა, ჩიჩია არ მოგინდა, მომარხულე ქალბატონო?!

ციცა კი გამწარებით კნაოდა, სცდილობდა როგორმე შემხტარიყო მაღლა და გაებაწრა ი თავხედი ქურდბაცაცა.

— დაიცადე, შე თავხედო, თუ ჩემი პატრონის მსხლების შეჭმა შეგარჩინო, თავზედ ქუდი აღარ მეხუროს და თქვენი მასხარა გაეხდე!

რაკი ვერაფერს გახდა, კატამ მოთმინებას თავი მისცა. იქვე ძირს წამოწვა და თვალები მოკრუტა, ხანდახან ცალ თვალს ახელდა და თაგვს ზვერავდა.

თაგვი კი თამამად ხრავდა მსხალს და ქერქის ნამცეცებს კატას

თავზედ აყრიდა. კატა კიდევ, იობის მოთმინებით აღჭურვილი, სულგრძელობით იტანდა ამ გაწბილებას, იწვა და ელოდა: „ერთხელაც იქნება, ძირს ჩამობრძანდები, ქალბატონო, სულ მანდ ვერ იჯდები, შენისთანა თავხედების ბოლო კარგად ვიცი“, — ამბობდა გუნებაში ციცა.

თაგვი კი არხეინად იჯდა და ტკბილ მსხალს ხრავდა და ხრავდა. ზოგი სულ გამოეღრუტნა, ცარიელი ქერქიღა ეკიდა, ზოგი ნახევრად გამოეხრა, ზოგისთვის ყუნწი მოეჭამა და ასეთი მსხალი ძირს ჩამოვარდნილიყო. ერთი სიტყვით, ჯაგნებისათვის ძალიან ცუდი დღე დაეყენებინა.

უცებ ერთი ყუნწმოჭრილი მსხალი ბზრიალით წამოვიდა ძირს და არხეინად მწოლარე კატას ზედ თავზედ დაეცა.

ვინ იცის, რა ეგონა საწყალ ციცას: სახლის დანგრევა, ღვთის რისხვა, თუ ძაღლების თავდასხმა, ისეთი ფხუკუნით წამოხტა ბეწვაშლილი, კუდაფხორილი.

— მიაუუ! მიაუუ! — დაიღნავლა შეშინებულმა კატამ და თან საომრად მოემზადა.

— ჰა, ჰა, ჰა, — იცინოდა ზევიდან თაგვი, — რაო, სისხლისმსმელო, რამ დაგიფრთხო ძილი? მოისვენე, ძილს ნუ დაიფრთხობ!

ამის შემდეგ კიდევ კარგა ხანს მოისმოდა გახარებული თაგვის ხითხითი, ასე რომ, იმის ხმაზედ მეორე კუნჭულში სხვა წრუწუნამაც გამოყო ცხვირი და ულვაშები, უნდოდა გაეგო მხიარულების მიზეზი, მაგრამ უცებ უზარმაზარ მხეცს მოჰკრა თვალი და, ელდანაკრავივით, სოროს ეცა. ჭრიჭინაც გამომძვრალიყო თავის ექვსი ფეხით და ულვაშებზედ ხელს ისვამდა.

— რა იყო, რა მოხდა, მეზობელო? — მეზობელი ძალიან მხიარული იყო და ჭრიჭინასათვის ყურადღებაც არ მიუქცევია.

კატამ მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მტერი არსად სჩანდა, მხოლოდ ძირს ყუნწმოჭმული მსხალი გორავდა, და მაღლა კი თაგვი იცინოდა. კატამ, ვითომ აქ არაფერიაო, ცოტა მიიარ-მოიარა, მივიდა და ისევ თავის ადგილზე დაწვა.

— დაიცა, წრუწუნავ, მსხლებსა ჰყრი, ვითომ უნდა გული გამი-

ხეთქო, მაგრამ შენც ბოლოს მაგ მსხლებთან ერთად აქ ჩამობრძანდები. ვიქონიოთ მოთმინება!

ასე გადიოდა ხანი. კატა მხოლოდ ცოტა ხნობით დგებოდა, ისიც მაშინ, თუ სადმე ფიცრებს და გოდრებს უკან თაგვები დაიწყებდნენ ფხაკუნს. გამოჰყავდა გაბაწრული თაგუნია, ჯერ გაუშვებდა, მისცემდა ნებას გაქცეულიყო, მერე ერთის ნახტომით ისევ იჭერდა და თათებით ბღუჯავდა. თავხედი თაგუნა თუმცა ამ დროს ჯაგანზედ იჯდა, მაგრამ რომ მოესმოდა გაბაწრული მოძმის წრუწუნი, მსხლებში ძვრებოდა და შიშით კანკალი გაჰქონდა.

ასე გადიოდა დღეები.

თაგვმა თითქმის სულ შეჭამა მთელი ჯაგანი, მხოლოდ ერთიღა ეკიდა.

— ერთი თუ ამ გათავებისას კიდევ არ დაგაფეთიანე, კატუნა, რაღა ბიჭი ვარ, — სთქვა წრუწუნამ და გრძელ ულვაშში ჩაეცინა. თვალწინ წარმოუდგა შეშინებული კატუნია როგორ ფხუკუნით წამოვარდებოდა.

ჩააცხრა წრუწუნა ამ ერთადერთ მსხალსაც: „მოვხრავ ყუნწს, ჩავარდება და მაშინ ნახე სეირი!“ — ზედ შესკუპდა, თან თვალი ციცასკენ ეჭირა, როდის დაეძინებოდა.

კატა წევს, თავი მოუმძინარებია, ხანდახან ცალი თვალით მაღლა შეიცქირება.

— ეს ერთი მსხალიღა აბია, — ფიქრობს ცია, — თაგვი ზედა ზის და თავს უხრავს. აჰა, თუ რა მოგვიდეს; სულელო, დაიცა ვნახოთ, ბოლოს ვინ გაიცინებს.

თაგვი კი დიდ სიამოვნებაშია. თან ტკბილის მსხლით პირს იგემრიელებს, თან ყუნწსა ხრავს, რომ კატას თავი გაუტეხოს...

უცებ რაღაც მოხდა. ჭერი მაღლა-მაღლა წავიდა, მსხალი ხელიდან გაეშვა, ორივენი სადღაც მიფრინავენ. ვაი უბედურებავ, ის სისხლისმსმელი კატა საცაა თაგვთან ახტება, ისე ახლო გამოჩნდა! თაგვს შიშით თვალთ დაუბნელდა. აგერ მსხალი იქით გაგორდა, თაგვი კი კატას ზედ ზურგზედ დაახტა.

— მიაუუ! — დაიჩხავლა საზარლად ციცუნამ და წამოვარდა ზეზე.

წრუწუნაც მალე მოვიდა გონებაზედ და ეცა მარნის კედლებს, შაგრამ არც ციცას ეძინა, ერთის ნახტომით წრუწუნა უკვე კლანჭებში მოიგდო და, ვითომ და აქ არაფერიაო, არხეინად გამოსწია თავის საწოლისაკენ.

საწყალ თაგუნას თვალები გადმოჰკარკლოდა, მხოლოდ კუდზე შეატყობდი, რომ კიდევ ცოცხალი იყო, რადგან ჭიაყელასავით იკლაკნებოდა.

— კარგა გამიტეხა თავი! — იძახდა ციცუნა, — გული არ გამიტეხია ამ წრუწუნამ!

[1909 წ.]

# როგორ მოიშორა ხველა-სურდო ბიძინამ

„თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა-ჩიორამაო ჯაგვში ბუდე ჩადგაო". ჩადგა წყალი და ახლა როგორა! ჰკრა ზენა ქარმა ლელმა და აქამდე თეთრად მოელვარე მცივანა თოვლი უცებ რაღაც სახიდან შეიშალა, ფერი გაულურჯდა, შუშის მსგავსი გახდა, დასველდა, ძირში წყალი ჩაუგუბდა, თვითონაც თანდათან წყალში ჩაყრილ შაქარივით დნობა იწყო და ბოლოს სულ სადღაც გაიპარა. წყალმა კი, ზოგმა მიწაში გაიარა, ზოგი გუბეებში ჩადგა, მომეტებულმა გუბეებიდგან გადახეთქა და გველივით კლაკნით დაბლობისკენ გასწია, იქ სხვა ამხანაგს შეხვდა და გათამამებულმა, ცოტა ხნის შემდეგ, როცა ბექზე გადაეშვა, სიმღერაც შემოსძახა.

კარმიდამო და ქუჩებიც გაშრა. გაშრა და გაეხარდათ პატარა გოგო-ბიჭებსაც, აქამდე რომ სიცივის შიშით ჩიტის ბარტყებივით სახლებში იყვნენ შეყუჟულები, მალე ისევ ერთმანეთი იპოვეს დობილ-ძმობილებმა; მთელი საათობით ხან ბურთაობდნენ, ხან სალაობდნენ, ხან კოჭაობდნენ. არ დაგიდევდნენ, რომელი ვაჟების სათამაშო იყო და რომელი ქალებისა.

სკოლიდან დაბრუნებული ბიძინაც სულ ამათთან ირთმევდა სულსა.

— მოდი სახლში, ბიჭო, ხომ ხედავ მზე ჩავიდა, ყინვა გამოუშვა,—უძახდა ბიძინას დედა, — არ გამიცივდე, ავად არ გამიხდე და

ცეცხლზე წყალი არ დამისხა. ხომ ჰხედავ, ისევ ზამთარია, შემოდი სახლში!

მაგრამ თამაშობით გატაცებულ ბიძინას აინუნშიაც არ მოსდიოდა დედის დარიგება. გაწითლებულ-გაოფლიანებული ბურთს ხან ისროდა, ხან დასაჭერად დასდევდა, ხან მიჯნაზედ გარბოდა.

— გაათავეთ, ბიჭო! — უძახდა შეწუხებული დედა. — ცუდი მოარულები დაიარება, არ გამიცივდე, არ დამლუპო.

— ემ საათში, დედა, ემ საათში, აი საცაა გამოვათავებთ! — ეძახის მხიარულად ბიძინა, მაგრამ იქვე ბიჭები კოჭსა თამაშობდნენ და გახურებულ-გაოფლიანებული ახლა იმათ დაადგა თავზე და დაუწყო კოჭის ყრას ცქერა. ცოტა ხნის შემდეგ სიცივე იგრძნო: ითმინა, ითმინა ბიძინამ, მაგრამ როცა სიცივემ ცხვირი და ყურები საკმაოდ აუწვა, ვეღარ მოითმინა და მოკურცხლა სახლისაკენ.

— ახლა კი შემცივდა, დედა, — სთქვა დაღრეჯით ბიძინამ, ძაან აცივდა, ქარი ამოვარდა.

შუაღამე იქნებოდა, როცა ბიძინას გამოეღვიძა. ყელი ეწოდა, ცხვირში უჭერდა. ოჰ! ოჰ! ახველებს ბიძინა. თან ყელში უღიტინებს რაღაცა და სულის ქცევას უშლის. ოჰ! ოჰ! ოჰ! ახველებს, რაც ძალი და ღონე აქვს, ცდილობს ამოატანოს ნახველს, ი რაღაც რომ ეცობა ყელში.

— აი, დამიდგა თვალები! ამას ხომ სიცხე აქვს! ახლა ამშენებია ოჯახი! — ამბობს შეშინებული დედა, — აკი გითხარი, შე უსამართლოვ, ნუ თამაშობ, გაცივდები-მეთქი, კი ვერაფერს შეგასმენს კაცი და! — დედამ ჩაიხუტა გულში თავისი ბიძინა და თბილად დახურა, მაგრამ ხველამ მაინც რამდენჯერმე გამოაღვიძა! მეორე დღეს ბარემ დედა არ მგზავნიდა ბიძინას სკოლაში, მაგრამ იმან არა ქნა, ხველასურდომ უნდა სწავლას მომაცდინოსო?

გავიდა რამდენიმე დღე და ბიძინას ხველამ უფრო უმატა. ახლა სულ აქლოშინებდა, ცხვირი გაუწითლდა, ცინგლს წამდაუწუმ ცხვირსახოცით იწმენდდა. მასწავლებელს ეთქვა: მეავე და მლაშე რამე არა სჭამო, დედას უთხარ, ოფლი მოგადინოსო. დედამ ტკბილი წამალი დაალევინა, ოფლის ჩაიც ასვა, მაგრამ ბიძინამ საბანი არ დაიყენა, ოფლი არ დაისრულა. დედამ აღარ იცოდა, რითი ეშველა.

— იცი, დედა, — გამოეხმაურა დედას ბიძინას მოზრდილი და დარიკო, როცა ბიძინას მეავე საჭმლის შემდეგ ახველა და ახვე-

ლა, — ბიძინას თავს დედოფალი შემოვავლოთ, უეჭველად უშველის, აგერ ვარდოს ეგრე არ მოაშორეს ხველა-სურდო!

— თუ კი უშველის რასმე, რაღას ელი, ადექი და ააშენე დედოფალი.

დარიკო ხელად დაფაცურდა. ბიძინასაც გააგებინა თავისი განზრახვა, ორივენი ხალისიანად შეუდგნენ საქმეს. დარიკომ ხელად შეკრა ჩხირების ჯვარი და მოჰყვა დედოფლის აშენებას. ჯვარს ირგვლივ სუფთა ნაკუწები შემოახვია და მერე თავი თეთრის ჩვრით შეუკრა, თეთრი სახე ჯვარედინად შავის ძაფით გადაუკრა თვალებისა და წარბების მაგივრად, მერე კაბა დაუჭრა და შეუკერა; სარტყელგულისპირით გამოკვანწა, თავზედ ლეჩაქის ნაგლეჯი დაჰხურა, ყელზედ წვრილი მძივის ღარადე დაჰკიდა, მხრებზედ ჭრელი ნაჭერი წამოასხა შალის მაგივრად.

— საღამო მშვიდობისა, ქალბატონო! აბა, როგორ მშვიდობით გიკითხოთ თქვენი შვილებითა? — აქნევდა თავს დედოფალი, ვითომ სალამს აძლევსო და თან იმის მაგივრად დედას ეკითხებოდა დარია ქალი.

— საგზალი არ უნდა გამომიცხოთ? წასვლა მინდა, ნულარ დამაგვიანებთ, გრძელი გზა მაქვს გასავლელი.

— ემ საათში, ქაჯან, ემ საათში! ცოტა ხანს მოითმინე, დაბრძანდი, სანამ ჩვენ პურსა და ნაზუქს გამოვაცხობდეთ, — უპასუხებდა თვითონვე დარიკო.

ბიძინა კი შორი-ახლოდან ცალის თვალით გადმოსცქეროდა, დარიკოც გაჩქარებით ჯამში პატარა ცომსა ჰზელავდა. როცა დარიკომ შაურიანისტოლი კვერების გუნდები ამოიღო და თხელება დაუწყო, ბიძინას გულმა ვეღარ მოუთმინა.

— მეც გიშველი, დარია! გუნდებს ამოვიღებ, გავათხელებ!

— მოდი და მიშველე, თუკი მიშველი, რაღას ზიხარ?

ჰაიდა უნდა გენახათ, ჩვენი ხაბაზები რა გულიანად აკრავდნენ ფეჩის გვერდებზედ პატარა კვეკვერებს!

— ოჰ, ოჰ! აბა, უყურე, როგორ დაიბრაწნენ, დედი, აბა. შეჰხედე, თითქო ნამდვილი ნაზუქებიაო. — ეძახდნენ გახარებული ბიძინა და დარია დედასა — ორი ცხრა ნაზუქი და ერთი ცხრა პური, არ გეყოფა დედოფალო?

— თქვენ კი გაიხარეთ და ზიდვა არ უნდა? როგორ ვზიდო მაგდენი ნამცხვარი?

გამოეცხოთ აგრეთვე წვრილი გახვრეტილი კვეკვერებიც, რომლებიც ძაფზე ასხმული დედოფალს ყელზედ დაჰკიდეს.

— ესენი, ქაჯან, შენის დებისათვის მოგინდება!

მალე ჭრელი ჩვრის ხურჯინიც გაჩნდა. ჩაულაგეს ორი ცხრა ნაზუქი, ერთი ცხრა პური, ოთხი წყვილი ლავაში, შაქარი, კამფეტები, ჩურჩხელის ნატეხი და რამდენიმე მარცვალი ჩამიჩი. გატენილი ხურჯინი დედოფალს მხარზედ გადაჰკიდეს. ახლა კი დროა წაბრძანდე.

დედოფალი რაღაც უგუნებოდ იყო. არც მადლობას ეუბნებოდა, არც ემშვიდობებოდა.

— მოდი, ბიძინ, ჯერ თავზე შემოგავლო, რომ შენი ხველა-სურდო ამას გაჰყვეს და მერე გავისტუმროთ.

„სურდო მეწვია ხადილად,
რა გაუკეთო სადილად?!
არკალი, ბარკალი,
სამი თაგვის ბარკალი.
მაგრა შევკარ, შევაპიპე,
შაესა ძაღლსა გადავკიდე,
ძაღლი ხიდზე გამივარდა,
სურდო წყალში ჩამივარდა“.

ამბობდა დინჯად დარიკო ხველა-სურდოს ლოცვას და თან ბიძინას თავზედ დედოფალს ავლებდა.

ასე გაიმეორა სამჯერ. როცა ეს ცერემონია გაათავა, წაიყვანეს მხარზედ ხურჯინაკიდებული დედოფალი და ქუჩის პირად ერთ ღობეზედ შესვეს.

— აქა ბრძანდებოდე, დედოფალო, სანამ ვინმე წაგიყვანდეს.

ბარემ ბევრი მეზობლის ბიჭი შესცქეროდა სიმსუნაგით დედოფლის საგძლიან ხურჯინს, მაგრამ თან ფახაკი ჰქონდათ, ვაი თუ წავიყვანოთ და ამის სურდოც ჩვენ გაგვყვესო.

იმ ღამეს ბიძინამ ოფლის ჩაი დალია, თბილად დაიხურა, ოფლი მოიდინა და მეორე დღეს ჩიტივით წამოხტა.

ასე მოიშორა ბიძინამ თავიდან ხველა-სურდო.

[1900 წ.]

# გულკეთილი ლოკოკინა

დაცხა. რქიანი ლეგო ლოკოკინა შეიკეტა თავის ციხე-დარბაზში, ამოიქოლა კარები და განსვენებას მისცა თავი.

თავს უშიშრად გრძნობდა ჩვენი გმირი, თუმცა მტერი ათასობითა ჰყავს. აი, თუნდა წრუწუნა, — რამდენი უარა, სუნა, კბილითა ჰხრა, გადააგორ-გადმოაგორა, მაგრამ ვერაფერს გამორჩა და გაანება თავი. მუცელტიტველა ყიყინამაც მოჰხვია თათები, მოუჭირა კბილები, ჩაყო შიგ თავისი გრძელი ენა, მაინც ვერა ისუსნა რა. ორიოდე დიდი ნერწყვი ჩაყლაპა და ხელცარიელი მოშორდა.

— ჰაი, თუ კარში მოგასწრობ, შე თხუპნია შენა! შე წირპლიანო, მუდამ რომ დუჟი გდის, შემძვრალხარ კირის ციხეში, დაგიკეტია კარები! ნეტა, შემეძლოს აგიტანო ჰაერში, დაგანარცხო იქიდან დიდ ქვაზედ და დაგამსხვრიო! მაშინაც დაიმალები?!

ბევრიც რომ ეთქვა საწყინო, რქიანი ბიჭი არც ისე სულელი იყო, ამისთანა ბრიყვის ლაპარაკისათვის ყური ეგდო, ან საჩხუბრად გამოსულიყო და თავი საფრთხეში ჩაეგდო.

— იყიყინე, რამდენიც გნებავდეს, ვირისაგან წიხლი ვის ეტკინება. ნუ სცდები, თქვენებს ქორწილი აქვთ, გეძახიან, გნებავს კი გამოვიდე და გადამსანსლო?!

გაწბილებული ყიყინა წამოჯდა იქვე, სთვლემდა, თვალებს უგემურად ჰხუჭავდა, ხანდახან კი ლოკოკინისაკენ გადიხედავდა, —

ხომ არ გაბრიყვდა და კარში არ გამოეიდაო. მაგრამ ლოკოკინას რომ ჩიტებისა, ბაყაყისა და სხვა მტრებისაც არ ჰშინებოდა, მაინც ამ სიცხე-პაპანაქებაში რა გამოიყვანდა კარში!

— რა გიჟი ვარ, ამ ცხრათვალა მზეში კარში ვეტრუპო. რწყილიც კი ვერსად დაიმალება და, აბა, მე რომ გამოვჩნდე, მგონი იმდენი მტერი დამესიოს, ვერც კი დავითვალო. ვის არ უყვარს ჩემი რბილი, უძვლო ხორცი, მერე მე რომ გაქცევა ვიცი! ღმერთმა დალოცოს ბნელი, ნამიანი ღამე. ისე დავსრიალებ ნამიან ბალახზედ, როგორც თევზი წყალში. რა გემრიელია დანამულ ბალახისა, მეტადრე კომბოსტოსი, სალათასი და ჭარხლის ფოთლები!

დაიძინა და, სანამ მზე არ ჩავიდა და სანამ ლოკოკინას ციხე ღამით ნამმა არ გააცია და ლოკოკინას ზურგში არ ულიტინა, აღარ გამოჰღვიძებია.

• • •

დაღამდა. ლოკოკინას თვალების დამწველი მზე ქვეყნის მეორე მხარეს მოეფარა. ჰაერში სიგრილე ჩამოვარდა. ფოთლები, ბალახები, საგნები დაინამა. ლოკოკინას ბუდეც გაგრილდა და შიგ მჯდომმაც კარში მდგომი სინესტე და სიგრილე თავის ნაზის კანით იგრძნო, გამოიღვიძა და კარში გამოსასვლელად მოემზადა. ბნელი ციხიდან ჯერ ერთი რქა გამოჰყო. აქეთ-იქით ატრიალებდა, მაღლა იღებდა, ძირსა ჰხრიდა, თითქოს რაღაცასაც სინჯავსო, ერთი ბეწვა ხმაურობაზედ უცებ კრუნჩხავდა და სადღაც ჰმალავდა. მერე მეორეც მოაყოლა და თან თავიც სანახევროდ გამოაჩინა; ამ რქების წვერებზედ რგვალი შავი წერტილებივით ჰქონდა რაღაცა, ეს იმისი თვალები იყო.

კარში ბნელოდა. მხოლოდ ცაზედ ცეცხლის მოციმციმე ნაპერწკალივით ვარსკვლავები მოფენილიყო. უჰ, რამდენი იყო, ვინ დასთვლიდა! ზოგი სხვილი, ზოგი წვრილი. დარი კარგი იდგა და მხიარულად იყვნენ. საშიშო კი არა სჩანდა რა. მხოლოდ შორიდან ბაყაყების გაუთავებელი ყიყინი ისმოდა. ეტყობოდა, ძალიან მხიარულად იყვნენ და ხალხმრავლად. ამ ყიყინს რაღა თავს გაართმევდა ბულ-

ბულის ტკბილი გალობა. კალიებიც იქაქებოდნენ, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ.

ლოკოკინა გამოძვრა თავის ციხიდან, მაგრამ იქვე კი არ გაანება თავი. ზურგით ღობისქვეშიდან გამოიტანა და მწვანილების კვალში დააგორა. სახლის ახლო ყოფნა საჭირო იყო, — ხიფათის დროს ადვილად მოასწრობდა შიგ დამალვას და, აბა, ღობეს ქვეშ რომ გაეშვა კი, სანამ იქ მივიდოდა, მტერი უკვე ხელთ იგდებდა.

საჭმელი ბევრი იყო. მწვანილის კელები სავსე ჩანდა ქორფა სალათითა და ჭარხლის ტკბილი ფოთლებით. მიდიოდა, უფრო კი შიფორთხავდა რქიანი ბიჭი და თან გზას დუქით ჰფენდა, ალბათ ეშინოდა, უკან დასაბრუნი გზა არ შეშლოდა და ადვილადაც ეხოხნა ლიპ გზაზედ. მეორე დღეს იმისი ნავალი მზეს გაეშრო და ვერცხლივით ბრჭყვინავდა.

იმ ღამეს ძალიან დრო გაატარა, ხელის შემშლელი არავინა ჰყვანდა. თუ გაიჩუჩუნებდა რამე, მაშინვე იბღუნძებოდა და დასორსლილ ტალახის გუნდას უფრო ემსგავსებოდა, ვიდრე ცოცხალ არსებასა. შიშის ქარი რომ გაუელიდა, ისევ ნელ-ნელა იშლებოდა და იწყებდა ქორფა ფოთლების სისნას.

მთელი ღამე ერთი ფოთლიდან მეორეზე გადადიოდა, შიგ ქუჩში უძვრებოდა თავშეხვეულ სალათას და კომბოსტოს თავებს.

გათენდა. დარი იყო, ცხელი დღე დგებოდა. ლოკოკინაც გაძღა, სინათლემაც შეაშინა და თავის ციხისაკენ გასწია. ეჩქარებოდა ძალიან: მზეში გზა გაშრება და, ვითომ თევზი უწყლოდ დარჩომილა, მოჰკლავს სიხმო.

მზემ ნამი უკვე სანახევროდ ააშრო, როცა ლოკოკინა თავის ციხე-ქალაქთან მიფოფხდა.

— ოჰ! ოჰ! რა ცხელა. რა ძალიან დავიღალე, გული შემიღონდა, ლამის სისხლი თავში ამივარდეს! შენ გენაცვალე, ჩემო ბაბილონის გოდოლო! აბა, როგორა ხარ? მადლობა ღმერთს, რომ მთელი და უვნებელი დამხვდი! — ლოკოკინა აიყაყვა, კისერი წაძაგრა, რქები აფშიკა და ის იყო უნდა თავი შაეყო კარებში, რომ უცებ ლოკოკინას ბუდე შეინძრა, ტოკვა იწყო.

ლოკოკინა შიშით მოიკრუნჩხა, რქები კისერში ჩაიძვრინა და თავი მხრებში; აქამდე გრძლად გაჭიმული, ახლა ტალახის ბურთს

დაემსგავსა. დაბრმავდა და დაყრუვდა, სუნგალი გაწყვიტა, გატვრინდა, სული განაბა. ყოველ წამს თავდასხმას ელოდა; ნამდვილად ვიღაცა ზის ციხეში, უთუოდ ჩემს მოსვლას ელოდაო. თან მზეც აცხუნებდა, ზურგს უშრობდა, გულს უღონებდა; პირში ნერწყვი გაუშრა. ასე ელოდა რამდენსამე ხანსა. ბოლოს რაკი სიცხემ საქმე გაუჭირა, გაბედა თვალის გახელა, — ჯერ ერთი რქა გამოჰყო და ცალი თვალით გადაჰხედა ნიჟარას, იქიდანაც ამ დროს ორი შავი ულვაში გამოჩნდა, ლოკოკინა კანკალმა აიტანა. ორი ულვაში თანდათან დაგრძელდა და ორი ფეხიც გამოჩნდა.

— ვინა ხარ? რა სულიერი ხარ? ვინ შესულხარ ჩემს სახლში და აღარ მანებებ ჩემ საკუთრებას? ვინა ხარ? მოკეთე თუ გზაარეული მგზავრი, ან ჩემს შესაჭმელად მოსული მტერი? გამოდი, დამიცალე, რომ სიცხეს თავი გადავარჩინო. მზემ ლამის დამწვას და შენ შესულხარ და მანდ მოგიკალათნია. ვინა ხარ? — წრიპინებდა გულგახეთქილი ლოკოკინა.

ორ ულვაშაც ეტყობოდა ქოშიმანაში იყო. თუმცა ხმა საზარელი მხეცისას არა ჰგავდა, მაინც, სახლის პატრონის დაუკითხავად შესული უხერხულად ჰგრძნობდა თავსა. ლოკოკინამ გაათავა თუ არა ყვირილი, ულვაშების პატრონიც მოჰყვა და ნიჟარიდან გადმოხტა შავი შავჩოხა ბიჭი, შავად მორთული შავი ცხენითა. ლოკოკინას წინ გამოიჭიმა და ბოდიშის მოხდა იწყო.

— უკაცრავად, მეზობელო, რომ შეგაწუხე, არ ვიცოდი, თუ თქვენი სახლი იყო. მე ცარიელი და თავმინებებული მეგონა. იმიტომ გავკადნიერდი და დროებით შიგ თავი შევაფარე. ვინ აგიშენა, რაინდო, ეს ამისთანა ციხე-ქალაქი? უეჭველია, მამაპაპათაგან დაგრჩებოდა სამკვიდროდ? ნეტავი შენ, რომ ამისთანა მიუვალი ციხე-სიმაგრე გაქვს. შენ აქ მტერი რას დაგაკლებს, შეხვალ, დაჰკეტავ კარებს, მერე რამდენიც უნდა კბილები იმტვრიონ, რას დაგაკლებენ?

ნუ დამძრახავ, ჩემო კარგო! ხომ იცი, გაუჭირებლად კაცი კაცს არ შეაწუხებს. მოგეხსენება, სული ტკბილია და ყველას ცხოვრება გვინდა. შენ, ჩემო ძმაო, თუ ღამე გამოდიხარ საშოვარზედ, სამაგიეროდ ახლოვე მაგისთანა სიმაგრე გაქვს, სადაც გაჭირვების დროს თავს შეაფარებ. მე კი ღამეც და დღეც მუდამ წამს საფრთხე მომელის, ადვილად ჩავვარდები მტრის ხელში. აი, დილას აქ მწვანილებ-

ში დავხტოდი და საზრდოს ვეძებდი. თან ჩემ სიმღერას ვამბობდი და ქვეყანას ვართობდი.

უდარდელი კაცი ვარ, მიყვარს ცის ქვეშეთი, დღე და მზის შუქზედ ყოფნა, ხტუნვა და მღერა. ამისთანა მშვენიერ ქვეყანას უცქეროდეს კაცი და მოიწყინოს? ვიხაროთ, სანამ ველი მწვანედ ღაღანებს, ტყეები ფოთლითა და ნაყოფით დატვირთულა, სანამ ზამთარი არ მოსულა და სიცივეს ძვლები არ მოუკრუნჩხავს. ჰო, იმას ვამბობდი: უცებ ციდან შავი ღრუბელივით რაღაც წამოვიდა და ხახვის კვალში ჩაეშვა. საწყალი ხახვები შიშით და იმის სიმძიმით სულ მიწაზედ დაეგნენ. ბე შიშით გული გამისკდა, ძლიეს მოვასწარ ბალახებში გადახტომა. დამინახა იმ წყეულმა და გამომეკიდა. აბა, სად დავემალებოდი, რომ ეს დალოცვილი შენი სახლი აქვე ახლო არ შემხვედროდა. ვეცი დაუკითხავად, შევედი შიგ და სულ უკანა კედელს მივეკარ. მოვიდა ის წყეულიც და დაიწყო შიგ ცალის თვალით ჭყეტა. პირში ერთი ჩემი გვარის კაცი ეპირა. ისე ხელად სად მოასწრო და დაიპირა იმ წყეულმა?!

საცოდავი კიდევ ანძრევდა ულვაშებს და ცალფეხს ჰფშეკდა. ნისკარტით ეს ამოდენა ციხე-სიმაგრე ყირამალა გადმოატრიალა, ყოველ მხრიდან სინჯა, უკაკუნა და, რაკი ვერაფერი დააკლო, რაღაც წაიბურტყუნა და წავიდა.

— კვლავაც მინახავს, შოშიას ეძახიან, დიდი მოსისხლე მტერია ჩვენი გვარისა. თავის შვილებს მომეტებულად ჩემისთანა მგალობელ ჭრიჭინებით ჰკვებავს და კალიებითა. ალბათ თვითონაც იმიტომ გაშავებულა და საძაგელი გამხდარა. აბა, ერთი გენაცვალე, მიიხედ-მოიხედე, აქ ახლომახლო არსად იყოს, გამოვძვრე, სახლი დაგიცალო, თორემ, როგორც ვატყობ, უქეიფოდა ხარ, როგორღაც სიცხიანსა გევხარ, თავის ანთება არ დაგემართოს.

საწყალს ლოკოკინას ჯერ სულ მზისგან სული კბილით ეპირა, ისე გაეშრო და სული შაეხუთა, ახლა შოშიის ხსენებაზედ მთლად კანკალმა აიტანა, საცოდავად მოიბღუნძა, ხმა მიუწყდა.

— იყავ, რავქნა, თუ გეშინიან, რაც მომივა — ბომივა, თუმცა ახლომახლო არავინა სჩანს, მაგრამ „ძმა ძმისთვისა ამ დღისთვისაო", უთქვამთ.—უთხრა ხმამიკმენდილმა ლოკოკინამ და თან ფოთოლქვეშ ძვრებოდა, რომ ტიტველი ზურგი მზის სხივებისაგან როგორმე დაეფარა.

— არა, ძმაო, სთქვა ჭრიჭინამ, შენ შენს თავს პირდაპირ ხიფათში აგდებ ჩემის გულისათვის და მე შენს სახლში ვიჯდე? აქვე რომ ათი შოშია იყოს, მაინც გამოვალ. აბა, გენაცვა, მიბძანდი ჩრდილში, მე ისეც დიდი ამაგი დამდე და პატივი მეცი.

და შავმა ბიჭმა თავის შავ ცხენს, შავ უნაგირიანს შავი მათრახი გადაჰკრა და შავ ტყეს მისცა თავი. თან სამადლობელი ჩააწკრიალა.

[1909 წ.]

# შენიშვნები

### ავტობიოგრაფიიდან (გვ. 5)

ეს ავტობიოგრაფიის ნაწყვეტი თედო რაზიკაშვილმა ეტყობა 1906—1908 წლებში დაწერა. იმ დროს, როცა თავს აფარებდა ფშავს.

პირველად გამოქვეყნდა სოლ. ყუბანეიშვილის წიგნში „ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე" 1940 წ. გვ. 241—248.

### მონადირე (გვ. 18)

გამოქვეყნებულია 1903 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 12, გვ. 29.

### წყალი მოვიპარეთ (გვ. 28)

დაიბეჭდა 1903 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 3, გვ. 5.
ქვესათაური: (სოსანას ნაამბობი).

### ხავსი (გვ. 28)

დაიბეჭდა 1904 წ. საუმაწვილო კრებულ „მერცხალში", № 1, გვ. 45.

### ნაკადული (გვ. 32)

პირველად დაიბეჭდა 1905 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მზ.), № 3, გვ. 129.

### რა მოუვიდა ხიმსუნაგით ბაციკა-ბატკანს (გვ. 36)

პირველად გამოქვეყნდა 1905 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 4, გვ. 10.

### გაზაფხულის სუნი (გვ. 42)

დაბეჭდილია 1905 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მზ.), № 7, გვ. 345.
ქვესათაური: (სურათი).

1905 წელს „ნაკადულში" დაბეჭდილ ნაწერების ბიბლიოგრაფიაში, რომელიც დაბეჭდილია 1905 წ. „ნაკადულში", ეს მოთხრობა შეცდომით აღნიშნულია რუსულიდან თარგმნილად (გვ. 76).

### როგორ გაჩნდნენ ხოხბები (გვ. 47)

პირველად დაიბეჭდა 1905 წ. ჟურნალ „ნაკადულში", № 8, გვ. 427.
ქვესათაური: (ზღაპარი).

ამ მოთხრობის შესახებ „ნაკადულის" რედაქტორი მ. დემერია თედოს სწერდა, „ცენზურასთან დიდი ჩხუბი დაგვჭირდა, რომ „ხოხბები" გაეშვაო (იხ. წერილები თ. რაზიკაშვილისადმი, კ. მარქსის სახელობის საქ. სახ. საჯარო ბიბლიოთეკის შრომები, III, 1937 წ. გვ. 186).

### ბუს ფეხი (გვ. 54)

დაბეჭდილია 1905 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მზ.), № 11, გვ. 591.

ცენზურის თვალის ასახვევად ქვესათაურად ავტორს მიუწერია: (გურული ლეგენდა).

ალბათ ეს მოთხრობა აქვს „ნაკადულის" რედაქტორს მხედველობაში, როდესაც თედოს ატყობინებს: „თქვენი ახალი გამოგზავნილი „ლეგენდა" მშვენიერია, მაგრამ ვშიშობთ, ცენზორი ისეთი საზიზღარი გვყავს, რომ არ გაუშვებს."

### მომგებიანი საქმე (გვ. 67)

პირველად დაიბეჭდა 1906 წ. ჟურნ. „ჯეჯილში", № 1.
ქვესათაური: გასართობი.

### ცასწავალამ როგორ მოიხვეჭა სახელი (გვ. 72)

პირველად გამოქვეყნდა 1906 წ. ჟურნალ „ნაკადულში", № 6, გვ. 5.

### მიხო და მწვანე კალია (გვ. 70)

დაბეჭდილია 1906 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მც.), № 9, გვ. 5. № 10, გვ. 8.

### ხანთელი (გვ. 89)

პირველად დაიბეჭდა 1906 წ. გაზ. „იმერეთში", № 13.
ქვესათაური: (ზღაპარი).

### ჭრიჭინა (გვ. 98)

პირველად დაიბეჭდა 1906 წ. ჟურნალ „ნაკადულში", № 9, გვ. 3.

### მუხა გაზაფხულზე (გვ. 105)

პირველად გამოქვეყნდა 1906 წ. ჟურნალ „ნაკადულში", (მზ.) № 10 გვ. 10.

### მკვეხარა პავლია (გვ. 111)

დაიბეჭდა 1906 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მც.) № 19, გვ. 6.

### მოვლენ! მოვლენ! (გვ. 120)

პირველად გამოქვეყნდა 1907 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მზ.), № 1, გვ. 15.

დაწერილია არა უგვიანეს 1906 წლისა, რადგანაც დაბეჭდილია 1907 წლის იანვრის ნომერში.

### გულადი მამლაყინწას ამბავი (გვ. 129)

გამოქვეყნებულია 1907 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მც.), № 3, გვ. 6.

### მოარული ქუდი (გვ. 130)

დაიბეჭდა 1907 წ. ჟურნალ „ნაკადულის" (მც.) აგვისტოს ნომერში (16), გვ. 5.

### შერიგდნენ (გვ. 145)

დაბეჭდილია 1907 წ. ჟურნალ „ჯეჯილში", № 9, გვ. 11.

### პირველი ხაშოვარი (გვ. 150)

დაიბეჭდა 1907 წ. ჟურნალ „ნაკადულში" (მზ.), № 9, გვ. 6.
ქვესათაური: ფუტკრების ცხოვრებიდან.

### რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ (გვ. 158)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურის მუზეუმი (ქვემოდ დასახელებული. იქნება: ლიტმუზეუმი), № 12270, გვ. 111, დაბეჭდილია 1908 წ. ჟურნ. „ნაკადულში" (მც.) № 2, გვ. 14.
ხელნაწერს უზის თარიღი 1908 წ.

### ზღაპარი ღორისა, იმისი ხუთი გოჭისა და მგლისა (გვ. 165)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, ლიტმუზეუმი, № 12270, ფ. 64. პირველად დაიბეჭდება 1908 წ. „ნაკადულში", (მც.) № 8, გვ. 11.
ქვესათაური: ხალხური.
ეს ზღაპარი ავტორს მოთავსებული აქვს თავის ორიგინალურ მოთხრობათა შორის.

### ბეკეკასი და მელიას ამბავი (გვ. 170)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, ლიტმუზეუმი, № 12270, გვ. 17, დასაწყისი ფანქრითაა დაწერილი. თარიღი აქვს 1908 წ. 10 იანვარი. დაბეჭდილია 1908 წ. ჟურნ. „ჯეჯილში", № 2, გვ. 3.

### ერთი ციყვის თავგადასავალი (გვ. 184)

პირველად დაიბეჭდა 1908 წ. ჟურნალ „ნაკადულში", (მც.) № 5, გვ. 4.

### „მეც გავძელ და ჩემი სტუმარიცაო!" (გვ. 188.)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, ლიტმუზეუმი, № 12270, გვ. 73; პირველად დაიბეჭდა 1908 წ. „ნაკადულში", № 13.
ქვესათაური: (ხალხური).

### ძაღლის ჭკუა (გვ. 102)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, ლიტმუზეუმი, № 12270, გვ. 68; პირველად დაიბეჭდა 1908 წ. ჟურნ. „ნაკადულში“ (მზ), № 10, გვ. 5.

ქვესათაური: (ნამდვილი შემთხვევა).

ხელნაწერში: „ჩემს სიცოცხლეში ცოფიანისთანა არაფრისა მშინებია“-ს შემდეგ იკითხება: „რადგან პატარაობიდანვე დედაჩემი სულ ცოფიანებზედ გვიამბობდა ხოლმე, თუ სად ვინ დაგლიჯა, ან სად ვინ გაცოფებულიყო. თვით დედაჩემის ძმა ცოფიან მგელს დაეგლიჯა, გაცოფებულიყო და ისე მომკვდარიყო. დედაჩემს, ჯერ ისევ გასათხოვარს, ენახა ამ მდგომარეობაში და რომ აგვიწერდა ხოლმე იმის საცოდაობას, ეხლაც ტანში ჟრუანტელი მიკლის ხოლმე“.

### სამკედლოში (გვ. 180)

დაბეჭდილია 1909 წ. ჟურნალ „ნაკადულში“ (მც.), № 1, გვ. 6.

დაწერილია არაუგვიანეს 1908 წლისა, რადგანაც დაბეჭდილია ჟურნალის იანვრის პირველ ნომერში.

### ქორის ბახალა (გვ. 202)

ხელნაწერი: შავი ავტოგრაფი, ლიტმუზეუმი, № 12270, გვ. 3, ბოლო ნაწილი დაწერილია მელნით, დანარჩენი — შავი ფანქრით. დაიბეჭდა კრებულ „გრდემლში“, წიგნი I, 1912 წ. გვ. 63.

ეს მოთხრობა პირველად დაიბეჭდა 1908 წელს ჟურნალ „ნიაგში“ კ. თუმანიშვილის რედაქტორობით. ამავე ჟურნალშია დაბეჭდილი თედოს ლექსი „ახალ თაობას“, მაგრამ დასახელებული ჟურნალი არ გამოსულა, ცენზურამ აკრძალა. შემდეგში ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოების საბჭომ გადაწყვიტა გამოეცა სალიტერატურო კრებული „გრდემლი“. „ნიაგში“ დაბეჭდილი მასალები გადმოეცა „გრდემლის“ რედაქციას. რედაქციამ შეარჩია მასალები და თედოს სთხოვა ნებართვა „ქორის ბახალის“ დაბეჭდვისათვის. თანაც, ია ეკალაძე, ვინც ამ საქმეს თაოსნობდა, თედოს სთხოვდა, თუ ახალი რამა გაქვთ, ისიც გამოგვიგზავნეთო (წერილები, გვ. 191). ეტყობა, თედოს სხვა მასალა არ წარუდგენია.

### ერთი თავხედი თაგვის ამბავი (გვ. 210)

დაიბეჭდა 1909 წ. ჟურნალ „ნაკადულში“ (მც.), № 8, გვ. 5.

### როგორ მოიშორა ხველა-სურდო ბიძინამ (გვ. 214)

პირველად გამოქვეყნდა 1909 წ. ჟურნალ „ნაკადულში“ (მც.),№ 14, გვ. 4.

### გულკეთილი ლოკოკინა (გვ. 218)

დაბეჭდილია 1909 წ. ჟურნალ „ნაკადულში“ (მც.) № 20, გვ. 5.

# ლ ე ქ ს ი კ ო ნ ი

ლექსიკონის მასალები ძირითადად ამოკრებილია „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონიდან“ (ტ. I—VIII). ამას გარდა ივ. ქ ე შ ი კ ა შ ვ ი ლ ი ს ნაშრომიდან „თედო რაზიკაშვილისა და ბაჩანას თხზულებათა ლექსიკა“ (აღნიშნული გვაქვს ლიტერით — 1), ს ო ლ. ი ო რ დ ა ნ ი შ ვ ი ლ ი ს ლექსიკონიდან, დართული აქვს თ. რაზიკაშვილის საბაეშვო მოთხრობების 1947 წლის გამოცემას (აღნიშნულია ლიტერით — 2) და ნიკო ჩ უ ბ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ს „ქართული ლექსიკონიდან“ (აღნიშნულია ლიტერით — 3). ულიტეროდ წარმოდგენილი მასალები ამოწერილია „განმარტებითი ლექსიკონიდან“.

თედო რაზიკაშვილს ძირითად ტექსტში და შენიშვნებში მოცემული აქვს ზოგი სიტყვის ახსნა. ავტორის ეს ნება ჩვენ დავიცავით, მაგრამ განმარტებული სიტყვები საჭიროდ მივიჩნიეთ ლექსიკონშიც შეგვეტანა შემდეგი მიზეზის გამო.

არის შემთხვევები, როდესაც ავტორს ერთ ნაწარმოებში ახსნილი სიტყვა სხვა თხზულებაში განუმარტებელი აქვს. ამიტომ მკითხველისათვის ძნელი ხდება ამ სიტყვების განმარტების თხზულებათა კრებულში ძებნა, მით უმეტეს, როგორც აღვნიშნეთ, ზოგი მათგანი ძირითად ტექსტშია შეტანილი.

ავტორის ახსნილ სიტყვებს მიწერილი აქვს (თ. რ.).

ლექსიკონში, უმრავლეს შემთხვევაში სიტყვები იმ სახითაა წარმოდგენილი, როგორც ტექსტში გვხვდება.

## ა

ბალე — აბა, ა ბ ა ლ ე ა ნ დ რ ი კ ო, აბა, ანდრიკო.

აბეშარი — მომაბეზრებელი, შემაწუხებელი, გულის გამწარილებელი, მოთმინებიდან გამომყვანი.

აბრამინი — საახალწლო „დასაბერებელი“, ტაბილეული.

აიარა ნახ. ჟიალამ აიარა.

ალიზი — გამოუწვავი აგური (თ. რ.).
ალოხხარი — ძნის გასალეწად კალოში გამოყენებული ხარი.[1]
ამოქაქანება — მცირე შესვენება.[1]
ამოხმა — საამო ხმა, სასიამოვნო, საამური ხმა[1].
არაუანმოხდილი — ნაღებმოხდილი.[1]
არახჩინი — თხელი ქსოვილის საშინაო ქუდი, ფესის მაგვარი.
არეი — თეთრქერქიანი ხე საშუალო ტანისა.
ანჯამი — კარისა და ფანჯრის ჩამოსაკიდი მოწყობილობა რკინისა.
არზანი — ხეზე დაბარდნილი თოელი, ნალექი.[1]
ასლი — სწორედ, ნამდვილად.
ასწაანიდა — მოპარვით წაართმევდა.[2]
აფორთქლებული — გული რომ ცემას დაუწყებს შიშსა და დაღლაზე.[2]
აუაუვა — იხ. ყაუვა.
აუაუული — ულამაზოდ, უშნოდ ამართული, აუდებული.[1]
აჩონჩხილი — ჩონჩხრივით აგებული.
აჩქამდა — ახმაურდა.[2]
აშინკრვა — შიშისაგან ბენეის აშლა.[1]
ახლადმოჯარებული — ახლად მოსული, ერთდროულად მოურენილი სიმრავლე[1].
აჯუღურებს — იხ. ჯუღურა.

## ბ

ბალამწარა — გარეული ტყის ბალახია, შავად მწიფდება, გემო მწარე აქვს. (თ. რ.).
ბანდული — მთაში სასიარულო ქალამანი, რომელსაც ძირები წვრილი ღეედითა აქვს დაწნული; თვით ამ ღეედს საბანდს ეძახიან. (ალ. ყაზბეგი).
ბარდანი — ხეებზე დამდგარ თოელს ეძახიან (თ. რ.).
ბაურა — ბუზზე მოზრდილი პარაზიტი მწერი, კოლოს მსგავსად პირუტყვს სწოვს სისხლს.[1]
ბაყილო — ნორჩი, მოზარდი ხე კაკლისა ან ცაცხვისა.[1]
ბაცაკა — პატარა.[1]
ბედენა — არაფერი.
ბექი — შემაღლებული ადგილი, გორაკი, რომლის ერთ-ერთი მხარეც კლდიანია, ჩამოშლილ-ჩამოზაევებულია[1].
ბეხი — სიბერისაგან დაუძლურებული.[1]
ბიბილო — ჩინჩლო (თ. რ.).
ბიგა — წვრილი მინდვრისა და ტყის თაგვი (ბაჩანა).
ბოინი — გროვა, გუნდი ფრინველების.
ბოკვი — წეერმომრგვალებული, პირმოცეთილი, ბლაგვი.
ბორა — მოზრდილი მტაცებელი ფრინველი ძერის მსგავსი.
ბორხვენა — იხ. ძირხვენა.

ბოტება — დიდ-დიდი ნაბიჯებით სიარული.
ბრაგვა — მაგარ რამეზე მძიმე სხეულის (ხმაურით) დაცემა.
ბრაწი — კლდის მცენარეა უცვეთელსა ჰგავს, იმის ტოტებისას ფშაველები რძის საწურავს ჰკრავენ (თ. რ.).
ბუბნა — ცემა, ბეგვა.
ბუერა — მრავალწლოვანი ბალახი, აქვს დიდი, მომრგვალო, გრძელყუნწიანი ფოთლები.
ბუზურა — ფუტკარზე მოზრდილი მწერია, ბუდობს უმთავრესად მიწაში; აკეთებს ფიჭას.[1]
ბუკიოტი — პატარა ბუ (საბა).
ბუკნაჭოტი — იხ. ბუკიოტი.
ბურბური — გუგუნი, ხმაური.
ბური — სიცხის დროს ჰაერში თეთრ-მონაცრისფროდ დამდგარი მტვერი, რაც ჰაერს გამჭვირვალებას უკარგავს.
ბურჯლალი — ერთდროულად გაფანტული ნაპერწკლები.[1]
ბუჭულა — კოდის წისქვილი; პატარა წისქვილი.
ბუჭა — მაგარფრთიანი მწერია საზოგადოდ.[2]
ბღლაძა — გაქცეულის ხმაურით სწრაფად შეეარდნა, შეძრომა.[1]

## გ

გაბენტერებული — გამოჩერჩეტებული, გამოთაყვანებული, გამოშტერებული.
გადამღრძვალი — ძალიან დაბერებული.
გაბოტიტნებული — განზე გაწეული ფეხებით მდგარი[1].
გაგლინდა — ნელა, შეუმჩნეველად გაცოცდა, წავიდა.[1]
გაზიდულობა — გაწვეე-გამოწვეა, წეწეა-გლეჯა.
გაიმელუზნებოდა — გაინაბებოდა, გაიტრენებოდა.
გამლიული — გალეული, დაწვრილებული.[2]
გამოქშუვლება — ქშუვილით, ხმაურით გამოქროლება.[1]
გაოგნებული — გონდაკარგული, გაბრუებული, გაშტერებული.
გარესამხარი — თავის სახლ-კარსა და სოფელს მოშორებული; სხვა მხარეს, სხვა ადგილას.
გარიელა — ერთგვარი ფრინველი ბატების ოჯახისა. „ფრინველის სახელია". (თ. რ.).
გატყვრება — გაეარდება (თოფი... მეხი) გასკდება (ყვერცხი, წაბლი).
გაულესავ-გაუქლეშავი — დაუფხეკელი, გაუსიპავი.
გაუტრიზავა — აიგდო, არაფრად ჩააგდო.
გაუქლეშავი — იხ. გაულესავ-გაუქლეშავი.
გაფიჩხება — გაყინვა, გათოშვა.
გაფხრეწა — ძლიერი, ისტერიული სიცილისაგან დაღლა.[1]
გაშლიავდა — გაირბინა.[2]
გაჩუჩუნება — გაფაჩუნება, ჩუჩუნით ამოძრავება.
გახიდვა — გარდიგარდმო დგომა, გაჩერება.[1]

**ჯერმა** — ფრინველის ტანზე ახლად ამოსული ბუმბული, გინგლი.[1]
**ჯესულნება** — სული გძლეული (თ. რ.).
**ჯეჯა** — მორი, რომელსაც გული ამოთლილი აქვს და იხმარება ცხოველების სასმელი წყლის (საკვლის) ჩასასხმელად.
**ჯიზერქნი** — გიტკეპნი, ზ ე რ გ ნ ა ტკეპნა, ქელეა ფეხით ან საზეპელით.[3]
**ჯნიასი** — დიდი ხმაური, ყვირილი. აურზაური, ყაყანი.
**ჯორველა** — სარეველა მცენარის მრგვალი და მუქი ფერის მარცვლები, რომლებიც ურევია ხოლმე ხორბლის, ქერის და სხვათა მარცვლეულში.
**ჯოროხი** — გამავრებული მიწა, ბელტი.
**ჯრძელი ვახშმობა** — შუბინდების შემდეგ საკმაოდ დიდი დრო რომ გაიელის, მასზე იტყვიან.[1]
**ჯუთანი** — გადატ. სიარულის ან ფრენის დროს ფრინველების (წეროების) მწკრივი.[1]
**ჯულგადალული** — გაბედული, პირდაპირი[2].
**ჯურგური** — გიზგიზი, ალებული ცეცხლის ხმა[1].

## ᲩᲐ

**ᲩᲐᲐᲚᲠᲫᲝᲑᲡ** — ᲩᲐᲐᲮᲠᲗᲝᲑᲡ, ᲛᲝᲚᲐᲕᲡ.
**ᲩᲐᲑᲣᲮᲣᲚᲘ** — ᲓᲐᲛᲮᲠᲐᲚᲘ, ᲒᲐᲣᲧᲘᲜᲣᲚᲘ.
**ᲩᲐᲔᲑᲚᲘᲢᲐ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ** — ᲣᲜᲔᲑᲚᲘᲗᲘᲗ ᲓᲐᲔᲮᲣᲯᲐ ᲝᲗᲐᲚᲔᲑᲘ.
**ᲩᲐᲔᲬᲕᲔᲠᲐ** — ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲐ, ᲓᲐᲔᲨᲕᲐ (ᲛᲬᲕᲔ ᲩᲐᲡᲐᲡᲔᲚᲔᲚᲐᲓ).
**ᲩᲐᲮᲔᲕᲔᲑᲐ** — ᲠᲔᲡ ᲐᲜ ᲬᲘᲡᲥᲕᲘᲚᲘᲡ ᲬᲧᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲒᲓᲔᲑᲐ, ᲒᲐᲓᲐᲨᲕᲔᲑᲐ.
**ᲩᲐᲙᲝᲠᲘᲢᲔᲑᲐ** — ᲒᲐᲮᲛᲝᲑᲐ.[1]
**ᲩᲐᲛᲐᲡᲮᲘ** — ᲭᲚᲘᲐᲕᲘᲡ ᲯᲘᲨᲘ: ᲭᲐᲜᲭᲕᲔᲠᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘ, ᲝᲚᲝᲜᲓ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲬᲧᲠᲘᲚᲘ, ᲛᲣᲥᲘ ᲚᲣᲠᲯᲘ ᲤᲔᲠᲘᲡᲐ.
**ᲩᲐᲛᲐᲚᲘ** — ᲠᲐᲘᲛᲔ ᲙᲐᲠᲒᲘᲡ (ᲡᲐᲙᲕᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗ.) ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲛᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲡᲐᲚᲔᲠᲔᲚᲘᲡ ᲐᲛᲚᲐ.
**ᲩᲐᲛᲙᲠᲐᲮᲣᲚᲘ** — ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲓᲐᲛᲬᲘᲤᲔᲑᲣᲚᲘ.
**ᲩᲐᲡᲠᲩᲐᲚᲘᲧᲝ** — ᲓᲐᲛᲓᲒᲐᲠᲘᲧᲝ (Თ. Რ.).
**ᲩᲐᲛᲪᲠᲝᲑᲐ** — ᲓᲐᲛᲪᲘᲠᲔᲑᲐ.
**ᲩᲐᲛᲬᲕᲐᲠᲘ** — ᲒᲐᲓᲐᲢ. ᲡᲐᲑᲠᲐᲚᲝ, ᲡᲐᲪᲝᲓᲐᲕᲘ.[1]
**ᲩᲐᲝᲡᲔᲑᲣᲚᲘ** — ᲫᲚᲘᲔᲠ ᲓᲐᲦᲐᲚᲣᲚᲘ, ᲓᲐᲭᲐᲜᲪᲣᲚᲘ, ᲛᲘᲡᲣᲚᲢᲔᲑᲣᲚᲘ.
**ᲩᲐᲠᲐᲜᲘ** — ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ, ᲡᲐᲛᲐᲚᲐᲕᲘ.[1]
**ᲩᲐᲡᲮᲡᲠᲘᲚᲘ** — ᲬᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲛᲠᲒᲕᲐᲚᲔᲑᲣᲚᲘ.
**ᲩᲐᲢᲣᲜᲢᲚᲐᲕᲔᲑᲐ** — ᲨᲔᲛᲝᲡᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘᲡᲐᲒᲐᲜ ᲓᲐᲠᲑᲘᲚᲔᲑᲐ.[1]
**ᲩᲐᲢᲣᲕᲠᲔᲑᲐ** — ᲒᲐᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ (ᲑᲔᲕᲠᲘ ᲗᲝᲤᲘ...)
**ᲩᲐᲢᲣᲕᲔᲠᲪᲐ** — ᲓᲐᲕᲣᲧᲔᲢᲐ.[1]
**ᲩᲐᲣᲙᲝᲠᲘᲢᲓᲐ.** — ᲘᲮ. ᲓᲐᲙᲝᲠᲘᲢᲔᲑᲐ.
**ᲩᲐᲣᲮᲣᲚᲣᲭᲜᲐ** — ᲩᲐᲣᲥᲠᲝᲚᲐ. ᲤᲠᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲙᲣᲛᲨᲔᲘᲗ ᲡᲬᲠᲐᲤᲐᲓ ᲓᲐᲔᲨᲕᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲔᲢᲐᲜᲐ (ᲛᲝᲡᲐᲢᲐᲪᲔᲑᲚᲐᲓ): „ᲩᲐᲣᲥᲠᲝᲚᲐ" (Თ. Რ.).
**ᲩᲐᲣᲛᲔᲜᲓᲘᲚᲘ** — ᲓᲐᲛᲨᲕᲔᲣᲚᲘ.
**ᲩᲐᲣᲣᲜᲢᲔᲑᲐ** — ᲣᲙᲐᲜᲐ ᲤᲔᲮᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲯᲓᲝᲛᲐ (ᲫᲐᲦᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲗ.), ᲓᲐᲪᲔᲪᲥᲔᲑᲐ.

დაყურსებული — გაჩუმებული, დადუმებული.
დაჩიორავებული — ჩიორასოდენად გამხდარი, ჩიორად ქცეული, — წამოზრდილი, წამოჩიტული.
დაჩალავება — ფასის დაკარგვა, დამცირება[1].
დაჭიანულან — გაესებულან, გატენილან.[2]
დაპრეხილი — ნაპირებშემომტვრეული, უსწორ-მასწორო.[1]
დაპფრაშფრაშებდა — ხმაურით ფრინავდა.
დგნალი — ხე წნორის ჯიშისა (თ. რ.).
დინდგელი — სკის შავი ცვილი.
ღო — შედღვებილი მაწვნისაგან კარაქის მოხდის შემდეგ დარჩენილი მომჟავო სითხე.
დორი — ზურგის მისაყუდებელი ან საჯდომი ბალიში.
დოსტოლრივ — პირდაპირ, გაბედულად (და სწრაფად), შეუპოვრად.[2]
დუნია — ქვეყანა, გადატ. ძალიან ბევრი, უამრავი.
დუშმანი — მტერი (ჩვეულებრივია გამოთქმაში: მტერი და დუშმანი).
დღარძი — მაგარი, ძარღვიანი, ძნელად მოსახარშავი (ხორცი).

## ე

ელაქეშად — შორი-ახლოს, ნელ-ნელა, გაუბედავად (თ. რ.).
ელდა — შიშისზარი, თავზარი, შეკრთომა; ე ლ დ ა დ ა ც ე მ უ ლ ი — ძალიან შეშინებული, თავზარდაცემული, ელდანაკრავი.
ეუუნტა — ჩაცუცქული, ჩამჯდარა, წამოსკუპული.
ეშმაკ-ცხენა — ბუზანკალი[1].
ეხი — ბუნებრივი გამოქვაბული, ნაპრალი.[1]
ეხირა — ე ხ ი რ ე ბ ა, გახირული იქნება, ერჭობა.

## ვ

ვეტრუკო — იხ. ტრუკვა.
ვეხირო — იხ. ხირება.
ვპუვინავთ — იხ. ვუვენვა.

## ზ

ზავთი — კაცის სახის გამომეტყველებას ჰქვია, რომლისგანაც მნახველი შიშსაცა გრძნობს და კაცისადმი ძალა-უნებურ პატივისცემასაც (თ. რ.); ბრისხანე, შემზარავი შესახედაობა.
ზედადგარი — რკინის სამფეხა: ქვაბისა და მისთანათა ცეცხლზე შესადგმელად.
ზედაშე — საუკეთესო ხარისხის ღვინო.
ზერქნა — იხ. გიზერქნი.
ზეხმელი — მოუკრელად, ზეზეულად გამხმარი ხე.
ზვარეს წიფელა — პირიმზითში მდგარი წიფელი.[1]
ზინათი — სიმდიდრე, ძვირფასი ნივთები, განძეულობა.
ზღვე — ბოსლის იატაკად დაგებული ხეები ან ფიცრები.

## თ

**თავგზა** — გონება, გზა-კვალი.
**თახთახი** — თრთოლა, ცახცახი, კანკალი.
**თერო** — ერთნაირი მცენარეა, კარტოფილივით ძირი აქვს, ტკბილი გემოსია. (თ. რ.).
**თოხლი** — ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ წლამდე (პირველი აპარსვიდან მეორე გაპარსვამდე).

## ი

**იაზმის, აიაზმის წყალი** — ნაკურთხი წყალი.
**იბლიტებოდა** — აცეცებდა თვალებს.[2]
**იელიანი** — იელის ტყე (თ. რ.).
**იმზღვლეოდნენ** — ჩამოიქცეოდნენ, ჩამოწვებოდნენ.
**იოხსნული** — ღარიბი, უქონელი.
**იურვა** — მზრუნველობა გამოიჩინა, იზრუნვა, მიხედა.
**იწილება** — წილებს იხილავს, იქექება.
**იკროლება** — ერეოლა მოდის, თრთის (იზმორება).

## კ

**კალმახა სოკო** — ხმელი ხის მიერ (უფრო წიფლის ხის მიერ) გვიან შემოდგომაზე ან ადრე გაზაფხულზე გამოსხმული სოკო.[1]
**კანთელი** — გარკვევით, აშკარად, ცხადად.
**კაპარჭი** — ფუტკარს რომ უკანა ფეხებით საშოვარი მოაქვს, იმ საშოვარს ასე ეძახიან (თ. რ.).
**კარუზები** — მამალი ფუტკრები (თ. რ.).
**კაუნა** — ვაზის ბწკარი რითაც იგი ჭიგოს ან მავთულს ეხვევა.[1]
**კაფია** — ხელდახელ ნათქვამი ლექსი (თ. რ.).
**კაჭრუმელა** — ძუძუთა ბატკნის საალერსო სახელი.[1]
**კაჩა** — მუხლის ძირის სადრეკი კვირისთავს ქვეშ.[3]
**კესანე** — მცენარე, რომელსაც აქვს წვრილი ცისფერი ყვავილები.
**კეტრიანი** — ხილის კანგაფუჭებული, დაშავებული, უხარისხო ნაყოფი.[1]
**კვრინჩხები** — დაბალი ტანის გაფარჩხულ-განშტოებული ეკლიანი ბუჩქები.
**კიკლოზინობა** — ტკბილეულის ჭამა, პირის ჩატკბარუნება.[1]
**კოლოკვად** — არაზუსტად, გადაკვრით, ორპოფულად.
**კინკუხი** — კლდეში, კლდიან ფერდობში გამოშვერილი დიდი ქვები, ლოდები.[1]
**კნაჭება** — მ ე ე ნ ა ჭ ე ბ ა — მეპრიანება მეპიტნაველა.[1]
**კომიჭები** — გამხმარი მიწის მომცრო გოროხები (ბელტები).
**კოპიჭნარი** — ადგილი, სადაც ბევრი მოყინული ან შემხმარი მიწაა, —

გალღობილ ნიადაგზე ადამიანის, ცხოველის, ურმის და სხვა ნავალი რომ შეხმება ან გაიყინება.
კორძი — კვანძიეთ მაგარი, გამაგრებული.
კოფხროლიაში — თავში (თ. რ.).
კრუშ-კრუში — კრუხის ხმიანობა — კრუხუნი.
კუდფოლა — რასაც გრძელბეწვიანი კუდი აქვს.[1]
კუკური — მსხვილი წვეთი.
კუნელი — მორჩილი ტანის ხე ან ბუჩქი, ეკლიანი ტოტები და მეტწილად შავი ნაყოფი აქვს.
კუნკუხო — კ უ კ უ ხ ო — თეძოს ძვლების თავი.[3] კ უ ნ უ ხ ო ზ ე ი ჯ დ ა, ჩაცუცქული იჯდა.[2]
კურხა — ყველი (თ. რ.).
კუტი — დასუსტებული, დაავარდნილი.
კუჭალი — პატარა ქადის კვერია (თ. რ.).

## ლ

ლაკუნი — რკვევით მოსიარულე, მოსეტიალე.[1]
ლახიანი — ფეხებს რომ ძლივს დაათრევს, ისეთი კაცი (ი. ჭყონია).
ლეგა — ლ ე გ ო — მუქი ნაცრისფერი.
ლელქაში — გამხმარი ნარის ან ლელის გაპენტილი ბამბისებური ნაყოფი. ქარის დაბერვაზე პაერში იშლება და მის დინებას მიჰყვება.
ლექვა — უზომოდ ჭამა, გაძღომა.[1]
ლია — გუბე.
ლიბო — საძირკვლის ზემო ნაწილი.
ლიბრი — თეთრი ლაქა თვალის გეგაზე. რომელიც რისამე ნახვის, გაგების უნარს უკარგავს.
ლილიფარა — მზესუმზირა.
ლიცლიცი — სითხით პირამდე სავსე (ჭურჭელი).
ლიპეიანი — წვიმისაგან ან ნახევრად გამდნარი თოვლისაგან ატალახებული მიწა.[1]
ლოშვა, ლ ო შ ნ ა — სველი, დორბლიანი ტუჩებითა და ენით ლოკვა[1].
ლუსუმა — ფერისცვალა, ადრეული გაზაფხულის ყვავილი.[1]

## მ

მაზა — სანატრელი, სასურველი საჭმელი. ტკბილეული[1].
მაკარი — თოფია ერთგვარი.
მარგილი — თაეწაოლილი სარი.
მართვე — ფრინველთა და მწერთა ნაშიერი.
მატიანე — ისტორიული მოვლენების ყოველწლიური ქრონოლოგიური ჩანაწერი (მ ე ლ ი ა ს მ ა ტ ი ა ნ ე — იგულისხმება მელიას თავგადასავლის ამბების შემცველი წიგნი).
მატური — საფლავზე დადგმული ქანდაკება, ძეგლი.
მაჩიტა — ბალახოვანი მცენარე. მის ფესვს აქვს სტაფილოსებური ფორმა. ფესვს ფცქვნიან და ჭამენ.[1]

მეკნაკვება — იხ. კნაკვება.
მენაც — მეც.
მეოტი — გაქცეული, ლტოლვილი.
მეჩიტია — ფრინველია, ჩიტებს ჰგავს.
მზენვია — პატარა ფრინველი წყალწყალების ოჯახისა, ცხოვრობს წყალ-სატევების მიდამოებში.
მზვარე — მზიანი, უჩრდილო ადგილი.
მიბინარებული — გაფოთლილი, მუუდრო, დადუმებული ტყე.[1]
მიზურგული — ზურგზე შემსვი.
მისამარა — გამოხატავს მუქარას: გიჯობს, გირჩევნია.
მისლიკინებდნენ — მიცურავდნენ, მისრიალებდნენ, ცურვით მიდიოდნენ.
მომწონეს — შემბედეს (თ. რ): მ ო წ ო ნ ა ვ ს — მობვდავს.
მორკალული — რკალივით მოღუნული.
მოკრუტვა — მოხუკვა.[1]
მოტირალ-ჩაშავებული — გადატ. წვიმიანი, დაღრუბლული, ბურუსიანი დღე.[1]
მოჩრიხული — მოჩიტული, მოზრდილი, წამოზრდილი.
მოჩხლართვა — ცუდად, დაუდეგრად ან სახელდახელოდ გაკეთებული (მოქსოვილი, მოწნული, შეკერილი...).
მოჯალაბე — ძვ. ბატონის ოჯახში მყოფი შინამოსამსახურე.
მრავალი — შვიდი ვარსკვლავი.[1]
მუუუკი — ძმარში ჩადებული ხორცი[3].
მურყანი — საშუალო ან მაღალი ტანის ხე არყისებრთა ოჯახისა, აქვს მომრგვალო ფოთლები, რბილი და მჩატე მერქანი.
მუღარალი — თავსაყრელი (თ. რ.).
მუში — ცაცხვის ქერქი, მუშისას თოკსა გრეხენ.[2]
მცვრევა — მცვრევას ეძახიან რთველის შემდეგ რომ ვენახში აქა-იქ ვაზებზე ყურძენი სადმე შერჩება, ან დაიბნევა, იმის ძებნას (თ. რ.).
მკადა — ყვავილი თხილისა (თ. რ.).
მკრინავი — ბულბული (თ. რ.).
მხარე — ქვეკანა (თ. რ.).

## ნ

ნაბადის გაშლა — ერთი საკენია (თ. რ.).
(ნავი — საწნახელი).
ნაკოდლები — ღერები, შეშის ნაპობები[3].
ნაოში — ხელმეორედ გადახნული, გაფხვიერებული მიწა[1]
ნარი — ეკლიანი ბალახი.
ნარისჩიტა — ნარჩიტა, პატარა ჭრელი ჩიტია, შემოღვომობით და ზამთრობით ხმელ ნარზე ჯდება და მისი თესლით იკვებება.[1]
ნასხეპი — წვრილად და გრძლად დაკრილი ხორცის ნაკერი.[1]
ნაყვერი — გახმობის მიზნით შემოკოდილი ხე.[1]
ნაური — მცირეოდენი საკმელი; ლუკმა.

ნახადი — ეისაც ან რასაც რაიმე გადახდა.
ნახორხალი — საკმლის (პერის, მკვადის) ნამტვრევები, ნატეხი.
ნოტო და ნატო — ჯგეფ-ჯგეფად, გუნდ-გუნდად.
ნოული — ბალახოვანი მცენარის ნორჩი ღერო.[1]

ო

ონავარი — მოუსვენარი, ცელქი.
ორხაო — ორმხრივ ხაოიანი (საფენი, ნოხი).
ოჩოფეხა — გრძელი ჯოხი, რომელსაც ფეხის დასადგმელი კაუჭი აქვს; ზედ შედგებიან და ისე დადიან.

ე

ეიკო — ბალახის თესლიდან ან ფესვიდან ახლად აღმოცენებული ან აღმოცენების პროცესში მყოფი ნორჩი ღერო.[1]
ეოლა — ე ო ლ ო დაბალი, წერილღეროიანი მრავალწლიანი მცენარე, ისხამს წითელი ფერის სურნელოვან გემრიელ ნაყოფს[1]. Малина. (თ. რ.).

რ

რეტი — საკონლის ბნედა (თ. რ.).
როში — საკონლისათვის მსხვილად დაფქული მარცვლეული.
როკო — მოზრდილი ფრინველი ქათმისნაირთა რიგისა.

ს

საბლოტი — ბღოტვით, ბობღვით ასასვლელი.
სადილობა — დილის პერის ჭამა (თ. რ.).
სალაობა — ერთგვარი საბავშვო თამაშობა: ბავშვები ცდილობენ წინასწარ განსაზღვრული მანძილიდან სალა (ბრტყელი ქვა) მოარტყან კოკერს და გადააგორონ იგი. თითოეული მიითვლის იმდენ ქულას, რამდენი ფეხის გაღადგმაზედაც გადააგორებს კოკერს. დამარცხებული გამარჯვებულს ზურგით ატარებს.
სალეველი — ზამთრისათვის შენახული სურსათი.
სამცვრევი — იხ. მცერეკა.
სამხარი — სადილი (თ. რ.).
საოთები — საკათი, ინდაურის მსგავსი მინდვრის ფრინველი.[2]
სახვარი — წყალში გახსნილი ქატოს, ფქვილისა და მისთანათაგან მოდულებული ფაფისებური საკმელი შინაური პირუტყვისათვის.
სახწორი — ზოდიაქოს ერთ-ერთი თანავარსკვლავედი.
სირი — ჩიტი.
სიჩხინტე — წვენის ცოტაოდენი სისუქნე.[2]
სკერტვა — ნისკარტით ცემა ფრინველებისა.[2]
სვეიობა — ხტუნეა-ხტუნვით, სკუპით სვლა.[1]

სრა — სასახლე, მეფის სადგომი.
სულ-ტკბილის განბება — სენთქვისა და მოძრაობის შეწყვეტა[1].
ხულს იღებდნენ — ჰაერსა სუნაედნენ (თ. რ.).
ხუნგალის განწყვეტა — სულის განბება, სენთქვის შეკვრა.[1]
ხხეტი — თოვლის ანახვეტი.[2]

## ტ

ტაბლა — ტაბაკზე, ხონჩაზე... დაწყობილი მისაკვლეველი, რომელიც მეკვლეს ახალწლის დილას ოჯახში მიჰქონდა.
ტატანი — ჰორიზონტი.[1]
ტელი — მშიშარა (თ. რ.)
ტიტა — ლამაზყვავილიანი ბოლქვიანი მცენარე შროშანისებრთა ოჯახისა, ყვავილი მეტწილად წითელი აქვს.
ტრუპვა — მარტოდმარტო დგომა, ყოფნა.

## უ

უბუხავს — უზრობს, უყინავს.
უგლიდა — გულს უკლავდა, ბრაზით ავსებდა.[1]
უგრეხელა — ერთწლოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა, დაბალი, რთულფოთლიანი, ჯავახეთსა და ქართლში ითესება ხარ-ძროხის საკვებად.
უერთოდ — რაიმე ხიფათის გარეშე, უვნებლად, უზარალოდ, უშედეგოდ.
უზუნდარა — ძველებური აღმოსავლური ქალთა ცეკვა.
უნიშანგეშოდ — უკვალოდ, უგზო-უკვლოდ.
უსაურო — რასაც საური (ბალიშისპირი) არა აქვს.[1]
უღელი აკვნისა — აკვნის თავისა და ბოლო რკალების შემაერთებელი ხე, რომელზეც არტახებს ამაგრებენ.
უღურს არ იტეხს. გულს არ იტეხს, იმედს არ კარგავს, უხერხულ მდგომარეობას არ იმჩნევს.
უყელა — იხ. ყელა.
უწადილო — უხალისო.
უხევს — შეძახილით უკან ახევინებს.

## ფ

ფალიამ აიარა — თოფის საპირწამლე აინთო, აიწვა.[2]
ფარატინი — ნაგლეჯი, ნაფლეთი (ძველი ქსოვილისა, ქაღალდისა...).
ფარეში — მოვლა, ხელის შეწყობა, სათეთი მოპყრობა, გაფრთხილება.
ფაფუკი — ძალიან რბილი, ნაზი.
ფახადი, ფ ა ხ ა ნ ი — შიში.

ფეშხვი — ხერხემალზე სიგრძივ გაკვეთილი საკლაკის ნახევარი.
ფოლი — დაჩეხილი, ფთილებად დაუყოფელი მატყლი.[1]
ფოშიმანი — საგონებელი.
ფრაშ-ფრაში — დიდ ფრინველთა ფრთების ქნევა და მით გამოწვეული ხმაური.

ქ

ქათიბი — ქალის ზედა ტანსაცმელი, ბეწვმოელებული.
ქარის ამოღება — მცირე ხანს შესვენება.[1]
ქარჩი — ცალპირი წერაქვი, ბრტყელი პირი აქვს (თ. რ.).
ქაფარი — აშარი (თ. რ.).
ქევხა — მდიდარი (თ. რ.).
ქერქეპელა — ქერცლი.
ქექულაობენ — იქექებიან.
ქოთობა — ხმაური.
ქოშიმანი — ყოყმანი, მოუსვენრობა.[1]
ქურცინა — თრითინა, ცოყვი.
ქურწითელი — ლოყაწითელი, გვერდებწითელი (ეაშლი და მისთ.).
ქუჩი — მთის წვრილღეროიანი წმინდა ბალახი. ქ უ ჩ ს ეძახიან აგრეთვე თავშეხვეული კომბოსტოს ფოთლებს შორის დარჩენილ ლია ადგილს.[1]

ღ

ღაზლი — მატყლის მსხვილი ძაფი.
ღარადე — მძიეისებურად ძაფზე, ბაწარზე ასხმული ხილეული ან სამკაული.[1]
ღელატუნა — მწერია ერთგვარი.
ღერღვა — დაკბენა.[1]
ღირლიტი — გულმოდგინე შინჯვა, ჩხრეკა.[1]
ღიპიანი — ეკლით შემოსილი მაღალი მცოცავი ბუჩქით დაფარული ადგილი.
ღვინპილა — მძიეისებურად ძაფზე აცმული ნიკარა, ფოლაქი, რომელსაც ცრურწმენის მიხედვით, ადამიანი, პირუტყვი უნდა დაეცვა ავი თვალისაგან.[1]
ღლანჭი — კლანჭი.
ღოღო — ახლად გაღიებული მცენარის თესლი.[1]
ღოჯი — მიწის ზევით გამოტანილი ფესვები (სიმინდისა და მისთ.).

ყ

ყადრი — ფასი, ღირებულება, დაფასება, მნიშვნელობა.
ყანაჭრია — ქალია.

**ყანდი** — სიდამპლე, დამპალი ადგილი.
**ყარტან-ყურტანი** — ეხეირო, ნაყარ-ნეყარი, ცუდ-ბადი.
**ყაყვა** — ტანის, სხეულის ელამაზოდ მაღლა აზიდვა, აწევა, გაზნექა.[1] იხ. წამოყაყვება.
**ყაჯირი** — მტაცებელი ფრინველია ერთგვარი.
**ყევარი** — ორი უღელი ხარ-კამეჩი.
**ყელვა** — გზის გადაკრა, წინ დახვედრა.[1]
**ყველიერი** — ერთგვარი მტაცებელი ფრინველი.
**ყვინტყვინტი** — იხ. ყრუნტ-ყრუნტი.
**ყინტორა** — თეროსა ჰგავს, მხოლოდ უფრო ტკბილია (თ. რ.).
**ყიყვი** — ჩიყვი.
**ყლუნტი** — ყლეპი, ყლაპი.
**ყომრალი** — მუქი, ნაცრისფერი.
**ყრანჭა** — ყანყრატო.
**ყრუნტ-ყრუნტი** — ყვავთა, წეროთა და მისთანათა ხმიანობა.
**ყურმელა** — ყ ე რ ბ ე ლ ა—ერთგვარი მრავალფეხა მოწაბლისფრო ჭია,— ფლატი, მგლის საკარცხელა.

## შ

**შაზიკული** — მორთული.
**შალშავი** — черешка, მთის მცენარეა, სულ ერთი მტკაველი იზრდება და ტკბილ ნაყოფს ისხამს. მწიფე კვრინჩხსა ჰგავს ფერით, მარიამობის (აგვისტოს) თვეში მწიფდება. მარცვალი ხუნწის მარცვლის ტოლა აქვს (თ. რ.).
**შაქსდამდგარი ყურებით** — აცქვეტილი ყურებით, საჩხუბრად მომართული ყურებით
**შეკვეთილი-შემკვიდრებული** — ძალიან შეჩვეული, დაახლოებული.[1]
**შიმელა** — ახალი მოზარდი ხე (თ. რ.).
**შეპაპიკება** — შეხვევა, შეკვრა.[1]
**შოლტა** — ბანალგაცლილი, მელოტი გუდა (თ. რ.).
**შუნი** — დედალი ჯიხვი.
**შურთხი** — მთის ინდაურია (თ. რ.).

## ჩ

**ჩადუნა** — გვიმრის ერთ-ერთი სახეობა.
**ჩაკიდვა** — დახუჭვა, მოკუტვა (თვალისა).
**ჩალუკლუკება** — ხმატკბილად ბაასი, ეღერტული.[1]
**ჩამოკანტურება** — უშნოდ ჩამოკიდება.[1]
**ჩამუქუქება** — იხ. მუქუქი.
**ჩაძირდება** — ჩაივლის (თ. რ.).

ჩახრიალა — პატარა ჩანჩქერი.

ჩიკორი — ბზრიალა — ბავშვების სათამაშო, ძაბრის მოყვანილობისა, რომელიც ვერტიკალურ მდგომარეობაში მყოფი სწრაფად ბრუნავს, ტრიალებს.

ჩირთი — ახლად რო ფოთოლი იშლება, ტყე რო მწვანედ შეიზინდება. (თ. რ.).

ჩიხმეიდან — გამოდით მოედანზე.[2]

ჩლუტე — არამკვრიელი, მოშვებული, დუნე.

ჩოდარი — პირუტყვით მოვაკრე.

ჩორბი — სირბილით ჩადის, სწრაფად მიედინება ქვეყვითკენ.

ჩული — თოფის ბუდე.

ჩხვერვა — ჩხვლეტა, რქენა, რჩოლა.[1]

## ც

ცასწავალა — ტოროლა.

ცერცველა — ბალახოვანი მცენარე პარკოსანთა ოჯახისა, იზრდება პურის ნათესებში, სათიბებში, ღობის ძირებში და ა. შ.

ცირცველი — рябина (თ. რ.). საშუალო სიმაღლის ხე ვარდისებრთა ოჯახისა, აქვს კენტი. ფრთისებრი რთული ფოთლები, ქოლგის მსგავსად შეკრებილი თეთრი ყვავილები, კაშკაშა წითელი, მწკლარტე ნაყოფი (ყინვანაკრავი — იეშმება), გავრცელებულია მთის ტყეებში.

ციცაგი — მოწმენდილი, ულრუბლო.[1]

## ძ

ძირხვენა — ფართეფოთლიანი ბალახოვანი მცენარე. აქვს წითელი ძურწაყვავილი. მისი ფესვი, ნორჩი ღერო და ფოთლები პირუტყვისათვის უუათიან საკვებს წარმოადგენს.[1]

ძურწა — ძირხვენის ყვავილი.[1]

## წ

წალო — კედელში დატანებული უკარო განჯინა ლოგინის შესანახად.

წამოიყაყვება — წამოიწევა, წამოიზიდება. იხ. ყაყვა.

წამოყუნტალავება — წამოყირავება (თ. რ.).

წბილა — წვრილი და გრძელი ღერო უპირატესად მარცვლოვანთა და ისლისებრთა ოჯახის წარმომადგენლებისა.

წენგო — კაკლის ხის ნაყოფის გარეთა გარსი მომწვანო ფერისა, მის ნაყენს ყავისფერ საღებავად იყენებენ.

წივა — მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ნეხვი, კვერებად ან ბირკეტებად გამხმარი (უტყეო მხარეებში საწვავად იხმარება).

წილება — იხ. იწილება.

წიფლიანი — წიფლნარი (თ. რ.).

წიწანი — პატარა ხის ჯამი, ბადია (თ. რ.).

წნორი — ტირიფის ერთ-ერთი გავრცელებული სახეობა, — დაბალი ან

საშუალო სიმაღლის ხე. იზრდება მდინარეების, არხებისა და რუების ნაპირებზე.

წოპი — წვეტიანი, წოწოლა, წოპ-წოპა.

 წუხა — პატარა ჩიტი, ბუდობს ჭაობიან ადგილას.[1]

წყანწყარა — გრძელბოლოიანი მონაცრისფრო ჩიტი: ხეებზე, რუებზე იცის: დახტის და ბოლოს აქანქარებს, ატოკებს.

## ჭ

ჭარი — განაძრობი კანი (გველისა, აგრეთვე ფრინველის ფეხისა).

ჭიდული — ქდობით (ფიცარზე ამოტვიფრვით, ფიგურებით) აშენებული ხის სახლი.

ჭილი — ტენიან (ჭაობიან) ადგილებში გავრცელებული მრავალწლოვანი ბალახოვანი მცენარე, ხმარობენ ჭილობების, ქუდებისა და სხვათა მოსაქსოვად.

ჭიუხი — შიშველი, წვეტებიანი კლდე.

ჭირხლი — მცენარეებსა და სხვა საგნებზე წიწვივით შეყინული ორთქლი.

ჭოგრიტი — დურბინდი. „შორსმჭვრეტელი მინის იარაღი" (თ. რ).

ჭროლება — იხ. იჭროლება.

ჭყვენვა — გულდასმით დათვალიერება, დაზვერვა.

## ხ

ხავიწი — გამდნარ ერბოში ახელილი ფქვილი. იყენებენ ძირითადად ქადის გულად.[1]

ხათხათი — ხმაური.

ხამუშ-ხამუშ — ხანგამოშვებით, დროდადრო, ნაწყვეტ-ნაწყვეტ.

ხაფვრა — დაკაკება, დაპერა (გზისა), დაბანდება (ჭურპლისა).

ხაჩანა — ცუდად ნაქსოვი უხეში შალი.

ხილარი — ახალი ფიქები თაფლით საცხე (თ. რ.).

ხირება — ყოფნა, დგომა.[1]

ხირიმი — (ყირიმი) საუკეთესო თოფად ითვლება ქართულ თოფებში, ყველი ოქროთი აქვს მოზარნაშული (თ. რ.).

ხლაკნა — გრეხა, კლაკნა.

ხოკერა, — ხ ო კ ე რ ი — კარის მაგვარი პატარა ჭურჭელი ხის ქერქისა.

ხრაშა-ხრუში — ხრეშზე ან გაყინულ ფხვიერ თოვლზე სიარულით გამოწვეული ხმიანობა.

ხრუნწუნი — ყურე-კუნწული (სახლისა, ეზოსი...) სამყოფი.

ხუსხუხი — ახლად ფეხადგმული რბენა.
ხუშური — მომსხო.

ჯ

ჯიქანი — ცური.
ჯინჯილა — ქერის პური.
ჯოყარი — გამხმარი ღერო მაღალი, მსხვილღეროიანი ბალახისა, მზესუმზირასი და მისთ.
ჯულურა — ვისაც სახე დამახინჯებული (დაჭრილი, ნაყვავილარი...) აქვს.
აჯულურებს — აფუქებს, ამახინჯებს.

ბ

ბლოშავს — იხ. ლოშვა.
ბხაფრავს — იხ. ხაფვრა.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


ავტობიოგრაფია 5
მონადირე 13
წყალი მოვიპარეთ 23
ხავსი 28
ნაკადული . . . 32
რა მოუვიდა სიმსუნაგით ბაცია ბატკანს 36
გაზაფხულის სუნი .. 42
როგორ გაჩნდნენ ხოხბები 47
ბუს ფეხი . . 54
მომგებიანი საქმე . . 67
ცასწავალამ როგორ მოიხვეჭა სახელი 72
მიხო და მწვანე კალია 79
სანთელი 89
ჭრიჭინა . 98
მუხა გაზაფხულზე 105
მკვეხარა პაელია 111
მოვლენ! მოვლენ! . 120
გულადი მამლაყინწას ამბავი 129
მოარული ქუდი 139
შერიგდნენ 145
პირველი საშოვარი .. 150
რძლებს თინას და ფეფეს დილის ძილი უყვარდათ 158
ზღაპარი ღორისა, მისი ხეთი გოჭისა და მგლისა 165
ბეკეკასი და მელიას ამბავი 170
ერთი ცოყვის თავგადასავალი 184
„მეც გავძეხ და ჩემი სტუმარიცაო“ 188
ძაღლის ჭკუა 192
სამეედლოში 196
ქორის ბახალა . 203
ერთი თავხედი თაგვის ამბავი . 210
როგორ მოიშორა ხველა-სუნდო ბიძინამ . 214
გულეთილი ლოკოკინა . 218
შენიშვნები . 224
ლექსიკონი . 228

БИБЛИОТЕКА ГРУЗИНСКОЙ
ДЕТСКОЙ ЛИТЕРАТУРЫ

**Тедо Разикашвили**
СОБРАНИЕ СОЧИНЕНИЙ

ТОМ II
Рассказы

(На грузинском языке)
Детгиздат Грузинской ССР
«Накадули»
Тбилиси
1972

რედაქტორი ლ. გოგოხია, მხატვარი ი. დიენოგორცევა-გრიგოლია, მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე, ტექნიკური რედაქტორი ბ. ასათიანი, კონტროლიორ-კორექტორი ლ. სულთანიშვილი, კორექტორი თ. ენდელაძე, ვამომშვები ც. ზაზაშვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/XI-71 წ. ქაღალდის ზომა 60×84 1/16, ნაბეჭდი თაბახი 14,18, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 10, 56 ტირ. 20 000, შეკვ. 6366
ფასი მაგარ გარეკანში 86 კაპ.,
რბილში — 65 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5
Издательство «Накадули», Тбилиси, ул. Марджанишвили № 5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მთავარპოლიგრაფმრეწველობის სტამბა № 2, „ნაკადული", ფურცელაძის ქ., 5
Типография № 2, «Накадули», Главполиграфпрома Государственного Комитета Совета Министров Грузинской ССР по печати, Тбилиси, ул. Пурцеладзе № 5